

ლ. ჯ. შ. კაკლ ქოიკლინი

გერმანული ენის  
ისტორიის  
შესავალი

მეორე გამოცემა

გამომცემლობა „ზანათლება“

თბილისი — 1969



## გერმანული ენის წარმოშობა-განვითარების ძირითადი ეტაპები

კარლ კოეგლერის „გერმანული ენის ისტორიის შესავალი“, რომელსაც ქართულ ენაზე ვთავაზობთ მკითხველს, მოკლე, მაგრამ უაღრესად საინტერესო და სასარგებლო ნაშრომია. ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს თარგმანი, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო გერმანული ენის ისტორიაში, ამ ნაშრომის სახით მიიღებს წიგნს, რომელშიც მოკლედ, მაგრამ სისტემურად არის წარმოდგენილი გერმანული ენის ისტორიის ძირითადი ეტაპები.

ამ წიგნის თარგმნა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ქართულ ენაზე თითქმის არაფერი მოგვეპოვება გერმანული და არც სხვა უცხოური ენის ისტორიის შესახებ, მაშინ, როცა იგი აუცილებელია უცხოური ენების ფაკულტეტების სტუდენტების, სკოლების უცხოური ენების მასწავლებლებისა და ენის საკითხების შესწავლით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

უდავოა, რომ უცხოური ენის ისტორიის შესწავლა აადვილებს შესასწავლი ენის აქტიურ შეთვისებას; იგი ნათელს ფენს მთელ რიგ რთულ და საინტერესო მოვლენას, რომელიც ისტორიული მომენტების გათვალისწინების გარეშე შესაძლოა გაუგებარი დარჩეს ენის შესწავლის პროცესში. ეს საგანი ხელს უწყობს და განაპირობებს უცხოური ენის სტრუქტურის გააზრებულ დაფუძვლას, რითაც სწავლების პროცესში ინტუიციის პარალელურად აძლიერებს და ავითარებს მოსწავლეთა „ენობრივ ალღოს“.

უცხოური ენის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს გავცნოთ ამ ენის წარმოშობის წინა პირობებს, მისი განვითარების ძირითად ტენდენციებს და სისტემის ცვალებადობის უძთავრეს ფაქტორებს, რაც გავვიადვილებს ამჟამად მოქმედი ენობრივი კანონზომიერების გაგებას. ამის საფუძველზე შესაძლებლობა გვექმნება ამჟამად ენაში არსებული მოვლენები შევადაროთ, ან დავაკავშიროთ ადრე მოქმედ კანონზომიერებებთან, რომელთა შედეგი კვლავ განაგრძობს არსებობას და სხვა მოვლენებს განაპირობებს.

ენის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა ხელს შეგვიწყობს ძველი ეპოქების დამწერლობითი ძეგლების წაკითხვა-შესწავლასა და გაანალიზე-

ბაში, გაგვიადვილებს ძველი დროის მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის გაგება-გამოყენებას; იგი დაგვეხმარება აგრეთვე ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ეკონომიური და სულიერი ცხოვრების გამოკვლევა-შესწავლის საქმეში, მოგვაწოდის ცნობებს ამ ხალხის ურთიერთობაზე სხვა ხალხებთან და ა. შ.

ერთი სიტყვით, ენის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა მრავალმხრივ არის საჭირო და აუცილებელი ამ ენის სპეციალისტისათვის. კარლ კოეგლერის „გერმანული ენის ისტორიის შესავალი“, მიუხედავად სიმოკლისა, კარგად გვაცნობს გერმანული ენის განვითარების ძირითად მომენტებსა და მთავარ ტენდენციებს. მას შეუძლია კარგი სამსახური გაუწიოს ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობას ამ უცხოური ენის საფუძვლიანად დაუფლების საქმეში. ამდენად მისი ქართულ ენაზე თარგმნა-გამოცემა გამართლებულად და სასარგებლოდ მიგვაჩნია.

\* \* \*

კ. კოეგლერი თავის ნაშრომს იწყებს იმაზე მსჯელობით, რომ ენა ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორიული განვითარების შედეგია. ენობრივ ფორმათა ისტორიული ცვალებადობა ცხადი შეიძლება გახდეს იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთს შევადარებთ სხვადასხვა ეპოქის ენის წერილობით ძეგლებს. დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლება ენის ლექსიკური შედგენილობა, გრამატიკული წყობა და ბგერითი სისტემა. ხალხის მეცნიერულ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერთად ვითარდება და სრულყოფილი ხდება ენის სტრუქტურა. ენობრივი მოვლენების ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საფუძველზე მოვახერხებთ გავიგოთ ბევრი დღევანდელი ენობრივი ფაქტი.

თანამედროვე გერმანული ენა განეკუთვნება გერმანიკულ ენათა შტოს. თავის მხრივ, გერმანიკული ენები შედიან ინდოევროპულ ენათა ოჯახში. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით მოხერხდა ინდოევროპული ფუძე-ენის ზოგიერთი მოვლენის ახსნა. მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინდოევროპული ენა უკვე იმთავითვე იყოფოდა დიალექტებად. ერთ-ერთი ასეთი დიალექტის საფუძველზე წარმოიშვა და განვითარდა საერთო გერმანული ენა. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი. საერთო გერმანულის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ინდოევროპული ფუძე-ენისაგან.

შემდგომი განვითარება-ცვალებადობის საფუძველზე საერთო გერმანულშიც წარმოიშვა დიალექტები, რომელთა თავისებურებების გაღრმავების შედეგად მივიღეთ ცალკეული გერმანიკული ენები, მათ შორის თანამედროვე გერმანული (Deutsch).

გერმანული ენის განვითარებაში განასხვავებენ დამწერლობის წინა პერიოდს (მე-5—8 საუკ.). ძველი ზემოგერმანულის პერიოდს (მე-8—11 საუკ.), საშუალო ზემოგერმანულის პერიოდს (მე-11—14 საუკ.), ახალი ზემოგერმანულის ადრეულ პერიოდს (მე-14—17 საუკ.) და ახალი ზემოგერმანულის პერიოდს (მე-17 საუკ. დღემდე). ავტორი წიგნში ცალ-ცალკე გამოყოფს და დაწვრილებით განიხილავს გერმანული ენის განვითარების თავისებურებებს ზემოჩამოთვლილი პერიოდების მიხედვით.

ძველ ზემოგერმანულ პერიოდში ხდება II ანუ ზემოგერმანული ბგერათგადაწვევა, მარცხლის სრული ბგეროვნობის შესუსტება, იწყება უძლავი ხმოვნების წარმოშობა-ჩამოყალიბების პროცესი და ა. შ. მე-12—13 საუკუნეებში კოლონიზაციის შედეგად გერმანული ენის სამყარო ფართოვდება აღმოსავლეთისაკენ, ენაში იჭრება ფრანგული სიტყვების ნაკადი, მარტივდება ბრუნებისა და უღლების ფორმები, ადგილი აქვს სიტყვათა მნიშვნელობის ცვლებადობას და სხვ.

მომდევნო საუკუნეებში იქმნება საერთო ენა, რასაც ხელს უწყობს წიგნის ბეჭდვის გამოგონება. გერმანული საერთო ენის შექმნა-განმტკიცების საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მარტინ ლუთერის მოღვაწეობა. ამავე დროს ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები ენის ბგერით სისტემასა, მორფოლოგიასა და სინტაქსში, იქმნება სპეციალური ლექსიკა, რომლის ნაწილსაც შემდეგ ითვისებს საერთო ენა. მე-17 საუკუნიდან იწყება ბრძოლა გერმანულში უცხოური ელემენტების შექრის წინააღმდეგ. იქმნება ენის დაცვის საზოგადოებები. მომდევნო პერიოდში გერმანული ენა მდიდრდება როგორც ნასესხები სიტყვებით, ისე რომანტიკოსი და კლასიკოსი მწერლების მიერ აღდგენილი, გაცოცხლებული და ნაწარმოები მრავალი სიტყვით.

მე-19 საუკუნეში იწყება გერმანული ენის მეცნიერული შესწავლა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად ენაში შედის და მკვიდრდება ბევრი ახალი სიტყვა და გამოთქმა: ფართოვდება საერთაშორისო სიტყვების მარაგი. გერმანული ენის ლექსიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პირველი და მეორე მსოფლიო ომები და მათი შედეგები.

ამრიგად, როგორც წიგნში განხილული საკითხების არასრული და სქემატური ჩამოთვლიდანაც კი ვხედავთ, შრომა მეტად საინტერესოდ არის აგებული. ძირითადად სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობით ავტორი ცდილობს გარკვეული მთლიანი წარმოდგენა მისცეს მკითხველს გერმანული ენის ისტორიული განვითარების გზებისა და ძირითადი ტენდენციების შესახებ. განიხილოს ენის ისტორია ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ცხოვრებასთან კავშირში.

იმისათვის, რომ უფრო სრულად შევძლოთ გერმანული ენის ისტორიული ჩამოყალიბება-განვითარების გზებისა და ტენდენციების გათვალისწინება, საჭიროა მოკლედ მიმოვიხილოთ ამ ენის ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი. მაგრამ სანამ უშუალოდ ენობრივ მოვლენებზე დავიწყებთ მსჯელობას, ჩვენთვის საინტერესო მოვლენებთან კავშირში მოკლედ განვიხილოთ ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ისტორიული წარსულის უმნიშვნელოვანესი მომენტები.

ხანგრძლივი მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ გერმანულ ტომებს ძვ. წ. მე-6—5 საუკუნეებში დაკავებული ჰქონდათ ელბასა და ოდერს შორის მდებარე დაბლობების ჩრდილო ნაწილი, აგრეთვე ილუტლანდიისა და სამხრეთ შვეციის ზღვის სანაპიროები. გერმანელთა მეზობლად, როგორც გადმოგვცემენ რომაელები, ცხოვრობდნენ კელტური ტომები. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კელტები ამ დროს კულტურით წინ უსწრებდნენ თავიანთ გერმანულ მეზობლებს. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მიუთითებენ კელტურიდან გერმანულში შესულ ხელისუფლებისა და სასამართლოს ცნებების გამომხატველ სიტყვებზე; შდრ.:

კელტ. rig, გუთ. reiki, ძზგ rihhi, აზგ Reich (სახელმწიფო);  
კელტ. ლათ. ambactus, გუთ. andbahti, ძზგ ambahti, აზგ Amt (სამსახური) და ა. შ.<sup>1</sup>

მეცნიერებაში ვარაუდობენ აგრეთვე, რომ გერმანიის დასავლეთ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სხვა, არაინდოევროპელი ხალხებიც, რომელთა ენასა და სახელწოდებას ჩვენამდე არ მოუღწევია. ძვ. წ. IV—I საუკუნეებში დასახლდნენ დასავლეთით მდინარე რაინის ნაპირებამდე, მათ წინ წაიწიეს აღმოსავლეთშიაც. ძვ. წ. I საუკუნეში გერმანელებმა მიაღწიეს ღუნაის ნაპირებს და უშუალოდ დაუმეზობლდნენ რომაელებს.

ძვ. წ. I საუკუნეში გერმანელებს რამდენიმე შეჯახება მოუხდათ რომაელებთან. მომთაბარე ტევტონები და კემბრები შეიჭრნენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე. ბრძოლა რომაელებსა და გერმანელებს შორის დიდხანს გრძელდებოდა. ძვ. წ. 58 წელს იულიუს კეისარმა დაამარცხა გერმანელთა ჯარები არიოვისტის სარდლობით. რომაელები შეიჭრნენ რაინის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე და დაიკავეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები.

<sup>1</sup> გერმანული ენის ისტორიის საკითხების ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი დასახელება მოცემულა წიგნის ბოლოში. საჭიროების შემთხვევაში მკითხველს შეუძლია ჩვენს მიერ შესავალში მოკლედ განხილული ცალკეული საკითხის უფრო ფართოდ გაცნობისათვის მიმართოს მიითებულ სათანადო შრომას.

ახ. წ. მე-9 წელს პერუსკებმა (გერმანული ტომი) არმინიუსის (პერმანიუსის) სარდლობით ტევტობურგის ტყეში ალყა შემოარტყეს და თითქმის მთლიანად ამოხოცეს რომაელთა ჯარები, რის შემდეგ რომაელები ძირითადად თავდაცვის პოლიტიკაზე გადავიდნენ.

რომაელებთან უშუალო მეზობლობა გავლენას ახდენს გერმანელებზე. რომაელთა და გერმანელთა უშუალო მშვიდობიანი ურთიერთობა გრძელდება მე-3 საუკუნემდე. ამ პერიოდში საერთო გერმანულმა ენამ აითვისა ბევრი ლათინური სიტყვა ეკონომიკისა და კულტურის მრავალფეროვანი სფეროებიდან; მაგ.:

ლათ. vinum ძზგ win, აზგ Wein (ღვინო),

ლათ. copa, ძზგ koufa, აზგ Kufe (კასრი),

ლათ. caulis, ძზგ kōl, აზგ, Kohl (კომბოსტო),

ლათ. pira, ძზგ bira, აზგ Birne (მსხალი),

ლათ. radix, ძზგ, retih, აზგ Retih (ზამთრის ბოლოკი) და ა. შ.

თანამედროვე გერმანული და ფრანგული დიალექტების შესწავლის საფუძველზე ენათმეცნიერებამ შეძლო სიზუსტით დაედგინა ის რაიონები, რომლებშიც პირველად იქნა შეთვისებული ლათინური სიტყვები, მათი გერმანულ ენაში შეღწევის გზები, აგრეთვე ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ძირითადი ცენტრები. საიდანაც ვრცელდებოდა რომაული კულტურის გავლენა გერმანულ ხალხზე.

იულიუს კეისარი და ტაციტუსი გვაწვდიან ძვირფას ცნობებს უძველესი გერმანელების ცხოვრების, საზოგადოებრივი წყობისა და ეკონომიურ-კულტურული საქმიანობის შესახებ. დღეს მეცნიერებაში ცნობილია, რომ კეისრისა და ტაციტუსის დროის გერმანელები ცხოვრობდნენ გვაროვნულ-პატრიარქალური წყობის სისტემით (შდრ. გვარის აღმნიშვნელი სიტყვები: გუთ. kuni, ლათ. gens-gentis, ბერძნ. genos). იულიუს კეისარი აღნიშნავს, რომ გერმანელები დასახლებული იყვნენ გვარებად და გვაროვნულ ჯგუფებად. ძველი გერმანელები ძირითადად მისდევდნენ მეცხოველეობას, მაგრამ ეწეოდნენ აგრეთვე პრიმიტიულ მიწათმოქმედებასაც.

უძველესი დროის გერმანული ტომებისათვის საქონელი არსებობის ძირითადი საშუალება იყო. საქონლის აღმნიშვნელი სიტყვა (გუთ. faihu, ძზგ fihu, აზგ Vieh) გერმანელებისათვის ნიშნავდა აგრეთვე „ქონებას“, „ფულს“. იულიუს კეისრის გადმოცემით, ამ დროს გერმანელებთან მიწა თემის საკუთრება იყო და მუშავდებოდა გვარის საერთო ძალებით. გერმანელები ამ დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ დამკვიდრებული ერთ ადგილზე. ტაციტუსთან კი უკვე აღნიშნულია, რომ გადაადგილების შესაძლებლობის შეზღუდვამ, რასაც რომაელებთან შეჯახების შედეგად ჰქონდა ადგილი, აიძულა გერმანელები დამკვიდრებული იყვნენ გარკვეულ ტერიტორიაზე.

მართალია, ამ დროს გერმანელებს ჰქონდათ გვაროვნულ-თემური წყობილება, მაგრამ უკვე შეიმჩნეოდა სოციალური დიფერენცირება. არსებობდა უხუცესთა საბჭო, გვარისა და ტომის უხუცესს ეწოდებოდა „Kuning (შდრ. აზგ König — მეფე), შემდეგ უხუცესთა უფლება მემკვიდრეობით განმტკიცდა. უხუცესთან ერთად გერმანელებს ჰყავდათ აგრეთვე ტომის ბელადი, მხედართმთავარი (შდრ. ძზგ herizogo — აზგ Herzog, ძზგ heri — აზგ Heer ჯარი; ziohan — აზგ ziehen გაძღოლის, წაყვანის მნიშვნელობით; herizogo — Herzog მხედართმთავარი, ჯართმძღოლი). უკვე ამ დროს გერმანელებთან გვარის თავისუფალი წევრების გვერდით გვხვდება მონა სამხედრო ტყვეები, რომელთა შრომითაც სარგებლობენ წარჩინებულები edel (ძზგ edeli). მე-3 საუკუნის დასასრულს თანდათანობით ქრება გვაროვნული ჯგუფები და მათ ადგილს იკავენ უფრო დიდი ტომობრივი კავშირები.

გერმანული ტომების ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „ხალხთა დიდ გადასახლებას“. იგი იწყება აღმოსავლეთის გერმანელთა გადაადგილებით. გერმანელთა გადასახლებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია გუთების გადაადგილება. გადმოცემის მიხედვით, გერმანელთა ეს ტომი ევროპაში მოვიდა სკანდინავიის კუნძულებიდან. მე-2 საუკუნეში გუთები ბალტიის ზღვის სანაპიროებიდან სამხრეთისაკენ დაიძრნენ. მე-3 საუკუნის დასაწყისში ისინი უკვე რომის იმპერიის საზღვრებზე, შავი ზღვის სანაპიროებზე ცხოვრობენ ღუნაისა და დნეპრს შორის. აქ გუთები იყოფიან ორ ჯგუფად: აღმოსავლეთის გუთებად (ostrogothi) და დასავლეთის გუთებად (wisigothi), მაგრამ მათ შორის კავშირი მაინც არსებობს.

მე-4 საუკუნის მე-2 ნახევარში (375 წ.) მომთაბარე ჰუნებმა მოსპეს გუთების კავშირი. მათ დაიპყრეს აღმოსავლეთ გუთების ტერიტორია და მეფე ატილას (სზგ Etzel) სიკვდილამდე (453 წ.) მორჩილებაში ჰყავდათ ეს ხალხი. გუთებისა და ჰუნების დამოკიდებულება ასახულია შუა საუკუნეების გერმანულ ეპოსში „ნიბელუნგები“.

გერმანელთა აღმოსავლეთის ტომების მოძრაობამ გავლენა მოახდინა დასავლეთის გერმანულ ტომებზეც. მე-3 საუკუნის ოციან წლებში დაწყებული ალემანების ომი მე-4 საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა, ალემანებმა დაიპყრეს ღუნაისა და რაინის ზედა წელის ვრცელი ტერიტორიები. მე-3 საუკუნის შუა წლებში ფრანკები თავს დაესხნენ ჩრდილოეთ ვალიას. რომაელებმა დაუთმეს მათ სასაზღვრო ტერიტორიები. მე-5 საუკუნის დასაწყისში ფრანკებმა დაიპყრეს რაინის შუა და ქვემო დინების მნიშვნელოვანი ტერიტორიები. ფრანკთა ჯგუფებისაგან შეიქმნა ორი ტომობრივი გაერთიანება: სალიები (Salii) და რიპუარები (Ripuarii).



ფრანკებისა და ალემანების კოლონიზაციის შედეგად რაინის ორივე ნაპირზე დამკვიდრდა გერმანული მოსახლეობა. რომანიზებული კელტების ნაწილი გაქვევებულ იქნა, ნაწილმა კი ასიმილაცია განიცადა და გერმანული ენა მიიღო. ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში გერმანელთა ტომებს: ფრანკებს, ალემანებს, საქსებს, თიურინგებსა და ბავარებს ეკირათ თანამედროვე გერმანიის დასავლეთი ნაწილი. აქვე ცხოვრობდნენ არაგერმანული ხალხებიც. ამრიგად ჩამოყალიბდა თანამედროვე გერმანული ხალხი და მისი ენა. როგორც ვხედავთ, მის შექმნაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ტომმა.

ფრანკების სახელმწიფოში მეროვინგებისა და კაროლინგების დინასტიის დროს დასავლეთი ნაწილი უმეტესად რომანული იყო, ხოლო აღმოსავლეთი — გერმანული. ამ პერიოდში, რა თქმა უნდა, ერის თანამედროვე გაგებით არ შეიძლება ლაპარაკი ფრანკების ან გერმანელების შესახებ. ენობრივი განსხვავება გამოკვეთილად შეინიშნება მხოლოდ კარლოს დიდის ეპოქის შემდეგ.

ენობრივი განსხვავების საბოლოო გაფორმების საქმეში დიდ როლი შეასრულა ამ იმპერიის დაყოფამ (843 წ.) დასავლეთის (მომავალი საფრანგეთი), აღმოსავლეთისა (მომავალი გერმანია) და სამხრეთის (მომავალი იტალია) სახელმწიფოებად. 842 წელს დასავლეთისა (საფრანგეთის) და აღმოსავლეთის (გერმანიის) მომავალ მმართველებს შორის დაიდო ხელშეკრულება სამხრეთის (იტალიის) სამეფოს წინააღმდეგ. ხელშეკრულების ტექსტი, რომელსაც „სტრასბურგის ფიცს“ უწოდებენ, შედგა ორ ენაზე, რათა გასაგები ყოფილიყო ორივე ქვეყნის მემკვიდრეებისათვის. ამრიგად, ამ ტექსტებით ფიქსირებულ იქნა ორი ენის — ფრანგულისა და გერმანულის — დამოუკიდებელი არსებობა.

\* \* \*

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ გერმანული ენა შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახში. მეცნიერებაში გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, წინარე ინდოევროპული ენა იყო ერთიანი ენა, მაგრამ ამჟღავნებდა დიალექტობრივი დიფერენციაციის მნიშვნელოვან ტენდენციებს. გამორიცხული არ არის ისიც, რომ ამ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონოდა სხვადასხვა დიალექტის დაახლოებას, ერთ ენაში გაერთიანებას (ინტეგრაცია).

ენობრივი ფაქტების შედარებითი შესწავლის საფუძველზე მეცნიერება საფუძვლიანად გაეცნო ენის წინარეისტორიულ პერიოდს და ენობრივი ფაქტების ცვალებადობის მრავალფეროვან ფორმებს. დადგენილია, რომ გერმანული ენა ნაწილია უფრო დიდი ერთეულისა, რომელსაც გერმანიკულ ენათა შტოს უწოდებენ. თავის მხრივ, გერმანი-

კული ენების შტო ერთიანდება უფრო დიდ ენობრივ ერთეულში — ინდოევროპულ ენათა ოჯახში. იგი, გარდა გერმანიკული ენებისა, აერთიანებს ინდურ, ირანულ, სომხურ, ალბანურ, ილირიულ, ბერძნულ, კელტურ, ბალტურ და სლავურ ენათა შტოებს.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის საფუძველზე მოხერხდა ინდოევროპული ფუძე-ენის ზოგიერთი მოვლენის ახსნა. მაგრამ ამ გზით მიღებული მასალა ნაწილობრივია და ყოველთვის სარწმუნოდ ვერ მიიჩნევა, ძნელად და ისიც მხოლოდ მიახლოებით ხერხდება იმ დროის დადგენა, რომელსაც მიეკუთვნება აღდგენილი ინდოევროპული ენის ფორმები. მიუხედავად ამისა, არსებობს საფუძველი დავასკვნათ, რომ ფუძე-ენას ჰქონდა უალრესად განვითარებული ფორმების სისტემა.

ხანგრძლივი კვლევა-ძიების საფუძველზე მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინდოევროპული ფუძე-ენა უძველეს დროში იყოფოდა ორ უმთავრეს ჯგუფად, ე. წ. კენტუმ (დასავლეთის) და სატემ (აღმოსავლეთის) ენებად. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დაყოფა პირობითია და წარმოდგება რიცხვითი სახელის ა ს ი ს (centum, satem) სახელწოდების მიხედვით დასავლეთისა და აღმოსავლეთის ინდოევროპულ ენებში. აქვე უნდა მიუთითოთ იმაზეც, რომ უკანასკნელმა გამოკვლევებმა მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანეს ინდოევროპული ენების ასეთ კლასიფიკაციაში.

ინდოევროპული ფუძე-ენისათვის დამახასიათებელი იყო ბრუნებისა და უღლების კარგად განვითარებული სისტემა. ამავე დროს ამ ენაში შეიმჩნევა ისეთი სიტყვების ფენა, რომელთაც არ ჰქონიათ ბრუნება და უღლება. მეცნიერთა აზრით, იმ დროს, როცა ენას არ ჰქონდა ფორმები, წინადადების წევრებს შორის უნდა ყოფილიყო მტკიცედ განსაზღვრული თანამიმდევრობა. მას შემდეგ, რაც წინადადების ზოგიერთ, შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონე წევრს შეუსუსტდა მახვილი, გარკვეული სიტყვები აფიქსებად იქცენ. ამრიგად, ენაში ჩამოყალიბდა ბრუნება და უღლება.

ინდოევროპულ ფუძე-ენაში ვარაუდობენ ამჟამად ცნობილი მეტყველების ყველა ნაწილს, გარდა არტიკლისა, ფიქრობენ, რომ ამ ენაში იყო თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები. აგრეთვე მიაჩნიათ, რომ მას უნდა ჰქონოდა დამოკიდებული წინადადებაც, თუმცა ჭერ კიდევ დადგენილი არ არის, ჰქონდა თუ არა მაქვემდებარებელი კავშირები. ამჟამად გავრცელებული აზრით, დამოკიდებული წინადადება უნდა შექმნილიყო ერთმანეთთან აზრობრივ კავშირში მყოფი, მაგრამ დამოუკიდებელი წინადადებების ერთ მთლიანში გაერთიანების საფუძველზე.

ინდოევროპულ ენას განსაკუთრებით განვითარებული უნდა ჰქონოდა სახელისა და ზმნის ფორმაცვალებადობა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აბლაუტი (შდრ. აზგ binden—band—gebunden). რაც განსხვავებული მახვილის შედეგია. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აგრეთვე რედუქციაცია (შდრ. ლათ. langa 'ვეხები'—teligi 'შეეხე'; გუთ. haitan 'წოდება', (ეწოდება)'—haihait—'მეწოდებოდა'. ამ პერიოდში შედარებით ნაყლები გამოყენება უნდა ჰქონოდა ინფიქსებს.

მკვლევართა აზრით, ინდოევროპული ფუძე-ენა უღლებისა და ბრუნების ფორმებით გაცილებით უფრო მდიდარი იყო მისგან გამოსულ ცალკეულ ენებთან შედარებით. მას ჰქონდა მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესები. ამ ენაში სიტყვების სამ სქესად დაყოფას უკავშირებენ იმ გარემოებას, რომ მდინარეები მიიჩნეოდნენ მამრობითი სქესის სახელებად, ხოლო დედამიწა და ნაყოფიანი ხეები— მდედრობითი სქესის სიტყვებად. რაც შეეხება წმინდა გრამატიკულ სქესს. იგი ჩამოყალიბდა უფრო გვიან, აზრობრივი აბსტრაქციების გაძლიერების შედეგად.

ამ ენაში იყო აგრეთვე სამი რიცხვი: მხოლობითი, ორობითი და მრავლობითი; რვა ბრუნვა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი, წოდებითი, ლოკალური, აბლატივი და მოქმედებითი. ერთნაირად იბრუნვოდა არსებითი და ზედსართავი სახელები. ზმნის პირიანი ფორმებით გამოიხატებოდა მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო გვარები. ზმნის დროის ფორმებს შეადგენდა: პრეზენსი, იმპერფექტი, პრეტერიტი, აორისტი, პერფექტი, პლუსკვამპერფექტი და ფუტურუმი; ზმნას ჰქონდა კილოები: ინდიკატივი, კონიუნქტივი, ოპტატივი და იმპერატივი.

ინდოევროპულ ფუძე-ენას ჰქონდა მდიდარი ლექსიკური ფონდი. არსებული სიტყვების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურასა და შეხედულებაზე. ლექსიკონზე დაკვირვება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ეპოქის ხალხი შედგებოდა მეომართა და მიწათმოქმედთაგან. ცალკეულ ინდოევროპულ ენაში საერთოა იარაღისა და შინაური ცხოველების ბევრი სახელი, აგრეთვე მიწათმოქმედებისა და საამშენებლო ტერმინები, საყურადღებოა ის გარემოება, რომ სიტყვების უდიდესი უმეტესობა კონკრეტული ცნებების გამომხატველია.

ინდოევროპული ენის ლექსიკურ ფონდში გვხვდება ნასესხები სიტყვები. განსაკუთრებით აღნიშნავენ ბაბილონური ენისა და, საერთოდ, კულტურის გავლენას. ფიქრობენ, რომ ინდოევროპული რიცხვითი სახელები გარკვეულად უკავშირდებიან ბაბილონურს. ამის საბუთს იძლევა რიცხვითი სახელის სამოციანი და თორმეტისი სისტემის კვალი

ინდოევროპულ ენებში, რადგან ცნობილია, რომ ინდოევროპულის საკუთარ ფორმას წარმოადგენდა რიცხვითი სახელების ათობითი სისტემა.

განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ინდოევროპული ფუძე-ენის ბგერითი შემადგენლობა, ამ ენას ჰქონდა მრავალფეროვანი თანხმოვნები: ხშული მჟღერები და ყრუები: b, d, g—p, t, k. ფშვინვიერი მჟღერები და ყრუები: bh, dh, gh — ph, th, kh. შესამჩნევი იყო თანხმოვნების ველარული ელფერი. ზოგიერთი სონორი მარცვლოვანი იყო: l, r, m, n. სპირანტებიდან ინდოევროპულში გვხვდება მხოლოდ s. რაც შეეხება ხმოვნებს, იყო გრძელი და მოკლე a, e, i, o, u. გარდა ჩამოთვლილისა, იყო აგრეთვე რელუცირებული (უმახვილო) ხმოვანი (ə) და დიფთონგები: ei, eu.

ინდოევროპულ ენას ჰქონდა მოძრავი მახვილი. იგი სიტუაციის მიხედვით სხვადასხვა მარცვალზე მოდიოდა სიტყვაში. ინდოევროპულის მახვილის მრავალფეროვნებამ განაპირობა აბლაუტის არსებობა ამ ენაში, რაც სიტყვის ცვალებადობის მრავალ ფორმას იძლეოდა. ასეთია მოკლედ ის ძირითადი თავისებურებანი, რომლითაც ხასიათდებოდა ინდოევროპული ფუძე-ენა.

\* \* \*

ახლა განვიხილოთ ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანიკულ ენათა შტო, რომლისაგანაც წარმოიშვა და ჩამოყალიბდა გერმანული ენა (Deutsch).

მეცნიერებაში ზუსტად არ არის დადგენილი ინდოევროპულ ფუძე-ენას როდის გამოეყო საერთო გერმანული (germanische Sprache). რა თქმა უნდა, ეს პროცესი ნელა მიმდინარეობდა და საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. მეცნიერებაში სარწმუნოდ მიიჩნევენ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ძვ. წ/აღრ. პირველ ათასეულ წლებში უკვე საკმაოდ იყო ისეთი ენობრივი მოვლენები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს საერთო გერმანულის ცალკე ენად გამოყოფის საქმეში.

ინდოევროპულმა ფუძე-ენამ დიდი ცვლილებები განიცადა თანხმოვანთა პირველი გადაწევის (Lautverschiebung) შედეგად. ეს მოვლენა ამა თუ იმ სახით გავრცელდა საერთო გერმანულის თითქმის ყველა სიტყვაზე. გარდა ამისა, საერთო გერმანულის დამოუკიდებელ ენად გაფორმების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა მახვილის შეცვლამ. საერთო გერმანულში, ნაცვლად თავისუფალი ინდოევროპული მახვილისა, ჩამოყალიბდა ფიქსირებული. მახვილი. ზემოდასახელებულმა და კიდევ სხვა თავისებურებებმა განაპირობეს ინდოევროპული ენის „გერ-

მანული დიალექტის“ განვითარება დამოუკიდებელ ენად. რომელსაც  
ს ა ე რ თ ო გ ე რ მ ა ნ უ ლ ი ე ნ ა ეწოდება.

ზუსტად იმის მითითება, თუ როდის ჩამოყალიბდა ცალკეული გერ-  
მანული ენა, არ ხერხდება. მეცნიერებაში სარწმუნოდ მიიჩნევა ის  
თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ს ა ე რ თ ო გ ე რ მ ა ნ უ ლ ი  
ენა არსებობას განაგრძობდა ჩვენი წელთაღრიცხვის ადრეულ საუ-  
კუნეებში. საერთო გერმანულის არსებობის აღიარება, როგორც სწო-  
რად შენიშნავს კ. კოეგლერი, არ ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ ეს ენა  
მთლიანად ერთიანი იყო. მკვლევართა აზრით, საერთო გერმანული  
არ შეიძლებოდა სავსებით ერთიანი ყოფილიყო თუნდაც იმიტომ, რომ  
განსხვავებული იყვნენ გერმანული ტომები, რომლებიც, უეჭველია, ერთ-  
მანეთისაგან დაცილებულ კილოებზეც ლაპარაკობდნენ. მაგრამ არ უნ-  
და დავივიწყოთ ისიც, რომ ეს განსხვავებული ტომები ქმნიდნენ გარკ-  
ვეულ მთლიანობას, რომელსაც ჯერ კიდევ ტაციტუსი იცნობდა „გერ-  
მანიის“ სახელით.

საერთო გერმანულის შესახებ გვაქვს მეტად მცირე, მაგრამ მაინც,  
ლიტერატურული წყაროები. ამდენად, ამ ენის შესახებ არ გვიხდება  
მსჯელობა მხოლოდ მეცნიერული რეკონსტრუქციის საფუძველზე. ან-  
ტიკურ ძეგლებში გვხვდება საერთო გერმანულის ბევრი სიტყვა, აგრე-  
თვე გერმანული საკუთარი სახელები. ამ მასალის საფუძველზე ცდილო-  
ბენ დაადგინონ საერთო გერმანულის ფორმები და ბგერითი შემადგენ-  
ლობა.

საერთო გერმანულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბგერითი მოვ-  
ლენაა თანხმოვანთა პირველი გადაწევა (die erste Lautverschiebung).  
მეცნიერება თანხმოვანთა გადაწევის ცნებაში აერთიანებს მთელ რიგ  
ბგერით ცვალებადობას, რომელიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მი-  
ზეზის გამო მოხდა. ამ მოვლენის დასაწყისად, როგორც აღნიშნული აქვს  
კ. კოეგლერს, მიიჩნევენ ძვ. წ. მე-2 ათასეულ წლებს. ვარაუდობენ,  
რომ იგი დასრულდა ძვ. წ. 500-იანი წლებისათვის, ე. ი. მანამდე, ვიდ-  
რე რომაელები გერმანელებს გაეცნობოდნენ. თუ რა თანამიმდევრობით  
შეიძლებოდა მომხდარიყო ხშული თანხმოვნების ეს მრავალფეროვანი  
ცვლილება, ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი.

რადგან თანხმოვანთა პირველი გადაწევა უაღრესად საინტერესო და  
ამავე დროს რთული ენობრივი მოვლენაა, უფრო დაწვრილებით შეე-  
ჩერდეთ მასზე.

მეცნიერებაში საკმაოდ დიდი ხანი იყო ცნობილი გერმანიკულ ენებ-  
ში თანხმოვანთა სისტემობრივი შეცვლა სხვა ინდოევროპულ ენებთან  
შედარებით. მე-19 საუკუნეში გერმანელმა ენათმეცნიერმა იაკობ გრიმმა  
დაადგინა მნიშვნელოვანი კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც გერ-  
მანიკულ ენებში, სხვა ინდოევროპულ ენებთან შედარებით, იცვლებოდა

ხშული თანხმოვნები. თანხმოვანთა ეს ცვალებადობა მდგომარეობდა შემდეგში:

1. ინდოევროპული ფშეინვიერი მქლერი ხშულები bh, dh, gh იქცნენ მქლერ ხშულებად b, d, g. აღსანიშნავია, რომ bh, dh, gh ძვ. ბერძნულში წარმოდგენილია როგორც ph, th, kh, ლათინურში კი როგორც ff—t—k.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

სანსკ.	bharami	ვილებ		bhrātr	ძმა
ბერძნ.	phero	ვილებ		phrātōr	ძმა
ლათ.	fero	ვილებ		frater	ძმა
გუთ.	baira	ვატარებ,	შიმაქვეს	brōpar	ძმა
ძვ. ბერძ.	beru	ვატარებ,	შიმაქვეს	bruodar	ძმა
და ა. შ.					

2. ინდოევროპულში მქლერი ხშულები b, d, g გერმანულში იქცნენ შესატყვის ყრუ ხშულებად: p, t, k.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

ბერძნ.	dyo	ორი	kardia	გული
ლათ.	duo	ორი	cor-cordis	გული
გუთ.	twai	ორი	hairto	გული
ძვ. ბერძ.	zwei	ორი	herza	გული
და ა. შ.				

3. ინდოევროპული ყრუ ხშულები p, t, k იქცნენ ყრუ სპირანტებად f, p\*, h;

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

ძვ. ბერძნ.	pella	ტყავი	kyōn	ძალა	deka	ათი
ლათ.	pellis	ბეწვი			decem	ათი
გუთ.	fill	ტყავი	hunds	ძალა	teihun	ათი
ძვ. ბერძ.	fel	ტყავი			zehan	ათი
და ა. შ.						

როგორც აღინიშნა, ხშულ თანხმოვანთა ცვალებადობა კანონზომიერების სახით დაადგინა ი. გრიმმა, ამიტომ მას ზოგჯერ მეცნიერებაში „გრიმის კანონსაც“ უწოდებენ.

თანხმოვანთგადაწვევის ზემოთ განხილულ კანონზომიერებაში ადგილი აქვს მთელ რიგ „გამონაკლისს“, რომლის ახსნა გრიმის კანონით არ ხერხდებოდა. სახელდობრ, ზოგიერთ სიტყვაში ადგილი არა აქვს ისეთ ცვლილებებს, რაც მოსალოდნელი იყო გრიმის კანონის მიხედვით. ეს მოვლენა შეისწავლა და კანონზომიერების სახით ჩამოაყალიბა დანიელმა

\* ამ ყრუ სპირანტის აღსანიშნავად ტექნიკური მიზეზების გამო ვიყენებთ p-ს.

ენათმეცნიერმა კარლ ვერნერმა. ამიტომ მას „ვერნერის კანონს“ უწოდებენ.

კ. ვერნერმა დაადგინა, რომ გერმანიკულ ენებში ყრუ ხშული თანხმოვნებიდან (p, t, k) მიღებული სპირანტი ფონემები (f, p, h) შენარჩუნებულია იმ შემთხვევაში, როცა ისინი უშუალოდ მოჰყვებიან მახვილიან ხმოვნებს. მაგრამ, თუ ეს თანხმოვნები უშუალოდ წინ უძღვებიან მახვილიან ხმოვნებს, ან მოჰყვებიან მას ორი მარცვლის შემდეგ, მაშინ იქცევიან შესატყვის ნაპრალოვან მჟღერებად (b, d, g). დროთა ვითარებაში ეს ნაპრალოვანი მჟღერები გადაიქცნენ შესატყვის ხშულ მჟღერებად (b, d, g).

მაგალითები:

ძვ. ბერძნ.	pátr̥	გუთ.	fadar
ძვ. ბერძნ.	hepta	გუთ.	sibun
ძვ. ბერძნ.	phératai	გუთ.	bairada
და ა. შ.			

ზუსტად ასევე ხდება S-ის გამჟღერება და მჟღერ Z-ად გადაქცევა.

მაგალითი:

ძვ. ბერძნ. plíre(s)ai გუთ. bairaza

ვერნერის კანონის მიხედვით გამოდის, რომ საერთო გერმანულ ენას ინდოევროპულიდან გამოყოფისას, ე. ი. იმ დროს, როცა თანხმოვანთგადაწევის პროცესი ცოცხალი იყო, ჯერ კიდევ ჰქონდა მოძრავი მახვილი.

როგორც აღვნიშნეთ, მჟღერი ნაპრალოვნები უფრო გვიან იქცნენ მჟღერ ხშულებად. ასევე ინდოევროპული ყრუ სპირანტი (s)-დან განვითარებული მჟღერი (z) შემდეგ ორ ხმოვანს შორის იქცა r-დ. f, p—h და s თანამედროვე გერმანულში გვხვდებიან როგორც f, d, h და s. ამის შედეგად გერმანულში ადგილი აქვს თანხმოვანი ფონემების მონაცვლეობას, რის საფუძველზეც ვიღებთ განსხვავებულ სიტყვებს: *Schneiden* — *geschnitten*, *verlieren* — *Verlust*, *gediegen* — *gedeihen* და ა. შ.

საერთო გერმანულ ენაში, როგორც ვერნერის კანონის განხილვისას ვნახეთ, მახვილის ფიქსირება უნდა მომხდარიყო თანხმოვანთგადაწევის პროცესის შემდეგ. დღევანდელ გერმანულში (*Deutsch*) გამოჩაყლისად არის მიჩნეული ისეთი შემთხვევა, როცა მახვილი სიტყვის პირველ მარცვალზე არ მოდის (მაგ., სიტყვებში *lebendig*, *Forélle*, *Wachóldier* და ა. შ.).

საერთო გერმანულში მახვილმა პირველ მარცვალზე ფიქსირებასთან

ერთად თვისებრივი ცვლილებაც განიცადა. მკვლევართა აზრით, ინდო-ევროპულ ფუძე-ენაში, ძირითადად, დომინანტობდა მუსიკალური (ხმის სიმაღლის) მახვილი, საერთო გერმანულის იმ პერიოდში, რომლის შესახებაც აქ არის მსჯელობა, გადამწყვეტია უკვე დინამიკური (ხმის სიძლიერის) მახვილი. აღსანიშნავია, რომ ინდოევროპული ენებიდან ძველ ინდურსა და ბერძნულში უპირატესობა ჰქონდა მუსიკალურ მახვილს, ხოლო კელტურსა და რომანულ ენებში გადამწყვეტი იყო დინამიკური მახვილი.

სიტყვის ფუძისეულ პირველ ხმოვანზე მახვილის დამკვიდრებამ გამოიწვია ბოლოკიდური მარცვლის შესუსტება. ეს მოვლენა შეიმჩნეოდა საქმაოდ აღრეულ პერიოდში, მაგრამ იგი განსაკუთრებით გაღრმავდა ჩვ. წ. პირველ საუკუნეში. ამის შედეგად ინდოევროპული დაბოლოება -is, -os, და ა. შ. თანდათანობით სცილდება სიტყვებს. ეს მოვლენა შეეხო როგორც თანხმოვნებს, ისე ხმოვნებს. ამიტომაც ეწოდა მას „სიტყვის ბოლოკიდურის“ თანხმოვნებისა და ხმოვნების კანონი. ეს მოვლენა პირველად შეეხო ბოლოკიდურის თანხმოვნებს. ისინი სიტყვის ბოლოში გადაშენდნენ ჯერ კიდევ საერთო გერმანულის ეპოქაში. რაც შეეხება ხმოვნებს, მათი ჩამოცილება შედარებით უფრო გვიანდელი ფაქტია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მახვილის პირველ ფუძისეულ მარცვალზე ფიქსირებამ განსხვავებული გავლენა მოახდინა გრძელსა და მოკლე ხმოვნებზე. გრძელმა ხმოვნებმა განიცადეს ცვლილება, მათ ადგილზე მივიღეთ მოკლე ხმოვნები (შდრ. ძვ. ბერძნ. *timá* — გუთ. *giba*, ძვ. გება საჩუქარი), ხოლო მოკლე ხმოვნები სიტყვის ბოლოკიდურში საერთოდ დაიკარგნენ (შდრ. აკუზატივის დაბოლოება; *a* დაიკარგა და *Steina, horna*-ს ნაცვლად მივიღეთ *Stein, Horn*).

მნიშვნელოვანი სხვაობა შეიმჩნევა ინდოევროპული ფუძე-ენისა და საერთო გერმანულის, resp. ცალკეული გერმანიკული ენის, ლექსიკასა და გრამატიკაში. დავიწყოთ ლექსიკით:

გერმანიკული ენების ლექსიკაში, როგორც ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში, აშკარად შეიმჩნევა სამხედრო საქმის ამსახველი სიტყვების დიდი მატება. საერთო გერმანულში გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც ინდოევროპულ ენაში არ იყო; მაგალითად, *Schild, Schwert, Helm* და ა. შ. საერთო გერმანულის ლექსიკაში ასახულია სამშენებლო საქმე,<sup>1</sup> ნაოსნობა, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ლითონების დამუშავების საქმე და მათი სახელები (*Eisen, Gold, Blei, Silber* და ა. შ.). ამ დროს ცნობილი იყო აგრეთვე ადმინისტრაციული და სასამართლოს საქმის ტერმინები (*Sache, Dieb, Adel, Friede, schwören* და ა. შ.).

გარკვეული სხვაობა საერთო გერმანულის ლექსიკაში, ინდოევრო-



პულ ენასთან შედარებით, შექმნა ამ პერიოდში ინდოევროპული სიტყვების ნაწილის ახალი სიტყვებით შეცვლა. მაგ., πο — დაღვეა (მძრ. ლათინური potūs სასმელი, poculum 'სასმისი, თასი,' რუს. пить) შეცვალა სრულიად ახალმა სიტყვამ trinken და ა. შ. ამავე დროს გერმანიულმა ენებმა ისესხეს ბევრი უცხოური სიტყვა, განსაკუთრებით ლათინურიდან. ლექსიკის ცვალებადობაში გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებამ, დავიწროებამ და ა. შ.

ინდოევროპულ ფუძე-ენასთან შედარებით, მნიშვნელოვანი ცვლილება შეინიშნება აგრეთვე საერთო გერმანულის გრამატიკულ ფორმებშიაც. მაგრამ ეს ცვლილებები მხოლოდ ნაწილობრივ ცვლიდა სისტემას.

გრამატიკული სხვაობიდან აღსანიშნავია ორობითი რიცხვის თანდათანობითი გაქრობა. კვლამას განიცდიან მოქმედებითი, წოდებითი და ლოკალური ბრუნვები. გაქრა ძველი პასივიც, როგორც სინთეტური (ერთი სიტყვით გამოხატული) ფორმა. მისი ადგილი დაიკავა მასივის (ვნებითი გვარის) აღწერილობითმა ფორმამ. საერთო გერმანულში თითქმის სრულიად დაიკარგა ზედსართავი სახელების ბრუნვის ინდოევროპული ტიპები. მათ მაგივრად წარმოიშვა ზედსართავი სახელების ძლიერი და სუსტი ბრუნება ისეთი სახისა, როგორც დღეს არის თანამედროვე გერმანულში. ზმნაში განსაკუთრებით გაძლიერდა აბლაუტი. განვითარდა სუსტად უღლებადი ზმნების სრულიად ახალი ტიპი. ახლა ძლიერი ზმნები უკვე აღარ ქმნიან ახალ ფორმებს.

სპეციალისტთა აზრით, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა გერმანიკულ ენათა მნიშვნელოვან ურთიერთგავლენას (ტომებს შორის), მაგრამ ამავე დროს ძლიერი იყო აგრეთვე არაგერმანიკული ენების გავლენაც, განსაკუთრებით დასავლეთში (რაინის მიდამოებსა და გალიაში).

რომაელთა დაახლოების შედეგად განსაკუთრებით საგრძნობი ზღვარა ლათინური ენის გავლენა. პირველ ხანებში ეს შეიმჩნევა ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ლექსიკაში. დადასტურებულია, რომ საერთო გერმანულის პერიოდში ლათინური ენა ფართოდ იყო ცნობილი თითქმის ყველა გერმანიკული ენის ტერიტორიაზე. ზოგიერთი ლათინური სიტყვა გუთურში დასავლეთის რაიონებიდან შეიქრა ჩვ. წ. პირველ ორ საუკუნეში. ცნობილია, რომ ამ დროს რომაელები და გუთები უშუალო მეზობლობაში არ ყოფილან.

საერთო გერმანულის ეპოქაში ნასესხებ სიტყვებს სპეციალისტები განსაზღვრავენ იმის მიხედვით, განიცადა თუ არა ამ სიტყვამ ძველი ზემოგერმანული ანუ მეორე ბგერათგადაწევა და e-ს გადასვლა i-ში, როცა ი გ ი წ ი ნ უ ძ ლ ო და ა ბ გ ე რ ა თ კ ო მ პ ლ ე ქ ს ს ი + თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი. უძველეს ეპოქაში ლათინურ სიტყვებში c წინა რიგის ხმოვნების (e-სა და i-ს) წინა პოზიციაში წარმორთქმებოდა როგორც k; მე-5—7

საუკუნეებში k ამ პოზიციაში გადაიქცა *ks*-დ. მაშასადამე, სიტყვები: Kirsche (ლათ. *ceresia*) 'ალუბალი', Wicke (ლათ. *vicia*) 'ცერცველა', Kiste (ლათ. *cista*) 'ყუთი', აღნიშნულ პერიოდამდე უნდა შემოსულიყო გერმანულში.

როცა ლათინურიდან შემოსულ სიტყვებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანული ენა სიტყვებს სესხულობდა მხოლოდ ხალხური (ველგარული) ლათინურისაგან და არა კლასიკური ენიდან. სამართლიანად მიუთითებს კ. კოეგლერი, რომ არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა. თითქოს იმ საგნებს, რომელთა სახელებს წარმოადგენდნენ ახალნასესხები სიტყვები, გერმანელები მანამდე არ იცნობდნენ. რა თქმა უნდა, უმეტეს შემთხვევაში ეს ასე არ ყოფილა. ნასესხებმა სიტყვებმა ზოგჯერ იმავე მნიშვნელობის გერმანული სიტყვების ადგილი დაიკავეს, ზოგჯერ კი უცხოური სიტყვები ენამ გარკვეული მოდის მიხედვით აითვისა და ა. შ.

უცხოური სიტყვების სესხების პარალელურად გერმანიკული ენები თვითონვე ახდენდნენ გავლენას სხვა ენებზე. გერმანულიდან ნასესხები სიტყვები გვხვდება კელტურში, რომანულში, ფინურში, ლათინანდურში, პრუსიულში, ლიტვურსა და ლატვიურში. გერმანიკული სიტყვები გვხვდება აგრეთვე ძველ სლავურშიც. გერმანულიდან სხვა ენებში შესული სიტყვების მიხედვით შესაძლოა ვიმსჯელოთ ეკონომიური და კულტურული ცხოვრების იმ დარგებზე, რომლებითაც გერმანელები ახდენდნენ გავლენას მეზობელ ხალხებზე.

სპეციალისტების აზრით, საერთო გერმანულის ეპოქაში არ იყო გაფორმებული და ჩამოყალიბებული ს ა ე რ თ ო ე ნ ა. მაგრამ ენათმეცნიერები ითვალისწინებდნენ მაშინდელი გერმანელების პოეზიის მონაცემებს, აგრეთვე იულიუს კეისრისა და ტაციტუსის ცნობებს და თვლიდნენ, რომ იმ დროს გერმანელებს ჰქონდათ პოეზიის „ხელოვნური ენა“ (*Kunstsprache der Dichtung*), საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გერმანელებს ჰქონდათ მაღალ დონეზე დაყენებული სამხედრო ხელოვნება. ეს ასახულია საბრძოლო-საგმირო ლექსიკაში, რამაც ჩვენამდე მოაღწია ძირითადად საკუთარ სახელებში.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც, გამოიყოფა სოციალური დიალექტების, პროფესიული ჟარგონების ჩანასახები. საქმე ის არის, რომ ამ დროს შრომის დიფერენციაცია, ე. ი. პროფესიული დანაწევრება ჯერ კიდევ არ ყოფილა მნიშვნელოვანი. იგი მხოლოდ იწყებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება განვასხვავოთ მკვლევებისა და მეზღვაურების პროფესიული ლექსიკა. მასში შედის ისეთი სიტყვები, რომლებიც ნაკლებ გასაგები, ან საერთოდ გაუგებარი იქნებოდა ისეთი ადამიანებისათვის, რომლებიც ამ პროფესიას არ ეკუთვნოდნენ.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ საერთო გერმანული ენა თავიდანვე არ იყო ერთიანი და ერთგვარი. სხვაობა შეიმჩნეოდა ცალკეული ტომების მიხედვით. ამჟამად მეცნიერებაში დადგენილია, რომ განსხვავება გერმანულთა ტომების, ან ტომთა ჯგუფების მეტყველებაში დროთა ვითარებაში იმდენად გაიზარდა და გაღრმავდა, რომ მე-3 საუკუნიდან უკვე აღარ შეიძლება ვილაპარაკოთ საერთო გერმანულ ენაზე. ამ დროისათვის ენობრივი სხვაობა ტომების მეტყველებაში იმდენად დიდია, რომ მათ უკვე ც ა ლ კ ე უ ლ გ ე რ მ ა ნ ი კ უ ლ ე ნებად თვლიან.

მიღებულია გერმანულთა ტომების დაყოფა სამ დიდ ჯგუფად: დასავლეთის გერმანელები, აღმოსავლეთის გერმანელები და ჩრდილოეთის გერმანელები. თანამედროვე ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი (მაურერი, ბახი და სხვ.) თელის, რომ ასეთი ტრადიციული დაყოფა მხოლოდ ტერიტორიულ ვითარებას ასახავს და არა ენობრივს, ამიტომ იძლევა გერმანული ტომების ახლებურ კლასიფიკაციას.

ამ დაყოფის მიხედვით შემდეგ სურათს ვიღებთ:

1. ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ ი, რომლებიც ცხოვრობდნენ დანიასა და სკანდინავიაში, უფრო გვიან კი ისლანდიაში.

2. ა ლ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ ი (გუთები, ვანდალები, ბურგუნდები), რომლებიც ადრე ცხოვრობდნენ გერმანიის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, ხოლო ხალხთა დიდი გადასახლების შემდეგ აღმოჩნდნენ სამხრეთ ევროპაში, ნაწილი კი მცირე აზიასა და ჩრდილო აფრიკაში. მათ გადაშენებასთან ერთად დაიკარგა მათი ენაც.

3. ე ლ ბ ი ს პ ი რ ე თ ი ს გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ ი, რომლებიც ცხოვრობდნენ მდ. ელბის შუა დინების მახლობელ ტერიტორიაზე.

4. ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ზ ლ ვ ი ს პ ი რ ე თ ი ს გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ ი (ინგვევონები).

5. ვ ე ზ ე რ ს ა და რ ა ი ნ ს შორის მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანელები.

დავრჩებით გერმანული ტომების ტრადიციული კლასიფიკაციის თვალსაზრისზე, თუ გავიზიარებთ ახლებურ დაყოფას, მაინც ფაქტია, რომ საერთო გერმანულში თანდათანობით გამოიკვეთა და შემდეგ გამოიყო ცალკეული გერმანიკული ენები, რომელთა შორისაც ზოგიერთს უკვე მე-4 საუკუნიდან აქვს საკუთარი დამწერლობითი ძეგლები.

ამჟამად ლინგვისტურ მეცნიერებაში საკმაოდ ზუსტად არის დადგენილი ის თავისებურებანი, რომლებიც ამ პერიოდში ახასიათებდა ცალკეულ გერმანიკულ ენას. მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი:

ლექსიკაში „დასავლეთ გერმანულის“ კუთვნილებად მიიჩნევენ Faust, Flucht, gesund, Herd, Zorn და მრავალ სხვას. სიტყვაწარმოებაში და-

სავლეთგერმანულ თავისებურებად ითვლება აბსტრაქტული სუფიქსები -leit, -lum, -schaft. ეს სუფიქსები არ გვხვდება გუთურსა და ჩრდილო გერმანულში.

გრამატიკაში დასავლეთგერმანულის თავისებურებაა ძლიერი უღლების ზმნების პრეტერიტის მხოლოდითი რიცხვის მე-2 პირის წარმოება. ამ ჯგუფის ზმნებით პრეტერიტის მე-2 პირის ფორმად იქცა ძველი ოპტატივი. გუთურისა და ჩრდილო-გერმანულის ამავე ფორმაში დარჩა აბლაუტი და -t დაბოლოება. დასავლეთგერმანულში კი ასეთი ფორმა შეინარჩუნეს მხოლოდ ისეთმა ზმნებმა, რომლებმაც ძველი ნამყოს ფორმები აწმყოს გამოსახატავად გამოიყენეს (ე. წ. პრეტერიტო-პრეზენტციულმა ზმნებმა), გარდა ამისა, დასავლეთგერმანულმა ზმნა sein აწმყოს მხოლოდით რიცხვში გააერთიანა ერთ ფორმაში (ძვ. bim, bist; ძვ. საქს. bium, bist; ძვ. ინგ. biolm, bis[t]), გუთურსა და ჩრდილო-გერმანულში ასე არ მომხდარა, რადგან იქ სხვა კანონზომიერება მოქმედებდა.

დასავლეთგერმანულს ზოგიერთი თავისებურება ახასიათებდა ბგერით სისტემაშიაც. მათ შორის აღვნიშნოთ ე. წ. თანხმოვნების „დასავლეთგერმანული დაწყვილება“. ეს მოვლენა გამოწვეული იყო სონორების: j, w, r და l გავლენით; მაგ., გუთ. sibja, ძსაქს. sibbia — 'გვარი, თემი'; გუთ. akrs ჩრდილოგერმან. akr, ძსაქს. akkar, ძვ. akkar სახნავი. დასავლეთგერმანულმა დაკარგა ბოლოკიდური — s, ხოლო გუთურმა და ჩრდილოგერმანულმა შეინარჩუნა იგი; მაგ., გუთ. fisks, ძვ. ჩრდ. გერმ. fiskr — ძვ.სა, ძსაქ-სა და ძინგ-ში fisk — 'თევზი'; გუთ. dags, ძვ. ჩრდ. გერ. dagr — ძსაქს. dag ძინგ. dag, ძვ. tag 'დღე'.

დასავლეთგერმანული იყოფოდა ორ მთავარ ჯგუფად: ღუნაი-ალპებისა და ქვემო რაინ-ჩრდილოეთის ზღვის ჯგუფები. ეს ჯგუფები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ამავე დროს შეინიშნებოდა ერთნაირი მოვლენები დასავლეთგერმანულის ამ ცალკეულ ქვეჯგუფებსა და გერმანულის სხვა ჯგუფებს, მაგალითად, ჩრდილოურს, გუთურსა და სამხრეთგერმანულს შორის.

\* \* \*

როგორც ვნახეთ, საერთო გერმანული იყოფოდა სამ ძირითად ჯგუფად: დასავლეთგერმანული, ჩრდილოგერმანული და აღმოსავლეთგერმანული.

დასავლეთგერმანულში გაერთიანებული იყო ძველი ზემოგერმანული (althochdeutsch), ძველი საქსონური (altsächsisch), ანგლოსაქსონური (anglosächsisch), ძველი ფრიზიული (altfrisisch), ძველი ქვემოფრანკული (altniederfränkisch). მათი განვითარების საფუძველზე მივიღეთ თანამედროვე გერმანიკული ენები; ასე, მაგალითად, გერმანულს

(Deutsch) საფუძვლად დაედო ძველი ზემოგერმანული, ინგლისურს — ძველი ანგლოსაქსონური, პოლანდიურს — ძველი ქვემოფრანკული. ძველი საქსონურისა და ფრიზიულისაგან დამოუკიდებელი ენები არ განვითარებულა.

მეცნიერებაში ხშირად ვხვდებით გერმანული ენის ისტორიის პერიოდების სხვადასხვაგვარ დაყოფას. ჩვენი აზრით. უფრო გამართლებული და მოსახერხებელია შემდეგი ძირითადი პერიოდების გამოყოფა:

1. ძველი ზემოგერმანული (althochdeutsch). მასში შედის მწვერლობის წინა ეპოქაც. ეს პერიოდი მოიცავს მე-5—11 საუკუნეებს.

2. საშუალო ზემოგერმანული (mittelhochdeutsch) — (მე-11—14 საუკ.).

3. ახალი ზემოგერმანული (neuhochdeutsch). მასში შედის აგრეთვე ადრეული ახალი ზემოგერმანულიც მე-14 საუკუნიდან დღემდე.

გერმანული ენის (Deutsch) განვითარების ადრინდელ პერიოდში, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მე-2 ანუ ზემოგერმანული თანხმომავანთა დაწევა, რაც მდგომარეობდა შემდეგში:

1. საერთო გერმანულის ყრუ ხშულები (p, t, k) გადაიქცნენ შესატყვის სპირანტებად (ff, zz, ch) (მაგალითები იხილეთ ტექსტში).

ეს ბგერითი ცვალებადობა გავრცელდა ზემოგერმანულის მთელ ტერიტორიაზე. იგი არ შეხებია მხოლოდ შუაგერმანულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, აგრეთვე შუაფრანკულის დიალექტს კოელნის, ტრიონისა და კობლენცის ტერიტორიაზე. ფიქრობენ, რომ იგი ვრცელდებოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით და ჩრდილოეთის რაიონებზე უფრო სუსტი გავლენა მოახდინა.

2. ყრუ ხშულები (p, t, k) სიტყვის თავკიდურსა და თანხმომავანების მომდევნო ან დაწყვილებულ პოზიციაში გადაიქცნენ შესატყვის აფრიკტებად (pf, zz, kch).

ეს ბგერითი ცვალებადობა მხოლოდ ნაწილობრივ და სხვადასხვა სიძლიერით გავრცელდა ზემოგერმანულის დიალექტებში. იგი, როგორც პირველი შემთხვევა, ვრცელდებოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით.

3. მეღერი ხშულები (b, d, g) გადაიქცნენ შესატყვის ყრუ ხშულებად (p, t, k). ეს მოვლენაც ნაწილობრივ შეეხო ზემოგერმანულის დიალექტებს.

მე-2 თანხმომავანთა დაწევა არ შეხებია ბგერათშეერთებებს: st, sp, sk, tr, ht, ft. ამ სახის ბგერათშეერთებებში ხშული კომპონენტი უცვლელი დარჩა.

გარდა აქ განხილული ენობრივი ფაქტებისა, საერთო გერმანული-დან ზემოგერმანულის გამოყოფას ცალკე ენად ხელი შეუწყო აგრეთვე თავისებურებებმა ლექსიკურ შედგენილობასა, გრამატიკულ წყობასა და ბგერით სისტემაში, რომელთა განხილვასაც ჩვენ აქ არ შევედგებით.

ცალკეული გერმანიკული ენის წარმოშობა-განვითარების შესწავლა მნიშვნელოვნად არის გაძნელებული ადრეული პერიოდის დამწერლობითი ძეგლების ნაკლებობის გამო. თუმცა მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს არსებული მცირერიცხოვანი ძეგლები. განსაკუთრებით ფასეულია მე-4 საუკუნეში ვულფილას მიერ გუთურ ენაზე გადათარგმნილი ბიბლია. შემორჩენილია აგრეთვე რუნული წარწერები. ეს წარწერები თავდაპირველად კეთდებოდა ხეზე. ფიქრობენ, რომ აქედან წარმოდგება ასოს გერმანული სახელწოდება Buchstabe (ძვ. buchstabe). იგი სიტყვისიტყვით ნიშნავს „საიდუმლო წარწერიან წიფლას ჯოხს.“ როგორც ვარაუდობენ, რუნული წარწერების წარმოშობა თავის დროზე დაკავშირებული იყო რელიგიური წესების საიდუმლო შესრულებასთან, მაგიურ შელოცვებთან, შდრ. ინგლისური სიტყვა read „კითხვა“, სიტყვისიტყვით „მკითხობა“.

ქრისტიანული რელიგიის მიღება-დამკვიდრებასთან ერთად ლათინურმა და ბერძნულმა ანბანმა განდევნა რუნული წერა. ცნობილია, რომ ადრე შუა საუკუნეების დამწერლობითი ძეგლები კლერიკალური ხასიათის იყო. ამის გამო ევროპაში უმნიშვნელოვანესი სამეურნეო. ადმინისტრაციული და კულტურული ფუნქცია ლათინურ ენას დაეკისრა. ამ ეპოქაში უცხოური ენებიდან ითარგმნება უმთავრესად ქრისტიანული რელიგიის წიგნები. ამავე დროს ძველ ზემოგერმანულზე იკმნება აგრეთვე მნიშვნელოვანი ჰოეტური ძეგლები — „მუსპილი“ (Muspilli), „ლუდვიგის სიმღერა“ (Ludwigslied), „მერზებურგის შელოცვები“ და ა. შ.

ძველი ზემოგერმანულის ლიტერატურული ძეგლები მნიშვნელოვნად განირჩევიან ერთმანეთისაგან. ამის საფუძველზე განასხვავებენ ძველი ზემოგერმანულის მრავალ დიალექტს: შუაფრანკულს (mittel-fränkisch), რაინოფრანკულს (reinforänkisch), აღმოსავლეთფრანკულს (ostfränkisch), ალემანურს (alemanisch), ბავარულს (bayrisch) და ა. შ. მიუხედავად ამგვარი დიალექტობრივი დაქუცმაცებულობისა, ძეგლებზე დაკვირვების შედეგად მაინც შეიმჩნევა სწრაფვა ენობრივი უნიფიკაციისაკენ. ძველი ზემოგერმანულის პერიოდის დასასრულისათვის (დაახლოებით ათასიან წლებში) უკვე ვხვდებით გამოთქმას din diutisca zunge (გერმანული ენა). სიტყვა diutisc თავდაპირველად აღნიშნავდა გერმა-

ნული ტომების ენას, უფრო გვიან კი გადაიქცა გერმანული ხალხისა და გერმანული ენის საერთო სახელად.

ძველი ზემოგერმანულის უმნიშვნელოვანესი თავისებურებებია მარცვლის სრული ბგეროვნობა, რომელიც შემდგომში თანდათანობით სუსტდება. აგრეთვე a, o და u ხმოვნების გაუმლაუტების პროცესის დაწყება ფუჟის მარცვლის მომდევნო i-სა და j-ს გავლენის შედეგად, é და é ხმოვნების დიფთონგიზაცია, ai-სა და ai-ს მონოფთონგიზაცია, აბლაუტის გაძლიერება, უმახვილო მარცვლების შესუსტება — რედუქციის პროცესის დაწყება, მამრობითი სქესის არსებითი სახელების ბრუნების მკვეთრი დაპირისპირება მდედრობითი სქესის არსებითი სახელების ბრუნებისადმი, დამოუკიდებელი წინადადების კონსტრუქციის შემდგომი გაღრმავება-სრულყოფა, მაქვემდებარებელ საშუალებათა მატება, წინადადების წევრთა ადგილის გამოყენება წინადადებათა სახეების განსახვევებლად და ა. შ.

მე-12—13 საუკუნეებში გერმანული ენის სამყარო აღმოსავლეთისაკენ გაფართოვდა. დაპყრობილი ადგილების დასახლება მოხდა უმთავრესად ქვემო და შუაგერმანულის ტერიტორიიდან. ამავე დროს შუა რაინზე, სამხრეთ და შუა გერმანიაში ვითარდება მდიდარი კულტურა, რომლის მატარებელიც იყო რაინლობა. ფეოდალ-რაინდთა იდეოლოგია აისახა სარაინლო ლატერატურის საკმაოდ მრავალფეროვან ძეგლებში. ამ პერიოდს გერმანული ენის განვითარების ისტორიაში განიხილავენ როგორც საშუალო ზემოგერმანულს (mittelhochdeutsch).

ამდროინდელ გერმანულ ენასა და ლიტერატურაზე დიდი გავლენა მოახდინა ფრანგულმა ლიტერატურამ და ენამ. ცნობილია ამ ეპოქის ვრცელი ლიტერატურული ძეგლები საგმრო ეპოსის („ნიბელუნგები“ — 1200 წ., „კულრუნა“ — 1210 წ., დიტრიხ ბერნელის პოემა — მე-13 საუკ. და ა. შ.), სარაინლო რომანებისა (ბრეტონული ციკლი მეფე არტურისა და „მრგვალი მაგიდის“ რაინდებზე, „ერეკი“. „პარციფალი“ და სხვა) და გერმანული მინეზენგერების სარაინლო ლირიკის (ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდეს სასიყვარულო ლირიკა, პოლიტიკური ლექსები — Sprüche და მრავალი სხვა) სახით. სარაინლო კულტურასა და ლიტერატურას თან შემოჰყვა ბევრი ფრანგული სიტყვა და გამოთქმა. გარდა პირდაპირი სესხებისა, გერმანულ ენაში დამკვიდრდა მრავალი ახალი სიტყვისა და გამოთქმის თარგმანი. ფრანგული ენის გავლენა კარგად შეიმჩნევა საშუალო ზემოგერმანულის პოეზიის ენაში. ეს ენა შედარებით თავისუფალია დიალექტობრივი ფორმებისაგან და წარმოადგენს გერმანული საერთო ენის პირველ ჩანასახს.

საერთოდ კი, რა თქმა უნდა, საშუალო ზემოგერმანულისათვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი დიალექტობრივი სხვაობა. ეს საკითხი დიდი ხნის განმავლობაში იქცა მეცნიერული მსჯელობის საგნად. კარლ

ლახმანის აზრით, სარაინდო ლიტერატურის აყვავების ხანაში უკვე არსებობდა ადგილობრივი დიალექტებისაგან განსხვავებული ლიტერატურული ენა. ამავე აზრს იზიარებს იაკობ გრიმი „გერმანულ გრამატიკაში“. მეცნიერთა მეორე ნაწილი (პფაიერი, ბრაუნე, პაული და სხვ.) უარყოფს ამ თვალსაზრისს. ლახმანის შეხედულება საშუალო ზემოგერმანულში საერთო ლიტერატურული ენის არსებობის შესახებ მკვეთრად გააკრიტიკა ჰერმან პაულმა თავის სპეციალურ გამოკვლევაში „არსებობდა თუ არა საშუალო ზემოგერმანული ლიტერატურული ენა?“ (Gab es eine mittelhochdeutsch Schriftsprache?).

ფეოდალიზმის ეპოქის გერმანიაში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, გაბატონებული იყო ცალკეული სამთავროების დაქუცმაცებული, კარჩაქცილი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება. ამიტომაც გასაგებია, რომ ამ დროისათვის არ არსებობდა ერთიანი ლიტერატურული ენა. იყო მხოლოდ ცალკეული პროვინციისათვის დამახასიათებელი დიალექტები. ამ დიალექტებზე წერდნენ ლიტერატურის ცალკეული წარმომადგენლები. მაგამ, ამავე დროს, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ პოეტის ენაში დიალექტობრივი დიფერენცია იხე მკვეთრად არ არის წარმოდგენილი, როგორც ზეპირმეტყველებაში.

ამ დროს საშუალო ზემოგერმანულის პარალელურად არსებობს საშუალო ქვემოგერმანულიც (mittelniederdeutsch). ამ დიალექტზე შეიქმნა მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლები. ამის საფუძველი უნდა ვეძიოთ ჩრდილო გერმანიის ქალაქების, კერძოდ ჰანზას, ვაჰრობის გაძლიერებაში. საშუალო ქვემოგერმანულის მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლებია „საქსთა სარკე“ (Sachsenspiegel, 1225 წ.), „გერმანულ კანონთა პირველი კრებული“, პოემა „რაინეკე მელა“ (Reynke de Vos) და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, საშუალო ზემოგერმანულის ეპოქაში გერმანული ენის ტერიტორია მნიშვნელოვნად გაიზარდა აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კოლონიზაციის შედეგად. მე-12—მე-14 საუკუნეებში გერმანელები იკავებენ ელბასა და ნემანს შორის მდებარე ტერიტორიას. გერმანელთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა მოსული ხალხის შერევას ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამ ადგილებში სახლდებოდნენ სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე გერმანული ტომების წარმომადგენლები დასავლეთ და სამხრეთ გერმანიიდან, პოლანდიიდან და ფლანდრიიდან, აგრეთვე რაინის ნაპირებიდან. ამას ადასტურებს ზოგიერთი აქაური ადგილის სახელწოდებაც; მაგ., Frankenland, Hollendorf, Flemendorf და ა. შ. აქ ძნელი არ არის შევნიშნოთ ზემოგერმანულისა და ქვემოგერმანულის დიალექტების შერევა.

საშუალო ზემოგერმანულ პერიოდში ენა სულ უფრო და უფრო ვითარდება და სრულყოფილი ხდება. ამ პერიოდის ძირითადი თავისე-



ბურებაა ახალი თანხმომავანი ფონემების წარმოქმნა, უმლაუტის დამკვიდრება-გავრცელება, ახალი დიფთონგების გაჩენა, ბრუნვის სისტემის შემდგომი უნიფიკაცია, უღლების სისტემის გამარტივება, ზმნის უღლების აღწერილობითი ფორმების შემდგომი გავრცელება-დამკვიდრება, განუსაზღვრელი არტიკლის საბოლოო დამკვიდრება, კნინობითი სუფიქსების გაჩენა-განმტკიცება, ფრანგული სუფიქსის — ieren შეთვისება, ისეთი კომპოზიტების წარმოქმნა, რომლებიც სინტაქსური კონსტრუქციების შერწყმის შედეგს წარმოადგენდნენ.

მე-14 საუკუნიდან იწყება ახალი ზემოგერმანულის ადრეული პერიოდი. ამ დროს ყალიბდება გერმანული ენის წვრილი ნორმები. აბსოლუტურმა მონარქიამ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ბოლო მოუღო ფეოდალურ დაქუცმაცებულობასა და კარჩაკეტილობას, მოახდინა ქვეყნების შიგნით ტერიტორიული და ეკონომიური გაერთიანება. შეიქმნა პირობები საერთო ეროვნული ენის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის. გერმანია ამ დროს დაყოფილია წვრილ სამთავროებად. 30-წლიანი ომების შედეგად ქვეყანა დანაწილდა 300-ზე მეტ სამთავროდ, 50-ზე მეტ საიმპერიო ქალაქად და 1500-მდე საიმპერიო სარაინოდ. ეს მდგომარეობა, უდავოა, ხელს უშლიდა გერმანული ერთიანი ეროვნული ენის შექმნას.

ამავე დროს სულ უფრო და უფრო მწიფდებოდა ერთიანი ენის შექმნის საჭიროება. ყალიბდება ქვემოგერმანული, შუაგერმანული და ზემოგერმანული საურთიერთო ენები. მათი ვლემენტების გაერთიანებით იქმნება ნარევი ენა. მომდევნო საუკუნეებში ფეხს იდგამს ბურჟუაზიული ურთიერთობა, რაც მოითხოვს ტერიტორიულად დიდი მანძილით დაცილებული ადამიანების ურთიერთდაკავშირებას. საერთო საურთიერთო ენის ჩამოყალიბება გარდაუვალ აუცილებლობად იქცა. ამას დაერთო წიგნის ბეჭდვის გამოგონება, რამაც დიდად შეუწყო ხელი ენობრივ უნიფიკაციას. ნაბეჭდი წიგნის საშუალებით გახდა შესაძლებელი საერთო ენის დიდ ტერიტორიაზე გავრცელება. წიგნის მბეჭდავთა ინტერესი მოითხოვდა ფართო მასებისათვის გასაგები ყოფილიყო ბეჭდური ენის ფორმები.

გერმანული სამწერლო ენის ნორმების დადგენისა და საერთო ენის დამკვიდრების საქმეში დიდი როლი შეასრულა რენესანსის ეპოქის გამოჩენილმა გერმანელმა მოღვაწემ მარტინ ლუთერმა. სწორი არ იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ლუთერმა შექმნა სრულიად ახალი ენა. მან თავის მრავალრიცხოვან წერილებში, ბიბლიის თარგმანებსა, კატეხიზმოსა და საეკლესიო გლობებში გამოიყენა უკვე არსებული საკანცელარო ენა, მაგრამ გაწმინდა იგი ზედმეტი ელემენტებისაგან, გამოაცოცხლა, გაამდიდრა და შეეავსო ახალი ფორმებით. ლუთერი არ დაკმაყოფილდა იმ ლექსიკით, რომელსაც საკანცელარო ენა იყენებდა;

მან ფართოდ ისარგებლა გერმანული ხალხური მეტყველების სიტყვობრივი მასალით. ლუთერის მიერ ჩამოყალიბებულ ენობრივ ნორმებში გარკვეული ცვლილებები და შესწორებები შექმნდათ მე-16—მე-17 საუკუნეებისა და შემდგომი პერიოდის ლიტერატურულ და საზოგადო მოღვაწეებს. ასე ხდებოდა ენის შემდგომი დახვეწა და სრულყოფა.

გერმანული საერთო ეროვნული ენის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მწიგნობრული, სამწერლო ხასიათი. იგი მთელი გერმანიის ტერიტორიაზე მოქმედებს როგორც ოფიციალური, ლიტერატურული და სამწერლო სავალდებულო ენა. მაგრამ მის პარალელურად ყოველ გერმანელს აქვს საკუთარი დიალექტი, რომელსაც იყენებს თავისი დიალექტის წარმომადგენელთან ურთიერთობასა და ოჯახურ ცხოვრებაში. გერმანული ენა არ შექმნილა ერთი რომელიმე ტერიტორიული დიალექტის საფუძველზე, როგორც, მაგალითად, ქართული, რუსული ან ფრანგული სალიტერატურო ენები. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ძველი გერმანიის დანაწევრებული ადმინისტრაციული და პოლიტიკური მდგომარეობა. გერმანული ხალხური ენის უნიფიცირებას ერთი (რომელიმე კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრის) დიალექტის საფუძველზე დიდად უშლიდა ხელს ისეთი საერთო სამეურნეო, კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრის უქონლობა მაშინდელ გერმანიაში, როგორც იყო, მაგ., პარიზი საფრანგეთისათვის, ან ლონდონი ინგლისისათვის.

ლუთერის ენა ერთბაშად არ დამკვიდრებულა. ენობრივი ჰეგემონისათვის ბრძოლა, რომელიც მე-16 საუკუნიდან დაიწყო, დასრულებულად შეიძლება ჩათვალოს მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს. თუ გერმანიის დასავლეთსა და სამხრეთ ნაწილში ლუთერის ენა სწრაფად დამკვიდრდა, სამაგიეროდ ავსტრიასა და ბაეარიაში დიდხანს შეიმჩნევა ადგილობრივი ენობრივი თავისებურებანი. მაგრამ ენის საერთო ნორმების დამკვიდრება მაინც ყველაზე მეტად ქვემოგერმანულის ტერიტორიაზე გაძნელდა. ზემოგერმანულის ენობრივი ნორმების გავრცელებას ჩრდილო გერმანიაში დაბრკოლებას უქმნიდა იქაური მნიშვნელოვანი ენობრივი თავისებურება. საბოლოოდ გაიმარჯვა ზემოგერმანულმა ენამ, მაგრამ ქვემოგერმანულმა ძირითადად განსაზღვრა საერთო გერმანულის წარმოთქმის ნორმები. ცნობილი ფონეტიკოსი კ. ფიეტორი კარგ გერმანულად მიიჩნევდა „ზემოგერმანულ ენობრივ ფორმას ქვემოგერმანულ წარმოთქმაში“.

განხილული ეპოქის ზემოგერმანულის ენობრივი თავისებურებიდან დამახასიათებელია მოკლე ხმოვნების დაგრძელება ღია მახვილიან მარცვალში, ხმოვნების გადიფთონგება, ან, პირიქით, დიფთონგების გამონოფთონგება, ბრუნების სისტემის შემდგომი გამარტივება, ძლიერი ზმნების პრეტერიტუმის მხოლობითი და მრავლობითი ფორმების წარმოების გან-

სწავებელი სახეების მოშლა, სიტყვათშეერთების განოყენება სიტყვა-წარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმად, სპეციფიკური პროფესიული ლექსიკის შემდგომი ჩამოყალიბება-გამოყოფა.

მე-16 საუკუნის მიწურულში ძლიერდება ფრანგული კულტურის გავლენა. გერმანიის სასახლეებსა და არისტოკრატიულ წრეებში ფრანგული ენა სალაპარაკო ენად იქცა. ამავე პერიოდიდან იწყება ბრძოლა გერმანულში უცხოური ელემენტების შექრის წინააღმდეგ. იქმნება ენის დაცვის საზოგადოებები (Sprachgesellschaft). მაგრამ ამ დროს მათ არ ჰყოფნიდათ ძალა შეეჩერებინათ უცხოური სიტყვების ნაკადი. ფრანგული ენის გავლენამ, უწინარეს ყოვლისა. თავი იჩინა ლექსიკურ ფონდში. შედარებით უმნიშვნელო იყო უცხოური ენის გავლენა ბგერით სისტემასა, მორფოლოგიურ სტრუქტურასა და წინადადების წყობაზე. ფრანგული ენის გავლენა გრძელდებოდა მე-19 საუკუნეშიაც კი, მაგრამ შედარებით ნაკლები ძალით. მე-17—19 საუკუნეებში გერმანულზე, ფრანგულთან ერთად, გავლენას ახდენდნენ სხვა უცხოური ენებიც, კერძოდ, ინგლისური და იტალიური.

ასეთ ვითარებაში გერმანული ენის დაცვის საქმეში გარკვეული როლი შეასრულა გრამატიკული ხასიათის შრომებმა. დაიწყო გერმანული ენის სტრუქტურის ინტენსიური შესწავლა. გერმანული მეცნიერები მოითხოვენ უნივერსიტეტებში გერმანულ ენაზე სწავლების შემოღება-დამკვიდრებას. 1687 წელს ქრისტიან თომაზიუსმა ლაიფციგის უნივერსიტეტში პირველად წაიკითხა ლექციების კურსი გერმანულ ენაზე. ასევე, ქრ. ვოლფმა საფუძველი ჩაუყარა გერმანულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, რომლის ნაწილმა შემდეგ მტკიცედ მოიდგა ფეხი, მაგ., Bewusstsein, Begriff, Aufmerksamkeit, Verständnis და სხვა მრავალი. ამავე დროს შემუშავდა სათანადო ენობრივი ნორმები და წესები, რომლებიც საფუძველად დაედო სკოლაში დედაენის სწავლების საქმეს. ამრიგად, გერმანულმა ენამ თანდათან გაითავისუფლა თავი ლათინურისა და სხვა უცხოური ენების დიდი გავლენისაგან და საკუთარი პოზიცია განიმტკიცა.

მე-18 საუკუნის დასაწყისში გერმანული ეროვნული ენის ჩამოყალიბება-განმტკიცების პროცესი დამთავრებულად ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება. იმდროინდელ გრამატიკულ შრომებში შეინიშნება ენაში არსებული მრავალი სხვაობა, მნიშვნელოვანი დიალექტიზმები. მაგალითად, ენაში იმ დროს ჯერ კიდევ წარმოთქვამდნენ უმლაუტს ისეთ სიტყვებში, რომლებშიაც ლიტერატურული ენის ნორმის მიხედვით უმლაუტი არ უნდა იყოს. (შდრ., Iues ნაცვლად ლიტ. Iūs-ისა); აქვე შეინიშნება მისწრაფება ხმოვანთა დელაბიალიზაციისაკენ (შდრ., heren, bese, ნაცვლად ლიტ hören-ისა და böse-სი), მეღერ და ყრუ სშულთა (b, d, g—p, t. k) აღრევა წარმოთქმაში და ა. შ.

მე-18 საუკუნის 1 ნახევარში მნიშვნელოვანი ცვლებადობა შეი-

ნიშნება ლიტერატურული ენის ორთოგრაფიულსა და გრამატიკულ ნორმებში. ჩრდილო-გერმანულში უმლაუტები გვხვდება სიტყვებში *wöllen, färbig, gläuben*. მერყეობას აქვს ადგილი გრძელი და მოკლე ხმოვნების წარმოთქმაში. გვხვდება; *Vatler, neinmen, Faffel, Hoff* და ა. შ. სადავოა -e დაბოლოების საკითხი; პარალელურად გვხვდება ფორმები: *Weibe — Weib, Lande — Land, Bette — Bett* და ა. შ. შეიმჩნევა აღრევა სიტყვების გრამატიკული სქესის სმარებაში, მაგ., გვხვდება: *die Bach, der Luft, die Bildnis* და სხვ.

გერმანული სამწერლო ენის ფორმების საბოლოო დადგენა-განმტკიცება მოხდა მე-18 საუკუნის მე-2 ნახევარსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდში მთავდება გერმანული ეროვნული ენის ჩამოყალიბების პროცესი. იქმნება დიდი მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურა, მაგრამ სხვადასხვაობის კვალი, განსაკუთრებით წარმოთქმის სფეროში, კიდევ დიდხანს რჩება. ამ ხარვეზის შესავსებად მე-19 საუკუნის დასასრულს შემუშავდა წარმოთქმის სპეციალური ნორმები, ე. წ. „სასცენო წარმოთქმა“ (*Bühnenaussprache*).

მე-17—19 საუკუნეებში საერთო სამწერლო ენაში გარკვეული მუშაობა ტარდება მართლწერის საკითხების მოსაგვარებლად. პირველი ცდა, დაემკვიდრებინათ ორთოგრაფიის საერთო ნორმები, შეიმჩნევა ჯერ კიდევ მე-15—16 საუკუნეებში. მე-17 საუკუნეში მართლწერის საკითხებზე სერიოზული მუშაობა ჩაატარა შოტელმა. აღსანიშნავია ამ პერიოდში დაბეჭდილი ფრაიერის შრომა „გერმანული ორთოგრაფიის სახელმძღვანელო“ (*Anweisung zur deutschen Orthographie*). ამ წიგნით ხელმძღვანელობდნენ მე-18 საუკუნემდე, ვიდრე არ დაიბეჭდა ადელუნგის ახალი წიგნი „ორთოგრაფიის სახელმძღვანელო“ (*Anweisung Orthographie*).

მე-19 საუკუნეში გარკვეულ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი ორთოგრაფიის პრინციპული საკითხების გადაჭრისას. ი. გრიმის აზრით, ორთოგრაფიის ნორმების დადგენისას ამოსავალი უნდა ყოფილიყო ისტორიულ-ეტიმოლოგიური პრინციპი. რაუმერი კი მოითხოვდა ფონეტიკური პრინციპის გატარებას ე. ი. მისი აზრით, საჭირო იყო წერა დაახლოებოდა წარმოთქმას. 1901 წელს მოიწვიეს გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის ორთოგრაფიული კონფერენცია. აქ მიღწეულ იქნა მართლწერის ნორმების მნიშვნელოვანი უნიფიკაცია. ამჟამად გერმანიაში ძირითადად ემყარებიან ა. დუდენის მნიშვნელოვან შრომას „გერმანული მართლწერა“ (*Deutsche Rechtschreibung*).

ახალი ზემოგერმანული თვისებრივად განსხვავდება საშუალო ზემოგერმანულისაგან. მნიშვნელოვნად იცვლება ენის ბგერითი სისტემა, გრამატიკული სტრუქტურა და ლექსიკური შედგენილობა. მოკლედ გადახედოთ ამ პერიოდის ენობრივ თავისებურებებს.

ენის ბგერით სისტემაში შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვალებადობა, სასწავლოდ, გრძელი ხმოვნები:  $i$ ,  $u$ ,  $i\ddot{u}$  ( $y$ ) იქცნენ დიფთონგებად. ხდება საპირისპირო მოვლენაც: დიფთონგები  $ie$ ,  $uo$ ,  $i\ddot{e}$  იქცნენ გრძელ მონოფთონგებად. ზოგიერთა დიფთონგი გაფართოვდა; მაგალითად,  $ei$  გადაიქცა  $ai$  ( $\text{ai}$ )-დ;  $ou$  იქცა  $au$ -დ. შეიმჩნევა ხმოვნების ლაბიალიზაციისა და დელაბიალიზაციის პროცესები. ფუძისეული მოკლე ხმოვნები ღია მარცვალში დაგრძელდნენ, პირიქით, გრძელი ხმოვნები დახშულ მარცვალში დამოკლდნენ. ადგილი აქვს თანხმოვანთა ცვალებადობას, ცვლილება განიცადა უმახვილო მარცვლის ხმოვანმა და ა. შ.

მნიშვნელოვნად იცვლება ენის გრამატიკული წყობაც.

**მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა შ ი:** მრავლობით რიცხვში ყალიბდება ბრუნების ერთიანი ტიპი. მთავრდება ბრუნების მრავლობითი რიცხვის წარმოებისაგან გამოყოფა. მხოლოდით რიცხვში იქმნება ბრუნების სამი სახე: სუსტი, ძლიერი და მდებარებითი. გამოიყოფა მრავლობითი რიცხვის წარმოების 4 ტიპი, მათ შორის: მამრობითი სქესის სიტყვებისათვის - $e$ ,  $\ddot{e}$  დაბოლოება, საშუალოსათვის  $\ddot{e}r$  და  $-e$  დაბოლოება, ხოლო მდებარებითი სქესისათვის  $-en$  დაბოლოება. ნაცვალსახელებში  $ihm$ ,  $ihz$  და  $ihn$  გრძელდება ხმოვანი. ჩვენებით და კითხვით ნაცვალსახელებში  $z$  გადაიქცა  $s$ -ად.

მთელი რიგი ცვლილებები მოხდა ზმნებშიც. ახლა ერთსა და იმავე ზმნაში აღარ გვხვდება განსხვავებული აბლაუტი; ხმოვანთა მონაცვლეობა ემსახურება მხოლოდ გარკვეული ფუნქციის გამოხატვას; ქრება განსხვავებული აბლაუტები ერთი ზმნის მხოლოდობისა და მრავლობით რიცხვებში; გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა უწყესო და პრეტერიტო-პრეტერიტულ ზმნებში. იცვლება ზმნის უღლების აწმყოსა და წარსულის დროის ფორმები, ვითარდება აგრეთვე ზმნის უღლების ანალიტიკური ფორმა პერფექტსა, პლუსკვამპერფექტსა და ფუტურუმში.

**ს ი ნ ტ ა ქ ს შ ი:** ენის განვითარებასთან ერთად ბრუნვები იღებენ განყენებულ მნიშვნელობას. შესამჩნევად მატულობს წინდებულისანი კონსტრუქციები. გამოკვეთილად ყალიბდება განუსაზღვრელი არტიკლის ზოგადობის ფუნქცია. ზუსტდება ფუნქციები ზედსართავი სახელების განსხვავებული ფორმებისათვის. ზუსტად არის განსაზღვრული აგრეთვე ზმნის უღლების დროის ფორმები; ახალი კონიუნქტივი პრეტერიტი გამოხატავს მხოლოდ ირეალობის მოძალობას.

ახალ ზემოგერმანულში ძველი ორწევრიანი უარყოფის ადგილს იკავებს ერთწევრიანი უარყოფა  $nicht$ . ახლა წინადადებაში იხმარება მხოლოდ ერთი უარყოფა. წინადადებაში მყარდება სიტყვათა მტკიცედ განსაზღვრული რიგი. იგი გამოიყენება არა მხოლოდ წინადადების წევრთა ფუნქციის გამოსახატავად, არამედ წინადადებათა ტიპების განსასაზღვრავად.

ამ პერიოდში ახალი სიტყვების წარმოქმნაში დიდი როლი შეასრულა სიტყვაწარმოებამ. სიტყვის მაწარმოებელ კატეგორიებს უმეტესად წარმოადგენენ განყენებული, აბსტრაქტული ფორმები. განსაკუთრებით ფართო გამოყენებას პოულობს არსებითი სახელისა და მისი განმსახლველი ზედსართავი სახელის შერწყმის შედეგად მიღებული კომპოზიტები. ენაში ჩნდება საკუთარი სახელებისაგან ნაწარმოები ზმნები და საზოგადო სახელები. კინობით სუფიქსებს შორის ჩვეულებრივ მეტყველებაში უპირატესობა ენიჭება სუფიქსს -chen; lein-ი უმეტესად გადადის პოეზიის სფეროში.

განსაკუთრებით შესამჩნევად მდიდრდება ლექსიკური ფონდი. გერმანულში ფრანგულიდან, ინგლისურიდან და სლავური ენებიდან შედის მთელი რიგი ახალი სიტყვა და ტერმინი. ლექსიკაზე დიდ გავლენას ახდენს ისეთი ახალი მოვლენები საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრებისა, როგორცაა განმანათლებლობა, ნატურალიზმი, 1789 და 1848 წლების რევოლუციები და ა. შ.

გერმანული ენა შესამჩნევად გაამდიდრეს კლასიციზმა და რომანტიკოსმა პოეტებმა. მათ შექმნეს ბევრი ახალი სიტყვა და გამოთქმა, გამოაცხლეს და აღადგინეს ბევრი ძველი, თითქმის მივიწყებული სიტყვა, სალიტერატურო ენის კუთვნილებად აქციეს დიალექტებიდან აღებული მრავალი სიტყვა.

როგორც ამ უბრალო ჩამოთვლიდანაც კი ჩანს, გერმანულმა ენამ ახალ ზემოგერმანულ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. იგი გამდიდრდა, დაიხვეწა, უფრო მოქნილი და სრულყოფილი გახდა. ჩამოყალიბდა ერთიანი გერმანული ეროვნული ენა, რომელიც გამოიყენება სკოლებში, მწერლობაში, სახელმწიფო დაწესებულებებში, მეცნიერებისა და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ყველა უბანზე.

მაგრამ ყოველივე ამას არ მოუსპია ენის დიდი დიალექტობრივი სიკრულე. იგი დღემდე გრძელდება. საქმე ისაა, რომ გერმანული მოსახლეობის ფართო ფენები განაგრძობენ ლაპარაკს თავიანთ მშობლიურ დიალექტზე. უნდა აღინიშნოს, რომ დიალექტზე უმთავრესად მეტყველებენ სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკები, გლეხობა. მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს თითქმის ორენოვანია: იგი მეტყველებს თავის მშობლიურ დიალექტსა და საერთო ენაზე; პირველს იყენებს თავისი დიალექტის წარმომადგენელთან საუბარში და პირად ცხოვრებაში, მეორეს (საერთო ენას) კი მიმართავს ოფიციალურ მეტყველებასა და სხვა დიალექტის წარმომადგენელთან საუბარში. აღსანიშნავია, რომ ყოველი გერმანელი საერთო ენას სწავლობს და შემდეგ იყენებს მას სკოლებში, დაწესებულებებში, კინოში, თეატრში, ოფიციალურ მეტყველებაში, პრესაში და ა. შ.

დიალექტური სხვაობა გერმანული ენის შიგნით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ზემოგერმანულსა და ქვემოგერმანულს შორის, არამედ მათი ცალკეული პროვინციის მცხოვრებთა შორისაც. როგორც დღეს არის დადგენილი ენათმეცნიერებაში, სხვაობა ზემოგერმანულის ბავარიულსა და შვაბურ, ან სხვა რომელიმე დიალექტს შორის ისეთივეა, როგორც, მაგალითად, განსხვავება პოლონურსა და ბულგარულ ენებს შორის. როგორც მითითებენ ხოლმე სამეცნიერო ლიტერატურაში, თავის დიალექტზე მოლაპარაკე მიუნხენის პროვინციის გლეხი ვერ გააგებინებს და ვერ გაუგებს არა მხოლოდ ჰამბურგის მიდამოებში მცხოვრებ გლეხს, არამედ უფრო მახლობლად მცხოვრებებს, მაგალითად, მარბურგის ან ჰაიდელბერგის დიალექტზე მოლაპარაკეს. გერმანიის დასავლეთ ნაწილში თითქმის ყოველი 40—50 კილომეტრის მანძილზე გვხვდება იმდენად მნიშვნელოვანი დიალექტური სხვაობა, რომ შეუძლებელია ურთიერთგაგებინება. შედარებით ნაკლები დიალექტური განსხვავება შეინიშნება ყოველ 10—15 კილომეტრზე.

გერმანული ენის ამგვარი დიალექტური დიფერენციაციის მიზეზია ის გარემოება, რომ თანამედროვე გერმანული წარმოიშვა მონათესავე, მაგრამ განსხვავებულ კილოებზე მოლაპარაკე ტომების ენების გაერთიანების საფუძველზე. მათ სრულ უნიფიკაციას, ერთ მთლიანობაში შერწყმას ხელი შეუშალა ქვეყნის ფეოდალურმა დაქუცმაცებულობამ ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად, რაც ძალიან დიდხანს გრძელდებოდა. ასეთი ვითარება არა მხოლოდ აბრკოლებდა ენობრივ დაახლოებას, არამედ ხელს უწყობდა კიდევ ტომების ენებს შორის არსებული განსხვავებების გაღრმავებას. ყოველივე ამის შედეგად გერმანულში დღეს ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად დაცილებული და მრავალფეროვანი დიალექტებია.

მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი ენობრივი განსხვავებისა, თანამედროვე გერმანული ენის ყველა ტერიტორიული თავისებურება განიხილება როგორც მხოლოდ ერთი ენის სხვადასხვა დიალექტი და არა როგორც განსხვავებული ენები. ის გარემოება, რომ გერმანიის ერთი პროვინციის დიალექტი გაუგებარია სხვა დიალექტის წარმომადგენლისათვის, ხელს არ უშლის ამ განსხვავებული დიალექტის წარმომადგენლებს იყვნენ ერთი ერის შვილები, ერთი კულტურის წარმომადგენლები და შეადგენდნენ ერთ ხალხს. საერთო გერმანული ენა, რომლის კოლექტივის წევრიც არის ყველა დიალექტის წარმომადგენელი, ამჟღავნებს ყველა გერმანულს ერთი ხალხის, ერთი ერისა და მისი კულტურის ირგვლივ. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ თვალსაზრისის უსაფუძვლობას და მეცნიერულ უსუსურობას, რომელსაც ერთ ერში განსხვავებული, მაგრამ მონათესავე ტომების ენებისა და დიალექტების არსებობის საფუძველზე ეჭვი შეაქვს ერის ისტორიულ მთლიანობაში. და ეს მით უმე-

ტეს მაშინ, როცა შემორჩენილი ტომობრივი ენების გვერდით ისტორიულად ათეული საუკუნეების მანძილზე არსებობს საერთო ეროვნული ენა. რომელიც წარმოადგენს ყველა ტომის ერთ მთლიანსა და საერთოს — ერში გაერთიანების საშუალებას და საერთო ეროვნული კულტურის საგანძურის შექმნისა და განვითარების ერთ-ერთ საფუძველს.

როგორც ცნობილია, ფეოდალური კარჩაკეტილობის მოსპობასა და ბურჟუაზიული ურთიერთობის გაშლა-გაფართოებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ძლიერდება ხალხთა ურთიერთკავშირი, მათი დაახლოების ტენდენცია. ენაში შესამჩნევია საერთაშორისო სიტყვების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ახალ-ახალი დარგები, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მონაპოვრები სულ უფრო მეტ საერთაშორისო სიტყვებს მოითხოვენ ახალი ცნებების გამოსახატავად. გერმანულმა ენამ, რომელიც, უეჭველია, სხვა ენებთან ურთიერთკავშირში ვითარდებოდა, შეითვისა და გამოიყენა საკმაოდ დიდი რაოდენობის საერთაშორისო სიტყვები.

საერთაშორისო სიტყვების ხასიათი და ბუნება განისაზღვრება ეპოქის სიტუაციით. გერმანულმა ენამ, როგორც მრავალმა სხვა ენამ, შეითვისა ისეთი სიტყვები, როგორიცაა: Soldat (იტალ. soldato), Brigade (იტალ. brigada), Bank (ფრანგ. banque), Million (იტალ. milione,) Mode (ფრანგ. mode), Kompliment (ფრანგ. complimente), Kommunismus (ფრანგ. communisme), Revolution (ფრანგ. revolution), Republik (ფრანგ. republique), Patriotismus (ფრანგ. patriotisme), Parlament (ინგლ. parliament), Bolschewik (რუს. Бoлшевик), Sowjet (რუს. Совет), Kulacke (რუს. Кулак) და ბევრი სხვა. უდავოა, რომ საერთაშორისო სიტყვებით გამდიდრდა გერმანული ენის ლექსიკური ფონდი, გაიზარდა მისი გამომსახველობითი შესაძლებლობა.

ხშირად ენებში საერთაშორისო სიტყვების შესვლა-დამკვიდრების წინააღმდეგ ილაშქრებენ მონაციონალისტო ელემენტები. ისინი ცდილობენ საერთაშორისო სიტყვებს დაუპირისპირონ ნაციონალისტურ-პურისტული თვალსაზრისი. პურიზმი წარმოადგენს ნაციონალისტური პოლიტიკის გამოხატულებას; იგი ცდილობს „გაწმინდოს“ ენა ყოველგვარი უცხოური ელემენტისაგან, იქნება იგი საერთაშორისო, თუ რომელიმე უცხოური ენიდან ნასესხები სიტყვა.

გერმანიაში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის თეორეტიკოსები ხმას იმაღლებდნენ ენაში ყოველგვარი არაგერმანული მოვლენის წინააღმდეგ. პურისტი კამპე, რომელმაც შეადგინა ლექსიკონი „გერმანულ ენაში შეჭრილი უცხოური გამოთქმების ასახსნელად და გასაგერმანულებლად“ (Wörterbuch zur Erklärung und Verdeutschung der unserer Sprache aufgedrungenen fremden Ausdrücke), მოითხოვდა გერმანული სიტყვებ-თ შესვლილიყო ყველა უცხოური სიტყვა, თუ ის ფონე-



ტიკურად და გრამატიკულად სრულიად არ იქნებოდა ასიმილირებული. საქმე ზოგჯერ იქამდეც კი მიდიოდა, რომ პურისტული თვალსაზრისის პრაქტიკულ გატარებას ენაში ხელს უწყობდნენ ოფიციალური სახელმწიფო ორგანოები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პურისტების მიერ შეთავაზებული გერმანული სიტყვებიდან ენამ შეითვისა ნაწილი, მაგალითად, Fahrkarte, ნაცვლად Billet-ისა, Schafner, ნაცვლად Kondukteur-ისა, Vertrag ნაცვლად Kontrakt-ისა და ა. შ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, რომ ყველა უცხოური და ინტერნაციონალური სიტყვის ხელოვნური განდევნა ენიდან უაზრობა და შეუძლებელიც იყო. ამას კარგად გრძნობდა გერმანული მოწინავე საზოგადოება, რომელმაც გაილაშქრა პურისტთა ნაციონალისტურ შეხედულებათა წინააღმდეგ. ამ მხრივ ბევრ სხვას შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრიდრიხ შილერისა და იაკობ გრიმის გამოხსენება.

მე-19 საუკუნეში საფუძველი ეყრება გერმანული ენის მეცნიერულ შესწავლას სხვა ენებთან ნათესაურ კავშირში. განვითარდა კვლევის ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. დაიწერა რიგი შრომები გერმანული ენის სტრუქტურასა და განვითარების ძირითად ტენდენციებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია იაკობ გრიმის ნაყოფიერი მუშაობა ენის საკითხებზე, კერძოდ. მისი „გერმანული გრამატიკა“. (Deutsche Grammatik). ეს შრომა გერმანული ენათმეცნიერების საიმედო საფუძველია. უზარმაზარ წვლილს გერმანული ენის ლექსიკური სიმდიდრის შესწავლა-დამუშავებაში შეიტანს ძმები ვ. და ი. გრიმების მიერ დაწყებული ფუნდამენტური ნაშრომი „გერმანული ლექსიკონი“ (Deutsches Wörterbuch).

საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომმა განვითარებამ, ახალმა პოლიტიკურმა მოვლენებმა წარმოშვეს გერმანულში ბევრი ნეოლოგიზმი. ზოგმა სიტყვამ მიიღო ახალი მნიშვნელობა. მრავალი ახალი სიტყვა შეიქმნა და დამკვიდრდა ენაში პირველი და მეორე მსოფლიო ომების შედეგად. ძალიან ბევრი ახალი გამოთქმა და სიტყვა მოპყვა თან უახლეს გამოკვლევებს ტექნიკისა და მეცნიერების დარგში. ხალხთა შორის მზარდი კულტურული ურთიერთობის შემდგომმა ზრდამ განაპირობა ახალი სიტყვების სესხება უცხოური ენებიდან. ენა გამდიდრდა აგრეთვე კალკებიტა და ნახევარკალკებით. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ამჟამად გერმანული ენის ერთიანობაზე, უდავოდ, უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ორ ნაწილად გაყოფა.

გერმანული ენის (Deutsch), ისე როგორც ბევრი სხვა ენის. ისტორია წარმოადგენს ენობრივი მოვლენების ხანგრძლივ და განუწყვეტელ ცვალებადობა-განვითარებას. ეს პროცესი სქემატურად შეიძლება და ჩამოგვეყალიბებინა შემდეგნაირად: ინკოვეროპული ფუძე-ენა — საერთო გერმანული — მისგან გამომდინარე გერმანიკულ ენათა სამი ძირითადი ჯგუფი: აღმოსავლეთ-გერმანიკული, დასავლეთ-გერმა-

ნიკული და ჩრდილოგერმანიული ენები — დასავლეთგერმანიკულის ერთ-ერთი წევრი — ზემოგერმანული (Deutsch), მისი პერიოდები: ძველი ზემოგერმანული — საშუალო ზემოგერმანული — ახალი ზემოგერმანული (თანამედროვე გერმანული). ყოველ ენას, ან მისი განვითარების ცალკეულ პერიოდს აქვს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ენობრივ თავისებურებათა რიგი, რომლითაც ისინი განსხვავდებიან ერთიმეორისაგან და ქმნიან გარკვეულ თვითმყოფად ფენომენს.

გერმანული ენის ისტორიულ ასპექტში შესწავლა ადასტურებს ამ ენის გენეალოგიურ ნათესაობას გერმანიკულ და საერთოდ ინდოევროპულ ენებთან, გვიჩვენებს იმ ისტორიულ წინაპირობებსა და თავისებურებებს, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა გერმანული, როგორც ენა. მოვლენათა ისტორიული ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ გერმანული ენის თავისებურებები მისი ცალკე ენად ჩამოყალიბების დროიდან სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა და ვითარდებოდა, ამის საფუძველზე გამოიყოფა გარკვეული პერიოდები, როგორც ამ განვითარების ისტორიის თვისებრივად განსხვავებული მონაკვეთები. თანამედროვე გერმანულში, როგორც ყოველ ცოცხალ ენაში, არსებობს და მოქმედებს განვითარება-ცვალებადობის თავისებური ტენდენციები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ენების დღევანდელ სპეციფიკას, მის სისტემაში მოქმედ კანონზომიერებას.

ამრიგად, ცხადია, რომ როგორც ყოველი, ისე გერმანული ენის ისტორიის საფუძველიან შესწავლას უდიდესი როლი ენიჭება ამ ენის ბგერითი სისტემის, გრამატიკული წყობისა და ლექსიკური ფონდის ღრმად შეთვისება-დამუშავების პროცესში. ამ საქმეში, ეფიქრობთ, მნიშვნელოვან დახმარებას გავეცივს კ. კოეგლერის „გერმანული ენის ისტორიის შესავალი“. მართალია, კ. კოეგლერის წიგნში მოცემული ზოგიერთი მოსაზრება (მაგ.: II ანუ ძველი ზემოგერმანული ბგერათგადაწევის საკითხის გაგება, ზემოგერმანული ენების ტრადიციული დაყოფა სამ ჯგუფად და სხვ.) დაზუსტებას საჭიროებს, მაგრამ მასში ძირითადად სწორად არის წარმოდგენილი გერმანული ენის განვითარების გზები და ტენდენციები. მოცემულია საყურადღებო ფაქტობრივი მასალა.

შ. შათირიშვილი

ყველა იმათგან, რაც კი ადამიანებს აღმოუჩენიათ და მოუპოვებიათ, შეუნარჩუნებიათ და ერთმანეთისათვის გაუზიარებიათ, რაც მათ ბუნებასთან ერთად უწარმოებიათ, ენა წარმოადგენს უდიდესს, უკეთილშობილესსა და ყველაზე უფრო აუცილებელ განძს. უშუალოდ ადამიანის აზროვნებისაგან წარმომდგარი, მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი და მის მხარდამხარ მდგომი, ენა წარმოადგენს ყოველი ადამიანის საერთო ქონებასა და მემკვიდრეობას, რომელიც ემსახურება განუჩველად ყველას; მას, როგორც პაერსა და სუნთქვას, თავს ვერავინ აარილებს; იგი ისეთი მონაპოვარია, რაც ერთსა და იმავე დროს ადვილი მისაღწევად არის და ძნელიც; ადვილია იმიტომ, რომ ჩვენს არსებაში ბავშვობიდანვეა შესისხლხორცებული ენობრივი უნარი და ჩვენ უშუალოდ ვუფლებით მტყუყვლებას; როგორც ადამიანთა მოძრაობასა და გამომეტყუყვლებში შეიმჩნევა მრავალფეროვნება, ასევე უსასრულოდ მსგავსია და ამავე დროს განსხვავებულიც ენობრივი მოვლენები. პოეზია, მუსიკა და ხელოვნების სხვა დარგები წარმოადგენენ რჩეულ ადამიანთა უპირატესობას, ენა კი ყოველი ჩვენგანის საკუთრებაა, მაგრამ მისი სრულყოფილი დაუფლება და შინაგანი ბუნების სიღრმემდე ჩაწვდომა მანაც უაღრესად ძნელია.

თვით ისტორიული ეპოქის უთვალავი მოვლევ კი მხოლოდ მკვლევარი-ისტორიკოსის თვალისთვის არის ცხადი; ადამიანთა უძველესი მოდგმის ენა ისევე დაფარულია, როგორც მისი ისტორია, მისი დღის სინათლეზე გამოტანა მხოლოდ ენათმეცნიერულ კვლევას შეუძლია.

(იაკობ გრიმი<sup>1</sup>, 1851 წელს მეცნიერებათა აკადემიაში გაკეთებული მოხსენებიდან ჟენის წარმოშობის შესახებ).

გერმანული ენა, რომელიც გვიყვარს მისი სილამაზისა და გამომსახველობის გამო, რომელსაც ძვირფას ეროვნულ განძად მივიჩნევთ და შეგნებულად ვიყენებთ, ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგია. ეს განვითარება გასწვდება საუკუნეებს, თუ სიტყვის (გერმანული, გერმანული) წარმოშობისა და გავრცელების დასაწყისად ჩავთვლით ჩუ.

<sup>1</sup> იაკობ გრიმი (1785—1863) გერმანული ენათმეცნიერების ფუფუნდებელი. მან თავისი ძმის ვილჰელმ გრიმის თანამონაწილეობით შექმნა „გერმანული გრამატიკა“ (4 ტომი) და „გერმანული ლექსიკონი“.

წ. X და XI საუკუნეებს, მაგრამ იგი მოიცავს ათასეულ წლებს, თუ მის ისტორიამდელ ხანასაც შევისწავლით.

თუ დღევანდელ გერმანულს შევადარებთ წინაპრების ენას, რომელსაც დღემდე მოუღწევია ლიტერატურასა და მრავალ სხვა წერილობით ძეგლში, დავადგენთ განსხვავებას ბგერებსა, ფორმებსა, წინადადებათა აგებულებასა, ლექსიკურ შემადგენლობასა და ცალკეულ სიტყვებს შორის. რაც უფრო ძველია ძეგლი, რომელსაც შედარების დროს ვიყენებთ ხოლმე, მით უფრო დიდ სიძნელეს წავაწყდებით მისი გაგებისას.

ამას ადასტურებს შემდეგი ლექსების შედარება:

„Ach Elsein liebes Elselein,  
wie gern wär ich bei dir!  
So sein zwei tiefe wasser  
wol zwischen dir und mir“.

„Das bringt mir großen schmerzen,  
herzallerliebster gsell!  
red ich von ganzem herzen,  
hab für groß ungefell!“<sup>1</sup>

„Hoff, zeit werd es wol enden  
hoff, glück werd kummen drein,  
sich in als guts verwenden,  
herzliebstes Elselein!“

(მე-16 საუკუნის ხალხური სიმღერა)

„Ahi nu kumet uns diu zit  
der kleinen vogelline sanc.  
ez grunet wol diu linde breit,  
zergangen ist der winter lanc,  
nu siht man bluomen wol getân:  
an der heide üebent si ir schîn.  
des wirt vil manic herze frô:  
des selben trœstet sich daz min.“

(ღიღობარ ფონ აისტ, 1180 წ.)

„Einan kuning uueiz ih,  
Einen König weiß ich.  
Ther gerno gode thionôt:  
der eifrig Gott dient:

<sup>1</sup> „Un-gefallen“, ს.გ. ungeval—Unglück, Mißgeschick.

Kind uwarth her faterlos.  
 (Als) Kind ward er vaterlös.  
 Holôda inan truhtin,  
 Holte ihn der Herr,  
 Heizsit her Hluduig,  
 heißt er Ludwig,  
 Ih uueiz her imos lônôt.  
 ich weiß, er ihm es lohnt.  
 Thes uwarth imo sâr buoz:  
 Dafür ward ihm sogleich Ersatz;  
 Magaczogo uwarth her sîn“.  
 Erzieher ward er sein“.

(ლუდვიგის სიმღერა<sup>1</sup>).

როგორც სიტყვა truhtin (ბატონი), ასევე ბევრი სხვა სიტყვაც და-  
 ვიწყებას მიეცა და საბოლოოდ ამოვარდა ჩვენი სიტყვის მარაგი-  
 დან, წარმოიშვა ან სხვა ენიდან იქნა ნასესხები ბევრი ახალი სიტყვა, ზოგი  
 სიტყვა გამოყენებულ იქნა სხვა აზრით, მათი მნიშვნელობა შეიცვალა,  
 გამოთქმაში „Läcken büßen“ (გასწორება) შენარჩუნებულია სიტყვა ხმ-  
 ცე-ს ძველი მნიშვნელობა, ოღონდ ეს მნიშვნელობა დავიწროვდა დრო-  
 თა განმავლობაში; ამჟამად მას იყენებენ მხოლოდ იურიდიული ან რე-  
 ლიგიური მნიშვნელობით: ანაზღაურება, შეცდომის განოსწორება.

გერმანული ენის ისტორიული განხილვა გვიჩვენებს, თუ როგორ  
 სისტემატურად იცვლებოდა საუკუნეების განმავლობაში მისი ლექსი-  
 კური შემადგენლობა ჩვენი ხალხის მეცნიერულ, საზოგადოებრივ და  
 კულტურულ განვითარებასთან ერთად. ჩვენი ენის ბგერითი შემადგენლო-  
 ბისა და ფორმების შედარება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე  
 საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ როგორ იცვლებოდნენ მისი ბგე-  
 რები და ფორმები. ამრიგად, გერმანული ენის ისტორიული განხილვა  
 შესაძლებლობას იძლევა ავხსნათ მისი ბევრი დღევანდელი მოვლენა.

<sup>1</sup> „ლუდვიგის სიმღერაში“ (Ludwigslied) მოთხრობილია დასავლეთ ფრანკონი-  
 ის მეფის ლუდვიგ III-ის გამარჯვება ნორმანებზე 881 წელს.

## გერმანიკული ენები და ჯამოგერმანულის განვითარება

### I. ინდოევროპული ენების ნათესაური ურთიერთობა

ერთი ენის ფარგლებში შედარებისას ვიკვლევთ ამ ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურს, მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე სხვადასხვა ენის ერთიმეორესთან შედარებაც.

ჩვენი ენის სხვა ენებთან შედარების გზით მცნინერება ზედმიწევნით გაეცნო მის ისტორიას, წინარეისტორიულ პერიოდსა და მისი ცვალებადობის მრავალფეროვან ფორმებს. აღმოჩნდა, რომ გერმანული ენა ნაწილია უფრო დიდი ერთეულისა, სახელდობრ, გერმანიკულ ენათა შტოსი.

#### დავალება I

აღნიშნეთ თანხმობებისა და ზმობების შესამჩნევი შესატყვისობა. ძირითადად შემოიფარგლეთ დაწვრილობის მიხედვით.

გერმანული (გერმ.)	ინგლისური (ინგ.)	ნიდერლანდური (ნდლ.)
Valer	father	vader
Bruder	brother	broeder
Schwester	sister	zuster <sup>1</sup>
Wind	wind	Wind
Sommer	summer	zomer
sehen	(to) see	zien
essen	(to) eat	eten
neu	new	nieuw
voll	full	vol
zehn	ten	tien
sechs	six	zes

ენათა შედარებამ, რომელიც ენათმეცნიერებმა მოახდინეს XIX საუკუნის დასაწყისში, გვიჩვენა, რომ ბევრითი შემადგენლობა, ბრუნებისა და უღლების სისტემა, მნიშვნელოვანი სინტაქსური მოვლენები და ლექსიკური მარაგის ნაწილი ევროპისა და აზიის მრავალ ენაში ფართოდ შეესატყვისებთან ერთმანეთს.

<sup>1</sup> z წარმოიქმნის როგორც მკლერი s (ზ).

## დავალება 2

### შეადარეთ

ახალი ზემოგერ- მანული (აზგ)	ძველი ზემოგერ- მანული (ძზგ)	ლათინური (ლათ.)	ბერძნული (ბერძნ.)	რუსული (რუს.)
Vater	father	pater	patér	—
Mutier	muoter	māter	méter	мать, матери
Nacht	naht	nox (ნათ. noctis)	nyx (ნათ. nyktós)	ночь
Halm	halm	calamus <sup>1</sup> (Kalamitāt)	kálamos	солома
Nase stehen	nasa stān	nāsus stāre konstant	— hestánai	нос стоят
neu	niuwi	novus (Novitāt)	néos	новый
drei	dri	trēs	treis	три

გერმანული ენები წარმოადგენენ ნაწილს ერთიმეორის მონათესავე ენათა უფრო დიდი ჯგუფისა, რომელსაც ინდოგერმანულ<sup>2</sup> ან ინდოევროპულ ენათა ოჯახს უწოდებენ.

ინდოევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნიან:

#### 1. ინდური

ლიტერატურასა და წარწერებში ცნობილია ძველი ინდურის ორი გასხვავებული სახე: 1) ვედა და 2) სანსკრიტი. ინდოევროპულ ენათმეცნიერებას საფუძვლად დაედო სანსკრიტის გამოკვლევა.

#### 2. ირანული

მრავალთა შორის ცოცხალი ირანული ენებია: ახალი სპარსული, ქერთელი და აელანური.

#### 3. სომხური

მასზე ლაპარაკობენ სამხრეთ კავკასიაში (სომხეთში).

#### 4. ალბანური

მასზე უმთავრესად ლაპარაკობენ ალბანეთში.

#### 5. ილირიული (Illyrische)

ეს ენა ცნობილია ცალკეული წარწერების სახით ზემო იტალიასა და ბალკანეთში. ადგილების სახელები მიგვიჩივებს, რომ ადრე ილირიულზე ლაპარაკობდნენ ევროპის დიდ ტერიტორიაზე.

#### 6. ბერძნული

ანტიკურ ეპოქაში ეს ენა ბერძნული კოლონიზაციის გამო და შესანიშნავი ლიტერატურის შედეგად გაცილებით უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ვიდრე დღეს.

<sup>1</sup> ბერძნულიდან ნასესხები სიტყვა.

<sup>2</sup> ტერმინს «ინდოგერმანული» ხმარობდნენ მხოლოდ გერმანელები. სწორია და საერთოდ მიღებულია «ინდოევროპული».

## 7. იტალიური

მისი დიალექტებრიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ სამწერლო ლათინურმა, ლათინურიდან განვითარდნენ თანამედროვე რომანული ენები, მათ შორის: ფრანგული, პორტუგალიური, ესპანური, იტალიური, რუმინული.

## 8. კელტური

კონტინენტზე კელტურად ლაპარაკობდნენ ესპანეთში, ალპებში, ჩრდილო გერმანიაში, იტალიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; გალები — საფრანგეთში, გალატები — მცირე აზიაში; ჩვენამდე იგი შემორჩენილია მრავალრიცხოვან საკუთარ სახელებსა და ზოგიერთ წარწერაში. კუნძულის კელტური დღემდე ცოცხლობს ირლანდურში.

## 9. ბალტური

ბალტურს მიეკუთვნებიან ლიტუერი, ლატვიური და უკვე მკვდარი ძველი პრუსიული.

## 10. სლავური

განვასხვავებთ სამ მთავარ ჯგუფს:

- ა. აღმოსავლეთსლავური (რუსული, ბელორუსული, უკრაინული).
- ბ. დასავლეთსლავური (პოლონური, ჩეხური, სლოვენური, სერბიული).
- გ. სამხრეთსლავური (ბულგარული, სერბულ-კროატული, სლოვენური).

## 11. გერმანიკული

იმ შესატყვისობებს, რომლებიც დაადგინეს ენათმეცნიერებმა, მივყავართ ვარაუდამდე, რომ ინდოევროპული ენები განვითარდნენ ინდოევროპული ფუძე-ენიდან.

ეგრეთ წოდებული ისტორიულ-შედარებითი მეთოდის დახმარებით შესაძლოა დადგინდეს ინდოევროპული ფუძე-ენის ზოგიერთი მოვლენა.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ენათმეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. ენათმეცნიერული კვლევის ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთიმეორეს შეადაროს ერთი ენის განვითარების სხვადასხვა საფეხური და ამით ახსნას მისი განვითარების კანონზომიერება. სხვადასხვა მონათესავე ენის ლექსიკური შედგენილობის, ბგერების, ფორმათა სისტემის და სინტაქსური მოვლენების სისტემატურ შედარებას, მათი უძველესი საფეხურის ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, მივყავართ ამ ენების საფუძვლის — ფუძე-ენის — რეკონსტრუქციამდე. მაგრამ შესაძარბელი მასალა ყოველთვის სარწმუნო არ არის და ხშირად არც სრულია. ამიტომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდიც კიპოთეზებს ეყრდნობა და აღდგენილ ენაში ზოგიერთი ხარვეზი ჩანს.

ძნელად და ისიც მხოლოდ მიახლოებით ხერხდება იმ დროის დადგენა, რომელსაც ეკუთვნის მეცნიერების მიერ აღდგენილი ინდოევროპული ენის ტიპი (დაახლოებით მე-2 — 3 ათასიწლიანი წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ცალკეული ინდოევროპული ენის უძველესი საფეხურის მასალების შედარების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ფუძე-ენას ჰქონდა უაღრესად განვითარებული ფორმების სისტემა.



ს ა კ ო ნ ტ რ ო ლ ო კ ი თ ხ ვ ა :

რა ენობრივი ფაქტების მიხედვით შეიქმნა ინდოევროპელი ფუჟე-ენის კიპოთეზა?

გარდა ინდოევროპული ენებისა, განვასხვავებთ ენათა შემდეგ ოჯახებს:

ა) ევროპაში — ფინურ-უნგრულ ენებს (ესტონური, ფინური, უნგრული);

ბ) აზიაში — ალთაურ ენებს (თურქული, მონღოლური); ინდოჩინურ ენებს, რომლებსაც მიეკუთვნება ჩინურიც;

გ) აფრიკასა და წინა აზიაში — ქამიტურ-სემიტურ ენებს.

ინდოევროპულის აღდგენილი ლექსიკური მასალა იძლევა ერთგვარ წარმოდგენას მომთაბარე გლეხების მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის საკმაოდ მაღალი კულტურის შესახებ.

მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა და მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა :

Acker<sup>1</sup>, Feld, Furche, Halm, Herde, Vieh, Joch, zähmen<sup>2</sup>, melken, Euter, Kuh, Ochse, Stier, Sau, Geiß, Roß, Stute, Fohlen, Widder, Same, säen, Gerste, Grütze, Mohn, mähen, mahlen, backen, scheren, spinnen.

ხილისა და ბოსტნეულის აღმნიშვნელი სიტყვები აკლია.

ჭ უ რ ჭ ე ლ ი, ხ ე ლ ს ა წ ყ ო :

Ahle, Sense, Seil, Gabel, Leiter, Zange; Wagen და მისი ნაწილების აღნიშვნა: Rad, Achse, Deichsel, Nabe.

ნ ა გ ე ბ ო ბ ა :

Tür, Dach, Lehm, Holz;

ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი ს ა და მ ც ე ნ ა რ ე ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი :

Aar, Biber, Eber, Ente, Forelle, Gans, Hase, Hund, Häher, Igel, Maus, Wolf, Birke, Buche<sup>3</sup>. Tanne, Föhre, Hasel.

<sup>1</sup> Acker ოდესღაც ნიშნავდა მწვანით დაფარულ ვაკეს, მინდორს, საძოვარს (შდრ. ლათ. agere—გარეკვა, გაღენა), როცა მომთაბარეობის შემდეგ მიწათმოქმედება განდევნა მესაქონლეობა, სახნაუი გამოყოფილ იქნა და სიტყვამ Acker მიიღო თავისი დღევანდელი მნიშვნელობა.

<sup>2</sup> zähmen ოდესღაც ნიშნავდა საქონლის მოშინაუერებას (შდრ. ლათ. domare zähmen).

<sup>3</sup> დღევანდელი მნიშვნელობით ვისლას შესართავი — ყირიმის ხაზის დასავლეთით; ხოლო ამ ხაზის აღმოსავლეთით იგი სხვა ხეების სახელს წარმოადგენს, მნიშვნელობა შეეცვალათ ინდოევროპულ ენათა გაერკვლებშია შიგნით აგრეთვე ხეების Eiche, Birke, Föhre, Linde, Tanne სახელებს, ადგილის გადანაცვლებისას. ინდოევროპელი ხალხები ხელებოდნენ მცენარეთა უცნობ სახეებს, რომელთაც ისინი ძველ სახელებს არქმევდნენ, რადგან ვერ პოულობდნენ ნაცნობ სახეებს.

ს ხ ე უ ლ ი ს ნ ა წ ი ლ ე ბ ი ;

Auge, Nase, Kinn, Zahn, Zunge, Hals, Fuß, Arm, Herz.

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი ს ა ღ მ ნ ი შ ვ ე ნ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი :

Mutter, Vater, Bruder, Schwester, Sohn, Tochter, Schwager, Nefte, Schwieger, Muhme, Sippe.

ბ უ ნ ე ბ ი ს მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი :

Donner, Sommer, Nacht, Tag, Wind.

ზ მ ნ ე ბ ი დ ა ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ე ბ ი :

stehen, wachen, essen, sitzen, arm, eng, faul, neu, jung, süß, rot, weiß.

აგრეთვე ბევრი რიცხვითი სახელი ერთიდან (eins) ასამდე (hundert) მიეკუთვნება ისეთ სიტყვებს, რომლებიც უკვე ინდოევროპულის დროს წარმოიშვნენ.

დილაექტური სხვაობის არსებობა უნდა ვივარაუდოთ უკვე ინდოევროპულში. მრავალი საუკუნის განმავლობაში ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკენი, ადგილის გადანაცვლების შედეგად, გავრცელდნენ ბალკანეთისა და აპენინის ნახევარკუნძულებზე, დასავლეთ ევროპაში, აზიაში — ინდოეთამდე და ურთიერთობა ჰქონდათ სხვა ხალხებთან. ამრიგად თანდათან გაღრმავდა უკვე არსებული ენობრივი სხვაობა, შეიცვალა ენის ლექსიკური შემადგენლობა<sup>1</sup>, ბგერით სისტემასა და გრამატიკაში წარმოიქმნა თავისებურებანი.

ამ დამოუკიდებელი განვითარების შედეგია ცალკეული ინდოევროპული ენა. მრავალი ენათმეცნიერის აზრით, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვით მე-3 ათასეული წლების ბოლოსათვის განსხვავდებოდა ორი ენობრივი ჯგუფი, რომელთაგანაც განვითარდნენ კენტუმ (Kentum) და სატემ (Satem) ენები<sup>2</sup>. ეს დაყოფა არაა მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა.

[საკლასიფიკაციო ღირებულება ჰქონდა ამ დაყოფას ხეთურისა და ტოქარული ენების აღმოჩენამდე].

<sup>1</sup> იხ., დავალება 2. ასე, მაგ., «მამის» აღმნიშვნელი ინდოევროპული სიტყვა (მაგ., ლათ. pater სლავურ ენებში და ცხვირის აღმნიშვნელი ინდოევროპული სიტყვა (ლათ. nasus) ბერძნულში შეიცვალა სხვა სიტყვებით («ცხვირის» სახელი ბერძნულში (pis. nasus) მომდინარეობს ინდ. ევროპ. ძირისაგან «დინების» მნიშვნელობით). «მამის» აღმნიშვნელი სიტყვა სლავურში (შდრ. რუს. Отец ენათესავება გუთურ სიტყვას at-ta — მამა; Altala — მამილა).

<sup>2</sup> Centum (წარმოითქმის kentum) ლათინური სიტყვაა, satem ირანული. ორივე, აღნიშნავს «ასს». რუს. сто, მაგრამ, გვაქვს ბერძნული hekaton (მაგ., Hektoliter), ლათ. centum, ოგ hunt (h წარმოიშვა k-საგან ბგერათა პირველი გადაწევის შედეგად).

## II. გერმანიკული ენები

500 წლის წინ ჩე. წელთაღრიცხვამდე გერმანელი ტომები დასახლებული იყვნენ სკანდინავიიდან დაწყებული შუა გერმანიის მთებამდე, რაინიდან ვისლამდე, ამის შემდეგ კი გერმანელთა დასახლება გაფართოვდა დასავლეთითა და სამხრეთით.

შეუძლებელია გადაჭრით დავასახელოთ გერმანიკულის დამოუკიდებელ ენად განვითარების თარიღი. ინდოევროპული ენიდან გერმანიკული ენის განვითარება არის პროცესი, რომელიც გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში. ძველი წელთაღრიცხვით 500 წელზე უფრო გვიან გერმანიკულ ენას, ინდოევროპული ენისაგან განსხვავებით, ჰქონდა შემდეგი არსებითი თავისებურებანი:

1. ინდოევროპულის თავისუფალი მასვილი გერმანიკულში დამკვიდრდა ყოველი სიტყვის პირველ მარცვალზე, უმთავრესად ფუძისეულ ხმოვანზე.

2. პირველი ანუ გერმანიკული ბგერათვალაწევის შედეგად გერმანულში შეიცვალნენ ინდოევროპულის ხშული თანხმოვნები.

ამრიგად, ინდოევროპულის დიალექტი განვითარდა დამოუკიდებელ ენად, რომელსაც ენათმეცნიერთა უმრავლესობა წინარე გერმანიკულს<sup>1</sup> უწოდებს.

### 1. სიტყვის მახვილი

გერმანიკულის პირველი თავისებურება, ინდოევროპულისაგან განსხვავებით, განპირობებულია ინდოევროპულის თავისუფალი მახვილის პირველ მარცვალზე ფიქსირებით.

#### დავალება 2

შეადარეთ მახვილი შემდეგ სიტყვათა რიგში. რუს. *холодный, холоднѣ, холодно; продать, продѣл, продамѣ.*

ლათ. <i>amō</i>	მიყვარს
<i>amā'vi</i>	მიყვარდა
<i>ami'cus</i>	მეგობარი,
<i>amicī lia</i>	მეგობრობა

შიაკციეთ ყურადღება მოძარე მახვილს უცხოურ სიტყვებში:

*Symból, Symbolismus. symbolisieren; human, Humanismus, Humanität; Organ. Organismus. Organisieren, Organisation.*

ამის საპირისპიროდ: *Hánd, händeln, er händelte, händlich, Händlung, Händlichkeit, Há'nde, Há'ndel.*

პირველი მარცვალი, როგორც წესი, ფუძისეულია.

ისეთ განუყრელ კომპოზიტებს და მათგან ნაწარმოებ სიტყვებს, რომელნიც მომდინარეობენ მახვილის ფიქსირებამდელი დროიდან, მახვილი მოუღლით პირველ მარცვალზე მაშინაც კი, როცა ის არ არის ფუძისეული.

<sup>1</sup> წინარე გერმანიკულიც არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სრული და მთლიანი ენა, ენობრივი განსხვავების დადგენა ცალკეულ ტომებს შორის დღეს აღარ ხერხდება.

ნ ი მ უ შ ი : U'rteil. ürteilen, მაგრამ  
Verband, verbinden.

მახვილის ფუძისეულ მარცვალზე ფიქსირებასთან დაკავშირებულია შემდეგი მოვლენები:

ა) ა ლ ი ტ ე რ ა ც ი ა (der Stabrein)

ფუძისეული მარცვლის მახვილი ალიტერაციის წინაპირობაა. ამაში გვესმის ფუძისეული მარცვლის საწყისი ბგერების ერთნაირი ბგერადობა ლექსის უმნიშვნელოვანეს სიტყვებში ისე, როგორც ეს გვხვდება ჯერ კიდევ ძველ ზემოგერმანულ პოეზიაში. თანამედროვე ლიტერატურაში, პოეზიასა და პროზაში კი ალიტერაცია ზოგჯერ გამოყენებულია სტილისტურ საშუალებად. დღესაც გვაქვს მსგავს საწყისბგერებიან სიტყვათა წყვილები: Wind und Wetter, los und ledig, Stock und Stein, singen und sagen.

ალიტერაციას ხშირად იყენებენ ხალხურ პოეზიაშიც: „Weh, weh Windchen...“, „Lieber Jäger, laß mich leben!“ (ძმები გრიმების ზღაპართა კრებულიდან).

დ ა ვ ა ლ ე ბ ა †

ა) მოიყვანეთ სხვა მაგალითები.

ბ) მონახეთ ალიტერაციის მაგალითები ჰილდებრანდის სიმღერაში.

გ) დაადგინეთ ამ ლექსში ალიტერაცია:

Es treibt der Wind im Winterwalde  
die Flockenherde wie ein Hirt,  
und manche Tanne ahnt, wie balde  
sie fromm und lichterheilig wird,  
und lauscht hinaus. Den weißen Wegen  
streckt sie die Zweige hin — bereit,  
und wehrt dem Wind und wächst entgegen  
der einen Nacht der Herrlichkeit.

(Rainer Maria Rilke)

ბ) ბ ო ლ ო კ ი დ უ რ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი

გერმანული ფუძისეული მახვილის შედეგია ბგერაცვლილებანი მახვილიანი მარცვლის მომდევნო მარცვლებში.

სიტყვის პირველ მარცვალზე იმდენი ამოსუნთქვითი ძალა იხარჯება, რომ მომდევნო მარცვლებისათვის რჩება გაცილებით სუსტი პაერნაკადი. ბოლოკიდური მარცვლები, წარმოითქმინან სუსტად. ბოლოკიდურის ამ სუსტმახვილიან მარცვალში შესამჩნევად სუსტდება ბგერის არტიკულაცია.

ყველა მრავალმარცვლიან სიტყვაში მახვილიანის მომდევნო მარცვლებში შეიმჩნევა თანხმოვნებისა და ხმოვნების ცვლილება. ყველა ეს ცვლილება სორტიცვლდება სუსტი კანონზომიერებით, ისე რომ შესაძლებელია ბოლოკიდურის განსახლვრული კანონის დადგენა. ეს ცვლილებები

პირველად მოხდა ცალკეულ გერმანიკულ ენებში. ამიტომ ეს ენები თავიანთ განვითარებაში განსხვავდებიან ერთიმეორისაგან უმახვილო ბოლოკიდური მარცვლებითაც.

ჯერ ცვლილებები ხდება თანხმოვნებში და მხოლოდ ამის შემდეგ ხმოვნებშიც:

ლათ.	verbum	გუთ.	waúrd	ახვ	Wort
ლათ.	augum	გუთ.	juk		Joch
ინდოევრ.	nepôt	გერმ.	nēfo		Neffe
ლათ.	velit	გუთ.	wili		er will
ინდოევრ.	ghostis	გუთ.	gasts		Gast
ბერინ.	oida	გუთ.	wait		ich weiß
ძვ. ინდ.	bharasi	გუთ.	bairis		du trägst
ბერძნ.	íere	გუთ.	baír		trage!

## 2. პირველი ანუ გერმანიკული ბგერათგადაწევა

გერმანიკულში შეიცვალა ინდოევროპულის ყველა ხშული თანხმოვანი. ამ ცვლას გერმანელმა ენათმეცნიერმა იაკობ გრიმმა უწოდა „ბგერათგადაწევა“ („Lautverschiebung“). ჩვენ მასში ვხედავთ კონსონანტიზმის ბგერათი ცვლადობის რიგს. ეს ცვლილებები არ არის უშუალო კავშირში ერთმანეთთან და არც ერთდროულად ხდებოდა. პირველი ბგერათგადაწევა დაიწყო უკვე ძვ. წელთაღრიცხვის მე-2 ათასეულ წლებში და არსებითად დამთავრდა ძვ. წელთაღრიცხვის 500-იანი წლებისათვის; მაშასადამე, ჯერ კიდევ გერმანელების რომაელებთან შეხვედრამდე. ამას ჩვენ ვასკვნით იმ ფაქტიდან, რომ გერმანიკულში ლათინურიდან ნასესხები არც ერთი სიტყვა არ არის შეცვლილი ბგერათგადაწევის კანონის მიხედვით.

ჩვენ ვასხვავებთ სამ პროცესს:

1. ინდოევროპული ყრუ ხშული ბგერები (p, t, k) გერმანიკულში იქცნენ ყრუ სპირანტებად (f, th, h)<sup>1</sup>:

ლ ა თ.	ი ნ გ ლ.	გ ე რ მ.
<u>  p &gt; f  </u>		
pater	father	Vater
piscis	fish	Fisch
plenus	tull	voll
<u>  t &gt; th<sup>2</sup>  </u>		
trēs	three	drei
tū	thou	du
<u>  k &gt; h<sup>3</sup>  </u>		
cornu	horn	Horn
coentum	hundred	hundert
canis	hound	Hund

<sup>1</sup> იგივე ემართება ინდოევრ. ხშულ ყრუ ფსევდოვანებს ph, th, kh.

<sup>2</sup> ინგლისური th-ს შეესაბამება [უერო ქართ. თ].

<sup>3</sup> გერმანიკული თანხმოვანული cl (Ach-Laut).

2. ინდოევროპული მყლერი ხშული ბგერები (b, d, g) გერმანიკულ-ში იქცნენ ყრუ ხშულებად (p, t, k):

<u>b &gt; p</u>	ლ ა თ.	გ უ თ.	ნ დ რ ლ/ი ნ გ.
<u>d &gt; t</u>	ლurli-a	paírpt	dorp. (ნდრლ.)
<u>g &gt; k</u>	მიწყყირილი გროყ	საყყანე, სახნაყი	ლოფელი
	duo	twai	two (ინგ.)
	ორი	ორი	ორი
	ego	ik	ik (ნდრლ.)
	მე	მე	მე
	genu	kniu	knee (ინგლ.)
	მუხლი	მუხლი	მუხლი

ც ხ რ ი ლ ი

	ინდოევრ. გერმანიკული p, t, k > f, th h		ინდოევრ. გერმანიკ. b, d, g > p, t, k	
ბაკისმიერი ბგერება	ლათ. pater (მამა)	ინგლ. father (მამა)	ლათ. libium (ტუჩი)	ინგლ. lip. (ტუჩი)
ქსილესმიერი ბგერება	ლათ. lres (სამი)	ინგლ. three (სამი)	ლათ. duo (ორა)	ინგლ. two (ორა)
სა.ოსმიერი resp. ხახისმიერი	ლათ. cornu (რქა)	ინგლ. horn (რქა)	ლათ. ego (მე)	გუთ. ik (მე)

3. ინდოევროპული ფშვინვიერი მყლერი ხშულები bh, dh, gh გერმანიკულში იქცნენ მყლერ ხშულ ბგერებად b, d, g.

შ ე ა დ ა რ ე თ:

ძელი ინდური bharāti (ტარება) ინგ. to bear (გერ. თანდებული — bar)

ინდოევროპ. dhur (ქიშყარი) ინგ. door  
ინდოევროპ. ghostis (უცხო) გუთ. gasts (სტუმარი).

<sup>1</sup> p არის რუნელ წარწერებში, მას აქვს დაახლოებით ინგლ. th-ს ბგეროვნება.

გეაჩვენეთ ბერათა გადაწევა შემდეგ სიტყვათა რიგში: მიუთითეთ, რა პროცესებთან გვაქვს საქმე.

ლათ.	Gánere (მღერა)	გუთ.	hana	აზგ.	Hahn
ლათ.	dentem (აქუზ.) (Dentist)	ინგლ.	tooth	აზგ.	Zahn
ლათ.	pecus	ძზგ	filu	აზგ.	Vieh
ინდოევრ.	*pelu' (poly') (Polytheismus)	გუთ.	filu	აზგ.	Viel
ბერძნ.	pénte (Pentameter)	ინგლ.	five	აზგ.	fünf
ბერძნ.	tó	ინგლ.	that	აზგ.	das
ლათ.	gránium (granulieren)	ინგლ.	corn	აზგ.	Korn
ლათ.	gelu (სიცივე)	ინგლ.	cold	აზგ.	kalt
ბერძნ.	kardia (Elektrokardiogramm)	ინგლ.	heart	აზგ.	Herz
ბერძნ.	dóry (ხე-ტყე)	ინგლ.	tree	აზგ.	Baum
რუს.	спать სუსტი	ინგლ.	to sleep	აზგ.	Schlafen
ბერძნ.	παῖδες = ნათეს. (Antipoden)	ინგლ.	fool	აზგ.	Fuß
ლათ.	pró	ინგლ.	for	აზგ.	für.
ლათ.	perós (შვილიშვილი)	გერმანიკ.	*nicfo	აზგ.	Neffe
ლათ.	edere	ინგლ.	to eat	აზგ.	essen
ლათ.	margō (კდე) (Marginalien)	გერმ.	Mark (Grenzland)		

პრ. ველი ბერათა გადაწევის მიზეზებზე გარკვევით ვერაფერს ვიტყვი.

### მ. ცვლილებანი უღლებათა სისტემაში

მას მიეკუთვნება:

- 1) აბლაუტის განსაკუთრებული მნიშვნელობა ძლიერ უღლებათაში;
- ბ) სუსტი უღლების წარმოქმნა.

პირველ შემთხვევაში:

გერმანიკულმა შეინარჩუნა ინდოევროპულიდან მიღებული აბლაუტის მოვლენები და მეტად განავითარა ისინი. ეს განსაკუთრებით მეტად

1 აღდგენლა ფორმა.

ვნდება ძლიერი ზმნების უღლებაში, რომელშიც განასხვავებენ აბლაუტის ექვს ან შვიდ<sup>1</sup> რიგს.

მეორე შემთხვევაში:

გერმანიკულში ჩამოყალიბდა სუსტი უღლება. თავიდანვე არსებული ძლიერი უღლებისაგან ის განსხვავდება პრეტერიტუმისა და ნამყოს მიმღეობის წარმოების ფორმით. სუსტ უღლებაში ეს ფორმები იწარმოებიან (d)t-თი, ფუძისეული ხმოვნების უცვლელად. გუთ. salbōda, ძზგ salbōta, აზგ salbte 'წაუსვა' (მაღამო).

სუსტი უღლების წარმოშობის შემდეგ გერმანიკულ ენაში არ მატულობს მარტივი ძლიერი ზმნების რიცხვი; კიდევ მეტი, მისი ერთი ნაწილი დაიკარგა კიდევ. ზოგიერთ, წარმოშობით ძლიერ ზმნას დღეს აქვს ცალკეული სუსტი ფორმები. იქ, სადაც პარალელურად იყო ძლიერი და სუსტი ფორმები, ზოგჯერ იქმნება განსხვავება მნიშვნელობაში. ახალწარმოებანი იუღლებიან სუსტებისებრ.

#### დავალება 6

აწარმოეთ და გამოარჩიეთ შემდეგი ზმნების იმპერფექტი და პერფექტი: backen, mahlen, salzen, spalten, hauen, klimmen, glimmen, melken, schaffen, schleifen, streiken, funken, filmen, telegraphieren, drahten.

გერმანიკულის კიდევ სხვა თავისებურება, ინდოევროპულისაგან განსხვავებით, არის ცვლილებები ვოკალიზმში.

#### დასკვნა

გერმანული ენა ეკუთვნის გერმანიკულ ენათა შტოს და, მაშასადამე, ინდოევროპულ ოჯახს.

ინდოევროპული არის ენათმეცნიერების მიერ ისტორიულ-შედარებითი მეთოდით აღდგენილი ენა. ეს ინდოევროპული ფუძე-ენა იყო ძლიერ განვითარებული ენა. იმის შედეგად, რომ ამ ენობრივი კოლექტივის წევრი ცალკეული ტომები სახლდებოდნენ ახალ ადგილებზე და ურთიერთობა ჰქონდათ სხვა ხალხებთან, ყალიბდებოდა ცალკეული ინდოევროპული ენები, ეს ენები დღესაც ადასტურებენ მეტ-ნაკლებ შესატყვისობას ბგერით შედგენილობასა, მორფოლოგიასა, სინტაქსსა და ლექსიკურ ფონდში.

გერმანიკული ენა სულ მცირე ძვ. წელთაღრიცხვის 500 წლიდან უნდა განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი ენა.

<sup>1</sup> თანამედროვე გერმანული ენის გრამატიკაში, სხვაგვარი თვალსაზრისით დაყოფის საფუძველზე, განასხვავებენ ძლიერი უღლების ზმნების სამ ჯგუფს:

I ჯგუფი: ერთიმეორეს ემთხვევა მიმღეობისა და იმპერფექტის ფუძისეული ხმოვნები. მაგ., schreien—schrie—geschrien.

II ჯგუფი: ერთნაირია მიმღეობისა და ინფინიტის ფუძისეული ხმოვნები. მაგ., geben—gab—gegeben.

III ჯგუფი: ინფინიტის, მიმღეობისა და იმპერფექტს აქვთ განსხვავებული ფუძისეული ხმოვნები, მაგ., springen—sprang—gesprungen.



გერმანიკულის დამახასიათებელი თავისებურებებია, უპირველეს ყოვლისა, სიტყვის მახვილის პირველ მარცვალზე ფიქსირება და პირველი ბგერათგადაწევა.

ინდოევროპულის მოძრავი მახვილის პირველ მარცვალზე ფიქსირებასთან დაკავშირებულია ალიტერაციასა და აუსლაუტის კანონები.

პირველი ანუ გერმანიკული ბგერათგადაწევის შედეგად ინდოევროპულის ხშულმა ბგერებმა განიცადეს ძლიერი ცვლილება.

გერმანიკული ენა ინდოევროპულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება უღლების სისტემით, ძლიერ უღლებაში აბლაუტი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ძლიერთან ერთად ყალიბდება სუსტი უღლება.

#### საკონტროლო კითხვები

1. სად იყვნენ დასახლებული გერმანული ტომება?
2. რა თავისებურებანია დამახასიათებელი გერმანიკულისათვის ინდოევროპულისაგან განსხვავებით?
3. რა დროიდან უპირისპირდება გერმანიკული, როგორც დამოუკიდებელი ენა, ინდოევროპულს?
4. რა მოვლენებია დაკავშირებული მახვილის პირველ მარცვალზე ფიქსირებასთან?
5. როდის დასრულდა პირველი ბგერათგადაწევა?
6. რა პროცესებს განვასხვავებთ პირველ ბგერათგადაწევაში? განმარტეთ ეს პროცესები მაგალითებით.
7. რა სიახლეები გვხვდება გერმანიკულის უფლების სისტემაში?

#### დამატებანი

პირველ ცნობებს გერმანიკული ენის ლექსიკური მარაგის შესახებ ვხვდებით ზოგიერთ ანტიკურ ძეგლში. ასე, მაგალითად, კეისართან<sup>1</sup> ვპოულობთ: *ūrus* — ღომბა, *alces* ცხენ-ირემი; ტაციტუსთან<sup>2</sup>: *framea* — შუბი, *gl̄esum* — ქარვა, ენათესაება გერმანულ *Glas* (მინა, ჭიქა). სხვა რომაელ მწერლებთან გვხვდება *ganta* — ბატი, *sāpo* — კოსმეტიკური საცხებელი, გერმანული სიტყვა: *Seife* — საპონი, *medus* — თაფლი, სასმელი, *rūna* — (რუნები, წარწერა) და საქმელისა და სასმელის, ხელსაწყოებისა და იარაღის, ცხოველებისა და მცენარეების სახელები, ისე როგორც სამართლის ცნებები და საკუთარი სახელები.

ყველა ეს სიტყვა და საკუთარი სახელი, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს ძალიან ძველი ფორმით. წარმოადგენენ პირდაპირ საბუთებს ენის ბგერათა და ფორმათა შემადგენლობის შესახებ.

<sup>1</sup> გაიუს იულიუს კეისარი, ცხოვრობდა ძვ. წ. 100 — 44 წლებში. მისი ნაწარმოები „გალების ომი“ შეიცავს დასავლელად წარმოდგენილ უძველეს ცნობარს გერმანელთა შესახებ.

<sup>2</sup> პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი. რომელი ისტორიკოსი, ცხოვრობდა ჩვ. წ. 55—120 წლებში. მისი „გერმანია“ შეიცავს ცნობებს გერმანულ ტომთა წარმოშობისა და ცალკეულ ტომთა ზნე-ჩვეულებათა და თავისებურებათა შესახებ.

ბგერათგადაწევის შედეგად საერთოდ შეიცვალა ყველა ინდოევროპული ხშული ბგერა, ბგერათშეერთების ან მახვილის განსაკუთრებული მოქმედების შედეგად გვხვდება ცალკეული გამონაკლისებიც.

ა. ყრუ ხშული ბგერები p, t, k არ შეცვლილა კომპლექსებში: sp, st, sk, ht, ft.

### და ვ ა ლ ე ბ ა 7

შეადარეთ!

ლათ.	spuō	ძზ	spiwan	აზ	speien
ინდოევრ.	*ster	ძზ	stërno		Stern
ლათ.	scabō ეკაწრავ	ძზ	skaban		Schaben
ლათ.	oclo	ძზ	ahlo		acht

ბ. რამდენიმე მნიშვნელოვან „გამონაკლის“ გვიხსნის ვერნერის<sup>1</sup> კანონი. ინდოევრ. p, t, k ხშული თანხმოვნები, როგორც წესი, გერმანიკულში გადაიქცნენ ყრუ სპირანტებად f, th, h(ch). გარკვეულ პირობებში ყრუ სპირანტები იქცნენ მჟღერ სპირანტებად და უფრო გვიან კი მჟღერ ხშულებად b, d, g. ვერნერი მიხვდა, რომ ეს პროცესი ხდება მაშინ, თუ ინდოევროპულში მახვილი არ მოუდის უშუალოდ ხშულის წინმავალ მარცვალს (ვერნერის კანონი).

ბერძნ.	patér	გუთ.	fadar
ბერძნ.	heptá	გუთ.	siðum
შეადარეთ ამას:			
ბერძნ.	fráter	გუთ.	brópar

ეს გულისხმობს, რომ ინდოევროპული მოძრავი მახვილი გერმანიკულში ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას და იგი პირველ მარცვალზე დამკვიდრდა ბგერათგადაწევის დროს. მახვილიანი მარცვლის შემდეგ ამოსუნთქვის ძალა საკმარისი არ არის ხშული ბგერის მჟღერად წარმოთქმისათვის. მიაქციეთ ყურადღება მსგავს პროცესს v-ს წარმოთქმისას სიტყვებში: aktiv — aktivist, Nervén — nervö's.

ინდოევრ. ხშული თანხმოვნები p, t, k, როგორც წესი, გადაიქცვიან f, th, h (ch) და გერმანულში მოგვევლინებიან როგორც f, d, h. ვერნერის კანონის მიხედვით, წარმოშობილი მჟღერი სპირანტები უფრო გვიან იქცნენ მჟღერ ხშულებად და გერმანიკულში მოგვევლინენ როგორც b, t, g. მსგავსი განვითარების ფაქტი ჩანს ყრუ s-თან, რომელიც გამჟღერდა და უფრო გვიან ზოგიერთ შემთხვევაში იქცა r-დ.

ამ ორმაგი განვითარებიდან მახვილის სხვადასხვაგვარი მოქმედების გამო შეიქმნა გერმანულში ეგრეთწოდებული გრამატიკული მონაცვლეობა: f—b; d—t; h—g; s—r<sup>2</sup>.

<sup>1</sup> კარლ ვერნერი (1846—1896) დანელა ენათმეცნობი.

<sup>2</sup> მეორე ბგერათგადაწევის შედეგად th იქცა d-დ, ხოლო გერმანიკული მჟღერი სპირანტისაგან წარმოქმნილი მჟღერი ხშული d იქცა f-დ.

<sup>3</sup> f—b, d—t მონაცვლეობა არის ბგერათგადაწევის შედეგი.

ნ ი მ უ შ ე ბ ი :

dürfen — darben  
höfisch — hübsch  
auf — oben  
schneiden — geschnitten  
Odem — Atem  
leiden — litt  
ziehn — zog  
Schwäher — Schwager  
reihen — Riege  
Frost — frieren  
gewesen — waren  
los — verlieren

50-ე გვერდზე უკვე აღნიშნულია ვოკალიზმის ცვალებადობა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შემდეგ პროცესებთან:

ინდოევროპული *ā* გადაღის გერმანიკულ *ō*-ში:

ლათ.	frāter	ძსაქს.	brōthar	აზგ.	Bruder
ლათ.	māter	ძსაქს.	mōdar	აზგ.	Mutter

ინდოევროპული *o* გადაღის გერმანიკულ *a*-ში:

ლათ.	hostis	გუთ.	gasls	აზგ.	Gast,
ლათ.	octō	ძზგ.	ahto	აზგ.	acht,
ლათ.	noctis (ნათ.)	ძზგ.	naht	აზგ.	Nacht

ინდოევროპული *e* გადაღის გერმანიკულ *i*-ში:

ბერძნ.	pēnte	გუთ.	fimf	აზგ.	fünf
ლათ.	ventus	გუთ.	winds	აზგ.	Wind
ბერძნ.	estlin	ზგძ	ist	აზგ.	ist
ლათ.	medius	ძზგ	mitti	აზგ.	der Mittlere

### დავალება 8

მონახეთ ვოკალიზმის ცვალებადობის სხვა ნიმუშები მე-5 დავალებაში მოცემულ სიტყვათა რიგიდან.

### III. ტალკაული გერმანიკული ენები

ტაციტუსი (ჩვ. წ. 55—120 წწ.) თავის „გერმანიაში“ გადმოგვცემს ინგვეგონების, ჰერმინონების და ისტევონების კულტურული კავშირების შესახებ. თუ არ ჩავთვლით კიმბერების, ტეგტონების და ტაციტუსის მიერ აღწერილ სუებთა კავშირებს, გერმანელთა ტომების უფრო დიდი

კავშირების შესახებ ვიგებთ მხოლოდ ჩვ. წ. მე-3 საუკუნის დასაწყისიდან.

ამ დროისათვის ენობრივი განსხვავება ცალკეულ ტომთა კავშირებს შორის იმდენად დიდი იყო, რომ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ცალკეული გერმანიკული ენების შესახებ.

ხალხთა გადასახლების წინა დროისათვის ჩვეულებრივ განასხვავებენ:

1. ჩრდილოგერმანულ ტომებს დანიასა და სკანდინავიაში (უფრო გვიან ისინი დასახლდნენ ისლანდიაშიც);

2. აღმოსავლეთგერმანულ ტომებს (ბურგუნდები, გუთები, ვანდალები), რომლებიც ჯერ დამკვიდრდნენ მდ. ოდერისა და ვისლას შუა მიდამოებში, ხოლო უფრო გვიან გადავიდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთსა (ბურგუნდები), სამხრეთ ევროპასა (გუთები) და ჩრდილოეთ აფრიკაში (ვანდალები); მათთან ერთად გადაშენდა მათი ენებიც;

3. გერმანიკულ ტომთა დასავლეთის ჯგუფს; აქ საქმე გვაქვს ენობრივად და კულტურულად უფრო ნაკლებ ერთიან ჯგუფთან, ვიდრე ჩრდილოეთისა და სამხრეთის გერმანიკულ ტომებში. მათ მიეკუთვნება ელბის გერმანული ტომები შუა ელბაზე, ჩრდილოეთის ზღვის გერმანიკული ტომი ჩრდილოეთის ზღვის ნაპირებზე და ვეზერისა და რაინის გერმანიკული ტომები.

ცალკეულ გერმანიკულ ენებს ჩვენამდე ნაწილობრივ მოუღწევიათ წერილობით. ყველაზე უფრო აღრეული და ვრცელია აღმოსავლეთ გერმანული ძეგლი. ეს არის მე-4 საუკუნეში ეპისკოპოს ვულფილას მიერ შესრულებული ბიბლიის გუთური თარგმანი. მცირე რაოდენობით გვაქვს ჩრდილო გერმანულთა მე-3 საუკუნის რუნული წარწერები.

დასავლეთ გერმანულთა ვრცელი დამწერლობითი ძეგლები გვაქვს მხოლოდ მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან. უფრო აღრეულ პერიოდზე მოგვეპოვება მცირე ცნობები. ჩრდილოგერმანიკულიდან განვითარდა შვედური, ნორვეგიული, დანიური და ისლანდიური; დასავლეთგერმანიკულიდან — ინგლისური, ფრიზიული, ჰოლანდიური და გერმანული (Deutsch).

### 1. გერმანიკული ენების ლექსიკური შემადგენლობა

განსხვავება ინდოევროპულსა და გერმანიკული ენების ლექსიკურ შემადგენლობას შორის დიდია. გერმანიკულმა სხვაგვარად შეცვალა ინდოევროპულიდან მიღებული ბევრი სიტყვა. მაგ., გერმანულმა სიტყვამ Haus გააჩევა ძველი ინდოევროპული სიტყვა, რომელიც ინდურმა შემოინახა როგორც damas, ლათინურმა როგორც domus, რუსულმა дом. ასევე სიტყვამ frinken გააძევა ინდოევროპული po/pi ძირიდან ნაწარმოები ყველა სიტყვა (მღრ. რუსული — пить, поить, ლათ. posuln — სასმისი.

ერთ ადგილზე დამკვიდრებასა და მიწათმოქმედების გაუმჯობესებას თან მოჰყვა შემდგომი კულტურული განვითარება. ეს აისახა გერმანიკულის ლექსიკაში.

მეხობრბულობისა და მესაქონლეობის განვითარებაზე ლაპარაკობს ისეთი სიტყვები, როგორცაა: Brot, Hirse, dengeln, Pflug, Garbe, dreschen. Hahn, Hulin, Kalb, weiden, Dung, და ა. შ.

სამშენებლო საქმის გაუმჯობესებაზე მიუთითებს სიტყვები: Sparren, Saal, Esse და ა. შ.

მრავალრიცხოვანი ახალი სიტყვა შეიქმნა მონადირეობის, ზღვა-ოსნობისა და მეთევზეობის დარგში.

ჩვენამდე მოღწეულია ბევრ გამოთქმას, რომელიც შეიცავს ცნობებს სამხედრო საქმის შესახებ.

ძვ. baldo	სვ. balde	(გუთ. balps)	ავ. küln
" bēraht	" bērlht	(გუთ. bairhts)	glänzend
" brant	" brand	(გერმკ. *branda)	Schwert (პოეტ.
" gēr	" gēr	(გერმკ. gaizas)	გამოთქმა) Wurfspieß
" gīsal	" gīsel	(ძრდგერმკ. gisl)	Geisel
" hadū	" —	(ძრდგერმკ. grima)	Helm
" heri	" —	(გერმკ. *hapu)	Kampf
" harte	" her	(გუთ. harjis)	Heer
" hround. roud	" harte	(გუთ. hardus)	küln
" mārī	" —	(გუთ. hrōths)	Sieg, Ruhm
" mārī	" mære	(გუთ. mērs)	berühmt
ძვ. ort	სვ. ort	(ძვ. ჩრდგერ. oddr)	ავ. (Waffen-) Spitze
" sigu	" sic	(გუთ. sigis)	Sieg
" wig	" wic	(ძსაქს. wig)	Kampf

ბევრი ძველი გერმანიკული სიტყვა საუკუნეთა განმავლობაში იხშარებოდა სულ უფრო და უფრო იშვიათად, ბოლოს კი მთლიანად დავიწყებას მიეცა. ზოგჯერ ისინი შემონახულია მხოლოდ რთულ სიტყვებში და სახელებში.

სხვებს შორის ასეთი გერმანიკული სიტყვებია:

ანგლსაქს. ās	სვ. —	(გუთ. ans)	ავ. Asen (ჩრდილოური ლუთაბა)
ძვ. arn	" arn	(გერმკ. *aran)	Aar
" bēran	" bērn	(გუთ. bairan)	tragen
" bōrgan	" bōren	(ძრდგერ. baula)	stoßen
" brunna	" brünne	(გუთ. brunjō)	Harnisch, Brünne
" dīnsan	" dīnsen	(გერმკ. *pens)	ziehen. sich ausdehnen
" dīst	" dīst	(გუთ. piuda)	Volk
" ecka	" ecke	(გერმკ. aġō)	Schärfe, Schneide

ძვ. veim	„ veim	—	Schmutz, Schaum
„ gomo	„ gome	(გუა. guma)	Mann
„ klioban	„ klieben	(ძრდგერ. klūfa)	spalten
„ kunni	„ künne	(გუთ. kuni)	Geschlecht
„ —	„ leichen	(გუთ. laikan)	tanzen, hüpfen
„ lind, lint	„ —	(ძრდგერ. liupr)	Schlange, Wurm
„ — —	„ —	(გუთ. malma)	Sand
„ hugu	„ huge	(ძრდგერ. hügr)	Geist
„ ôt	„ ôt	(ძრდგერ. audhr)	Besitz
„ —	„ —	(გუთ. ragin)	Meinung, Rat
„ riche	„ riche	(გერმნკ. *rik)	Herrscher
„ rûna	„ rûne	(გუთ. rûna)	Geheimnis
„ sêr	„ sêr	(ძრდგერ. spârr)	wund
„ sind	„ sint	(გერმ. sinpa)	Weg, Richtung
„ spanan	„ spanen	(ძსაქს. spanan)	locken, reizen
„ flât	„ vlât	(ანგსაქს. flæd)	Sauberkeit
„ wallan	„ walten	(გუთ. waldan)	walten, stark sein
„ wêr	„ —	(გუთ. waif'r)	Mann
„ wini	„ wine	(ძსაქს. wini)	Freund
„ zêbar	„ —	(ანგსაქს. tifer)	Opfertier

### დავალება 9

ა) ზემომოყვანილი სიტყვების დახმარებით განმარტეთ, ძველი სიტყვების რა მასალას შეიცავს შემდეგი სახელები: Adalbert, Oswald, Baldwin, Hadubrand, Heribrand, Dietrich Eberhard, Ekkehard, Friedrich, Gerhard, Gisela, Walther, Hartmann, Harlwig, Hugdietrich, Dietmar, Otfried, Ortrun, Reinhard, Sieghard, Waldemér, Winfried.

ბ) დაადგინეთ ქვემომოყვანილ სიტყვებში უძველესი სიტყვიერი მასალა და ამის საშუალებით განმარტეთ მათი მნიშვნელობა: Amboß, bosseln, Kegal chieben, Bahre, gebären, gedunsen, abycleimt, Kloben, zermalmen, Gesinde, Gespenst, Unflat, Kleinod, Wergeld, Werwolf, Ungezifer, Bräutigam, verschren, frohlocken, Landwurm.

ჩვ. წ/აღ. II საუკუნეში გერმანული ტომები იყოფოდა შემდეგ ჯგუფებად:

ჩ რ დ ი ლ ო გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ ი  
სკანდინავიელები

ა ლ მ ო ს ა ვ ლ ე თ გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ ი

გუთები  
ვანდალები  
ბურგუნდები

<sup>1</sup> უკვე შორეულ წარსულში იყო სახელების ტრადიცია და სიტყვის მნიშვნელობა აღარ იყო წამყვანი. ამიტომ ძველი გერმანული სახელების თარგმნაზე ხელი უნდა ავიღოთ.

გერმანელთა დასავლეთის ჯგუფი  
ინგეგონები  
ფრიზები  
საქსები  
ანგლები  
იუტები  
ხერუსკები

ისტეგონები

ფრანკთა ტომები

ჰერმინონები

სუებები

ლანგობარდები

მარკომანები (ბავარდი)

ჰერმუნდლურები (თიურინგები)

ხატები (ჰესები)

## 2. ლათინურის გავლენა გერმანიკულის ლექსიკაზე

ნასესხები სიტყვები ჩვ. წ. 400-იან წლებამდე

გერმანიკული ენის ლექსიკაში არის სიტყვები, რომელთა ბგერითი შედგენილობა ბგერათა პირველი გადაწევის შედეგად სრულიად არ შეცვლილა, ან მხოლოდ ნაწილობრივ შეიცვალა. ესაა ის სიტყვები, რომლებიც გერმანულმა ტომებმა შეითვისეს მეზობელი ტომების ან ხალხებისაგან. ყველაზე ადრე ნასესხები სიტყვები კელტურია.

ეს სიტყვები არ არის მრავალრიცხოვანი.

ძლიერი გავლენა გერმანიკული ენის ლექსიკაზე მოახდინა გერმანელთა შეხვედრამ რომაელებთან და მათ მაღალ კულტურასთან. გერმანელების მიერ ლათინური სიტყვების დიდი რაოდენობით შეთვისება დაიწყო მაშინ, როდესაც რომაელებმა რაინი და ღუნაი გადალახეს.

ლათინური გავლენას ახდენდა არა მხოლოდ იმ მხარეებში, სადაც რომაელები და გერმანელები უშუალოდ ერთმანეთს ემეზობლებოდნენ. ლათინურიდან ნასესხები სიტყვები დამკვიდრდა შიდა გერმანიამიც.

უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ორ საუკუნეში გადაიღეს ლათინური სიტყვები, მაგალითად, გუთებმა, რომლებიც მაშინ დასახლებულნი იყვნენ ვისლას მიდამოებში და არსად არ ჰქონიათ უშუალო ურთიერთობა ლათინურის ენობრივ ტერიტორიასთან. მაშასადამე, გუთებს უნდა გადაეღოთ ეს სიტყვები სხვა გერმანული ტომების მეშვეობით. ლათინური სიტყვები გერმანულ მოსახლეობაში ვრცელდებოდა განსაკუთრებით დასავლეთიდან, შუა და ქვემო რაინიდან, უფრო ნაკ-

ლებად სამხრეთიდან, დუნაის რაიონიდან და ზემო იტალიიდან. ლათინურის სიტყვიერი მასალის ათვისებასა და გავრცელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტირისა და კოელნის ტერიტორიას, რომელ ვაკრებს გალია-რომის გზით, რომას დაბლობზე გავლით, შემოჰქონდათ პროდუქტები და სხვა საჭირო საქონელი ტირისა და კოელნში. კოელნი სავაჭრო ცენტრი იყო. რაინზე ფართოდ გაიშალა სახელოსნო საქმიანობა. მოზელისა და რაინის რაიონები უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი რომთან და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან, ვიდრე დუნაის რაიონი, რომელიც მარაგდებოდა არა ზემო იტალიიდან ალპებზე გავლით, არამედ ჩრდილო-დასავლეთიდან, რაინიდან. ენათმეცნიერული კვლევისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის კვლევის შედეგები აქ ერთიმეორეს ემთხვევიან.

თუ გადავხედავთ ლათინურიდან ნასესხებ სიტყვებს<sup>1</sup>, შევამჩნევთ, რომ ჰარბობს არსებითი სახელები, უფრო იშვიათად გვხვდება ზედსართავი სახელები და ზმნები.

ვაკრობა, მიწათმოქმედება, მებაღეობა, საბინაო კულტურა, კულინარია რომაელებთან გაცილებით მეტად იყო განვითარებული, ვიდრე გერმანელებთან. ამიტომაც, რომ ბევრი ნასესხები სიტყვა ამ დარგებიდანაა.

ლათ.	ძვ ვაკრობა	ახვ
caupo (მედუქნე)	konfo (მოვაკრე)	kaufen
pondó	pfunt	Pfund
monēta	muniკვა	Münze
saccus	sac	Sack
corbis	korb	Korb
asinus	esil	Esel
mūlus	mūl	Maultier
vinum	wīn	Wein
piper	pfēffar	Pfeffer
plūma	Pflūma	Flaum

<sup>1</sup> იმის დასადგენად, ჰქონდათ თუ არა გერმანელებს ნასესხები ლათინური სიტყვები უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის 400-იან წლებამდე, ვიკვლევთ კერძოდ შემდეგს:

ა) გაიარა თუ არა ამ სიტყვებმა, ნაწილობრივ ან მთლიანად, მეორე ბგერათგადაწევა.

ბ) შეიცვალა თუ არა e ხმოვანი i-თი n+ თანხმოვნის წინ; ლათ. menta, ძვ. minza პიტნა (Pfefferminze);

გ) წარმოითქმის თუ არა ლათინური c თანხმოვანი e, i, ა და-ს წინ როგორც k (ან-ლაუტსა და აუსლაუტში როგორც ch), თუ როგორც z. ლათინურში ჩვ. წელთაღრიცხვის 400 წლამდე ხმოვნებისა და დიფთონგების e, i, ა, და-ს წინ c-ს წარმოთქვამდნენ



მიწათმოქმედება და მებაღეობა

ლათ.	ძბგ	აზგ
secula	sihhila	Sichel
flagellum	flegil	Flegel
caulis	kól	Kohl
radix (ნათ. radicis)	ralih	Rettich
cuminum	kumil	Kümmel
sināpi	sēnef	Senf
própagō	píropfo	pfpופן
(ნერვი)		
cim-) putare	impfón	impfen (Bedeutung pfופן)
calcare	salclura	Keller
calix		
(ნათ. calicis)	kelich	Kelch
(vinum) mustum	most	Most
(მაჭარი)		

ნ ა გ ე ბ ო ბ ა ნ ი

mūrus	múra	Mauer
cellārium	kēllari	Keller
sprīcārium	spihlāri	Speicher
camera	chamara	Kammer
pila	fpilāri	Pfeiler
fenestra	venstar	Fenster
simālus	simij (—stein)	Sims
tēgula	ziagal	Ziegel
scindula	scintula	Schindel
calx (ნათ. calcis)	kalk	Kalk

კ უ ლ ი ნ ა რ ი ა

coquere	kochón	kochen
calinus	keკკil	Kessel
discus	tisc	Tisch
scutella	scუკვილა	Schlüssel

რაინზე და ჩრდილოეთის ზღვის ნაპირებზე მცხოვრებმა გერმანელებმა გადაიღეს რომაელებისაგან ნაოსნობის საქმე და მასთან ერთად ტერმინებიც.

ლათ.	ძბგ	აზგ
ancora	anchar	Anker
catēna	ketina	Kette
rēmus	riomo	Riemen

როგორც k-ს. უფრო გვიან, მე-5—7 საუკუნეებში, ც წარმოითქმოდა როგორც ლათ. cista, გერმ. Kiste — (ყუთი) ნასესხ. ჩე. წელთაღრიცხვის 400 წლამდე. ლათ. cella გერმ. Zelle — უკრელი (ნასესხები უფრო გვიან).

ყოველდღიური მოხმარების საგანთა სახელების შესახებ ადასტურებს შემდეგი სიტყვები:

ლათ.	ძვგ	ახგ
scrinium	scrini	Schrein
cista	kista	Kiste
carrus	karro	Karren
strigilis	strigil	Striegel

შედარებით ნაკლებია ნასესხები სიტყვები სახელმწიფო სამართლისა, მართვა-გამგეობისა და სამხედრო საქმეში.

ლათ.	ძვგ	ახგ
carcerem	karkári	Kerker
pilum	pfil	Pfeil
campus (Schlachtfeld)	champf	Kampf
(via) strāta	strāz (ვ) a	Straße
mīlia	mila	Meile
(passuum)		
(ათასი წყვილი ნაბიჯი)		

ზ ე დ ს ა რ თ ა ე ვ ბ ს ა და ზ მ ნ ე ბ შ ი ნ ა ს ე ს ხ ე ბ ი ა :

ლათ.	ძვგ	ახგ
sēcūrus	sihhur (i)	sicher
plantāre	pflanzōn	pflanzen

ლათინური სიტყვების შესახებ არ ადასტურებს, რომ გერმანელები რომაელებისაგან ყოველთვის სესხულობდნენ მათთვის სრულიად უცნობი საგნების სახელებს. ნაწილობრივ საქმე შეეხებოდა ისეთი საგნების სახელებს, რომლებიც დიდი ხანია ნაცნობი იყო გერმანელებისათვის და რომლებიც მათ ხვდებოდათ მხოლოდ ახალი ფორმით. ნასესხები ახალი გამოთქმები ხშირად აქვევდა ძველ სახელწოდებებს; მაგ., venstar (ფანჯარა) ძველად ouga — tora (დღევანდელი Augentor 'თვალის კარი', შდრ., ინგლისური window Windaug).

#### და ვ ა ლ ე ბ ა 10

დაასახელეთ ლათინურიდან ნასესხები სიტყვები:

- საეპრო საქმიდან.
- მიწათმოქმედებიდან.
- სამშენებლო საქმიანობიდან.
- ყოველდღიური მოხმარების საგნებისა.

#### და ს კ ვ ნ ე ბ ი

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ყალიბდება ცალკეული გერმანიკული ენები. განვასხვავებთ ჩრდილო გერმანიკულს, აღმოსავ-

ლეთ გერმანიკულსა და ენობრივად ძალიან მრავალფეროვან ჯგუფს — დასავლეთ გერმანიკულს.

ჩვენამდე მოაღწიეს ცალკეული გერმანული ენების დამწერლობითმა ძეგლებმა.

დასავლეთ გერმანიკულისაგან განვითარდა გერმანული (Deutsch). გერმანიკული ენების ლექსიკური ფონდი განსხვავდება ინდოევროპულისაგან. ინდოევროპულისაგან მიღებული მრავალი სიტყვა გერმანიკულში შეცვალა სხვა სიტყვებმა.

გერმანიკულის ლექსიკური შემადგენლობა ასახავს იმ კულტურულ წინსვლას, რაც თან მოჰყვა საცხოვრებელ ადგილზე დამკვიდრებას და მიწათმოქმედების განვითარებას.

გერმანიკულის ლექსიკაზე ხანგრძლივ გავლენას ახდენს გერმანელთა ურთიერთობა რომაელებთან. ლათინური სიტყვები, პირველყოფლისა, გერმანიკული ენების ტერიტორიაზე იჭრება შუა და ქვემო რაინზე, ე. ი. დასავლეთიდან. ჩვენი წელთაღრიცხვის 400 წლამდე ლათინური სიტყვები გადმოიღეს, კერძოდ, სავაჭრო საქმიანობაში, მიწათმოქმედებაში, სამშენებლო საქმეში, ნაოსნობაში, კულისარიაში, სახელმწიფოს, სამართლის, მართვა-გამგეობისა და სამხედრო საქმის დარგებში. გერმანიკულ ენებში შედის აგრეთვე საყოველღეო მოხმარების საგანთა ახალი ან უკვე არსებულისაგან განსხვავებული სახელები.

#### საკონტროლო კითხვები

1. რა ჯგუფებად ეყოფთ გერმანელებს? დაასახელეთ ცალკეული გერმანული ენები!
2. დაახსიათეთ ლათინურის გავლენა გერმანიკულის ლექსიკაზე. განსაკუთრებით შეეხეთ მიზეზებს. დაასახელეთ ნასესხები სიტყვები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგიდან!

### IV. გერმანული ენის (DEUTSCH) წარმოშობა

მე-6 საუკუნის დასაწყისში დღევანდელ გერმანიაში ელბის დასავლეთით, ნიდერლანდიაში და შვეიცარიის ერთ ნაწილში დამკვიდრდნენ დასავლეთ გერმანელთა ტომები: ბავარები, ალემანები, ტიურინგები, ფრანკები, საქსები, ფრიზები. თავდაპირველად ეს ტომები არ იყვნენ ენობრივად ერთიანი ჯგუფები, დიდ კავშირებში, რომლებიც წარმოიშვნენ მცირე ტომთა გაერთიანების შედეგად, დროთა განმავლობაში მოხდა ენობრივი დაახლოება. ეს ტომები ერთიმეორესთან დაკავშირებულნი იყვნენ მრავალმხრივი საქმიანობით: ამგვარად, დროთა განმავლობაში მათ შორის განვითარდა მრავალმხრივი კულტურული ურთიერთობა; განსაზღვრულ ფარგლებში დამყარდა კულტურული ერთიანობაც, რაც ცხადად აისახა ენაშიც.

დასავლეთ გერმანელთა შიგნით ანგლო-ფრიზების ჯგუფისაგან ცალ-

კე გამოვყოფთ ამ ერთიანობას როგორც გერმანულ (დოიჩ-ლანდურ) ჯგუფს; იმის შემდეგ, რაც გადავხედეთ გერმანული (დოიჩლანდური) ენის ისტორიამდელ პერიოდს, განვიხილოთ თვით გერმანული (დოიჩლანდური) ენის ისტორია.

გამოვყოფთ შემდეგ პერიოდებს<sup>1</sup>:

მწერლობის წინა პერიოდი (მე-5-დან მე-8 საუკუნემდე), ძველი ზემოგერმანული პერიოდი (მე-8-დან მე-11 საუკუნემდე), საშუალო ზემოგერმანული პერიოდი (მე-11-დან მე-14 საუკუნემდე), ადრეული ახალი ზემოგერმანული პერიოდი (მე-14-დან მე-17 საუკუნემდე), ახალი ზემოგერმანული პერიოდი (მე-17 საუკ. დღემდე).

ეს პერიოდიზაცია არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეულ ეპოქებს შორის ცხადად ხელშესახები მკვეთრი საზღვარია. ენა ვითარდება არა ნახტომებით, არამედ თანდათანობითი გადასვლებით. მიუხედავად ამისა, მუდამ ყურადღება უნდა ექცეოდეს იმას, რომ ენის განვითარება არ ყოფილა ყოველთვის ერთნაირი და თანაბარი.

### 1. მეორე ანუ ზემოგერმანული ბგერათგადაწევა

ჩვენი წელთაღრიცხვის 500 წლისათვის სამხრეთიდან, ალბათ, ალემანურიდან, დაიწყო ბგერათგადაწევა, რომელიც ნიშანდობლივი გახდა გერმანული ენის ტერიტორიული დაყოფისათვის, რადგანაც გერმანული ენის ტერიტორიაზე იგი არ მომხდარა ყველგან ერთნაირად და სრულად. მეორე ბგერათგადაწევა შეეხო კვლავ ხშირ ბგერებს.

გერმანული ყრუ ხშული ბგერების P, t, k<sup>2</sup>  
გადაწევა

სიტყვის ანლაუტში, l, r, m, n-სა და დაწყვილებული თანხმოვნების მომდევნო პოზიციაში გერმანული ყრუ ხშულები p, t, k იქცნენ სპირანტიოდულ აფრიკატებად: pf, z, kch (იწერება ch).

<sup>1</sup> გერმანული ენის ისტორიის პერიოდიზაციისათვის გამოქვეყნებული ტერმინები: ძველი ზემოგერმანული (althochdeutsch), საშუალო ზემოგერმანული (mittelhochdeutsch) და ახალი ზემოგერმანული (neuhochdeutsch) ხმარება არ უნდა გავიგოთ ისე, თათქოს ქვემოგერმანულს (Niederdeutsch არაერთი გავლენა არ მოუხდენია ეროვნული ენის განვითარებაზე.

<sup>2</sup> რადგან ჩვენ არა გვაქვს მეორე ბგერათგადაწევის მოქმედების დროინდელი (ის, გარდა კოელნის კულტურული სფეროსი, არსებითად შეწყდა 800-იანი წლებისათვის) დასაქვლეთგერმანიულის დამწერლობითი ძეგლები გერმანულ (დოიჩლანდურ) ენაზე, ამიტომ მისი (ამ ბგერათგადაწევის) შედეგების ნათელსაყოფად იძლეებული ვართ გამოვიდეთ გუთურის, ინგლისურისა და ძველი საქსურის ფაქტებიდან, რომელთა ბგერითი შემაღვენლობა ამ ბგერათგადაწევის გამო არ შეცვლილა.

<u>p &gt; pf</u>	გუთ. pund	ძზგ	pfunt	აზგ	Pfund
	გუთ. hilpan	ძზგ	hēlphan		helfen
	ძსაქს. appel	ძზგ	apful		Apfel
<u>t &gt; z</u>	გუთ. tiuhan	ძზგ	ziehan		ziehen
	ძსაქს. swart	ძზგ	swarz		schwarz
	ძსაქს. holt	ძზგ	holz		Holz
	ძსაქს. sittian	ძზგ	sezzen		setzen
<u>k &gt; keh(ch)</u>	გუთ. kaurn	ძსაძზგ.	chorn		Korn
	ძსაქს. wekkian	ძზგ	wecchau		wecken

ხმოვნებს შუა და სიტყვის აუსლაუტში ხმოვნების შემდეგ გერმანული ყრუ ხშული თანხმოვნები p, t, k იქცევიან ყრუ სპირანტებად: f (ff), ვ, (ვვ წარმოითქმის როგორც გერმ. s), hh (ხშირად იწერება ch):

<u>p &gt; f (ff)</u>	ძსაქ.	slāpan	ძზგ	slāfan	აზვ	schlafen
	ძსაქ.	skip	ძზვ	skif		Schiff
<u>t &gt; ვ(ვვ)</u>	ძსაქ.	ētan	ძზგ	ēvvan		essen
	ძსაქ.	fōt	ძზგ	fuov		Fuß
<u>k &gt; hh (ch)</u>	ძსაქ.	makon	ძზგ	malihōn		machen
	ძსაქ.	ik	ძზგ	ih		ich

### ც ხ რ ი ლ ი

	ბაგისმიერი	ზემოგერმანული	
		სიტყვის ანლაუტში <sup>1</sup>	სიტყვის აუსლაუტში ხმოვნების შემდეგ <sup>2</sup>
	p, t, k	pf, z, ch	f, v, ch
ბაგისმიერი ბგერები	გუთ. pund ძსაქს. skip	ძზგ pfunt	ძზგ skif
კპლისმიერი ბგერები	გუთ. tiuhan ძსაქ. fōt	ძზგ ziehan	ძზგ fuov
სასის, resp. ხორხისმიერი ბგერები	გუთ. kaurn ძსაქ. ik	ძსვ chorn	ძზგ ih

<sup>1</sup> აგრეთვე l, r, m, n-სა და დაწყვილებულ თანხმოვნებს მომდევნო პოზიციაში.

<sup>2</sup> აგრეთვე ხმოვანთა შუა; შემდგომ აღნიშნება უმეტესად დაწყვილებული სპირანტებით (ff, ვვ, hh).

გერმანიკული მჟღერი სპირანტების **b, d, g**-ს ვადაწევა მჟღერ ხშულებად, ხოლო შემდეგ ყრუ ხშულებად **p, t, k**.

ეს პროცესი მიმდინარეობდა ცალკეულ დიალექტებში სხვადასხვაგვარად და ძალიან გართულებულია.

### ნ ი მ უ შ ე ბ ი :

ძსაქ.	dag	ძზგ	lac	აზგ	Tag
გუთ.	giban	ბაიარ.	kāpan	აზგ	geben

როგორც წესი, შემორჩა მხოლოდ **d**-ს გადაწევა **t**-დ. გერმანიკული მჟღერი სპირანტების მჟღერ ხშულებებში **b, g**-ში გადასვლა და შემდეგ ზემოგერმანულის ყრუ ხშულებად **p, t**-დ გადაქცევა ძალიან არათანაბრად მიმდინარეობდა და უფრო გვიან გათანაბრების (ანალოგიის) შედეგად მოიშალა.

გერმანიკული ყრუ სპირანტებიდან **f, th, h**, როგორც წესი, **d**-ში გადავიდა მხოლოდ **th**. ეს გადაწევა მოხდა ქვემო გერმანულშიც; ამდენად იგი ზუსტი გაგებით არ წარმოადგენს მხოლოდ **ზემოგერმანულ** ბგერათგადაწევას.

### ნ ი მ უ შ ე ბ ი :

ინგლ.	brother	ძზგ	brouder	აზგ	bruder
ინგლ.	three	ძზგ	dri	აზგ	drei

მეორე ბგერათგადაწევის გავრცელებისა და მოქმედების ძალა დამოკიდებული იყო მრავალგვარ პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებაზე. იგი მარაოს მსგავსად გავრცელდა გერმანული ენის სამხრეთ და შუა რაიონებში. მისი გავრცელების საბოლოო შედეგი იყო გერმანულის ტერიტორიაზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გავლებული ხაზი, რის გამოც ენა ორ ნაწილად გაიყო.


ეს ხაზი დღეს მოდის აახენიდან დიუსელდორფზე, ელბერფელდზე, კასელზე, აბერსლენზე და მაგდენბურგზე გავლით — ოდერის ფრანკ-ფურტამდე. ამ ხაზის ჩრდილოეთით ლაპარაკობენ ქვემოგერმანულზე, ხოლო სამხრეთით — ზემოგერმანულზე (Ik/Jch ხაზი).

მეორე ბგერათგადაწევა ზემოგერმანულის ტერიტორიაზეც ყველგან თანაბრად როდი გავრცელებულია. იგი მთლიანად მოქმედი იყო მხოლოდ სამხრეთში. ჩრდილოეთში კი, რაც უფრო შორს წავიდა, მით უფრო შესუსტდა მისი ძალა, მით უფრო გახშირდა გამოწევისი. ზემო გერმანულის იმ ტერიტორიას, რომელსაც მეორე ბგერათგადაწევა მხოლოდ ნაწილობრივ შეეხო, ვუწოდებთ შუაგერმანულს სამ-

სამხრეთგერმანული საგან გასწვავებით (appel/apfel—ხაზი). ბგერათგადაწვეის სხვადასხვაგვარი მოქმედების შედეგად ცალკეულ ენობრივ ტერიტორიაზე გავრცელდა სხვადასხვა პროვინციაში უკვე აქამდე არსებული ენობრივი თავისებურებანი. ამ დროიდან ისინი გაფორმდნენ როგორც გარკვეული დიალექტები. ეს დიალექტები დროთა განმავლობაში თანდათანობით იცვლებოდნენ და ახალ დიალექტებს ქმნიდნენ.

გერმანული ენის ძირითადი დაყოფა დიალექტებად გამოიწვია ზემოგერმანულის ბგერათგადაწვევამ. მეორე ბგერათგადაწვევა არის არაერთიანი პროცესის შედეგი, არამედ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცვლილებათა იმ ძალიან რთული პროცესების ნაყოფია, რომელშიც გარკვეული როლი შეასრულეს საეკლესიო და ურთიერთობის საზღვრებმაც.

### გერმანული



თარიღების დასადგენად მივმართავთ არაპირდაპირ საშუალებებს, რადგან არა გვაქვს იმდროინდელი დამწერლობითი ძეგლები.

სხვა ფაქტებს შორის ერთ-ერთ გამოსავალს წარმოადგენს პუნთა მეფის ატილას (Attila) სახელი. ეს სახელი დასავლეთ გერმანელებს უნდა ეხმარათ მეორე ბგერათგადაწვევამდე, რადგან ის ემორჩილება მეორე ბგერათგადაწვევის კანონებს. საშუალო ზემოგერმანულში ამბობენ Etzel. ატილა მოკვდა 453 წელს; მამასადამე. საეკვოა. რომ tt-ს გადაწვევა tz-დ მომხდარიყო მე-5 საუკუნის შუა წლებზე ადრე.

მეორე ამოსავალს წარმოადგენს დაბალი სასულიერო პირის სახელწოდება, რომელიც ბერძნულიდან გუთურის მეშვეობით შემოსულა გერმანულში:

ბერძნ. papàs — ძზე pfaffo (სასულიერო პირი).

მე-5 საუკუნის შუა წლებამდე გუთური ეკლესია არ ახდენდა გავ-

ლენას, ამიტომ ძნელია ყრუ ხშული ბგერის p-ს გადაწევა მე-5 საუკუნის შუა წლებზე ადრეულად მივიჩნით.

რამდენამდე სარწმუნო ჩანს, რომ ალემანურ გარემოში ბგერათგადაწევა დაიწყო დაახლოებით მე-5 საუკუნის ბოლოს და მე-6 საუკუნის დასაწყისში. მე-6 საუკუნეში ის გავლენას ახდენს სამხრეთგერმანულის სხვა რაიონებზე. 800-იან წლებში ბგერათგადაწევა არსებითად დამთავრებულია. ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებული პოლიტიკური და კულტურული ვითარების შედეგად, იგი უფრო გვიან განხორციელდა; მაგ. კოელნის კულტურის ტერიტორიაზე ბგერათგადაწევა დაიწყო 1200-იან წლებში და მოქმედებდა 1500-იან წლებამდე.

### დასკვნები

მე-5 საუკუნის ბოლოსა და მე-6 საუკუნეში არსებითად ხდება გერმანული ენის სამყაროს დღევანდელ დიალექტებად დაყოფა. აქ სახლდებიან დასავლეთ გერმანულთა ტომები: ბავარიელები, ალემანები, ტიურინგები, ფრანკები, საქსები, ფრიზები.

500-იან წლებში, ალბათ ალემანთა ტერიტორიიდან, დაიწყო მეორე ანუ ზემოგერმანული ბგერათგადაწევა. იგი მოქმედებდა 500-იანი წლებიდან 800-იან წლებამდე, ცალკე შემთხვევებში კი 1500 წლამდე, როგორც რთული პროცესი. მისი საბოლოო შედეგი იყო გერმანულის დაწვევება ერთმანეთისაგან გამიჯნულ დიალექტებად.

ზემოგერმანულმა ბგერათგადაწევამ შეცვალა გერმანული ყრუ ხშული თანხმოვნები სიტყვაში — პოზიციისა და ბგერათმეზობლობის კვალობაზე აფრიკატებად ან ყრუ სპირანტებად.

### დავალება 11

ა) შავი შრიფტით დაბეჭდილი თანხმოვნების მიხედვით გაარკვიეთ მეორე ბგერათგადაწევის პროცესი.

ინგლ.	ძვ	ახვ
path	pfad	Pfad
pan	pfanna	Pfanne
deep	liof	tief
ten	zēhan	zehn
peap	hūfo	Haufe
pillar	plilāri	Pfeiler
pit	pluzzi	Pfütze
white	wiz	weiß
net	nezzi	Netz
king	chuning	König
lap	zapho	Zaphen



ინგლ.	ზღ	აზგ
cake	Chnohlo	Kuchen
hot	heiz	heiß
twig	zwig	Zweig
deal	teil	Teil
week	wohla	Woche
what	waz	was
hate	haz (ნათ. hazyes)	Hinß
plant	pflanza	Pflanze
broad	breit	breit
tide	zit	Zeit
shp	skif	Schiff
reindy	reiti	bereit
death	löd	Tod
sweat	sweiz	Schweiß
token	zeihhan	Zeichen
drop	tropfo	Tropfen

ბ) პილდებრანდის სიმღერა შეიცავს ზემო- და ქვემოგერმანულის ენობრივ ფორმებს. ახალ ზემოგერმანულზე თარგმნის საშუალებით დაადგინეთ 5 სიტყვა, რომლებიც არ ადასტურებენ მეორე ბგერათგადაწევის ბგერათცვლილებებს.

გ) განმარტეთ ცნებები: neuhochdeutsch (ახალი ზემოგერმანული), oberdeutsch (სამხრეთგერმანული), mittelhochdeutsch (საშუალო ზემოგერმანული), mitteldeutsch (შუაგერმანული), hochdeutsch (ზემოგერმანული), althochdeutsch (ძველი ზემოგერმანული), niederdeutsch (ქვემოგერმანული).

## 2. ძველი ზემოგერმანულის თავისებურებანი

მე-8-დან მე-11 საუკუნემდე კვლავ იცვლებოდა გერმანული ენობრივი სამყაროს საზღვრები. ათასიან წლებში გერმანული ენის სამყაროს დასავლეთით, დასავლეთ ფრანკების რომანიზაციის შემდეგ, შეიქმნა მტკიცე ენობრივი საზღვარი. IX საუკუნის შემდეგ აგრეთვე საბოლოო რომანიზაცია განიცადეს ლანგობარდებმა, რომლებმაც VI საუკუნეში დაიპყრეს იტალიის დიდი ნაწილი და მონაწილეობა მიიღეს მეორე ბგერათგადაწევაში. სამაგიეროდ რეტორომანების გაგერმანელების შედეგად გაფართოვდა გერმანულთა ენობრივი ტერიტორია აღმოსავლეთსა და სამხრეთში დღევანდელი შვეიცარიისა და ტიროლიის ტერიტორიაზე. სამხრეთგერმანულის საფუძველზე, ჯერ კიდევ კაროლინგების ეპოქაში, ბავარიული გავრცელდა აღმოსავლეთისაკენ, აღმოსავლეთის მარკის — ავსტრიის დაარსების გამო. შუაგერმანულის ენობრივი ტერიტორია ძლიერ გაფართოვდა სლავების წინააღმდეგ ბრძოლებში. გერმანულთა ტომების ერთ სახელმწიფოში გაერთიანებამ არსებითად ხელი შეუწყო მათში ერთმანეთისადმი მაქლობლობის გრძნობის გაძლიერებას. თავისი ენობრივი გამოხატულება ამ დაახლოებამ პირველად ჰპოვა აგრეთვე სიტყვაში „deutsch“ (გერმანული, გერმანული).

deutsch ძუგ diutih წარმოდგება ძუგ სიტყვისაგან — diot — ხალხი. სიტყვა diutisc, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავდა — ლათინური და რომანული ენების საპირისპიროდ — მხოლოდ გერმანული ტომების ენას.

ათასიანი წლებისათვის იგი საერთოდ ამ აზრით იხმარებოდა. IX საუკუნიდან (diutisc აღნიშნავს ხალხსაც და ქვეყანასაც. 1100 წლის ძეგლში (Annolied) უკვე მრავალგზის იხმარება diutschin liute, diutschiu lant (გერმანელი ხალხი, გერმანელთა ქვეყნები). რთული სიტყვა Deutschland (გერმანელთა ქვეყანა) პირველად ჩნდება XV საუკუნეში, ხოლო XVI საუკუნეში იგი ყველგან იმარჯვებს.

VIII—XI საუკუნეების სამხრეთგერმანულსა (oberdeutsch) და შუაგერმანულს (mitteldeutsch) ვაერთიანებთ ერთი სახელწოდებით: ძველი ზემოგერმანული (althochdeutsch). ამ დროიდან გვაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი. მაგრამ ისინი ვერ გვაძლევენ ზუსტ სურათს იმდროინდელი სალაპარაკო ენის ბგერების შესახებ. ლათინური ანბანის ნიშნები (ასოები). რომელთა ბგეროვნებაც გარკვევით იყო ცნობილი, ნამდვილი გერმანული ბგერების გადმოსაცემად, კერძოდ სპირანტებისათვის, არასრულფასოვანი ან სრულიად გამოუსადეგარი იყო. მაშინდელი სალაპარაკო ენის ლექსიკის სურათიც უაღრესად ნაკლოვანია<sup>1</sup>.

დამწერლობითი ძეგლები შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ ძველი ზემოგერმანულის შემდეგი თავისებურებანი:

ა) ძველ ზემოგერმანულში, უპირველეს ყოვლისა, ჭერ კიდევ დასტურდება სრულბგეროვანი დაბოლოებები:

bluoma — Blume	muodi — müde
trahito — Drach	brinnan — brennen
hanaf — Hanf	ladön — einladen
bñsi — böse	rifèn — reif werden
gëlo — gelb	
(ნათ. gëlwes).	

<sup>1</sup> ძველ ზემოგერმანულს წერლობით ძეგლებში მოჩანს დიალექტური განსხვავება და არაერთიანი მართლწერა. ცალკეულ ენობრივ გარემოში, მონასტრებში, კანცელარებში, სკოლებში ვითარდებოდა სხვადასხვაგვარი დამწერლობა. სამწერლო დიალექტები, რომლებიც თუმცა სამეტყველო დიალექტების წარმოთქმას მიჰყვებოდნენ, მაგრამ სრულიად არ წარმოადგენდნენ მათ სწორ გადმოცემას. ამას ერთვოდა ისიც, რომ გადამწერნი, რომელნიც სხვა ადგილას, სხვა მონასტერში გადადოდადნენ. ერთგული რწივბოდნენ წერის თავისი ტრადიციებისა. რაც ხშირად ნაკლებ შეესაბამებოდა ახალი ადგილსამყოფელის დიალექტს წარმოთქმას. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ დიალექტობრივი თავისებურებანი ძუგ ტექსტისა მხოლოდ ნაწილობრივ, ზოგჯერ კი სრულიად არ შეესაბამება იმ ადგილის დიალექტის წარმოთქმას, სადაც ტექსტია ჩაწერილი. ამიტომ ძუგ პერიოდის სალაპარაკო ენის შესახებ ჩვენ ნათელი წარმოდგენა არა გვაქვს. მასი მხოლოდ გამოკლეუვა შეგვიძლია.

მონახეთ „ჰილდებრანდის სიმღერასა“ (Hildebrandlied) და „მერზებურგის შელოცვებში“ (Mesreburger Zaubersprüche) უღლებისა და ბრუნების ფორმების სრულბგეროვანი დაბოლოებები!

XI საუკუნეში აუსლაუტის კანონის მიხედვით იწყება ხმოვნის შესუსტება უკანასკნელ მარცვალში და მისი გადასვლა უმახვილო e-ში. ეს პროცესი დასრულდა 1100-იან წლებში.

ბ) თუ ფუძისეულ მარცვალს მოსდევს i ან j, მაშინ ფუძისეული მარცვლის a ხშირად გადადის e-ში (i=უმლაუტი)<sup>1</sup>.

gast — gesti (Gast — Gäste)  
lang — lengiro (lang — länger)

u, o, ou, (au), uo ფუძისეული ხმოვნების უმლაუტობა დიდი რაოდენობით იწყება საშუალო ზემოგერმანულში.

ქველ ზემოგერმანულ ნაწერებში u-ს უმლაუტობა ჯერ კიდევ არ მოჩანს, ყველა ქველში. უმლაუტი გავრცელდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მაშასადამე, მეორე ბგერათგადაწევის საპირისპირო მიმართულებით. მისი დასაწყისი შთლიანად ეკუთვნის ლიტერატურამდელ პერიოდს. ის ყველგან ერთნაირად არ ვატარებულა. ბავარიული დღესაც ინარჩუნებს უმლაუტო ფორმებს; მაგ. Innsbruck, Rucksack, მაგრამ: Brücke, Rücken.

ძველი ზემოგერმანული სლექსიკა განუწყვეტლივ მდიდრდებოდა საეკლესიო ლათინურიდან მრავალრიცხოვანი სესხების შედეგად. ამის მიზეზი იყო მთელი გერმანული სამყაროს გაქრისტიანება და გერმანული ენის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით სამხრეთში, სამონასტრო კულტურის განვითარება.

V—VI საუკუნეების განმავლობაში ნასესხებ სიტყვებს ბგერათგადაწევა შეეხო, მაგრამ ძველ ზემოგერმანულ პერიოდში გერმანულში შესულთ ბგერათგადაწევა არ შეხებია. ძველი ზემოგერმანულის ეპოქის ნასესხები სიტყვები შეადგენს უმთავრესად სამონასტრო ცხოვრების, სასკოლო, დამწერლობის, მეხილეობის, მებაღეობის, კულინარიისა და მკურნალობის ტერმინებს. ნასესხები სიტყვების უმრავლესობა არსებითი სახელებია.

ნ ი მ უ შ ე ბ ი: tēmpal — Tempel, abbat — Abt, probst — Propst, nunna — Nonne, pilgrim — Pilger, predigōn — predigen, spēntōn — spenden; scuola — Schule, tincta — Tinte, tavola — Tafel, pergamin — Pergament, briaif — Brief, scriban — schreiben; lilja — Lilie, rōsa — Rose, petersilia — Petersilie, lattūh — Lattich, ibisca — Eibisch, salbeia — Salbei; brezitella — Brezel, erzāt — Arzt.

<sup>1</sup> სიტყვა უმლაუტი (Umlaut) პირველად იხმარა კლოპშტოკმა. შემდეგ იგი ვადლო იაკობ გრიმმა; მასში ესმით ხმოვნის ბგეროვნების შეცვლა მომდევნო მარცვლის i — ხმოვნის გავლენით.

## დასკვნები

სიტყვა *diutisc* იმავეთვე ლათინურისა და რომანული ენის საპირისპიროდ აღნიშნავდა გერმანელი ტომების ენას. უფრო გვიან იგი იქცა ყველა გერმანული დიალექტისა და გერმანელი ხალხის საერთო სახელად.

მრავალრიცხოვან ლიტერატურულ ძეგლებში ვეცნობით ძველი ზემოგერმანულის ბგერით შემადგენლობასა და ლექსიკას. ძველი ზემოგერმანულის მნიშვნელოვანი თავისებურებაა სრულბგეროვანი ბოლო მარცვალი, რომელიც თანდათან სუსტდებოდა, და ახალდაწყებული უმლაუტი — *a*-ს გადასვლა *e*-ში.

## საერთო დასკვნები

ენათმეცნიერების მიერ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის განვითარების შედეგად გერმანული (*Deutsch*) ენა აღიარებულია გერმანიკულ ენათა ჯგუფის წევრად, ხოლო ეს უკანასკნელი (გერმანიკული ენები) ინდოევროპულ ენათა ოჯახის შტოდ.

ინდოევროპულ ენათა ოჯახს სხვებს შორის ეკუთვნის ევროპაში: ბერძნული ენა, რომანული ენები [კელტური ენები], სლავური ენები, [ბალტური] და გერმანიკული ენები; აზიაში ინდური, ირანული და სომხური ენები.

მეცნიერების მიერ რეკონსტრუირებული ინდოევროპული არის ძვ. წ. მე-3 ათასეული წლების მაღალგანვითარებული ენა.

ინდოევროპული ტომები პირველყოფილი გლეხური საზოგადოების წარმომადგენლებია. დროთა განმავლობაში ისინი ერთმანეთს დასცილდნენ და განავითარეს დამოუკიდებელი ენები.

გერმანიკული ენა განხილულ უნდა იქნეს როგორც დამოუკიდებელი ინდოევროპული ენა, რომელიც არსებობდა ძველი წელთაღრიცხვის არა უგვიანეს 500-იანი წლებისა. მის მთავარ თავისებურებებს, ინდოევროპულისაგან განსხვავებით, წარმოადგენს: სიტყვის მახვილის დამკვიდრება პირველ მარცვალზე, ხშული ბგერების ღრმა ცვლილება პირველი ანუ გერმანული ბგერათგადაწყვეის გამო, ცვლილებანი უღლების სისტემაში.

ახ. წელთაღრიცხვით 300 წლისათვის გერმანიკულში დიალექტობრივი განსხვავება იმდენად გაღრმავდა, რომ იძულებული ვართ ვილაპარაკოთ 'ცალკეულ გერმანიკულ ენებზე'.

გერმანიკული ლექსიკის გამდიდრებასა და დიფერენცირებაში ასახულია ის კულტურული პროგრესი, რომელიც გერმანელებს მოუტანა დაბინადრებამ და მიწათმოქმედებამ.

გერმანიკულის ლექსიკაზე ხანგრძლივი გავლენა მოახდინა ურთი-

ერთობამ რომაელებთან და მათ მალალ კულტურასთან. ბევრი სიტყვა იქნა ნასესხები სავაჭრო საქმიანობის, მიწათმოქმედების, მშენებლობის, საზღვაო საქმის, სახელმწიფოს, სამართლისა და მართვა-გამგეობის დარგებიდან ახ. წელთაღრიცხვის 400-იან წლებამდე.

ხალხთა გადასახლების ეპოქაში გერმანელი ტომები დასახლდნენ ახალ ადგილებზე. დასავლეთ გერმანელთა უმნიშვნელოვანესი ტომების — ზაგარების, ალემანების, ფრანკების, ტიურინგების, საქსებისა და ფრიზების დასახლების რაიონში მეხუთე საუკუნის გასულიდან განვითარდა გერმანული ენა.

მეორე ანუ ზემოგერმანული ბგერათგადაწევა დაიწყო ალემანურში, ჩვენი დროის, ალბათ 500-იან წლებში. 800-იანი წლებისათვის იგი ააჩვენ დიუსელდორფ-კასელ-მაგდებურგ-ოდერის ფრანკფურტის ხაზზე შესუსტდა და არსებითად შეწყდა, მაგრამ ზოგიერთ მხარეში მოქმედებდა 1500 წლამდე. მან გააღრმავა დიალექტობრივი განსხვავება და ხელი შეუწყო გერმანული ენის მკვეთრ ტერიტორიულ დაქუცმაცებას.

ზემოგერმანულმა ბგერათგადაწევამ, უწინარეს ყოვლისა. შეცვალა გერმანულის ყრუ ხშული თანხმოვნები სიტყვაში, პოზიციისა და გარემოს მიხედვით, სპირანტიდებით ან ყრუ სპირანტი ბგერებით.

გერმანული ენის შემდგომ განვითარებას ყოფენ შემდეგ პერიოდებად: ძველი ზემოგერმანული (althochdeutsch, მე-8—მე-11 საუკუნეები). საშუალო ზემოგერმანული (mittelhochdeutsch, მე-11—მე-14 საუკუნეები), ადრეული ახალი ზემოგერმანული (frühhochdeutsch, მე-14-მე-17 საუკუნეები) და ახალი ზემოგერმანული (neuhochdeutsch, მე-17 საუკუნიდან დღემდე).

750-იანი წლებიდან გვაქვს დამწერლობითი ძეგლები. სიტყვა „deutsch“ დროთა განმავლობაში იქცა გერმანული დიალექტების, ხალხისა და ქვეყნის აღმნიშვნელ სიტყვად.

ძველი ზემოგერმანულის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისებაა ბოლო მარცვლის სრული ბგეროვნება, რომელიც თანდათან სუსტდება, და a-ს e-დ გადახმოვანების (უმლაუტის) დაწყება ფუძისეული მარცვლის მომდევნო i-ს ან j-ის წინ.

#### საკონტროლო კითხვები და დავალებები

1. დადასტურეთ მაგალითებით გერმანიკული ენის თავისებურებანი ინდოევროპულთან შედარებით!
2. შეადარეთ სიტყვის მახვილის ადგილი ინდოევროპულსა და გერმანიკულში: დაასაბუთეთ გერმანიკული ფუძოაეული მახვილ-ის დამოკიდებულება ალტერაციასთან და აუსლაუტის კანონთან!
3. მოყვანილ სიტყვათა შედარებით დაახასიათეთ გერმანიკული ბგერათგადაწევის პროცესი და შედეგი.

ლათ.	duo (Duet)	ინგ.	two	აზგ.	zwei
ლათ.	octo (Oktoher)	გუთ.	acht		acht
ლათ.	lagus	ძსაქ.	buche		Buche
ლათ.	piscis	ინგ.	fish		Fisch
ლათ.	lenuis	ინგ.	thin		dünn
რუს.	дуплет	ანგსაქ.	pol		Pfuhl

4. რა თავისებურებებს ამჟღავნებს გერმანიკული ელლუბის სისტემა?

5. დაალაგეთ ლათინურიდან წასესხები მოცემული სიტყვები დარგების მიხედვით!  
რა განსაზღვრული ფაქტორი არსებობდა სიტყვის სექსუალიზაციას?

საშ. ლათ.	აზგ
mūrus	— Mauer
spēglum	— Spiegel
mortārium	— Mörtel
emplastrum	— Pflaster
monachus	— Mönch
baccinum	— Becken
ficus	— Feige
ampulla	— Ampel
fēria	— Feier
stupula	— Stoppel
maior (domus)	— Meier
pirum	— Birne
prūnum	— Pflaume
fenestra	— Fenster
furca	— Forke
pactum	— Pacht
postis	— Pfosten
magister	— Meister
scamillus	— Schemel
tēgula	— Ziegel
custor	— Küster
clausa	— Klausen
satinus	— Kessel
acētum	— Essig
camera	— Kammer
claustrum	— Kloster

6. დაასახელეთ დასავლეთგერმანული უმნიშვნელოვანესი ტომები, რომელთა დასახლების ადგილზე განვითარდა გერმანული (დოიჩლანდური) ენა!

7. რა პერიოდებად ყოფთ გერმანული ენის შემდგომ განვითარებას?

8. დაასახელეთ მნიშვნელოვანი გერმანული დიალექტები მეორე ბგერათგადაწევის შემდეგ!

9. დაასახელეთ ძველი ზემოგერმანულის თავისებურებანი!

10. გადათარგმნეთ ზემოგერმანულად ქვემოგერმანული ეპოსის „Reinke de Vos“-ის მოცემული ადგილი და ქვემოგერმანულის დამაასახლებელი სიტყვათფორმების შედარების გზით ზემოგერმანულთან გვიჩვენეთ მეორე ბგერათგადაწევის პროცესები.

It geschach up einen pinxtedach,  
 dat men de wolde unde velde sach  
 grone stân mit lóf unde gras,  
 unde mannich vogel vrolich was  
 mit sange, in hagen unde up bomen;  
 de krude sproten unde de blomen,  
 de wol roken hir unde dar;  
 de dach was schone, dat weder klâr.

Nobel, de konnink van allen deren,  
 hêlt hof unde lêt den útkreieren  
 sin lant dorch overal.

Dar quemen vele heren mit grotem schal;  
 ok quemen to hove vele stolter gesellen,  
 de men nicht alle konde tellen;

Lutke de krôn, unde Markwart de hegger;  
 ja, desse weren dar alder degger

— wente de konnink mit sinen heren  
 mênde to holden hof mit eren,

mit vrouden unde mit grotem love  
 unde hadde verbodet dar to hove  
 alle de dere, grôt unde kleine —

sunder Reinke den vos alleine;  
 he hadde in den hof so vele misdân,  
 dat he dar nicht en dorste komen noch gân.

pinxtedach	— Pfingsttag
wolt, მრავლ. wolde	— Wald
krude	— Kräuter
roken	— duften
útkreieren	— ausrufen

<sup>1</sup> „Reinke de Vos“ არის ქვემოგერმანელის სახელგანთქმული ცხოველთა ეპოსი. მე-13 საუკუნის შუა წლებში ნიდერლანდიაში შეიქმნა ცხოველთა ეპოსი „Van den vos Beinaerd“, რომელიც შემდეგ ფართოდ გავრცელდა. 1498 წ. იგი საშუალო ქვემოგერმანულ რედაქციით დაიბეჭდა ლიუბეკში და დიდი პოპულარობა მოიპოვა. მე-15 საუკუნის ბიურგერობა ცხოველთა ფაბულაში ხედავდა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების სატირიკულად წარმოდგენის მოხერხებულ შესაძლებლობას. „Reinke de Vos“ მიმართული იყო მთავართა სასახლეების, დიდებულებისა და სასულიერო წოდების ნაკლევანებათა წინააღმდეგ. ცხოველთა ეპოსი ითარგმნა მრავალ ენაზე, ის ზე-მოგერმანულ ენაზე დაამუშავა გოტშედა. ამ პროზაულ დამუშავებას დაემყარა გოეთეს „Reineke Fuchs“.

krón	— Kranich
alder degger	— gänzlich. völlig
wente	— denn. weil. bis
niénde	— nicinte
dere	— Tiere
sunder	— außer
misdón	— frevein
dorste	— wagle

## V. საშუალო ზემოგერმანულის ჩამოყალიბება

მე-12—13 საუკუნეებში გერმანული ენა მნიშვნელოვნად გაფართოვდა აღმოსავლეთისაკენ. უმთავრესად სლავებით დასახლებული ადგილები ელბასა და ოდერს შუა და ვრცელი ადგილები ოდერის აღმოსავლეთით. მოექცნენ გერმანული ფეოდალებისა და ეკლესიის ბატონობის ქვეშ. მრავალი სოფლიდან გააძევეს სლავი გლეხები და გერმანული გლეხები დაასახლეს.

ახალმოპოვებული ადგილები ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში მოექცა ქვემოგერმანულის ენობრივ გარემოში, ხოლო აღმოსავლეთისა — შუაგერმანულის გარემოში. სამხრეთ-აღმოსავლეთში დამკვიდრდა ბავარიული.

ფეოდალიზმის განვითარებისა და რაინდობის აყვავების პერიოდში ფ რ ა ნ კ თ ა და შ ტ ა უ ფ ე ნ თ ა სამეფოების ზონაში შუა და ქვემო რაინზე, უფრო კი სამხრეთ და შუა გერმანიაში გაიშალა მდიდარი კულტურული ცხოვრება. გერმანული კულტურის ამ აყვავების პერიოდს ვეცნობით შესანიშნავი ნაგებობებისა და მდიდარი პოეზიის მეშვეობით. ასეთი კულტურა ჰქონდათ სასულიერო წოდებას და, უფრო მეტად, რაინდობას.

ამდროინდელი ენის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა მრავალრიცხოვანი პოეტური ქმნილებანი. რა თქმა უნდა, ისინი არც რაინდების და არც ხალხის — გლეხობისა და ქალაქის მოსახლეობის სალაპარაკო ენა არ არის. რაინდობის პოეტებმა შეიმუშავეს თავიანთი ლიტერატურული ენა, რომელიც გაურბოდა შესამჩნევ დიალექტობრივ ფორმებსა და „არაზრდილობიან“ გამთქმებს. რასაკვირველია, ეს ლიტერატურული ენა, ანუ სხვაგვარად. „საშუალო გერმანული პოეზიის ენა“, შეიცავდა ადგილობრივ თავისებურებებსაც. მაგრამ იგი მაინც შეგვიძლია მივიჩნიოთ გერმანული საერთო ენის დასაბამად ზემოგერმანულის გარემოში. მას იყენებდა ქვემოგერმანულ პოეტთა უმეტესობაც.

გერმანული ენის ლექსიკისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უაღრესად განვითარებულ ფრანგულ სარაინლო კულტურას. მისი ლირიკუ-



ლი და ებიკური პოეზია ნიმუში იყო გერმანული მინეზანგებისა და კარის ეპოსისათვის. ჭვაროსნულ ლაშქრობათა შედეგად გერმანულში, უწინარეს ყოვლისა, შევიდა იტალიური და აღმოსავლური სიტყვიერი მასალა, ხოლო სლავურ გარემოში დასახლების შედეგად სლავური სიტყვები.

## საშუალო ზემოგერმანულის ბგერითი, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი ძველ ზემოგერმანულთან შედარებით

### I. ცვლილებანი ვოკალიზაჟში

#### I. ხმოვნების შესუსტება უმახვილო მარცვლებში

##### და ვ ა ლ ე ბ ა 13

შეადარეთ მოცემული სიტყვების ძველი ზემოგერმანული და საშუალო ზემოგერმანული ფორმები და დაადგინეთ ხმოვნების ცვლალეზა უმახვილო მარცვლებში:

ძ ზ გ	ს ზ გ	ა ზ გ
morgan	morgen	Morgen
biogan	biegen	biegen
biltar	bitter	bitter
ītal	ītel	eitel
falo	val	bleich, fahl
flogarōn	vlackern	flackern
fuodar	vuoder	Fuder, Wagenlast
fuotar	vuoter	Nahrung, Futter
jugund	jugent	Jugend
ubarwintan	überwinden	überwinden
untartān	undertān	untertan
firdamōn	verdammen	verdammen
foramundo	vormunde	Vormund
skōni	schōne	hell, schön

სრული ხმოვნების შესუსტება ბოლო მარცვლებსა და უმახვილო მარცვლებში დაიწყო ჩრდილოეთში. აღემანურში (შვეიცარიაში) სრული ხმოვნები ბოლო მარცვლებში დღემდე შემონახულია.

#### i უ მ ლ ა უ ტ ი ს შ ე მ დ გ ო მ ი გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა

თავდაპირველად მოუვიდა უმლაუტი *a*-ს მომდევნო მარცვლის *i*-სა და *j*-ის გავლენით. ნაწერებში ეს უმლაუტი შესამჩნევი გახდა მაშინ, როცა *i* უკვე დასუსტდა ან საერთოდ ამოვარდა.

ძზ	mahtig	სზ	mechtec	აზ	mächtigt
ძზ	trāgi	სზ	troege	აზ	träge

საშუალო ზემოგერმანულში ხდება გაუმლაუტება აგრეთვე **o, u** ხმოვნებისა და **ou, uo** დიფთონგებისა. აქაც გვაქვს შემთხვევები, როცა უკვე აღარ არის მაუმლაუტებელი **i** და **j**.

ამ შემთხვევაში უმლაუტისათვის გვაქვს შემდეგი ცხრილი:

â—iu	ä—ü	ô—ö	o—ö
û—iû	u—ü;	ou—öu	uo—üe

და ვ ა ლ ე ბ ა 14

შეადარეთ:

ზგ	სზგ	აზგ
fühti	viuhte	feucht
hüsi	hüese	böse
gibärida	gebärde	Gebärde
würil	würfel	Würfel
mueçig	müçec	müßig
mohli	möhle	möchte
frouwen	frouwen	freuen

(frawjan)

დამწერლობაში უმლაუტისანი ხმოვნის გადმოცემა ხდებოდა იმის მიხედვით, ძირეული ხმოვანი გრძელი იყო თუ მოკლე.

ნ ი მ უ შ ე ბ ი

სზგ edel	ზგ adol	დას. გერმ. apil)
" behende	" hant	
" mæçec	" mæçig	
" za:he	" zâhi	

საშუალო ზემოგერმანულ ტექსტებში ნიშანი **â** ძალიან იშვიათია: მან გაიმარჯვა მხოლოდ მე-16 საუკუნეში და გაზოყენებულ იქნა ყველა ისეთ შემთხვევაში, სადაც ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა თავდაპირველი უმლაუტის კვალი.

ზოგიერთ სიტყვაში შემორჩა ძველი უმლაუტის **e**-თი აღნიშვნა:

აზგ. Eltern	behende — (zu Hand)
სზგ. eltern	behende = სათანადოდ, სწრაფად.
ძგ. alliron	(zu all) bi henti
	ნაცვლად zi henti = ჰაშინეე.

სამაგიეროდ ზოგ შემთხვევაში ჩვენს ორთოგრაფიაში დღეს არის **â**, როცა ნიშნად იმისა, რომ აქ საქმე არა გვაქვს უმლაუტთან.

აზგ. Bär	Säge	spähen	Käfer
სზგ. bër	säge	spëhen	këver
ძგ. bëro	sëga	spëhôn	këvar

არაუმლაუტირებული ფორმები შემორჩენილია:

zu Händen (დღეს საერთოდ: zu Händen), abhanden, vorhanden.  
Weihnachten (zu den wihen nahten = in den heiligen Nächten)  
და მრავლობითის ფორმაში:  
Bande, Mannen, Lande.

i-სა და j-ს მაუმლაუტირებული ძალა იმდენად დიდი იყო, რომ ისინი გავლენას ახდენდნენ არა მხოლოდ უშუალოდ მათ წინამავალ ხმოვანზე:

Österreich. (Ostarrîhhi), Köln, (Colonia),  
Hedwig (Haduwig), Günther (Gunthari);  
Mütterlein (უკვე სზგ. müeterlin, ძზგ. muoter).

სამხრეთგერმანულში უმლაუტი ერთნაირად არ გატარებულა:

Fähnlein — Fahnli (შვეიცარია), Männer — Manner (ბავარია), schlüpfen —  
schlupfen (სამხრ. გერმან.), Brügge — Bruck (ავსტრია), Osnabrück — Innsbruck  
ავსტრია), er läuft — er lauft (სამხ. გერმანია).

## 2. ცვლილებანი კონსონანტიზმში

კონსონანტიზმის შემდგომი ცვლილებიდან უნდა მოვიხსენიოთ ან-  
ლაუტის h-ს ამოვარდნა l, r, n, w-ს წინ. ეს პროცესი უკვე 800-იან წლებ-  
ში დაიწყო სამხრეთგერმანულში და გატარდა საშუალო ზემოგერმანუ-  
ლის პერიოდში მთელ ზემოგერმანულში.

ძზგ	სზგ	აზგ
hladan	laden	laden
hwër	wër	wer
hros	ros	RiB
hnigan	nîgen	sich neigen

საშუალო ზემოგერმანულში წარმოიშვა ბგერა, რომელიც შეესატყ-  
ვისება ახალი ზემოგერმანულის sch-ს. ეს ბგერა პირველად განვითარ-  
და მე-11 საუკუნეში, როგორ sk კომპლექსის ანლაუტი; მე-13 საუკუნის  
დასასრულისათვის იგი გაჩნდა sl, sm, sn, sp, st კომპლექსებშიც.

დამწერლობაში ეს ახალი ბგერა აისახა მხოლოდ საშუალო ზემოგერ-  
მანულში იმ შემთხვევაში, თუ იგი გამომდინარეობდა sk კომპლექსიდან.

ნ ი მ უ შ ე ბ ი

ძზგ	აზგ	
skaban	schaben	(kratzen, schaben)
scado	schade	(Schaden. Verderben, Nachteil)
scafe	schalk	(Knecht, Schalk!)

<sup>1</sup> marschall წარმოადგენს ძზგ. maralscale. იგი შედგება სტყეებოზაგან: marali =  
ცხენი (Mähre) და scale = ყმა, მოსამსახურე; მაშასადამე, Marschall წარმოშობათ ნაშ-  
ნავს „შეჩინიბეს“.

ბგერათშეერთებებში sl (schl), sm (schm), sn (schn), sw (schw) ეს ბგერა წარმოითქმობდა, მაგრამ დამწერლობაში იგი აისახა მხოლოდ გვიანდელ საშუალო გერმანულში.

ნ ი მ უ შ ე ბ ი

ძ ზ გ	ს ზ გ	ა ზ გ
shiumo	siuunc	schleunig
smālih	smæhelic	schmählich
snidan	sniden	schneiden
swēbēn	swēben	schweben

schp და scht კომპლექსებისათვის ჩვენ დღესაც ძველებურ დამწერლობას ვიყენებთ.

ნ ი მ უ შ ე ბ ი

მ ზ გ	ს ზ გ	ა ზ გ
spīlhāri	spīcher	Speicher
stara	star	Star

ეს ბგერითი ცვლილება გერმანულში გავრცელდა სამხრეთ-დასავლეთიდან. იგი ქვემოგერმანულს შეეხო მხოლოდ ნაწილობრივ. დღესაც ჩრდილოგერმანულს გამოვიცნობთ s-pitzen-ისა და S-stein-ის მიხედვით. - მე-13 საუკუნის დასასრულს sch ბგერა განვითარდა r-ს შემდეგაც.

ნ ი მ უ შ ე ბ ი

ძ ზ გ	ს ზ გ	ა ზ გ
kirsa	kirse	Kirsche
hiruꝥ	hirꝥ	Hirsch
hērisōn	hersēn	herrschen

დამწერლობაში ეს ბგერა, ჩანს მხოლოდ გვიანდელ საშუალო ზემოგერმანულში.

მეღერმა ხშულმა ბგერებმა b, d, g-მ აუსლაუტში დაკარგეს თავიანთი ჟღერადობა. ეს ცვლილება დაიწყო ჯერ კიდევ ძზგ-ის პერიოდში, მაგრამ მან საყოველთაო ხასიათი მიიღო მხოლოდ საშუალო ზემოგერმანულში.

ნ ი მ უ შ ე ბ ი :

gap	—	geben
lac	—	lages
nit	—	nides (Neid)

ჩვენს დამწერლობაში, ფუძისეული დამწერლობის დაცვის მიზნით, ამ ბგერას არ აღვნიშნავთ.

### 3. საშუალო ზემოგერმანულის მორფოლოგიური თავისებურებანი

უმახვილო დაბოლოებათა შესუსტების შედეგად საშუალო ზემოგერმანულში მივიღეთ ბ რ უ ნ ე ბ ი ს დ ი დ ი გ ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ ა. ძველი ზემოგერმანულის ბრუნვის სხვადასხვა კლასი საშუალო ზემოგერმანულში მეტწილად აღარ განსხვავდება ერთიმეორისაგან.

#### ნ ი მ უ შ ე ბ ი

		ძ ზ გ			ს ზ გ
მხ.	NA.	tag	მხ.	N.	tac
	G.	tages (-as) <sup>1</sup>		G.	tages
	D.	tage (-a)		D.	tage
	I <sup>2</sup> .	tagu (-o)		A.	tac
მრ.	NA.	taga (-à)	მრ.	N.	tage
	G.	tago		G.	tage
	D.	tagum (-om, -un; -on)		D.	tagen
			A.	tage	

		ძ ზ გ			ს ზ გ
მხ.	Na.	gast	მხ.	N.	gast
	G.	gastes		G.	gastes
	D.	gaste		D.	gaste
	I.	gastin (gestliu, gestu)		A.	gast
მრ.	NA.	gesti	მრ.	N.	geste
	G.	gesteo (-io; gasto)		G.	geste
	D.	gestim (-in; -en)		D.	gesten
			A.	geste	

გამარტივება მოხდა აგრეთვე ულღებშიც.

#### ს ა შ უ ა ლ ო ზ ე მ ო გ ე რ მ ა ნ უ ლ ი ს ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი

უარყოფა თავდაპირველად გამოიხატებოდა მხოლოდ ni (ne) ან en ნაწილაკით.

ძზგ. ih ni (ne) weiz = ich weiß nicht.

<sup>1</sup> ფრჩხილებში მოთავსებული დაბოლოებები და ფორმები გვიჩვენებს განსხვავებას წყაროებში.

<sup>2</sup> I — ძველი ინსტრუმენტალური.

ეს უბრალო უარყოფა გაძლიერდა ობიექტის ძვგ ni-wiht-ის სვგ. niht (nichts) დამატებით. ამიტომ წინადადება უღერდა ასე:

სვგ ich en weiz (enweiz) nicht.<sup>1</sup>

მე-12 საუკუნიდან უარყოფის ძველი ფორმა ni (ne) ან en ნაწილაკით თანდათანობით გაქრა; მე-15 საუკუნეში მას უკვე აღარ იყენებდნენ, უარყოფა ზმნასთან ახლა გამოიხატებოდა მხოლოდ nicht-ით: Ich weiß nicht.

#### 4. ლექსიკის თავისებურებანი

ძ ვ ე ლ ი ლ ე ქ ს ი კ უ რ ი მ ა ს ა ლ ი ს დ ა კ ა რ გ ე ა

საშუალო ზემოგერმანულში გერმანულის ლექსიკიდან დაიკარგა ან შემორჩა მხოლოდ რთულ სიტყვებში მანამდე ხმარებული შემდეგი სიტყვები:

ძვგ. gomo — Mann (შედის სიტყვაში Bräutigam; თავდაპირველად=ყმაწვილი კაცო ქორწინების დღეს). სვგ. man<sup>2</sup>.

ძვგ. diot (შედის სიტყვაში „Dietrich“); სვგ. volc.

ძვგ barn (=Kind, ეკუთვნის იმავე ძირს, რომელსაც „gebären“). სვგ kint.

სვგ gähnen<sup>3</sup> (შემორჩა სიტყვაში „jäh“); მათ ნაცელად სვგ ilen (=eilen).

ძვგ mihhil (შედის სიტყვაში „Mecklenburg“ა. სვგ. გრბუ.

სვგ michel<sup>4</sup>.

ძვგ luz(z)il (შემორჩა სიტყვაში: „Lützelburg“).

სვგ lützel „Luxemburg“ — და ჩრდ. გერმან. lütt) სვგ klein

გერმანული ლექსიკა გამდიდრდა სხვა ენების სიტყვებით:

ა) ფ რ ა ნ გ უ ლ ი დ ა ნ ნ ა ს ე ს ხ ე ბ ი ს ი ტ ყ ე ე ბ ი :

ფრანგული გავლენას ახდენდა საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებული მრავალმხრივი კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის გამო. მეტადრე ფრანგი და გერმანელი რაინდების მჭიდრო ურთიერთკავშირის შედეგად მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს (1147—

<sup>1</sup> ხშირად ნაწილაკი ne დამატებოდა ნაცელსახელს ან ზმნისართს როგორც : n. ern sach vater noch muoter (er sah nicht Vater noch Mutter).

<sup>2</sup> აქ საქმე არა გვაქვს ახალ სიტყვებთან: ისინი ითვისებენ სხვა სიტყვების მნიშვნელობას.

<sup>3</sup> gähnen (=eilen არ უნდა აერიოთ სიტყვაში gäh (gehen).

<sup>4</sup> michel und lützel კიდევ იხმარებოდა საშუალო ზემოგერმანულში; ის ლექსიკიდან ამოეარდა მხოლოდ ადრეული ახალი ზემოგერმანულის პერიოდში.

1149 წწ). სესხებისას საქმე გვაქვს სარაინდო ცნოვრებთან აღებულ სიტყვებთან:

ნ ი მ უ შ ე ბ ი

სზგ	âventiure	აზგ	Abenteuer
"	turnei	"	Turnier
"	lanze	"	Lanze
"	panzier	"	Panzer
"	amie	"	Freundin
"	palas	"	Saalbau
"	kastel	"	schloß
"	rim	"	Reim, Reimpaar
"	pris	"	Preis
"	harnasch	"	Harnisch
"	fin	"	fein

შემდეგი სესხება ფრანგულიდან:

Visier, Kumpan, Sold, Quartier, Fabel, Melodie, Flöte, Tanz, Firtelanz, Diamant, Samt, Manier, ade (გამომშვიდობება).

ამ დროს ნასესხები სიტყვების ერთი ნაწილი გერმანიკული წარმოშობისაა და ფრანგულში მოხვდნენ ფრანკების მეშვეობით. სხვებს შორის ასეთია **Seneschall, Banner**.

სიტყვა „tanzen“, რომელიც საშუალო ზემოგერმანულში შევიდა როგორც ფრანგულიდან ნასესხები სიტყვა. აგრეთვე წარმოშობით გერმანიკულია.

ფრანგულის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ის შეეხო სიტყვა წარმოებასაც. სხვებთან ერთად გადმოღებულია ფრანგული ინფინიტივის დაბოლოება -ier, რომელიც გერმანულში როგორც -ieren გამოიყენება არსებითი და ზედსართავი სახელებიდან ახალი ზმნების საწარმოებლად.

ნ ი მ უ შ ე ბ ი

buchstabieren, hausieren, stolzieren.

აგრეთვე ფრანგული წარმოშობისაა სუფიქსი -lei სიტყვებში mancherlei, allerlei; ასევე დაბოლოება ei (სზგ. ie) სიტყვებში Jägererei, Zaubererei გადმოღებულია ფრანგულიდან; იგი შემდეგ დაუკავშირდა გერმანულ ფუძეებს.

ბ) ი ტ ა ლ ი უ რ ი დ ა ნ და ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი ე ნ ე ბ ი დ ა ნ ნ ა ს ე ს ხ ე ბ ი ს ი ტ ყ ე ვ ბ ი  
იტალიურის გავლენა ამ დროს სუსტი იყო.

ნ ი მ უ შ ე ბ ი

სზგ	spacziiren	იტალ.	spaziare	აზგ	spazieren
"	karratsch	"	carroccio	"	Wagen

მაგრამ იტალიურში იყო აღმოსავლური ენებიდან ნასესხები სიტყვები, რომლებიც ჯვაროსან მოლაშქრეთა მეშვეობით შევიდნენ გერმანულის ლექსიკაში.

გერმანული სიტყვა **Joppe** მოდის არაბულიდან იტალიური **giuppa**-ს მეშვეობით. სიტყვა **Schach** წარმოდგება [სპარსულიდან; სიტყვა **matt** მიღებულია არაბულიდან:

Schäh mät=მეფე მკვდარია.

ჯვაროსნული ლაშქრობის დროს გერმანულის ლექსიკაში შევიდა აგრეთვე სიტყვები: **Kampfer**, **Zucker**, **Sirup** და **Giraffe**. **Kampfer** და **Zucker** ინდური წარმოშობისაა, **Sirup** წარმოდგება არაბულისაგან. **Giraffe**-ც მოდის არაბული სიტყვიდან **zurāfa**.

გ) ს ლ ა ვ უ რ ი დ ა ნ ნ ა ს ე ს ხ ე ბ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი

უღბის აღმოსავლეთი მხარეების დასახლების შედეგად გერმანულში შევიდა აგრეთვე სლავური სიტყვები.

ნ ი მ უ შ ე ბ ი

პოლონური	granica	სზგ	grenize	აზგ	Grenze
რუს. პოლნ.	tvaróg	სზგ გვიანდელი	twarc, quarc		Quark
ჩეხური	cižek	სზგ	zisc (ზოლ).		Zeisig
ჩეხური	bruslina	სზგ	briuzelber		Preiselbeere
ჩეხური	scopec	სზგ	schöpež		Schöps
ჩეხური	pečet	სზგ	Petschal		Petschaft

გერმანულებმა გადაიღეს აგრეთვე ადგილების სლავური სახელები:

Leipzig	(შდრ. რუს. лица)
Rostock	(შდრ. რუს. растекаться, ток)
Kamenz	(შდრ. რუს. камень)
Lübeck	(ვენდის მთავრის ციხე-დარბაზი Liubicen = die Liebliche) (შდრ. რუს. любилие—lieben).

დ) ლ ა თ ი ნ უ რ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ა

საშუალო ზემოგერმანულის პერიოდში გერმანული ენის ლექსიკაში შესამჩნევია სხვადასხვა დარგის, მეტადრე მედიცინის სპეციალური სიტყვების სესხება, სიტყვებს სესხულობდნენ აგრეთვე საეკლესიო ლათინურიდან.

მე-13 საუკუნეში გერმანულ ენაში შეიჭრა საეკლესიო ნათლობის უცხოური წარმოშობის სახელები; მათ ნაწილობრივ გააძევეს ძველი ზემოგერმანული სახელები.

ებრაულიდან: Jakob, Josef, Johannes, Martha და ა. შ.

ბერძნულიდან: Petrus, Nikolaus, Sophie და ა. შ.

ლათინურიდან: Markus, Paulus, Augustus, Antonia და ა. შ.



ე) მნიშვნელობის ცვალებადობა  
ლექსიკის შიგნით

საშუალო ზემოგერმანული *hel* (აზგ *hell*) ძველ ზემოგერმანულში ნიშნავდა იმასვე, რასაც *tönend (hallen)*; საშუალო ზემოგერმანულში მან მიიღო მნიშვნელობა *glänzend*.

საშუალო ზემოგერმანულში *edel* თავდაპირველად ნიშნავდა ადრესტოკრატულ (აზნაურულ) წარმოშობას. მისტიკის გავლენით ის შემდეგ გამოიყენეს აგრეთვე ხასიათის აღსანიშნავადაც.

სიტყვა *getrege* (*—Getreide*) ეწოდებოდა ყველაფერს, რასაც აღამიანი ატარებდა (ტანისაშისი, ბარგი და ა. შ.). მე-12—13 საუკუნეებში ის აღნიშნავდა ყველაფერს, რაც ნიადაგზე მოდიოდა (ნაყოფი, ბალახი, ყვავილები), მე-14 საუკუნეში მან მიიღო დღევანდელი მნიშვნელობა.

სიტყვას *lih* ძველ ზემოგერმანულში ჰქონდა სიტყვების *Leib*-ისა და *Fleisch*-ის მნიშვნელობა. საშუალო ზემოგერმანულში ის ამასთან ერთად ნიშნავდა მკვდარ სხეულს. ამ მნიშვნელობით შემორჩა იგი სიტყვაში *Leiche*.

საშუალო ზემოგერმანულში სიტყვა *hōchgezit* აღნიშნავდა დიდ საეკლესიო ან საერო დღესასწაულს. მე-13 საუკუნეში ხმარებაში შემოვიდა ნასესხები სიტყვა *Fest* და სიტყვამ *Hochzeit* თანდათანობით მიიღო ის ვიწრო მნიშვნელობა, რომელიც დღესაც აქვს.

საშუალო ზემოგერმანულის სიტყვა *gemach* („*machen*“-იდან: გასაკეთებელი, შესაფერი, მოხერხებული) წარმოშობით ნიშნავდა იმასვე, რასაც *Ruhe, Behagen*, შდრ. მოწოდება წესრიგისაკენ: „*Gemach, gemach!*“ (*gemächlich*). საშუალო ზემოგერმანულში იგი აღნიშნავდა იმ ადგილსაც, სადაც ისვენებდნენ; აქედან მან მიიღო *Zimmer*-ის მნიშვნელობა. სიტყვა *hërre (Herr)* საშუალო ზემოგერმანულში წარმოადგენს აღმატებით ხარისხს ძველი ზემოგერმანულის სიტყვისა *hër (hehr)*. რომლის ძირითადი მნიშვნელობა იყო *alt* და *ehrwürdig*. არსებით სახელად ქცეული აღმატებითი ხარისხი გახდა საზოგადოებრივი ფენის სახელწოდება თავისუფალი ვასალებისათვის, რომელთაც ჰყავდათ ხელქვეითი მსახურნი (შდრ. *Standesherr, Herrenhaus*). ბოლოს ეს სიტყვა გამოიყენეს მაღალი რანგის მქონე მოსამსახურეებისადმი მიმართვის დროს, იმ შემთხვევაში კი, როცა მასზე დამოკიდებულნი არ იყვნენ. რაინდობის დროს *hërre* საერთოდ იქცა რაინდთა შორის მიმართვის სიტყვად.

საშუალო ზემოგერმანულში *hërre-ს* ანალოგიური მდგომარეობა ჰქონდა სიტყვას *frouwe*. *Frouwe* მდებარეობით სქესია ძვ. სიტყვისა (ბატონი), ის შემორჩენილია სიტყვებში: *Frondienst, frönen, Fronleichnam*. *Frouwe* თავდაპირველად გახდა საბატრო სახელი მაღალი წოდების ქალებისათვის, იმისდა მიუხედავად, გათხოვილი იყვნენ თუ

არა. უფრო გვიან Frau Herr-თან ერთად იქცა ზრდილიაბანი მიმართვის სიტყვად.

სიტყვა **wip (Weib)** საშუალო ზემოგერმანულში საერთოდ ნიშნავდა მღვდრობითი სქესის არსებას ან მეუღლეს. ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე მიიხნევს **wip**-ს ისევე საპატიო სახელად, როგორც რაინდულ **frouwe**-ს: „wip mnoz iemer sin der wibe hohste name“ .

დღეს **Weib**-ს აქვს მეტწილად დამამცირებელი იერი.

რაინდობის გავლენით ცვლილებები მოხდა მიმართვაშიც. მე-12 საუკუნემდე საყოველთაოდ იყო მიღებული მიმართვა **du**. მე-12 საუკუნეში მაღალ წრეებში იგი შეცვალა მიმართვამ **Ihr**. ამასთან ერთად **du** მიმართვის ფორმად დარჩა ნათესაეებსა და მეგობრებს შორის, აგრეთვე ხალხის დაბალი ფენების წარმომადგენლების — გლეხების, მოსამსახურეების, მოჯამაგირეებისა და მოხეტიალეთათვის. მე-17 საუკუნიდან **Ihr** თანდათან განდევნა მიმართვამ **Sie**.

## დ ა ს კ ვ ა

მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეებში გერმანული<sup>2</sup> ენის სამყარო გაფართოვდა აღმოსავლეთისაკენ. დაპყრობილი ადგილების დასახლება უმთავრესად მოხდა ქვემო და საშუალო გერმანულის ენობრივი ტერიტორიიდან. მე-12 საუკუნიდან შუა რაინზე, სამხრეთ და შუა გერმანიაში ვითარდება მდიდარი კულტურული ცხოვრება, რომელიც დამახასიათებელია უწინარეს ყოვლისა, რაინდობისათვის.

დიდად განვითარებულმა საფრანგეთის სარაინდო კულტურამ გავლენა მოახდინა გერმანულ ლიტერატურასა და ენაზე. ეს გავლენა მოჩანს საშუალო ზემოგერმანულის პოეზიის ენაში. პოეზიის ენა არ არის რაინდების ან ხალხის სალაპარაკო ენა. იგი არის „ლიტერატურული ენა“ ანუ „პოეტების ენა“. ეს ენა თავისუფალია შესამჩნევი დიალექტური ფორმებისა და გამოთქმებისაგან და ითვლება გერმანული საერთო ენის დასაბამად.

საშუალო ზემოგერმანულის უმნიშვნელოვანესი თავისებურებები ძველ ზემოგერმანულთან შედარებით არის:

ხმოვნების შესუსტება უმახვილო მარცვლებში, *i*-ს უმლაუტის შემდგომი გავრცელება. *sch*-ის განვითარება *sk*, *sl*, *sn*, *sn*, *sp*. *st*, *sw* კომპლექსთა ანლაუტსა და *rs*-ში.

ბრუნებისა და უღლების გამარტივება.

ლექსიკაში იკარგება ძველი სიტყვები; სამაგიეროდ იგი მდიდრდება ნასესხები სიტყვებით, უწინარეს ყოვლისა, ფრანგულიდან, იტალიურიდან, აღმოსავლური და სლავური ენებიდან. სიტყვების ერთი ნაწილი იცვლის მნიშვნელობას.

1. რა არის საშუალო ზემოგერმანულს ყველაზე უმნიშვნელოვანესი ა) ბგერით და ბ) მორფოლოგიური თავისებურებები?

2. რა ისტორიულმა ფაქტორებმა მოახდინეს მე-12 და მე-13 საუკუნეებში გაღრმავებული ლექსიკაზე? რა დარგებიდანაა ფრანგული, აღმოსავლური და სლავური ენებოდან ნასესხები სიტყვები?

დაასახელეთ იმ დროს ნასესხები სიტყვები!

დავალება 15

გვიჩვენეთ საშუალო ზემოგერმანულის ბგერით თავისებურებანი „ნიბელუნგების სიმღერიდან“ მოცემული სტროფების შავი ასოებით დაბეჭდილ სიტყვებში.

გვესაუბრეთ იმ სიტყვათა მნიშვნელობის შესახებ, რომელთა წინაც ზის წერტილები.

ნაწყვეტი „ნიბელუნგების სიმღერიდან“:

Uns ist in alten maeren	wunders vil geseit
von helden lobebaren	von grözzer arebeit
von fröunden, höhgeziten	von weinen und von klagen,
von küener recken striten	muget ir nu wunder hoeren sagen,

Ez wuohs in Burgonden	ein vil edel magedin,
daz in allen landen	niht schœners mohte sin,
Kriemhilt geheizen:	si wart ein schæne wip.
der umbe muosen degene	vil verliesen den lip.

ძზ māri=ცნობა, ამბავი.

სზ lobebare=საქებარი; შდრ. ძზ bāri (ძზ hēran=ტარება).

ძზ din hōha gizit=დღესასწაული.

ძზ kuoni=მებრძოლი, მავარი.

ძზ filu=viel, ძალიან (ზედსართავის ხარისხი).

ძზ magalin=ქალიშვილი, ქალწული.

ძზ skōni=ლამაზი

ძზ wib=ქალი, მეუღლე (ოლი).

ძზ thēgin=მხლებელი (სზ degēn=გმირი).

ძზ virliosan=დაკარგვა, წაგება.

ძზ lip=სიოცხლე, ცხოვრება.

## II. გერმანული ეროვნული ენის ჩამოყალიბება და მისი უმადგომი განვითარება მე-18 საუკუნემდე

### I. ჩამოყალიბების წანამძღვრები და პროცესი

ჰოჰენშტაუფენთა დაცემის შემდეგ გერმანიის სახელმწიფო დაქუცმაცდა მრავალ დამოუკიდებელ საერო და სასულიერო სამთავროდ. საგრაფოდ და თავისუფალ სახელმწიფო სარაინდო სამფლობელოდ. აყვავებულმა ქალაქებმა ჩრდილოეთსა და სამხრეთ გერმანიაში სულ უფ-

რო და უფრო მეტ დამოუკიდებლობას 'მიალწიეს. თოფის წამლის გამოგონების შემდეგ შეიცვალა შუა საუკუნეების საომარი ტექნიკა. მთავრებასა და მეფეების მიერ გამართულ ომებში რაინდების ადგილი დაიკავეს ლანდკნეხტთა ჯარებმა. რაინდობამ დაკარგა თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მთავრებმა სამფლობელოები და უფლებები წაართვეს დაბალ და ღარიბ რაინდებს, რომლებმაც ხელი მიჰყვეს ყაჩაღობასა და მძარცველობას, ან თავი შეაფარეს დიდი მთავრების სასახლეებს. რაინდობის საზოგადოებრივ დაქვეითებას თან მოჰყვა სარაინდო კულტურის დაქვეითება, ამას კი საშუალო ზემოგერმანული პოეზიის ენის—ამ ენობრივი გაერთიანების პირველი ცდის—დაკნინება. მე-14—15 საუკუნეების ლატერატურაში საერთოდ კვლავ გაბატონდა კილოებთან მტკიცედ დაკავშირებული სამწერლო დიალექტები.

მაგრამ ამავე დროს ქალაქების აყვავებამ, ბიურგერობის გაძლიერებამ, სახალხო მეურნეობის ახალი დარგებისა და სავაჭრო გზების განვითარებამ ერთგვარად გზა გაუკაფა ენობრივ გაერთიანებას. ქვემო-გერმანულის ტერიტორიაზე გაცხოველებულმა ურთიერთობამ, რაც ჰანზის კავშირის ქალაქებიდან მოდიოდა, გამოიწვია დაახლოება ქვემო-გერმანულის დიალექტების შიგნით, უწინარეს ყოვლისა, წერით ურთიერთობაში.

შუა და სამხრეთგერმანიის სამთავროებისა და ქალაქების კანცელარიებში აქამდე გაბატონებული ლათინური ენის მაგივრად დამკვიდრდა გერმანული საკანცელარიო ენა, რომელიც გაუბრუნდა შესამჩნევ დიალექტურ, თავისებურებებს თავის საქმიანობაში. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკანცელარიო ენა იყო სამეფო კანცელარიის ენა კარლოს IV-ის დროს (1346—1378 წწ.) პრალაში.

გერმანიის სამხრეთ-აღმოსავლეთში შეიქმნა ერთიანი, არსებითად ქვემოაქტიური, საურთიერთო ენა. იგი იმყოფებოდა ავსტრიის ჰაბსბურგელთა სამეფო კანცელარიის გავლენის ქვეშ. მე-15 საუკუნიდან ამ ენას დაერქვა „საერთო გერმანული“, მისი საფუძველი იყო ავსტრიისა და ბავარიის სამონასტრო კულტურა, ერთიანი საეკლესიო მმართველობა ვენიდან რეგენსბურგამდე, ჰაბსბურგელთა მზარდი სახელმწიფო ხელისუფლება და მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობა ვენასა, რეგენსბურგსა, აუგსბურგსა და ნიურნბერგს შორის.

გერმანული ნაციონალური ენის ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვეს აღმოსავლეთ შუაგერმანიის (Ostmitteldeutsche) მხარეებმა. ჰაინრიხ I-ის დროს დაარსდა სამარკგრაფო მაისენი (Meißen). მე-12 საუკუნის დასასრულიდან გერმანული მოსახლეობა ამ მხარისაკენ მიედინებოდა: ქვემო გერმანიიდან მაგდენბურგის გავლით, შუა გერმანიიდან — ერთფურტით. ხოლო სამხრეთ გერმანიიდან — ბამ-

ბერგზე გავლით. ლაიფციგ-მაისენ-დრეზდენის ხაზზე 1089 წლიდან, როგორც მარკგრაფები, გაბატონდნენ ვეტინელები, რომლებმაც მე-13 საუკუნეში ხელში ჩაიგდეს თიურინგიის ლანდგრაფობა, ხოლო მე-15 საუკუნის დასაწყისში — საქსონია-ვიტენბერგის სამთავროც. ვეტინელთა მხარეები თავიანთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქით — ლაიფციგით და ფრაიბერგის ვერცხლის საბადოებით იქცა გერმანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცალკეულ სახელმწიფოდ. ვეტინელთა რაიონებში ენობრივი ვითარება განსაზღვრა იმ მოსახლეობამ, რომელიც მოვიდა მაინის ფრანკეთიდან, რაინის მიდამოებიდან, პესენიდან, თიურინგიიდან, დუნაიდან, ზემო რაინიდან, ქვემო გერმანიიდან და ნიდერლანდიიდან. გადმოსახლებულთა ეს განსხვავებული დიალექტების ჯგუფები ერთიმეორეში აირივნენ ახალ ადგილებზე.

ამრიგად, უმთავრესად შუაგერმანულისა და აღმოსავლეთ ფრანკულის ნიადაგზე წარმოიქმნა ენა, რომელიც იქცა აღმოსავლეთ და შუა გერმანიის მეტად მნიშვნელოვანი სამეურნეო რაიონების სავაჭრო და საურთიერო ენად, ხოლო საბოლოოდ აღმოსავლეთ შუაგერმანიის საერთო ენად საქსონიასა, თიურინგიასა და სილეზიაში: ბუნებრივია, მასში მთლიანად არ გამქალაქდა დიალექტური განსხვავება. მე-13 საუკუნიდან ამ ენას იყენებდა საქსონიის სამთავროს ცნობილი კანცელარია. მაისენურმა ზემოსაქსურმა უკვე მე-15 საუკუნეში მოიპოვა დიდი პოპულარობა. იგი ჯერ კიდევ ლუთერის წინა პერიოდში ახდენდა გავლენას სამხრეთ და დასავლეთ გერმანულის სალიტერატურო ენაზე.

მთელი გერმანიის მომცველი ერთიანი გერმანული ენის შექმნაში არსებითი წვლილი შეიტანა მოძრავი ასოებით წიგნის ბეჭდვის გამომგონებამ. მე-14 საუკუნიდან ძვირად ღირებული პერგამენტის ადგილი დაიკავა ჩვრებისაგან დამზადებულმა ქაღალდმა. გუტენბერგის გამოგონებამ (1450 წ.) შესაძლო გახადა წიგნების ათასობით ეგზემპლარის დამზადება გაცილებით იაფად და გერმანული ენის მთელ ტერიტორიაზე გავრცელება; ეს იყო რელიგიური დამრიგებლობითი წიგნები, პროზად გადმოკეთებული საშუალო ზემოგერმანული ეპოსი, სახუმარო კრებულები და სხვა ხალხთა ლიტერატურის თარგმანები. მბეჭდავები დაინტერესებულნი იყვნენ, რომ მათი წიგნები ყველგან გასაგები ყოფილიყო. ამით ისინი ხელს უწყობდნენ ენისა და დამწერლობის გაერთიანებას, ითვისებდნენ რა მნიშვნელოვანი კანცელარიების ენასა და დამწერლობას. მაგრამ ამ კანცელარიების დიალექტური თავისებურებანი ვერც „ბეჭდურმა ენამ“ დასძლია.

## 2. ლუთერის როლი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ეროვნული ენის გავრცელებასა და განმტკიცებაში

აღმოსავლეთ შუაგერმანული — საქსონიის სამთავროს საკანცელარო ენა რომ გერმანულ ენას დაედო საფუძვლად, ამაში მცირე როლი როდი შეასრულა იმ ფაქტმა, რომ მარტინ ლუთერმა იგი გამოიყენა თავისი ბიბლიის თარგმანებში, თავის კატეხიზმოსა, რეფორმაციულ ნაწარმოებსა და საეკლესიო სიმღერებში.

ნ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ უ თ ე რ ი ს მ ი ე რ ს უ ფ რ ა ზ ე  
წ ა რ მ ო თ ქ მ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ი დ ა ნ , თ ა ვ ი 69

„Ich habe keine gewisse, sonderliche, eigene Sprache im Deutschen, sondern brauche der gemeinen deutschen Sprache, das mich beide, Ober- und Niederländer, verstehen mögen. Ich rede nach der sächsischen Cantzeley, welcher nachfolgen alle Fürsten und Cönige in Deutschland; alle Reichstädte, Fürstenhöfe schreiben nach der sächsischen und unser Fürsten Cantzeley, darum ist's auch die gemeinste deutsche Sprache. Kaiser Maximilian und Kurfürst Friedrich, H. zu Sachsen etc. haben im römischen reich die deutschen Sprachen also in eine gewisse Sprache gezogen“.

ამ სიტყვებით ლუთერი ადასტურებს, რომ შუა გერმანიისა და სამხრეთ გერმანიის საკანცელარო ენა ბევრ რამეში ჰგავს ერთმანეთს და რომ მას (ლუთერს) კი არ შეუქმნია ახალი ენა, არამედ მიიღო საქსონიის სამთავროს საკანცელარო ენა. ეს საკანცელარო ენა ასახავდა აღმოსავლეთ შუაგერმანიის რაიონების ენობრივ ვითარებას.

ლუთერს, როგორც მთარგმნელს, მწერალსა და პოეტს, უბრალოდ კი არ აუღია მშრალი და სქემატური საკანცელარო ენა, არამედ გაამდიდრა და გამოაცოცხლა ამ ენის ლექსიკა საკუთარი ახალწარმონაქმნებით (ნეოლოგიზმებით), ხოლო შემდეგ თავისი ნაწარმოებებით გაავრცელა იგი ხალხის ყველა ფენაში.

თავის „Sendbrief vom Dolmetschen“-ში (1530 წ.) ლუთერი აღნიშნავს, თუ რა სერიოზულობითა და პასუხისმგებლობის შეგნებით იღწევოდა თარგმნის დროს შესაფერი და მკაფიო გამოთქმებისათვის, როგორ უსმენდა უბრალო ადამიანებს, რათა სწორად გაეგო მათთვის, რომ კარგი გერმანულით დაეწერა.

„Ich hab mich des gevlissen jm dolmetschen  
das ich sein vnd klar deudsch geben möchte.  
Vnd ist vns wol offt begegnet/das wir xiiij tage<sup>1</sup>  
drey/vier Wochen/haben ein einiges wort  
gesucht und gefragt/habens dennoch zu weilen  
nicht funden. Im Hiob erbeiten wir also  
(M. Philips) Aurogallus vnd ich (da wir jnn  
vier tagen zu weilen kaum drey zeilen  
kundten fertigen. Lieber/nu es verdeudschet  
vnd bereit ist/kans ein jeder lesen vnd  
meistern/Leufft einer itzt mit den augen  
durch drey odder vier bletter/vnd stösst  
nicht ein mal an/wird aber nicht gewar/  
welche wacken und klötze da gelegen sind/da  
er itzt vber hin gehet (wie vber ein  
gehoffelt bret/ de wir haben must  
schwitzen vnd vns engsten ehe denn  
wir solche wacken vnd klötze aus dem wege  
reumeten/auff das man kündte so fein daher  
gehen. Es ist gut pilügen/wenn der acker  
gereinigt ist. Aber den wald vnd die  
stöcke ausrotten / vnd den acker zurichten /  
da wil niemand an‘.

„...denn man mus nicht die buchstaben  
jun der Lateinischen sprachen fragen /  
wie man sol Deudsch reden / wie diese Esel<sup>2</sup>  
thun / sondern man mus die mutter jhm hause /  
die kinder auff der gassen / den gemeinen  
man auff dem marckt drümb fragen / vnd den  
selbigen auff das maul sehen /wie sie re-  
den /vnd darnach dolmetschen /so verstehen  
sie es denn /vnd mercken /das man Deudsch  
mit jhn redet.

Als wenn Christus spricht / Ex abundantia  
cordis os loquitur. Wenn ich den Eseln  
sol folgen / die werden mir die buchstaben  
furlegen /vnd also dolmetschen / Aus dem

<sup>1</sup> 14 დღე.

<sup>2</sup> ლუთერს მხედველობაში ჰყავს თავისი მოწინააღმდეგეები, რომლებიც უსაყუ-  
დურებდნენ, თითქოს მან თავის თარგმანში ბიბლიის ტექსტი გააყალბა.

vberflus des hertzen redet der mund. Sage mir /ist das deudsch gered? Welcher deudsch verstehet solchs? Was ist vberflus des hertz an fur ein ding? Das kan kein Deudscher sagen / Er wolt denn sagen /es sey das einer allzu ein gros hertz habe /oder zu viel hertzens habe{/wiewol ¶das auch noch nicht recht ist /denn vberflus des hertzen ist kein deudsch /so wenig /als ¶das ¶deudsch ist/ Vberflus des hauses /vberflus des kacheloffens' /vberflus der .banck/Sondern also redet die mutter jm hause vnd der gemein man / Wes das hertz vol ist / des gehet der mund vber / das heist gut deudsch gered /des ich mich gevlissen /vnd leider nicht allwege erreicht ,noch getroffen habe /Denn die Lateinischen buchstaben hindern uns der massen seer / gut deudsch zu reden“ .

დავალება 16

შეადარეთ მოცემულ ტექსტებში

- ა) სიტყვათა რიგი, კერძოდ ზმნის ადგილი წინადადებაში,
- ბ) სიტყვების შერჩევა,
- გ) კავშირები,
- დ) მიმღობის გამოყენება.

დაბეჭდილი გერმანული ბიბლია, სტრასბურგი, 1466 წ. იოჰ. მენ-თელთან:

Ob ich rede in zungen der engel  
 vnd der leut: wann hab ich der lieb nit:  
 ich bin gemacht als ein erz lautent oder  
 als ein schell klingent. Vnd ob ich hab  
 die weyssagung vnd erkennen all tugent  
 vnd all wissentheit vnd ob ich hab allen  
 den gleuben also das ich vbertrag die berg  
 wann hab ich der lieb nit ich bin nichtz.  
 Vnd ob ich tail alles mein gut an die essen  
 der armen vnd ob ich antwort meinen leib  
 also das ich brinne: wann hab ich der lieb  
 nit: es verfecht mir nichtz.



ლუთერი, [1522 წელი (ახალი აღთქმა გერმანულად. ვეიტემბერგი):

Wenn ich mit menschen vnd mit  
engel zungen redet / vnd hette  
die liebe nicht / so were ich eyn  
dohnend ertz / odder eyn klingende  
schelle / Vnd wenn ich weyssagen  
kunt / vnd wuste alle geheynniss /  
vnd alle erkenntnis / vnd hette allen  
glawben ] /also / das ich berge versetzete/  
vnd hette der liebe nicht / so were ich  
nichts. Vnd wenn ich alle meyn habe den  
armen gebe / vnd ließ meynen leyb brennen /  
vnd hette der liebe nicht / so were myrs  
nichts nutze.

დავალება 17

ა) შეადარეთ მოცემული ტექსტები და განაჩეთ, რამდენად გასაგებია გამოთქმა,  
თვალსაჩინოებანი, რიტმი.

ბ) შეადარეთ ტექსტების ენა ახალ ზემოგერმანულ სამწერლო ენას.

გ) დაასაბუთეთ ლუთერის თარგმანის უპირატესობანი.

ქვემოთ მოცემული ტექსტების 23, 11—4

1. ძველი ზემოგერმანული თარგმანის მიხედვით, დაბეჭდილი სილ-  
ვენ ოტმარის მიერ, აუგსბურგი, 1518 წ.

Der herr regieret mich und mir  
geprist nichts, vnd an der stat  
der weide, da satzt er mich. Er  
hat mich gefüret auf dem wasser  
der widersprungung er bekeret  
mein sel. Er fürt mich auß auf die  
steig der gerechtigkeit, vms seinen  
namen. Wann ob ich gen in mitte  
des schatten des todes, ich fürcht  
nit die üblen ding. wann du bist  
bei mir: Dein ruot und dein stab,  
die selben haben mich getröstet.

2. ლუთერის ხელნაწერას მიხედვით პირველი ორიგინალს გამოცე-  
მისათვის, 1524 წ.:

Der herr ist meyn hirtte, myr wirt  
nichts mangeln. Er lesst mich weyden

da viel gras stelt vnd furet mich zum  
wasser das mich erkulet. Er erquickt  
meyne seele er furet mich auff rechter  
strasse vmb seyns namens willen. Vnd  
ob ich schon wandert ym finstern tal,  
furcht ich keyn vngluck denn du bist  
bey myr Deyn stecken vnd stab trosten mich.

3. ლუთერის ორიგინალის გამოცემის მიხედვით, 1545 წ.:

Der HERR ist mein Hirte / mir wird nichts  
mangeln. Er weidet mich auff einer gruenen  
Awen /Vnd fueret mich zum frisschen Wasser.  
Er erquickt meine Seele / er fueret mich  
auf rechter Strasse / Vmb seines Names  
willen, Vnd ob ich schon wandert im finster  
Tal / fuerchte ich kein Vnglueck / Denn du  
bist bey mir / Dein Steeken vnd Stab troesten mich.

დავალება 18

ლუთერის ნაწერებიდან მოტანილ ტექსტში გვიჩვენეთ:

- ა) ხალხური გამოთქმები,
- ბ) გამოთქმების ხატოვანება.

რა საშუალებებს მიმართავს ლუთერი იმისათვის, რომ გასაგებად, დამაძწმუნებლად და მკაფიოდ ილაპარაკოს?

ლუთერის მიერ სუფრაზე წარმოთქმული სიტყვიდან:

„Einen vleissigen, irumen Schulmeister oder Magister,  
oder wer es ist, der Knaben treulich zeucht und leret,  
dem kan man nimer mehr gnug lohnen und mit keinem  
Gelde bezahlen, wie auch der Heide Aristoteles  
sagt, Noch ists bei uns so schändlich veracht, als  
sei es gar nichts, und wollen dennoch Christen  
sein, Und ich, wenn ich vom Predigampt und andern  
Sachen ablassen kündte oder müste, so wolt ich kein  
Ampt lieber haben, denn Schulmeister odes Knabenlerer  
sein. Denn, ich weiß, das dis Werk nächest dem  
Predigampt des allernützlichst, grösserst und beste  
ist. Und weiß dazu noch nicht, welches unter bei-  
den das beste ist, denn es ist schweer, alte Hunde  
bändig und alte Schälke frum zu machen, daran doch  
das Predigampt erbeit, und viel umbsonst erbeiten  
muß. Aber die jungen Bäumlein kan man besser biegen

und ziehen, ob gleich auch etliche drüber zerbrechen.  
Lieber, daß es der höchsten Tugend eine sein auf  
Erden. fremden Leuten ihre Kinder treulich zihen,  
welchs gar wenig und schier niemand thut an seinen  
eigenen“.

ლუთერის წერილი თავისი ცოლის ქეთესადმი.

Liebe Kethe! Wir sind heute umb acht aus Halle  
gefahren, aber sind nicht gen Eisleben komen,  
sondern umb neune wieder gen Halle eingezogen:  
Denn es begegnet uns eine grosse Wiederteufferin  
mit wasserwogen und grossen Eisschollen, und  
drewet uns mit der wiedertauffe und hat das Land  
bedeckt. So können wir auch nicht zurücke für  
der Mulde zu Bitterfeld und müssen allhie zu  
Halle zwischen den wassern gefangen liegen,  
nicht daß uns danach dürestet zu trinken. Wir  
nehmen dafür gut Torgisch bier und guten  
reinischen Wein, damit laben und trösten wir  
uns dieweil, ob die Saale heute wolte auszörnen,  
denn weil die leuthe und fährmeister selbs  
Kleinmuthig waren, haben wir uns nicht wollen  
yns wasser geben und Gott versuchen. Denn der  
Teufel ist uns gram, und wonet ym wasser. Es  
ist besser verwaret alß beklaget, und ohn noht  
ist, daß wir eine narrenreue dem Babst sampt  
seinen schupen machen solten, Ich hette nicht  
gemeinet, daß die Saal ein solch bad machen  
könnte, daß sie über die stegne weg und alles so  
rumpeln soll. Iztz nicht mehr: Betet für uns  
und seydt fromm. Ich halte, werestu hir so  
hettestu uns auch gerathen es so zu thun, damit  
du siehest, das wir auch einmahl deinem Rat folgen.

Hiermit Gott befohlen. Amen.

Am. S. Paulus Bekehrungstag, da wir auch  
uns von der Saala gen Halla kehreten. 1546

Martinus Luther D.

ლუთერის ენა საესეა ხალხური გამოთქმებითა და  
ანდაზებით. ბევრი მათგანი მის მიერ არის გამოკვეთილი ან  
ენობრივად გაფორმებული და საყოველთაო სმარებაშია შემორჩენილი:

Ehre, wem Ehre gebühret. — Gedanken sind zollfrei. —  
 Die Haare stehen ihm zu Berge. — Nach seiner  
 Pfeife tanzen — Ein Spott der Leute werden — Sich  
 in den Haaren liegen — Zwischen Tür und Angel — Er  
 hat den Schalk hinter den Ohren — Haare lassen  
 müssen — Mit Blindheit schlagen — Jemand an der  
 Nase herumführen — Jemand eine Nase drehen — Den  
 Braten riechen — Das Herz ausschütten — Die Axt  
 an die Wurzel legen — Zu Schanden werden — Bei  
 etwas Schiffbruch leiden — Mit Zittern und Zagen —  
 Recht und Gerechtigkeit usw.

ლუთერმა თავისი შრომებით ქაშინ ჭკიდევ ვერ მისცა გერმანულ  
 ეროვნულ ენას ერთიანი და დაკანონებული სახე. ამაზე მის შემდეგ  
 კიდევ ბევრმა თაობამ იმუშავა. ლუთერის დიდი მნიშვნელობა გერ-  
 მანული ეროვნული ენის განვითარებისათვის, უწინარეს ყოვლისა,  
 მდგომარეობს მისი ინდივიდუალური სტილის მკაფიოობასა და გა-  
 მომხატველობით ძალაში, მისი ენობრივი სახეების ძლიერებაში..  
 ლუთერის სოციალური და ეროვნული პროგრამის განმაახლებელ-  
 მა ხასიათმა უზრუნველყო რეფორმაციის პირველ ფაზაში მისი ნა-  
 წერების გავრცელება და გავლენა, რამაც ხელი შეუწყო გლახთა ომის  
 გაღვიძებას, რადგან ლუთერში ახალი საზოგადოებისათვის მოწინავე  
 მებრძოლს ხედავდნენ არა მარტო ბიურგერები, არამედ გლახებიც.

ლუთერის გალობანი გახდა პროტესტანტ მორწმუნეთა საერთო გან-  
 ძი. ლ უ თ ე რ ა მ დ ე ზემოგერმანულზე შესრულებული ბიბლიის  
 თოთხმეტ თარგმანს შორის არც ერთს არ მოუპოვებია ხალხურობა.  
 ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ისინი ზუსტად მიჰყვებოდნენ ლა-  
 თინურ დედანს, ლუთერმა კი თავისი თარგმანით<sup>1</sup> ნამდვილი ენობრივი  
 შედეგები შექმნა. მან ბიბლიის ლათინური ტექსტის ნაცვლად გამოიყუ-  
 ნა ბერძნული დედანი და სიტყვასიტყვით კი არ თარგმნა, არამედ გა-  
 დაიტანა იგი თავისი ხალხის ენაზე. ამრიგად ლუთერის ბიბლია გახდა  
 ქვეშარიტად სახალხო, ხოლო უფრო გვიან — სასწავლო წიგნი. მის  
 ათიათასობით ეგზემპლარს კითხულობდნენ არა მხოლოდ პროტესტან-  
 ტულ, არამედ კათოლიკეთა მხარეებში; მის ზოგიერთ ნაწილს ზეპირად  
 სწავლობდნენ. ამრიგად, ლუთერის გ ა ვ ლ ე ნ ა შ ო რ ს გ ა ს ც-  
 დ ა შ უ ა გ ე რ მ ა ნ ი ა ს. განსაკუთრებით ძლიერი იყო მისი გავ-  
 ლენა სამხრეთ გერმანიაში. კიდევ მეტი, ლუთერის ბიბლიის შემდეგ  
 გამოსული კათოლიკური თარგმანებიც ფართოდ იყენებდნენ მას.

სამხრეთგერმანული სტამბები თანდათან უახლოვდებოდნენ ზემო-

<sup>1</sup> 1522 წელს „ახალი აღთქმა“, 1534 წ. მთელი ბიბლია.

საქსურ წერასა და მეტყველებას. ლექსიკაში მაინც იყო შემორჩენილი ბევრი თავისებურება; ასე რომ, ლუთერის ბიბლიას სამხრეთ გერმანიაში უთუოდ თან უნდა დართოდა სიტყვების ინდექსი. აქ მან, შუაგერმანიისაგან განსხვავებით, ღრმად ვერ მოიკიდა ფეხი ხალხურ ენაში. მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, მე-16 საუკუნეში ლუთერის ენამ გაიმარჯვა სამხრეთ გერმანიაშიც.

უფრო ძლიერი იყო წინააღმდეგობა შვეიცარიის გერმანულად მოლაპარაკე ნაწილში, სადაც პოლიტიკურ და რელიგიურ მიზეზებთან ერთად ლუთერის ენას დაბრკოლებად ელობებოდა ძველი სამწერლო დიალექტი. სამწერლო ენის მხრივ, შვეიცარიული გერმანულის გერმანულ ეროვნულ ენასთან გაერთიანების საქმეში მთავარი როლი შეასრულეს წიგნის მბეჭდავებმა და მე-18 საუკუნის დასაწყისის შვეიცარიელმა პოეტებმა.

ლუთერის ენას იმთავითვე ძლიერი დაბრკოლება შეხვდა ქვემოგერმანულშიც. აქ ქვემოგერმანულად თარგმნეს ლუთერის ნაწარმოებები და ბიბლია, იცავდნენ რა ენობრივ დამოუკიდებლობას დამწერლობაშიაც. მაგრამ მე-16 საუკუნის ბოლოს ქვემო გერმანიაში გაიმარჯვა ზემოგერმანულმა ლიტერატურამ. ჰანზას დაქვეითება და ლაიფციგის მზარდი როლი ქვემო გერმანიასთან ვაჭრობაში არსებითი პირობა იყო იმისათვის, რომ შუაგერმანული სულ უფრო და უფრო გავრცელებულიყო ქვემო გერმანიაში, უწინარეს ყოვლისა, და უპირატესად მის აღმოსავლეთ ნაწილში. ჭერჭერობით განზე რჩებოდა ქვემო გერმანიის დასავლეთი.

ნიდერლანდიაში ზემოგერმანულის გავრცელება საერთოდ ვერ მოხერხდა. განსაკუთრებული პოლიტიკური და რელიგიური ვითარების შედეგად იქ გზა გაიკვლია დამოუკიდებელი ენის დამოუკიდებელმა განვითარებამ. რაც უფრო გვიან საკუთარი ეროვნული ენის — **ჰოლანდიურის** შექმნით დამთავრდა.

## დ ა ს კ ვ ნ ა

აღრეული კაპიტალიზმის ეპოქაში პოლიტიკურ და საზოგადოებრივ განვითარებასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო მომწიფდა ერთიანი საურთიერთო ენის შექმნის საჭიროება.

ჰანზას ირგვლივ შეიქმნა ქვემოგერმანული, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — ვენიდან ნიურნბერგამდე ზემოგერმანული საურთიერთო ენა. ქვემო, შუა და ზემო გერმანიაში განვითარდა საკანცელარო ენები. გერმანული ენის შექმნაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აღმოსავლეთ შუა გერმანიამ, ვეტინელთა სახელმწიფოში ქვემოგერმანულის, შუაგერმანულისა და ზემოგერმანულის ელემენტები-

საგან წარმოიქმნა ნარევი ენა. რომელიც მალე საურთიეთო ენად იქცა. მას მიჰყვებოდა საქსონიის სამთავროს საკანცელარიო ენაც.

გერმანული ეროვნული ენის შექმნაში არსებითი წვლილი შეიტანა მოძრავი ასოებით წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ და მეტადრე ლუთერის მოღვაწეობამ. აღმოსავლეთ შუაგერმანულმა რომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანული ეროვნული ენის დაფუძნებაში, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ლუთერს, რომელმაც თავის საბრძოლო წერილებში, ბიბლიის თარგმანში, კატეხიზმოსა და საეკლესიო ვალობებში გამოიყენა საქსონური საკანცელარიო ენა, გაამდიდრა და გამოაცოცხლა იგი. მან თავისი ნაწერებით დასძლია ის წინააღმდეგობა, რომელიც მე-16 საუკუნეში ჯერ კიდევ ძალაში იყო ქვემო და ზემო გერმანიაში.

## III. გერმანული ენის აღრეული ახალი ზემოგერმანული პერიოდის უნიფიკაციონური გზებით. მორფოლოგიური და სინტაქსური ცვლილებები

### I. ცვლილებანი ბგერით სისტემაში: ხმოვნები

მოკლე ხმოვნები მახვილიან ღია მარცვალში, როგორც წესი, და გ რ ძ ე ლ დ ნ ე ნ.

სზ. sagen, leben, treten, loben, vridde.

ზზ. sâgen lîben trêten. lôben, Friede.

სზ. stûbe, gezôgen.

ზზ. Stûbe, gezôgen.

მოკლე ხმოვნების დაგრძელება მახვილიან, ღია მარცვლებში დაიწყო უკვე 1200-იანი წლებიდან ქ ვ ე მ ო გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი. აქედან იგი გავრცელდა ს ა მ ხ რ ე თ შ ი და 1400-იანი წლებისათვის გატარდა მთელს ზ ე მ ო გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი, გარდა შვეიცარიისა.

სადაც ხმოვნის დაგრძელება არ მოხდა, იქ ძალიან ხშირად გავრამგდა მომდევნო თანხმოვანი.

სზ: wider, himel, doner, blat, hamer, vater

ზზ: Widder, Himmel, Donner, Blatt, Hammer, Gevatter, მაგრამ Vater.

გრძელი ხმოვნები მეტწილად და მ ო კ ლ დ ნ ე ნ ორი ერთნაირი-ან ორი განსხვავებული თანხმოვნის წინ და t-სა და m-ს წინა პოზიციაში.

სზ: hërre, brâhte, er vienc, iemer, muoter, jâmer.

ზზ: Heer, brachte, er fing, immer, Mutter, Jammer.

საშუალო ზემოგერმანულის გრძელმა ხმოვნება i, u, iu-მ მოგვცა დიფთონგები ei, ai, eu (გადიფთონგება):

სზ: min niuwey hús

აზ: mein neu—es Hlaus

i > ei

სზ: min, zil, wip, rich sit nigen ris triben vige.

აზ: mein, Zeit, Weib, reich, seil, neigen, Reis, treiben, Feige.

ú > au

სზ: mūs tūbe riūce ūc vól sūsen, sūgen pūse

აზ: Maus, Taube, Traube, aus, faul, sausen, saugen, Pause

iu > eu

სზ: hiute niun, liutsch, vriunt, iuch, siufzen, liute, liuhte.

აზ: heute, neun, deutsch, Freund, euch, seufzen, Leute, Leuchte.

ეს გადიფთონგება დაიწყო მე-11—12 საუკუნეებში ბავარიულში და მომდევნო საუკუნეებში გავრცელდა დასავლეთისა და ჩრდილოეთისაკენ. იგი გატარდა შუა გერმანიის მთელ აღმოსავლეთში.

ქვემოგერმანულს გადიფთონგება არ შეეხებია.

საშუალო ზემოგერმანულმა დიფთონგებმა: ie<sup>1</sup>, ui, üe ახალ ზემოგერმანულში მოგვცეს მარტივი გრძელი ხმოვნები i, u, ü (გამონოფთონგება).

სზ: lieben guoten brüeder

აზ: liebe gute Brüder

(ia) i < ie

სზ: bieten Kriemhilt nieman dienen die liep liet sieden.

აზ: bieten Kriemhild niemand dienen die lieb Lied sieden.

საშუალო ზემოგერმანულის ie დიფთონგს შემორჩა e ახალ ზემოგერმანულ დამწერლობაში, მაგრამ მას ჯერ კიდევ აღრეულ ახალ ზემოგერმანულ პერიოდში თვლიდნენ ხმოვნის სიგრძის ნიშნად და არ წარმოთქვამდნენ. როგორც ხმოვნის გაგრძელების ნიშანი, იგი შემდეგ შევიდა ისეთ სიტყვებშიც, რომლებიც ძველად დიფთონგი არ ყოფილა.

სზ: sic, wigen, siben, ligen, zil.

აზ: Sieg, wiegen, sieben, liegen, Ziel.

ei > ü

<sup>1</sup> წარმოიქმნის i—e (ცალ-ცალკე).

სზ: guot. bruoeder, genuoc, suochte, huot. muot.

აზ: gut. Bruder. genung, suchte, Hut. Mut

სზ: ruofen, tuon

აზ: rufen, tun

ñe > ü

სზ: grüene, küene, behüeten, müede, süeze, grüezen

აზ: grün, kühn, behüiten, müde, süß, grüßen.

სზ: vüelen

აზ: fühlen

მონოფთონგიზაცია დაიწყო უკვე მე-11 საუკუნეში შუა გერმანიაში. უმახვილო მეორე ხმოვანი სულ უფრო და უფრო შესუსტდა და თანდათანობით მთლიანად დააყრუედა.

#### დავალება 19

მონახეთ ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდეს ლექსში „Irsult sprechen willekomen“ ახალი ზემოგერმანულის სიტყვათა ფორმებთან ქმედარებით. გამონოფთონგებსა და გადიფთონგების ნიმუშები!

გამონოფთონგება არ გატარებულა ბავარიულსა და ავსტრიულში. აღემანერმაც მრავლად შეინარჩუნა დიფთონგები:

სზ: Behüet dich got; lieb buobe grüene

აზ: Behüt dich Gott; lieb Bube grün

ბავარ. Pfüet di God; lieb Bua grean

საშუალო ზემოგერმანულის დიფთონგები **ei** და **au** ახალ ზემოგერმანულ. სალიტერატურო ენაში არ გამონოფთონგებულა, აღმოსავლეთ შუაგერმანულის დიალექტებში კი ისინიც გამონოფთონგდნენ:

სზ: ein reines Kleid; boum

აზ: ein reines Kleid; Baum

საქს: e reenes Kleid; Boem

თუ ახალი ზემოგერმანულის დიფთონგი **ei** და **au** საქსონიაში წარმოითქმის როგორც **e** და **o**, მაშინ საშუალო ზემოგერმანულში გვექნება **ei** და **ou**

თუ ახალი ზემოგერმანულის **ei** და **au** მოდის საშუალო ზემოგერმანულის **i** და **u**-საგან, მაშინ უმლაუტი საქსონურშიაც რჩება.

სზ: zit, wip, vül, hüs.

აზ: და საქს. Zeit, Weib, faul, Haus.

#### დავალება 20

მოცემული ახალი ქვემოგერმანული ტექსტიდან გვიჩვენეთ, რომ ქვემოგერმანულში გადიფთონგება არ მომხდარა!

Fritz Reuter „Ut mine Festungstid“.

Den annern Morgen packt ick min Ilbelsig —



keiten ut 'ne Kist; dor kamm denn allerlei herute, wat süs reisen Lüd' nich in de Welt mit rümmer slepen: 'ne Waschschlöffel, en Glas, en Drahtlüchter, un denn min kostberstes Stück Möbel: 'ne Koffemaschin. Vatter Kähler kamm un makte Füler in den Aben, ich set' te en lütten Pott mit Water an dat Füler, un as dat Water sine vullen Blassen smet, halt ick 'ne Tüt mit mahlen Koffe teu'm Vörschin, un't wohrt nich lang', was min Koffe farig. Ich treckte minen ollen ihrwürdigen Slaprock an, de up de eine Sid mal häßlich ansengt was un leider Gotts nich in de Füerkass' stunn, dortan mine schönen warmen Pampuschen — sei wiren von Daukeggen tausamfluchten un hadden blot den einen Fehler, dat sei in de Nattigkeit nich dicht höllen: æwer wat hadd ick ok in'n Natten tau dauhn? ick satt jo in 'n Drögen — un so was mi denn up mine Ort ganz gaud tau Maud', Dunn kamm de Reih bi't Utpacken an min Lewensmittel: en halw' Kummisbrod, en Stück Zegenkes' un en En'n Talglicht.

Dit letzte was denn nu grad nicht tau'm Eten, æwer't was jo doch noch tau brucken, un dorüm hadd ick dat mitnamen, denn wann einer mit fiw Sülwegroschen den Dag æwer utkamen sall, denn möt hei dat Sinige hellschen tau Rad' hellen.

б о ч а г ж з и к л о п р с т ф х ц ч ш щ ъ ѳ ѵ Ѷ ѷ Ѹ ѹ

Aben	= Ofen
æwer	= über, aber
Daukeggen	= Tuchkanten
in 'n Drögen	= im Tröcknen
farig	= fertig
fiw	= fünf
hellsch	= höllisch, sehr
nich in de Füerkass'stunn	= g. o. nicht versichert war
Pampuschen	= 30. 63. babouche = Pantoffeln
süs	= sonst
tausamfluchtenn	= zusammengeflochten

## თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი

ა) **h** სპირანტი ახალ ზემოგერმანულში კიდევ უფრო შესუსტდა. ხმოვნებს შუა, იქ, სადაც იგი საშუალო ზემოგერმანულში ჯერ კიდევ შემონახული იყო როგორც ფშვინიერი ბგერა, იქცა მხოლოდ ხმოვნის გაგრძელების ნიშნად:

სზ: stahel vêhede zêhen.

აზ: Stahl Fehde zehn.

ბ) **w** ბგერა ხმოვნებს შუა ხშირ შემთხვევაში იკარგებოდა:

სზ: spiwen, bûwen, houwen, vrouwe.

ქზ: speien, bauen, hauen, Frau.

**i**-სა და **r**-ს შემდეგ **w** იქცა ხშულ ბგერად **b**:

ქზ: swalwe, warwe

აზ: Schwalbe, Farbe

ბგერათკომპლექსი **aw** იქცა **au** დიფთონგად.

სზ: pfâwe, grâwer.

აზ: Pfau, grauer.

ხშული ბგერა **b** ხმ-ში (აუსლაუტში **mp**-ში) მიემსგავსა **m**-ს:

ხზ: lamp, lambes, tump.?

აზ: Lanim, Lammes, dumm.

ადრეულ ახალ ზემოგერმანულ პერიოდში იწყება ცდები როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნების სხვადასხვანაირი დაწერალობის ლიკვიდაციისათვის. ამ დროისათვის მუშავდება სასვენი ნიშნების დასმა. 1500-იან წლებამდე სასვენ ნიშნებს იშვიათად ხმარობდნენ. ლუთერის ნაწერების გამოქვეყნების შემდეგ, განსაკუთრებით კი 1600-იანი წლებიდან, სასვენი ნიშნების დასმა თანდათან მოწესრიგდა. 1596 წელს დაისვა საკითხი ყველა არსებითი სახელის ასომთავრულით დაწერის შესახებ.

## 2. ცვლილებები მორფოლოგიაში

### ბ რ უ ნ ე ბ ა დ ა უ ლ ლ ე ბ ა

სუფიქსისა და ფუძისეული მარცვლის მომდევნო უმახვილო **e**-ს ამოვარდნის გამო წაიშალა იმ განსხვავების დიდი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო საშუალო ზემოგერმანულში ბრუნების კლასებს შორის. მასთან ხშირად იყო დაკავშირებული გრამატიკული სქესის ცვლილება.

სზ: diu witze, diu âventiure, diu Klafter.

აზ: diu wiltz, das Abenteuer, der Klafter.

საშუალო ზემოგერმანულში მრავლობითის ფორმა -er ჰქონდა საშუალო სქესის არსებითი სახელების მხოლოდ მცირე ნაწილს. ადრეულ ახალ ზემოგერმანულ პერიოდში კი -er-ს უკვე ხმარობდნენ საშუალო და აგრეთვე მამრობითი სქესის მრავალ არსებით სახელთან:

Häuser<sup>1</sup>, Kinder, Länder<sup>1</sup>, Wörter<sup>1</sup>, Geister,  
Würmer<sup>1</sup>, Leiber, Wälder<sup>1</sup>.

უმლაუტი, რომელიც თავდაპირველად გვხვდებოდა მხოლოდ ისეთ არსებით სახელებში, რომელთაც ძვ. დაბოლოებაში ჰქონდათ i, ამჟამად გახდა ძალიან ბევრი არსებითი სახელის მრავლობითის ნიშანი:

Höfe, Vögel, Stübe, Nägel, Häfen, Öfen.

მე-15 საუკუნიდან გერმანულში ხმარებაში შემოდის მრავლობითის წარმოება s-ით; სალაპარაკო ენაში, ხშირად კი ლიტერატურულ ენაშიც, ერთიმეორის გვერდით ვხვდებით: Jungen — Jungs, Kerle — Kerls, Mädels — Mädels, Fräulein — Fräuleins.

მრავლობითის დაბოლოება -s მომდინარეობს ფრანგულიდან. ქვემოგერმანულის დიალექტებში ის შემოვიდა, ალბათ, ნიდერლანდურის გზით. ენის განვითარების დღევანდელ ეტაპზე მრავლობითის ასეთი წარმოება მისაღებია მხოლოდ უცხოურ სიტყვებსა (მაგ., Details, Sofas, Kognaks) და საკუთარ სახელებში (die Quitzows, die Buddenbrooks).

სამხრეთისა და შუა გერმანიის ვრცელ მიდამოებში მე-15 საუკუნიდან თითქმის მთლიანად გამოდის ხმარებიდან ძველი პრეტერიტუმი (Präteritum). იგი აღწერილობითმა ფორმამ შეცვალა, მაგ.: ich aß — ich habe gegessen. სადაც პრეტერიტუმი შემორჩა, იქ აბლაუტის მიერ გამოწვეული განსხვავება მოშალა მხოლოდითსა და მრავლობითში.

სვ: vant-vunden, zöchi-zugen, greif-griffen

აზ: fand-fanden, zog-zogen, griff-griffen

სვ: warf-wurfen

აზ: warf-warfen

ხმოვნის მიხედვით მრავლობითის გაერთფორმიანება დაიწყო გერმანიის სამხრეთიდან. ლუთერი მრავლობითში ჯერ კიდევ ხმარობს ძველ ფორმებს; მოიშალა განსხვავება აწმყოს მრავლობითის პირველსა და მესამე პირს შორის. მესამე პირი მიემსგავსა პირველ პირს.

სვ: I პ. მრ. nēmen, neren;

III პ. მრ. nēment, nerent;

აზ: I პ. მრ. nehmen, nähren;

III პ. მრ. nehmen, nähren.

<sup>1</sup> -er მოლის ძვ. ir-იდან და ამიტომ ქმნის უმლაუტს.

გაიჩვენეთ სხვ ტექსტში, აზგ-თან შედარებით, სიტყვების ფორმების სიახლენი კონსონანტაზმსა და მორფოლოგიაში.

### 3. სიახლენი სინტაქსში

ა) საშუალო ზემოგერმანელის პერიოდის შემდეგ ძლიერ შესამჩნევი ხდება აწმყოს სულ უფრო და უფრო მეტი გამოყენება წარსულში მომხდარი მოქმედების აღსაწერად.

ბ) აღრეულ ზემოგერმანულში *es* კავშირს პირობითი მნიშვნელობით თანდათანობით ცვლის *wenn*; *wenn*-ით იწყება დროისა და პირობითი წინადადებები, *es* უმთავრესად ისმარება არაპირდაპირ კითხვით წინადადებებში. ლუთერთან *es* პირობითი მნიშვნელობით ჩვეულებრივი მოვლენაა. კავშირების: *obgleich*, *obgleich*, *obwohl* კონდიციონალური მნიშვნელობა წარმოქმნილია პირობითისაგან (მღრ. *wenn auch—wangleich*).

გ) ზედსართავი სახელის უბრუნველი ფორმების ხმარება, ბრუნვანი ფორმების პარალელურად, გაქრა; იგი შემორჩა მხოლოდ გამოთქმებში (*sich lieb Kind machen*), სალბურ სიმღერებსა და ზღაპრებში („*Da kam ein grau Männlein...*“).

სხვ: ein gout man ან ein guoter man  
სხვ: ein guter Mann.

### დასკვნა

აღრეული ახალი ზემოგერმანელის პერიოდის ბევრით სისტემასა, მორფოლოგიასა და სინტაქსში უმნიშვნელოვანესი ცვლილებებია:

მოკლე ხმოვნების დაგრძელება მახვილიან ღია მარცვალში, გაღრმონება და გამონოფთონება, ბრუნების სისტემის შემდგომი გამარტივება; ძლიერი ზმნის პრეტერიტუმის მხოლობითი და მრავლობითი ფორმების წარმოების აპლაუტუთ განპირობებული განსხვავების მოშლა; აწმყოს ხშირა გამოყენება წარსულში მოქმედების აღსაწერად:

### 4. ცვალიებანი ლექსიკურ შემადგენლობაში

#### ა) სიახლენი სიტყვაწარმოების სფეროში

აღრეული ახალი ზემოგერმანულს პერიოდში განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით არანამდვილ სიტყვათშეერთებებს, ისეთ სიტყვათშეერთებებს, რომლებშიც პარველი წევრა სინტაქსურად დამოკიდებულია მეორეზე. ასეთი არანამდვილი სიტყვათშეერთებები ვლინდებიან შემდეგ ფორმებში:

1. არსებითი სახელისაგან დამოკიდებული ატრიბუტული გენტივი არსებით...სახელთან ერთად ქმნის ახალ რთულ არსებით სახელს:

des Fleisches Lust — Fleischeslust  
des Waldes Ruh — Waldesruh  
des Landes Fürst — Landesfürst.  
der Sonne Schein — Sonnenschein.  
der Frauen Zimmer — Frauenzimmer.

2. ზედსართავი და არსებითი სახელები ერთდებიან ერთ რთულ სიტყვად:

das sauer Kraut—Sauerkraut, das wild Schwein — Wildschwein, der rot Wein — Rotwein, der weiß Klee — Weißklee, der junge Gesell — Junggeselle. rote Tanne — Rottanne.

3. მამრობითი სქესის არსებითი სახელების დამახასიათებელი გენტივის s რთულ სიტყვებში უჩნდებათ აგრეთვე მღვდლობითი სქესის არსებით სახელებსაც: Sommernachtstraum, Hochzeitslied, Hilfsmittel, Arbeitsfreude, Freundschaftsbund და ა. შ.

4. აღრეული ახალი ზემოვერმანულის პერიოდის სულ უფრო ხშირად გვხვდება აგრეთვე ეგრეთ წოდებული ერთობლივი წარმონაქმნები (Zusammenbildungen). ესაა სიტყვათწარმოება ისეთი სიტყვათა ჯგუფისაგან, რომლებიც ერთიმეორესთან დაკავშირებული არიან სინტაქსური დამოკიდებულების გამო: Hof halten — Hoihaltung, Anteil nehmen — Anteilnahme, bekannt machen — Bekanntmachung, früh aufstehen — Frühaufsteher, die alte Jungfer — altjüngferlich, die neuen Sprachen — neusprachlich, dieses Jahr — diesjährig, an Eides Statt — cidesstattlich, rechts des Rheines—rechtsrheinisch, hinter dem Walde — Hinterwäldler.

სიტყვების წარმოება არსებითი და ზედსართავი სახელებისაგან პრეფიქსის საშუალებით: besolden, entziffern, vergolden, ermöglichen, verewigen, erneuern.

ძ ვ ე ლ ი ლ ე ქ ს ი კ უ რ ი მ ა ს ა ლ ა ი კ ა რ გ ე ბ ა ა ნ  
შ ე დ ი ს მ ხ ო ლ ო დ რ თ უ ლ ს ი ტ ყ ე ე ბ შ ი

jähen=sagen, dagen=schweigen, turren=wagen; schenzeln = beschimpfen; gemeit=wacker, fröhlich, keck; wætlich = stattlich; mein=falsch შემორჩენილია სიტყვაში Meineid; mäge=Blutsverwandter; dägen = Held; gedinge=Gedanke, Hoffnung; wine=Freund; lint=Schlange (შემორჩენილია სიტყვაში Lindwurm); vridel=Geliebter; sêdel=Sessel, Sitz; dicke=oft; sam=so wie, als ob; (შდრ. ბოლოსართი -sam).

მოძებნეთ „ნიბელუნგების სიმღერის“ ერთ ადენტურაში დღეს ხმარებულად გამოსული სიტყვები და დააღვეთ ცალ-ცალკე — არსებითი სახელები, ზმნები, ზედსართავები და ნაკვალსახელები.

ბ) სიტყვის მნიშვნელობის ცვალებადობადღეს ხმარებულ ბევრ სიტყვას საშუალო ზემოგერმანულში სხვა მნიშვნელობა ჰქონდა:

às (Aas)	= Speise, Nahrung
âventiure (Abenteuer)	= gefahrvolles Unternehmen eines Ritters
arebeit (Arbeit)	= Mühsal, Kampf
brüt (Braut)	= junge vermählte Frau
ellende (elend)	= außer Landes, verbannt
vast (fast)	= fest, stark
veige (feige)	= der vom Schicksal zum Tode Bestimmte
gemin (gemein)	= gemeinsam, gemeinschaftlich, allgemein
gemære (gemäß)	= mäßig, angemessen
gast (Gast)	= Fremder
geville (Gefilde)	= Kollektivum zu „Feld“
geheim (geheim)	= zum Hause gehörig
grop, grob (grob)	= an Masse groß, dick, stark
gruft (Gruft)	= Höhle
gesindel (Gesindel)	= Verkleinerungsform zu Gesinde (Hausgesinde)
gesmide (Geschmiede)	= Metall, Schmiedearbeit, Metallschmuck
Juncvrouwe (Jungfrau)	= junge Herrin (Standesbezeichnung), unverheiratete vornehme Dienerin
knëht (Knecht)	= Knabe, Jüngling, Krieger
kranc (krank)	= kraftlos, schwach, schmal, schlank, wertlos
kriec (Krieg)	= Anstrengung, Streben, Streit, Kampf mit Worten, Zwist, Streit mit Waffen
list (List)	= Weisheit, Klugkeit, Wissenschaft, Kunst
maget (Magd)	= Jungfrau
mære (Mär, Märchen)	= Kunde, Nachricht, Bericht
mat (matt)	= nur Ausdruck im Schachspiel
mille (mild)	= freigebig.
muot (Mut)	= das gesamte Seelenleben, Kraft des Denkens, Wollens, Stimmung, Gesinnung
rieh (reich)	= von hoher Abkunft, edel, mächtig
ruochel ôs (ruchlos)	= unbekümmert, sorglos
sêr (sehr)	= wund, verwundet, leidend
siëht (schlecht)	= schlicht (vgl. schlechterdings)
tugent (Tugend)	= Brauchbarkeit, Tüchtigkeit, Kraft
witze (Witz)	= Wissen, Verstand, Klugheit

## გ) ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა პ რ ო ფ ე ს ი ი ს ა დ ა ს ო ც ი ა ლ უ რ ი ჯ გ უ ფ ი ს ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი ლ ე ქ ს ი კ ა

ძლიერმა სოციალურმა დიფერენციაციამ და ახალი დარგების სწრაფ-მა განვითარებამ გვიანდელი შუა საუკუნეებისა და ადრეული კაპიტა-ლიზმის ეპოქაში გამოიწვია სხვადასხვა დარგის პროფესიის გარკვეუ-ლი სპეციფიკური სიტყვების შექმნა.

უკვე ძველი ზემოგერმანულის დროს ვამჩნევთ სასულიერო წოდება-სა და გლეხობას როგორც საკუთარი ლექსიკის მქონე საზოგადოებრივ ფენებს. საშუალო ზემოგერმანულის პერიოდში, უწინარეს ყოვლისა, მათ დაემატა რაინდობა. ადრეული ახალი ზემოგერმანულის დროს ქა-ლაქების, საამქრო წყობისა და სამთო საქმის განვითარების შედეგად შეიქმნა წანამძღვრები ლექსიკის შემდგომი დიფერენცირებისათვის ცალკეული პროფესიისა და სოციალური ჯგუფების მიხედვით.

### ვ ა ჯ რ ო ბ ა

გერმანიაში ორი დიდი სავაჭრო რაიონის შესატყვისად შეიქმნა „ვა-ჭართა ენები“: პირველი ჩამოყალიბდა ჰანზას ირგვლივ ქვემოგერმანუ-ლის საფუძველზე, მეორე კი ნიურნბერგის, აუგსბურგის, ულმისა და ბაზელის მიდამოებში ზემოგერმანულის საფუძველზე. სამხრეთ გერმა-ნიაში ქვემო გერმანიის ვაჭართა ენის სპეციფიკური ლექსიკა ჰანზას დაცემის შემდეგ თითქოს სრულიად დაიკარგა. გერმანულ ეროვნულ ენაში შევიდა მისი მხოლოდ ცალკეული გამოთქმები, მაგ.: Stapel, Fracht, Unkosten, Stockfisch, Laken, Linnen, Inlett, Römer (მწვა-ნე, მუცლიანი ღვინის ჭიქა მოდის ნიდერლანდური სიტყვიდან ro-emen=rühmen; ძვირფასი ჭიქა, რომლითაც ვინმეს სადღეგრძელოში საქებ სიტყვებს ეუბნებოდნენ), Packen, Stoff, Trense (მოდის ესპა-ნური სიტყვიდან, რომელიც ნიდერლანდიაში შემორჩა ესპანელთა ჯა-რის ყოფნის დროიდან), börse, Cardine.

სამხრეთ გერმანიის ქალაქებს გაცხოველებული სავაჭრო ურთიერ-თობა ჰქონდათ ზემო იტალიასთან. ამის შედეგად სამხრეთ გერმანიის ვაჭართა ენაში შეიჭრა იტალიური სიტყვების დიდი რაოდენობა: netto, brutto, Bank, Konto, Risiko და ა. შ.

### ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა

ხელოსნობის აყვავების დროს სახელოსნო საქმესთან დაკავშირებით ბევრმა სიტყვამ მიიღო განსაკუთრებული მნიშვნელობა: Schneider (sneiden-ის მნიშვნელობა დავიწროვდა ტანსაცმლის გამოშკრელის მნიშვნელობამდე), wirken (სჯ-ში ნიშნავდა საქმის კეთებას, შრომას; დავიწროებული მნიშვნელობა: ქსოვილის, ხალიჩების დამზადება),

gerben (სზგ gar თავდაპირველად ნიშნავდა მომზადებას, შეკეთებას, შესწორებას; ობიექტის (ტყავი) დამატებით მან სპეციფიკური მნიშვნელობა მიიღო), Dach — სახურავი (საშუალო ზემოგერმანულში საერთოდ ნიშნავდა იმას, რაც ეხურება, გარსი, გარედან შემოსახვევი: მშენებლების ენაში მისი მნიშვნელობა დავიწროვდა და მივიღეთ „Dach des Hauses“<sup>1</sup>, Zeile (წარმოშობით ნიშნავს რ ი გ ი — 'ასოების რიგი').

### მონადირეობა

მონადირეთა სპეციფიკური ლექსიკა შეიცავს ბევრ ძველ სიტყვას, ნაწილობრივ — ფრანგულ სიტყვებსაც. ძველი ლექსიკური მასალაა: Wildfang (ცოცხლად დაქვრილი გარეული ცხოველები), naseweis (ითქმის კარგი ალღოანი მეძებარი ძაღლის შესახებ), აგრეთვე სიტყვები: unbändig, bärbeißig, vorlaut (თავდაპირველად იხმარებოდა მხოლოდ ძაღლების მიმართ); მონადირეობის ჩვეულებრივი ტერმინებია: Fallstrick, berüclen (გარეული ცხოველების მიტყუება მახეში), einkreisen, nachstellen, nachspüren.

ფრანგულიდან წარმოდგება: pirschen, Koppel და ა. შ.

### სამთო საქმე

სამთამადნო მუშების სპეციფიკური ლექსიკა შედგება მხოლოდ გერმანული სიტყვებისაგან: Schicht, Schlacke, Ausbeute, Stichprobe (გამოსაცდელი ლუმელის გამძლეობის გამოცდა), fördern, reichhaltig.

### ზღვაოსნობა

მეზღვაურთა ლექსიკონი ასახავს ზღვაოსნობის განვითარებას. ძალიან ძველი სიტყვები გვაჩვენებენ ზღვაოსნობის დასაწყისს ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ზღვებზე. როცა ხმელთაშუა ზღვამ მნიშვნელობა მოიპოვა გერმანელი მეზღვაურებისათვის, მათ ლექსიკაში შეიჭრა იტალიური, ესპანური და არაბული სიტყვებიც კი. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ საზღვაო ვაჭრობამ კვლავ გადაინაცვლა ევროპის დასავლეთ და ჩრდილოეთ სანაპიროზე. ამას თან მოჰყვა ქვემოგერმანული, ჰოლანდიური და ინგლისური სიტყვების გადმოღება; მაგალითად: Matrose (ნიდლ. matroos, Maat ამხანაგი, მეზღვაური, საშუალო ქვემოგერმანული mate — თანამესუფრე), Kombüse (საშ. ქვემოგერმანული kabüse, ფიცრული ტიხარი), Boot (საშ. ინგლ. böt), Flagge (ინგლ. flag), Lotse (ძვ. ინგლ. loadsmān — 'შტურმანი', ნიდერლანდურისა და ქვემოგერმანულის შემეგობით), Ballast (ნიდერლანდ.), Steven (ნიდერლანდ.), Deich (ნიდერლანდ).

<sup>1</sup> სიტყვაში Dachdecker, „სახურავის მხურავი“ ვეღარ ვგრძნობთ, რომ ერთი ფუძე ორჯერაა გამოყენებული.



## ს ა მ ა რ თ ა ლ ი

1500-იან წლებში რომის სამართლის გადმოღებით გერმანული სამართლის სპეციფიკურ ლექსიკას მიემატა მრავალი ლათინური გამოთქმა. გერმანული წარმოშობისაა: Henkersmahlzeit Steckbrief, brandmarken, den Stab über jemanden brechen, Daumenschrauben anlegen.

წარმოშობით სამართლის სპეციფიკურ სიტყვებს მიეკუთვნება: aufschieben, appellieren, überzeugen (მოწმეებით დანაშაულის დამტკიცება), handhaben, fähig, vermachen (საერთოდ წარმოშობით ნიშნავს ვინმეს მფლობელობაში გადატანას, შემდეგ მიიღო ის დავიწროებული მნიშვნელობა, რომელიც „ანდერძში“ არის), Anwalt (წარმოშობით ნიშნავს ყველა იმას, ვინც სსვის მაგეგრად მოქმედებს, უფრო გვიან მიიღო მხოლოდ ვეჭილის მნიშვნელობა).

როცა ქვემოგერმანულმა სამართლის წიგნებმა, როგორცაა მაგალითად, sachsenspiegel, სამხრეთ გერმანიაში დიდი მნიშვნელობა მიიპოვა, სამართლის ლექსიკაში შევიდა აგრეთვე ქვემოგერმანული წარმოშობის სიტყვები, მაგ., Staube (საჯაროდ გაწყობვლა, ჯიხების დაარტყმით დასჯა), Pranger.

## ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა

დაქირავებული ჯარის შექმნასთან ერთად ძლიერ განვითარდა ჯარისკაცთა ლექსიკა, რომელშიც აგრეთვე შეიჭრა ფრანგული, იტალიური, ესპანური და სლავური სიტყვები.

ადრეულ ახალ ზემოგერმანულ პერიოდს ეკუთვნის სიტყვები: Feldweibel, (Feldweibel=საველე პოლიციელი), Wachtmeister, Rittmeister, Feldscher (ჯარის ქირურგი), Obrist, Gefreiter (ის ვინც საყარაულო სამსახურისაგან განთავისუფლებულია), Lunte, Zeughaus, Vortheil, Anlauf, Nachdruck (დადგენება), Ausflucht, sprengen (ცხენის გადახტუნება).

## ქ უ რ დ ბ ა ც ა ც ე ბ ი ს უ ა რ გ ო ნ ი

ქურდბაცაცების უარგონმა (Gäunerjargon<sup>1</sup>, Rotwelsch<sup>2</sup>), რომელიც შედგება გერმანული დიალექტების სიტყვებისა, ნეოლოგიზმებისა, პერიფრაზებისა, ფარული გამოთქმებისა და ებრაული, აწინკნური (ბო-

<sup>1</sup> უარგონი — ეროვნული ენის სოციალურ ან პროფესიული სახეობა; მისი საფუძველია საერთო ეროვნული ენის გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. უარგონს ეწოდება აგრეთვე „სპეტ. ენა“.

<sup>2</sup> Rotwelsch ქურდბაცაცების სიტყვებისაგან შედგენილი სიტყვა: rot=მათხოვარი, welsch=უცნაური, არაჩვეულებრივი.

შური) და აგრეთვე ფრანგული და იტალიური სიტყვებისაგან, გარკვეული მნიშვნელობა მიიღო მე-16 საუკუნის მღელვარე ცხოვრებაში. მისი ზოგიერთი სიტყვა შევიდა გერმანულ სალაპარაკო ენაში; ასე მაგალითად, foppen, blechen, schwänzen (მნიშვნელობით versäumen იხმარება მე-18 საუკუნის შუა წლებიდან), Stromer.

პროფესიული ენის სპეციფიკური ლექსიკიდან ბევრი სიტყვა და გამოთქმა უფრო მოგვიანებით შევიდა საერთო ენაში. ამასთან ერთად დაიკარგა ამ სიტყვებისა და გამოთქმების წმინდა პროფესიული მნიშვნელობა. სპეციფიკური ლექსიკის გარკვეული ნაწილის საერთო ენაში შექრის ფაქტიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ სიტყვებით აღნიშნული საზოგადოებრივი მოვლენები და პროფესიები, საიდანაც წარმოიშვა ეს სიტყვები, მათი საერთო ენაში შესვლის მომენტში ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

#### დავალება 24

გამოარკვიეთ, რომელი სპეციფიკური ლექსიკიდან წარმოდგება მოცემული გამოთქმები!

დაადგინეთ მათი თავდაპირველი გამოყენების სფერო, განმარტეთ მათი დღევანდელი აზრი!

„auf den Busch klopfen — leeres Stroh  
dreschen — mit allen Hunden gehetzt sein —  
abgedroschenes Zeug — über einen Leisten  
schlagen — an den Pranger stellen — Wind  
bekommen — gut beschlagen sein — in die  
gleiche Kerbe hauen — das Fell über die  
Ohren ziehen — in die Bresche springen —  
umgekehrt wird ein Schuh draus — jemanden  
aufs Korn nehmen — Fallen stellen — Alasm  
schlagen — mit vollen Segeln — vom Leder  
ziehen — ins Gehege kommen — Schmiere  
stehen — aufgetakelt — über die Schnur  
hauen — über die Stränge schlagen — ins  
Schwarze treffen — gespannt sein — ins  
Schlepptau nehmen — Lunte riechen — unter  
der Fuchtel stehen — ins Garn gehen —  
sich wie gerädert fühlen — wer zuerst  
kommt, mahlt zuerst — unter den Hammer  
kommen — grobes Geschütz auffahren — durchhecheln.

## დ) გერმანული ლექსიკის გამდიდრება უცხოური ენებიდან

ადრეული ახალი ზემოგერმანულის პერიოდში გერმანულ ლექსიკაზე უძლიერესი გავლენა მოახდინა ლათინურმა ენამ. სამხრეთ გერმანიის, რაინისა და ჩრდილო გერმანიის ქალაქების დიდი სამეურნეო აღმავლობის შედეგად მე-14 საუკუნის შუა წლებში გერმანიაში მდიდარი ბიურგერებისა და მთავართა მოხელეებისათვის საფუძველი ეყრება მრავალრიცხოვან უნივერსიტეტებს, როგორც საგანმანათლებლო ცენტრებს. ამ უნივერსიტეტებში მე-15 საუკუნეში გაჩაღდა ბრძოლა საერო მეცნიერებისათვის სქოლასტიკის დამცველთა წინააღმდეგ, რომლებიც მეცნიერებაში მხოლოდ „თეოლოგიის მსახურს“ ხედავდნენ.

იმ დროს იტალიიდან ჰუმანიზმის იდეები გერმანიაშიც შეიჭრა. ამასთან ერთად სწრაფად წავიდა წინ ხელოვნება და მეცნიერება, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო დარგის მეცნიერება. ძველი ენების ბეჯითად შესწავლის შედეგად გერმანულში შემოიჭრა ლათინური ლექსიკის ახალი მძლავრი ნაკადი. ლათინური სიტყვები, რომლებიც გერმანულ ენაში უფრო ადრე შემოვიდა, დღეს გამოიყენება როგორც უცხოური, მხოლოდ ენათმეცნიერების მიერ, ხოლო ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქაში ნასესხები ლათინური სიტყვები იყენება მათი უცხოური დაბოლოებისა და მრავლობითის წარმოების ფორმის მიხედვით<sup>1</sup>:

Examen — Examina, Tempus — Tempora, Komma — Kommata.

ჰუმანიტები, რომელთა შორის გერმანელი ხალხის მზარდი ეროვნული თვითშეგნების მქადაგებლები განსაკუთრებით ვიმფელინგი („Wimpheling) და ჰულტენი (Hulten) იყვნენ, ერთმანეთს უკავშირდებოდნენ, ზეპირად თუ წერილობით. მხოლოდ ლათინური ენით. გერმანელი ექიმის პარაცელსუსის (Paracelsus) ცდა, გერმანულ ენაზე წაეკითხა თავისი ლექციები უნივერსიტეტში, უარყოფილ იქნა, მიუხედავად მე-16 საუკუნის გერმანული პროზის დიდი აღმავლობისა, მეცნიერული შრომები იმ დროს მაინც ყველგან ლათინურ ენაზე იწერებოდა. 1750 წელსაც კი ჩვენამდე მოღწეული, გერმანიაში გამოქვეყნებული წიგნების 70% ლათინურ ენაზე იყო დაბეჭდილი.

<sup>1</sup> ჩვენ ნასესხებ სიტყვებს ეუწოდებთ უცხოური ენის ისეთ სიტყვებს, რომლებიც არმდენადმე მაინც გავგერმანულებულია; უცხოურ სიტყვებს ეუწოდებთ უცხოური ენის ისეთ სიტყვებს, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ იმ ენას არსებითი ნიშნები (მახვილი, დამწერლობა, ფლექსია).

იმ პერიოდის ს ა ე კ ლ ე ს ი ო . მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი და ს ა მ ა რ -  
თ ლ ი ს ს ფ ე რ ო დ ა ნ წ ა რ მ ო დ გ ე ბ ა ს ი ტ ყ ე ვ ე ბ ი : . .

Reliquie. Prozession. Hostie. Requiem. Monstranz. Text. Traktat. Glosse. Philosophie. Logik. Metaphysik. Materie. diskutieren, addieren, subtrahieren. Extrakt. Essenz. Medizin. Patient. kurieren, operieren. arrêtieren, statuieren, protestieren; Advokat, Amnestie, Prozes, Klient. konfiszieren, adoptieren, Instanz, Kontrakt. Inserat.

საკანცელარიო ენიდან წარმოდგება ტიტულები: Majestät, Exze-  
lenz; ტერმინები: Dekret, Formular, Konzept.

ლათინური ენიდან განსაკუთრებით ბევრი სიტყვა გვხვდება სასკო-  
ლო დარგში. უნივერსიტეტების ენა მე-17 საუკუნის ბოლომდე თათქ-  
მის მთლიანად ლათინური იყო.

Abilur. Akademie. Auditorium, Aula, Dozent, Examen. Fakultät. Ferien, Gymnasium, Kolleg. Rektor. Professor. Semester. Student. absolvieren, diktieren, experimentieren, immatrikulieren, interpretieren, korrigieren.

ბევრი ძველი პროფესიული ტერმინი მუსიკაში ლათინური წარმო-  
შობისაა:

Terz, Quarte, Quinte. Oktave. Dissonanz, Melodie, Note, Takt. Fuge, kom-  
ponieren.

მეცნიერების ენასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული წ ი გ ნ ი ს  
ბ ე ქ დ ვ ი ს პროფესიული ენა. ლათინურიდან წარმოდგება Initial,  
Kolumne, Manuskript, Faksimile.

კუმანისტთა წრეებში თითქმის ჩვეულებად იქცა გვარებისათვის მიე-  
ცათ ლათინური დაბოლოება, ან ეთარგმნათ იგი მთლიანად ლათინურად  
ან ბერძნულად:

Krause — Crusius. Kurz — Curtius. Grote — Grotius. Schmied — Faber,  
Hirt — Pastor, Weber — Textor, (J)schlöger — Olcarius, Fuchs — Viplius,  
Neumann — Neander. Schwarzert — Melancthon.

კვლავ შესამჩნევი გახდა ლათინურის გავლენა წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს  
წ ყ ო ბ ა ზ ე . გრძელი პერიოდები და რ თ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე -  
ბ ე ბ ი, welscher-ის ხშირი გამოყენება რელატიურ ნაცვალსახელად,  
უარტიკლობა ოფიციალურ ენაში, ზმნის ინფინიტევური ფორმის დასმა  
მთავარი წინადადების ბოლოში და ლათინური სინტაქსის სხვა დამახასი-  
ათებელი ნიშანი შეიქრა მეცნიერულ ნაშრომებში, თარგმანებსა და სა-  
ბუთებში. იმდროინდელი გრამატიკოსები პირდაპირ მოითხოვდნენ ლა-  
თინური წინადადების წყობისა და ლათინური რიტორიკის სტილის მი-  
ბაძვას.

ფ რ ა ნ გ უ ლ ი ს გავლენა გერმანულ ლექსიკაზე ახალი ზემოგერმანული პერიოდში გაცლებით ნაკლები იყო. ვიდრე რაინდობის აყვავების ეპოქაში. მხოლოდ მე-17 საუკუნიდან შემოიჭრა კვლავ ფრანგული სიტყვები გერმანულ ენაში იმ გავლენის შედეგად, რომელიც ჰქონდა აბსოლუტისტურ საფრანგეთს. სხვა სიტყვებს შორის მე-15, მე-16 საუკუნეებსა და მე-17 საუკუნის დასაწყისში ნასესხებია:

Papagei. Appetit. Audienz. Konservation. Adresse. Schärpe. Furier. Komplize. Truppe. Garde. Degen. Offizier, Leutnant. Garnison, Armee. Bombe.

უფრო მნიშვნელოვანი იყო ი ტ ა ლ ი უ რ ი ს ა და ე ს პ ა ნ უ რ ი ს გავლენა. ეს გავლენა იყო შედეგი სამხრეთ გერმანიის ვაჭართა კავშირების იტალიასთან დამოკიდებულებისა და ჰაბსბურგების ესპანეთთან პოლიტიკური ურთიერთობისა. აგრეთვე დაქირავებულ ჯარისკაცებს თავიანთი საომარი ლაშქრობებიდან თან მოჰქონდათ იტალიური და ესპანური სიტყვები, იტალიურისა და ესპანურის გავლენა მეტწილად შეიმჩნეოდა ვაჭრების, მეზღვაურებისა და ჯარისკაცების სპეციფიკურ ლექსიკაში.

Kassè. Kredit. Kapital, Bilanz, Kontor. Muster. Zitrone. Rosine. Orange, Jasmini. Tasse. Golf. Kompaß, Galeere, Kapitän. Fregatte. Granate. Grenadier, Kavallerie, Infanterie, Kommando, Arsenal.

რადგან ყველა ეს სიტყვა სხვადასხვა რომანულ ენაში თიქმის ერთნაირი ფორმით იმარება, ამიტომ ყოველთვის შესაძლებელი არ არის მიუთითოთ. რომელი ენიდან შემოვიდა: იტალიურიდან, ესპანურიდან, თუ ფრანგულიდან; ამასთან ერთად ნიდერლანდური შუამავლის როლს ასრულებს: ასე მაგ., Rosine, Kontor. Orange შემოვიდა ნიდერლანდურის გზით. მე-17 თუ მე-18 საუკუნიდან მუსიკის პროფესიულ ენაში გამოყენებულია იტალიური წარმოშობის სიტყვები: Adagio, Andante, Arie, Violoncell და ა. შ.

მე-14 საუკუნის დასაწყისში გაძლიერდნენ ბოჰემია (ჩეხია) და პოლონეთი. ამ დროიდან ვაჭართა კავშირების მეოხებით უფრო განსირდას ლ ა ვ უ რ ი დ ა ნ ნასესხები სიტყვები:

Düse (ჩეხ. duše. რუს. дыша)

Halunke, (ჩეხ. cholomek. შდრ. რუს. голыш)

Jauche (პოლ. jucha წენი).†

Gurke (ჩეხ. okurka, რუს. огурек).

Säbel (პოლ. Szabla); Peitsche (ჩეხ. bič. შდრ. რუს. бичь)

Groschen (ლათინურიდან ჩეხურს მეშეობით).

Haubitze (ჩეხ. houfnice — შურდულა).

Pistole, (ჩეხ. pištal სტენა)

ა რ ა ბ უ ლ ი დ ა ნ რომანული ენების მეშვეობით გერმანულ ლექსიკაში შევიდა სიტყვები: Lack (ინდური სიტყვა), Matratze, Karussel, Alkohol, Kaffee.

ამერიკული ენებიდან ახალი ქვეყნის აღმოჩენის შემდგომ საეაქრო ურთიერთობის შედეგად შემოვიდა სიტყვები: Mais, Kakao, Ananas, Orkan, Hängematte (დასავ. ინლურ. hamaca) Kan-nibale.

### 5. მტკიცე გვარების წარმოქმნა

მე-14 საუკუნიდან მე-16 საუკუნემდე გერმანიაში იქმნებოდა მტკიცე გვარები. ყველაზე ძველები ეკუთვნის მე-12 — 13 საუკუნეებს. სახელს დაემატა გვარი, რომელიც მემკვიდრეობისა და ოჯახის სახელი (Familiennamen) გახდა. ეს გამოიწვია ზუსტი დასახელების საჭიროებამ, რადგან იმ დროს აყვავებულ ქალაქებში ადამიანებმა გაცხოველებული ურთიერთობა გააჩაღეს და ერთიმეორესთან მრავალფეროვანი საქმიანი კავშირი გააბეს. საზოგადოებრივი ცხოვრების ბიუროკრატიზაციამ, საბუთების სხვადასხვაგვარად გაფორმების აუცილებლობამ მწვეავედ მოითხოვა გვარების უკეთ განსხვავება.

პირველ ნაბიჯი ორსახლიანობისაკენ იყო საკუთარი სახელის შეესება მამის სახელთ: Hadubrand. Hildebrands Sohn; Josef, Andreassohn. სტევის Sohn შესუსტებას გამო (აუსლაუტის კანონი) მივიღეთ ასეთი გვარები: — Andersen, Hansen, Jansen, Mommsen, Jakobsen;

გვარის შემდგომი შემოკლებით დარჩა: Anders, Jakobs. Pauls, Helmholtz, Peters.

ძალიან ადრე გეხდება აგრეთვე -ing სუფიქსით დაბოლოებული გვარები (ნიშნავს შთამომავლს, მემკვიდრეს, შვილს; Gering, Henning, Klausling. Breiting. Hönning.

ზორად გვარი იქმნებოდა ადმიანის საცხოვრებელი ადგილის სახელისაგან. მისი მდგომარეობის ან პირადი თვისებების გათვალისწინებით: Amthor, Auffenberg, Buchholz, Seemüller, Bachmann, Alterhof, Auerbach, Waldeck.

რადგან წინათ სახლებს ნომრები არა ჰქონდათ, მათ ეძლეოდათ სახელწოდებები, რაც სერათებად იყო წარმოდგენილი კარებზე. ამრიგად შეიქმნა ასეთი გვარები:

Baum, Busch, Fuchs, Wolf, Lamm, Spieß, Engel, Falk და ა. შ.

ძალიან ხშირად გვარად იქცეოდა პროფესიის სახელწოდება, რომლის ყველაზე უფრო ადრეულ ფორმას მოვიყვანთ:

Hans der Müller; Franz, der Schmied; Josef, der Schulze და ა. შ.

პროფესიის სახელწოდებიდან მოდის შემდეგი გვარები:

Böttcher, Ziegler, Schindler, Faßbinder, Kannegießer, Lehmann (ფეოდალის გლეხი აღმოსავლეთის კოლონისტთა სოფლებში), Müller, (Fleischer, Schulze, Schröter (სზგ. schrotten — zerkleinern), Schuster, Wirt, Kretzschmar (პოლ. karczma — Schänke), Knochenhauer, Täschner.

გვარებად იყენებდნენ აგრეთვე ხასიათისა და გარეგანი ფიზიკური

ნიშნების სახელწოდებებს. ასევე წარმოშობის ადგილებისა და მშობლიური ქალაქების სახელებს:

Olinesorge, Kühne, Kluge, Weise, Guts, Muths; Große, Lange, Stammler, Großkapf, Weißhaupt; Bayer, Sachse, Friese, Franke, Schwab; Nürnberger, Frankfurter და ა. შ.

სახელები მრავალნაირად შეიცვალა. ბევრი დღეს ხმარებული გვარის პირვანდელი მნიშვნელობის გამოცნობა უკვე აღარ ხერხდება. მხოლოდ ზუსტი კვლევა-ძიების შედეგად არის შესაძლებელი მათი წარმოშობის შესახებ მსჯელობა და ასსნა. ზოგიერთზე საერთოა არც ხერხდება რაიმეს დაბეჭითებით თქმა. ზოგიც კიდევ შესაძლებელია აიხსნას სხვადასხვაგვარად.

### დასკვნა

ადრეულ შემოგერმანულ პერიოდში სიტყვაწარმოებაში დიდ როლს ასრულებდა სიტყვათშეერთება.

ბევრი სიტყვა იხმარებოდა ახალი მნიშვნელობით.

საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობის შედეგად სხვადასხვა პროფესიასა და სოციალური<sup>1</sup> ჯგუფში იქმნებოდა სპეციალური ლექსიკა, რომლიდანაც ეროვნულ ენაში შევიდა ბევრი სიტყვა და გამოთქმა.

ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქაში გერმანულ ლექსიკაზე ძლიერი გავლენა მოახდინა ლათინურმა ენამ. ამასთან შედარებით უფრო სუსტი იყო ფრანგულის, იტალიურის, ესპანურისა და სლავური ენების გავლენა.

მე-14-დან მე-16 საუკუნემდე შეიქმნა მტკიცე გერმანული გვარები.

## IV. ბრძოლა გერმანული ეროვნული ენის სიწმინდისა და ღირსებისათვის მე-17 საუკუნეში

### 1. ენის მდგომარეობა მე-17 საუკუნის გერმანიაში

უკვე მე-16 საუკუნიდან დაიწყო გერმანიის სამეურნეო დაქვეითება. ჰანზამ და ფუგერებმა (Fugger)<sup>1</sup> დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა. პოლანდიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, ატლანტიკის ოკეანის ქვეყნებმა გაუსწრეს გერმანიას ვაჭრობასა და ხელოსნობაში. გერმანიის ცალკეულ ნაწილებს შორის შესუსტდა ვაჭრობის შედეგად შექმნილი კავშირი. ცალკეულ სამთავროებში თანდათან განმტკიცდა თვითმპყრობელობა. ტერიტორიულ დაყოფას დაერთო რელიგიური განხეთქილება. გერმანიის შინაგანმა კონფლიქტმა 1618 წელს გამოიწვია ოცდაათწლიანი ომი, რომელიც პირველ საერთო ევროპულ ომში გადაიზარდა. გერ-

<sup>1</sup> ფუგერები — ვაჭარ-მეფეაზშეთა გვარეულობა გერმანიაში 15—17 საუკ.

მანია იქცა მთელი ევროპის ჯარების სათარეშო არენად. ოცდაათწლიანი ომის პოლიტიკური შედეგი იყო გერმანიის დანაწილება მრავალ დამოუკიდებელ პატარ-პატარა სამთავროდ და გერმანიის სახელმწიფოს დაუძღურება.

გერმანიის ეროვნული ლიტერატურის მე-16 საუკუნის I ნახევრის დიდი იმედის მომცემი წამოწყება ვერ განვითარდა. რელიგიური და საეკლესიო განახლებისათვის ბრძოლამ ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში დაკარგა სოციალური და ეროვნული ხასიათი. მე-17 საუკუნეში ფართო წრეებისათვის განკუთვნილი ხალხური პოეზიის ადგილი, გარდა საეკლესიო სიმღერებისა და ნაწილობრივ ლირიკისა, დაიკავა მეცნიერულმა პოეზიამ, რომელიც ანტიკური, ფრანგული, ჰოლანდიური და იტალიური ლიტერატურის მაგალითის მიხედვით ხშირად ლათინურად იწერებოდა და ხალხთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა.

ოცდაათწლიანმა ომმა, გერმანიის დაქვემდებარებამ და ლიტერატურასა და ხალხს შორის უფსკრულის გაჩენამ დააბრკოლა ეროვნული ენის შემდგომი განვითარება. მე-16 საუკუნის მიწურულში და კიდევ მეტად მე-17 საუკუნეში გერმანული ენის ლექსიკაზე განსაკუთრებით ძლიერ გავლენას ახდენდა საფრანგეთი. მეფის სასახლე, მეტადრე ლუდოვიკო XIV მეფობის დროს, გერმანული მთავრებისათვის მაგალითს წარმოადგენდა. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჯარსა და ყველაფერში, სადაც გაფორმება და გემოვნება იყო საჭირო, ტონის მომცემი მხოლოდ საფრანგეთი იყო. ჰუგენოტების ომის გამო გერმანიაში ჩამოვიდა ბევრი ფრანგი პროტესტანტი. ფრანგულად ლაპარაკი ისმოდა არა მხოლოდ არისტოკრატთა წრეებში, არამედ, აგრეთვე, კარგი ტონისათვის, შეძლებულ ბიურგერობაშიაც. რამდენადაც ეს უკანასკნელნი მრავალნაირად იყვნენ დაკავშირებული მთავრებსა და არისტოკრატისთან. ბევრი გერმანელი ახალგაზრდა საფრანგეთში მიემგზავრებოდა განათლების მისაღებად, სავაჭრო ურთიერთობამაც საფრანგეთსა და გერმანიას შორის, ისევე როგორც ოცდაათწლიანმა ომმა, გაზარდა ფრანგული ენის როლი. მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა გერმანულ ლიტერატურაზე აგრეთვე ფრანგული ლიტერატურა. ფრანგული სიტყვების გარკვეული რაოდენობა შეიქრა როგორც არისტოკრატთა, ისე უბრალო ხალხის სალაპარაკო ენაში:

Rekrut, Uniform, Kokarde, Kompanie, Kautine, Kaserne,  
Domäne, Etage, Parterre, Allee, Fontäne, Pavillon  
Ragout, Kotelett, Kompott, Dessert,  
Korsett, Manschette, brünett, frisieren, sich  
amüsieren, Pläsier, Puder, Pomade, Perücke,  
Maske, Hasard (თამაში), nobel, galant,  
scharmant, Cousine, Consin, Papa, Mama.



ყველა, ვისაც სასახლის საზოგადოებისაკენ ეჭირა თვალი, ლა-  
პარაკობდა და წერდა უმთავრესად ფრანგულად. ამრიგად, გერმანული  
ენა გადაიტვირთა გერმანულისათვის სრულიად ზედმეტი ფრანგული  
მასალით.

ანალოგიური გავლენა მოახდინა ლათინურმაც.

#### დავალება 25

მოცემულ ტექსტების მიხედვით დაახსიათეთ ენის მდგომარეობა მე-17 საუკუნის  
გერმანიაში. გამოიყენეთ ამისათვის აგრეთვე გრიმელსპაუზენის „სიმპლოცისიმუ-  
სი“.

ა) Michael Moscherosch: „Gesichte Philanders von Sittewald“:  
„Doch ich will also sagen..., viel Sprachen wissen, ist  
nicht vnrecht, dieweil mit Nachbaurn vnd Außländischen  
Völckern man sich zu vnserm schaden im handel so weit  
eingelassen, vnd bißweilen denselben muß antworten können  
wie Marggrav Jacob von Baden. Bischoff zu Trier, auff dem  
Reichstag zu Cöln, deß Pabsts Gesandten Lateinisch, den  
Tentschen Teutsch, den Frantzösischen Frantzösisch, den  
Venetianischen Italianisch geantwortet hat. Aber solche  
frembde Sprachen der Muttersprach vorziehen, oder also  
vndermischen, das ein Bidermann nicht errathen kan, was  
es für ein Gespräch seye, das ist Verrätherisch vnd muß  
billig nicht geduldet werden... Hastn je einen Vogel blär-  
ren, eine Kuh pfeiffen hören? Vnd ihr wollet die edele  
Sprach, die euch angeboren, so gar nicht in obacht nem-  
men in ewrem Vatterland. Pfuy dich der schand!

Fast jeder Schneider / will jetzt und leyder  
Der Sprach erfahren sein / vnd redt Latein,  
Wälch vnd Frantzösisch / halb Japonesisch,  
Wan er ist doll vnd voll, / der grobe Knoll.  
Der Knecht Matthies / spricht bonae dies,  
Wan er gut morgen sagt / vnd grüst die Magd;  
Die wend den Kragen, / thut ihm danck sagen,  
Spricht Deo gratias / Herr Hippocras.  
Ihr böse Teutschen, / man solt euch peutschen,  
Das ihr die Muttersprach / so wenig acht.  
Ihr liebe Herren / das heistnicht mehrnen,  
Die Sprach verkehren / vnd zerstören.  
Ihr thut alles mischen / mit sanlen fischen  
Vnd macht einmisch gewäsch, / ein wüste wäsch.

Ich muß es sagen. / mit vnmut klagen,  
Ein faulen Haaffen käß / ein seltzanis gras.  
Wir haus verstanden / mit spott vud schanden,  
Wie man die sprach verkehrt / vnd gantz zerstöhrt  
Ihr böse Teutschen. / man solt euch peutschen,  
In unserm Vatterland / pfuy dich der schand!<sup>1</sup>

ნაწყევტი ვალენსტიანის შერაღიდან მეფისადმი:

Das combat hat von frühe angefangen und den ganzen Tag caldissimamente gewährt. Alle Soldaten Ew. Kaiserl. Armee haben sich so tapfer gehalten, als ich's in einiger Occasion mein Leben lang gesehen, und niemand hat einen fallo in valor gezeigt. Der König hat sein Volk über die Maßen discouragiert, daß er sie hazardosamente angeführt, daß sie in vorfallenden Occasionen ihn desto weniger trauen; werden. Ew. Majestät armee aber, indem sie gesehen, wie der König repussiert wurde, ist je denn mehr assekurirt worden“.

მე-17 საუკუნის ენობრივი აღრევის თვალსაჩინო სურათს იძლევა კარლ გუსტავ ფონ ჰილფე. მას გამოუნახავს ეს წერილი, სიყვარულის სიმღერა, როგორც ენის დაქვეითების მაგალითი:

„Reverirte Dame  
Phœnix meiner ame  
Gebt mir audientz;  
Euer Gunst meriten  
Machen zu falliten  
Meine patientz“.

ამას ის უკავშირებს ქვემოთმოცემულ მსჯელობას (მისი უკანასკნელი შენიშვნები არ არის თავისუფალი ყოყლოზინობისაგან).

„Wie wol — oder übellautend diese unteutsche und von Alters hero ungewöhnliche Art, welches weder gehauen noch gestochen. für menschlichen gesunden Ohren klinget, hierüber wolle ein jedweder vernünftiger Teutscher Biedermann seiner beywohnenden Vernunft nach treulich urteilen und seine Gedanken darvon eröffnen. Man beobachte nur, wann

---

<sup>1</sup> შიხელი მოშეროში (1601—1669). მგზნებარე პატრიოტი; თავის ნაწერებში ილაშქრებდა ყოველგვარი უცხოური მოღისა და სხვა ენებიდან აღებული სიტყვებითა და გამოთქმებით გერმანული ენის დანაგვიანების წინააღმდეგ.

der Frantzmann, der Welsche, der Römer ihre an- und zugehörige Wörter von diesem Brief und Lied absondern und rechtmäßig wieder an sich ziehen sollten, was würde wol vor teutsch überbleiben? wie ungestalt und entblößet würde dieser mit fremden Federn gezierte Vogel dastehen? und könnte die Ursache seiner Schande niemand als seiner unbedachtsamen Gewohnheit beymaßen. Ein Verständiger und in fremden Sprachen Erfahrener kan sich nicht sattsam verwundern, daß auch diejenigen, so nicht über den Schatten ihres Kirchturms gewandert und nie kein Welsches. Lateinisches oder Frantzösisches Wort vorsetzlich gelernet, sondern ie eines etwan ohne Verstand erschnappt. nicht 6 Wörtlein zusammenfügen, darunter nicht etliche unteutsche mit eingeflochten weren“.

## 2. ენის საზოგადოებები

მე-17 საუკუნეში ენის საზოგადოებებში გაერთიანდნენ არისტოკრატიისა და ბიურგერების წარმომადგენელი სწავლულები. მათი მიზანი იყო გერმანული ენის დაცვა გაუცხოურებისაგან. მისი განთავისუფლება უცხოური გავლენისა და ხორცმეტეებისაგან, დედაენის ეროვნული ჭეხასიათის შენარჩუნება და მისთვის დამსახურებული ადგილის მოპოვება განათლებულ ადამიანთა შორის. ამ საზოგადოების მოღვაწეობამ, ხელი შეუწყო ეროვნული ენის იმ საიმედო აღმავლობის განვითარებას, რაც მე-16 საუკუნემ მოიტანა, და ამით, ყოველგვარი სახელმწიფოებრივი დაქსაქსულობის მიუხედავად, დაეხმარა ენაში ერის ერთიანობის დაცვა-განმტკიცების საქმეს.

მთავარი ლუდვიგ ანჰალტი იტალიაში მოგზაურობისას ფლორენციაში გაეცნო „Academia della crusca“-ს და ამ საზოგადოების წევრიც გახდა. ამის მაგალითზე მან ვაიმარელ მთავარ ვილჰელმთან ერთად 1617 წელს ვაიმარში შექმნა ანალოგიური გაერთიანება გერმანული ენის დასაცავად. როგორც აქტებშია აღნიშნული, საზოგადოებას უნდა ემუშავა შემდეგი მიზნის მისაღწევად:

„...das darau möchte gedacht werden, wie eine solthane Gesellschaft zu erwecken und anzustellen, darinnen man in gut rein deutsch reden, schreiben auch anders so bey dergleichen zusammensetzung und erhebung der Muttersprache (dazu jeder von Natur verpflichtet) gebräuchlich und dienlich vornehmen möchte“.

<sup>1</sup> ზენკონს აკადემია — საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა გერმანული ენის დაცვას გაუცხოურებისაგან და დამსახურებულობისაგან.

იტალიურის მაგალითის მიხედვით საზოგადოებამ მიიღო სახელწოდება „Fruchtbringende Gesellschaft“ (ნაყოფისმომცემი საზოგადოება), ემბლემად გამოიყენა ინდური პალმის თუ კაკლის ხე და წარწერად გაიკეთა „Alles zu Nutzen“ (ყველაფერი სარგებლობისათვის). საზოგადოების წესდებაში, რომელშიც ხშირად მეტად წინააღმდეგობრივად იყო არეული ეროვნული და ფეოდალური ტენდენციები, სხვა ამოცანებს შორის, მაგალითად, შეტანილი იყო ყოველგვარი რაინდული სათნოების დაცვა-გავრცელება, აგრეთვე „კეთილსასურველი გერმანული ერთგულების აღდგენა და გაძლიერება“.

Fürs andere, das man die Hochdeutsche Sprache in ihrem rechten wesen und stande, ohne einmischung frembder ausländischer Wort aus möglichste und thunlichste erhalte, und sich sowol der besten aussprache im reden als der reinsten art im schreiben und Reime-dichten befeißige“ .<sup>1</sup>

„Fruchtbringenden Gesellschaft“-ის მაგალითის მიხედვით მალე დაარსდა სხვა საზოგადოებები: „Aufrichtige Gesellschaft von der Tannen“ სტრასბურგში 1633 წ., „Deutschgesinnte Genossenschaft“ ჰამბურგში 1643 წელს, „Hirten- und Blumenorden an der Pegnitz“ ნიურნბერგში 1644 წელს, „Elbschwanorden“ ჰამბურგში 1656 წელს და ა. შ. მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „Fruchtbringende Gesellschaft“ .

ენობრივი საზოგადოებები თავდაპირველად თ ა რ გ მ ნ ი დ ნ ე ნ სხვა ხალხთა მწერლების მნიშვნელოვან ლიტერატურულ ნაწარმოებებს. ამ თარგმანებით უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ გერმანული ენა თავისთავად, უცხოური სიტყვების შეურევლად, სრულიად ვარგისია ღრმა აზრებისა და კეთილშობილური გრძნობების გადმოსაცემად; მათ სურდათ კარგი, საინტერესო და სუფთა გერმანულით ნათარგმნი ლიტერატურის გავრცელებით გაეღვიძებინათ და განევეითარებინათ აზრი დედაენის სილამაზისა და გამოუმხატველობითი ძალის შესახებ.

ერთი ასეთი თარგმანის წინასიტყვაობაში მთავარი ლუდვიგ ანჰალტი ამბობდა, რომ გერმანელები მართებულად უნდა ცდილობდნენ: „unsere alte Muttersprache also zu ehren und zu zieren das wir dasjenige, so wir reden und schreiben wollen, aus ihrem eigenen und nicht anderweit entlehnten Vorrath nehmen könnten, Es ist vor Jahren eine gewohnheit gewesen und noch bey Vielen, die da vermeinen, sie können nicht zierlich reden oder schreiben, wen sie nicht allerhand Lateinische, Frantzösische und Italienische wörter mit einmengen. Wie aber! sollte den unsere Deutsche Sprache allein so arm oder unglücklich sein, daß Sie ihre mei-

nung nicht alleine nottürlich sondern auch zierlich vorzubringen, nicht selbst einen genugsamen Vorrath hette, sondern mit leihen und borgen sich behelfen müste? Ich sage Vielmehr, daß Sie hierin einen überfluß hat und es andern reichlich zuvor thut. Das es entweder ein bloßer fürwitz oder eine Verachtung seiner selbst ist, wan jemand an seinem ehrentage lieber in einem entlehnten fremden als in seinem eigenen ehrbaren Kleide sich will sehen lassen“.

საზოგადოებები დააარსეს უმთავრესად წარჩინებულებმა და ისინი უზრუნველყოფდნენ მათ მატერიალურადაც. მაგრამ საზოგადოების წევრებს შორის თავიდანვე ბევრი იყო ბიურგერი სწავლული და შემდეგ მე-17 საუკუნის გამოჩენილი პოეტი: მარტინ ოპიცი. ანდრეას გრიფიუსი, ფრიდრიხ ფონ ლოგაუ, მოშეროში, ცეზენი და სხვები. ყველა ესენი მხურვალედ გამოდიოდნენ დედაენის სიწმინდის დასაცავად. მათი საქმიანობის შედეგად მოიპოვა ენის საზოგადოებამ ასეთი მწიგნობარი. ისინი თავიანთ წაწარმოებებში გაუბრუნდნენ შესამჩნევ დიალექტობრივ თავისებურებებს და, უწინარეს ყოვლისა, ცდილობდნენ არც თუ ისე საჭირო ფეხბურ სიტყვებს კარგი გერმანულით, ქმნიდნენ აგრეთვე ახლებსაც; ბევრი ამ ნეოლოგიზმებიდან შემდეგ შევიდა ჩვენს ეროვნულ ენაში. სიბეჯითეში ისინი ხანდახან აჭარბებდნენ კიდევ და ცდილობდნენ ენაში ღიდი ხნიდან დამკვიდრებული ნასესხები სიტყვების გაძევებას ნაკლებ გამოსაღვეი ნეოლოგიზმებითა და თარგმანებით.

#### დავალება 26.

შეამოწმეთ მოცემული გაგერმანულებული სიტყვები. გამოარკვიეთ, რამდენად გამოხატავს მოცემულ წარმოდგენას ეუცხოურიდან ნსესხები სიტყვითა კერძანულით შეეცალა. გამოარკვიეთ, რომელი გაგერმანულებული სიტყვა იხმარება დღეს ეუცხოური სიტყვის პარალელურად ან მის მაგიერად.

ეცადეთ დაასაბუთოთ, რატომ შევიდა ეს სიტყვები ეროვნულ ენაში, ან რატომ ვერ გაიკაფეს მათ გზა.

Gesichtskreis	Horizont
Rötnne	Aurora
Gemütstrift	Affekt
Zeugemutter	Natur
Tagleuchter	Fenster
Schauburg	Theater
Beizimmer	Kabinett
Hochschule	Universität
Bücherei	Bibliothek
Irrgarten	Labyrinth
Steinwerk	Terrasse

Lusthöhle	Grotte
Schauglas	Spiegel
Briefwechsel	Korrespondenz
Lehrart	Methode
Trauerspiel	Tragödie
Letzter Wille	Testament
Nachruf	Nekrolog
Vertrag	Contract
Verfasser	Autor
Sinngedicht	Epigramm
Dichter	Poet
Zweikampf	Duell
Blutzeuge	Märtyrer
Gesichtserker	Nase
Zitterweh	Fieber
Mundart	Dialekt
Sprachlehre	Grammatik
Wörterbuch	Lexikon
Zeitwort	Verbum
Zahlwort	Numerale
Strichpunkt	Semikolon

მაგრამ ენობრივი საზოგადოების წინაშეწელობა არ აღიწერება გერმანული ენის მხოლოდ ზედმეტი უცხოური სიტყვებისაგან გაწმენდით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ისინი ცდილობდნენ გრამატიკული წესების დადგენას. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებია გრამატიკოს იუსტუს გეორგ შოტელის (Justus Georg Schottel) 1663 წელს დაწერილი შრომა „Ausführliche Arbeit von der Teutschen Haupt-Sprache“. ეს ნაწარმოები შეიცავდა არა მხოლოდ მორფოლოგიას, არამედ სიტყვაწარმოებას, სინტაქსს, აგრეთვე გერმანული ძირითადი სიტყვების მაჩვენებელს, ანდაზებს და ლიტერატურის ერთგვარ ისტორიასაც; მასშივე იყო მოცემული მითითებანი თარგმნის საკითხებზე და გერმანული საკუთარი სახელების შეჩვენება განმარტებითურთ. ამ შრომით შოტელმა პირველად აქცია მშობლიური გერმანული ენა მცენიერული კვლევის საგნად. გეორგ შოტელი არ იღლებოდა დედაენის მშვენიერების, ძალისა და გამომხატველობით შესაძლებლობათა ქებით;

„Unsere Teutsche Sprache ist weit / räumig / tief / rein und herrlich / voller Kunst und Geheimnissen / und wird mit nichten nicht schlumpsweis aus dem gemeinen Winde erschnapet / sondern durch viel Fleiss und Arbeit erlernet; lest sich auch nicht so gar geschwinde zu uhrtheilen / zu meistern / beherrschen und nach form einer kaltsinnigen Gewonheit zu rechtfertigen... Es sol und kan keiner nicht über unsere Sprache

uhrtheilen / welcher deroselben nicht gewiss und kündig ist: es kan aber niemand deroselben gewiss und kündig seyn /er muss sie in jhren gründen ersehen /jhre Himmelbreite {Grantz ein wenig mit fleisse durchwandert!} / und nicht mit blinden griffen hinein getastet haben: hat er sich aber ein wenig darinn umbgesehen / und die überreiche Schätze nur von iernen erblicket / so weis ichsicherlich/er wird mit Andacht und voller Liebe / wie ein lernender derselben / als einer Göttlichen Muttersprache zugethan / und allen denen abhold werden /welche Klüglinge der Sprachen sich schätzen und doch so bewandert darinnen seyn / wie der Esel auff der Lauten...“

ენის საზოგადოებები წარმოდგენდნენ ისეთ პირველ ორგანიზაციებს, რომლებიც მიისწრაფოდნენ გაეწმინდათ დედაენა ყველა არასაქირო უცხო სიტყვისაგან. მისი წევრები, გერმანულ ენაზე მთარგმნელები, პოეტები, პატივს სცემდნენ სწავლულთა მოწინავე ნაწილს, წარჩინებულებს. მათი საქმიანობა მდგომარეობდა იმაში, რომ ავტორიტეტულად შეეწყობოთ ხელი მე-17 საუკუნის მხატვრული ლიტერატურისათვის. რათა მათ კანცელარიისა, სასახლისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან განსხვავებით, თავი შეეკავებინათ უცნოური სიტყვების გადაქარბებული ხმარებისაგან.

ენის საზოგადოების მისწრაფება ადასტურებს იმ სიყვარულსა და ყურადღებას, რომელსაც ამ წრეებში იჩენდნენ დედაენის მიმართ. დედაენის დაფასებითა და მოვლით ისინი აძლიერებდნენ გერმანულებში სამშობლოს სიყვარულის გრძნობას ამგვარი ძლიერი დაცემის მომენტში. მათ ჯერ კიდევ არ შეეძლოთ დაეძლიათ ფრანგულის ბატონობა განათლებულთა წრეებში და ფრანგული პოეზიისათვის უპირატესობის მიცემა. ამას გერმანულმა ლიტერატურამ მიაღწია მხოლოდ მე-18 საუკუნეში.

მე-17 საუკუნის დასასრულს დაიწყო ნაყოფიერი მუშაობა იმისათვის, რომ შეერყიათ ლათინურის გაბატონებული ზღვომარეობა მეცნიერებაში. 1687 წელს ფილოსოფოსმა გოტფრიდ ქრისტიან თომასიუსმა (Gottfried Christian Thomasius) ლაიფციგის უნივერსიტეტში პირველად წაიკითხა ლექციები გერმანულ ენაზე. ერთი წლის შემდეგ კი მანვე გამოსცა პირველი გერმანული ჟურნალი. 1680 წელს გამოჩენილმა მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცმა (Gottfried Wilhelm Leibniz, 1646—1717 წწ.) დაწერა თავისი შრომები: „Ermahnung an die Teutsche, ihren Verstand und Sprache besser zu üben“ და „Unvorgreifliche Gedanken, betreffend die Ausübung und Verbesserung der Teutschen Sprache“ (1697 წ.), რომლებშიც დაბეჭოთებით გაზოგომადა ლედაენის დაცვის საქმეს:

„Das Band der Sprache, der Sitten. auch sogar des gemeinen Namens vereinigt die Menschen auf eine so kraftige, wiewohl unsichtbare Weise und macht gleichsam eine Art der Verwandtschaft... In Deutschland aber hat man noch dem Latein und der Kunst zuviel, der Muttersprache aber und der Natur zu wenig zugeschrieben, welches denn sowohl bei den Gelehrten als bei der Nation selbst eine schädliche Wirkung gehabt. Denn die Gelehrten, indem sie fast nur Gelehrten schreiben, sich oft zu sehr in unbrauchbaren Dingen aufhalten: bei der ganzen Nation aber ist geschehen. dass diejenigen, so kein Latein gelernt, von der Wissenschaft gleichsam ausgeschlossen worden...“<sup>1</sup>.

...Anitzo scheint es, dass bei uns über ärger worden und hat der Mischmasch abscheulich überhand genommen, also dass der Prediger auf der Kanzel, der Sachwalter auf der Canzley, der Bürgermann im Schreiben und Reden, mit erbärmlichen Französischen sein Teutsches verderbet...

Er findet sich hin und wieder brave Leute, die sonderbare Lust und Liebe zeigen zur Verbesserung und Untersuchung des Teutschen. So sind auch deren nicht wenig, die sehr gut Teutsch schreiben, und so wohl rein als nachdrücklich zu geben wissen, was sonst schwer und in unserer Sprach wenig getrieben. Ich finde auch, daß oft in Staats-Schriften jetziger Teutschen zu Regenspurg und anderswo etwas Besonders und Nachdenkliches herfür blicket, welches, da es vom überflüssigen Fremden, als von angesprützeten Flecken, nach Nothdurft und Thunlichkeit gesäubert würde, unser Sprache einen herrlichen Glanz geben sollte“<sup>2</sup>.

თუმცა ლაიბნიცი თავის ფილოსოფიურ შრომებს წერდა ლათინურად და ფრანგულად. ამით ის მიჰყვებოდა იმდროინდელ მეცნიერთა ჩვეულებას, რომელნიც სარგებლობდნენ ამ ენით მეცნიერთა საერთაშორისო ურთიერთობაში უკეთ შეთანხმების მიზნით.

#### დასკვნა

მე-16 საუკუნის დასასრულს საფრანგეთმა დაიწყო ზემოქმედება გერმანიის არისტოკრატიაზე და განათლებულ ბიურგურობაზე თავისი ენით, პოეზიითა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებით. ფრანგუ-

<sup>1</sup> ლაიბნიცი, Ermahnung an die Teutsche, ihren Verstand und Sprache ubesser zu üben...

<sup>2</sup> მისევე, „Unvorgreiflichen Gedanken, betreffend die Ausübung und Verbesserung des Teutschen Sprache“.



ლი იქცა სალაპარაკო ენად გერმანიის სასახლეებსა და განათლებულ წრეებში. ამრიგად, ფრანგული გამოთქმების შემოსვლით გაძლიერდა გერმანული ენის გაუცხოურება. მე-17 საუკუნეში ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ წარჩინებულნი და ბიურგერი სწავლულები. ისინი ზრუნავდნენ გერმანული ენისთვის და ანიტომ გაერთიანდნენ საზოგადოებებში. პოეტურ ქმნილებებსა და თარგმანებში ისინი აჩვენებდნენ, რომ გერმანული ენა არაფრით არ ჩამოუვარდება სხვა ხალხთა ენას. ისინი ცდილობდნენ გაეწმინდათ ეროვნული ენა ზედმეტი უცხოური სიტყვებისა და გაემდიდრებინათ იგი ნეოლოგიზმებით. მე-17 საუკუნის გასულს ეროვნული გრძობით გამსკვავლული სწავლულები გამოვიდნენ აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ უნივერსიტეტებში მხოლოდ ლათინური ენა ყოფილიყო სმარებაში. გერმანული ეროვნული ენის ღირსების დაცვისათვის ბრძოლაში პირველ გამარჯვებას მიაღწია მე-18 საუკუნის აყვავებულმა გერმანულმა ლიტერატურამ.

#### ს ა კ ო ნ ტ რ ო ლ ო კ ი თ ხ ე ვ ე ბ ი

- 1) რამ შეუწყო ხელი გერმანული ეროვნული ენის შექმნას?
- 2) რა მნიშვნელობა ჰქონდა გერმანული ეროვნული ენისათვის აღმოსავლეთ-საშუალო გერმანულს?
- 3) რა როლი შეასრულა ლუთერმა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ეროვნული ენის გაერთეულებასა და განმტკიცებაში?
- 4) რა ცვლილებები იცით ახალი ზემოგერმანულის პერიოდის გერმანული ენის ბგერითსა და მორფოლოგიურ შედგენილობაში?
- 5) რაში მდგომარეობს ენის საზოგადოებათა მნიშვნელობა?

#### ს ა კ ო ნ ტ რ ო ლ ო დ ა ვ ა ლ ე ბ ა

გვიჩვენეთ ამ პერიოდის ტექსტიდან აღრეული ზემოგერმანულის ბგერითი, მორფოლოგიური, სიტყვაწარმოებისა და ლექსიკის თავისებურებები!

### V. გერმანული ენის შემდგომი განვითარება

#### 1700-იანი წლებიდან დღემდე

#### 1. გერმანული ეროვნული ენის გაძლიერება

##### მე-18 და მე-19 საუკუნეებში

მე-18 საუკუნის დასაწყისში გერმანულმა ეროვნულმა ენამ, უპირველეს ყოვლისა, პოეტურ ქმნილებებში განვითარების ისეთ საფეხურს მიაღწია, რომლისგანაც თანამედროვე ენა თავისი ბგერითი შემადგენლობით, ფორმათა სისტემითა და სინტაქსით მხოლოდ ოდნავ განსხვავდება; მაგალითად, მას შემდეგ ზოგიერთმა არსებითმა სახელმა შეიცვალა გრამატიკული სქესი, ზოგიერთი არსებითი სახელი დღეს სხვაგვარად იბრუნვის მაშინდელთან შედარებით, ზოგი იმთავითვე

ძლიერი ზმნა ამჟამად სუსტი უღლებისაა. შეიცვალა ზმნისა და თანდებულის მართვა. ზედსართავი სახელის ძლიერი და სუსტი ფორმების ხმარებაში შეიმჩნევა ზოგიერთი მერყეობა.

მე-18 საუკუნის დასაწყისის პოეზიის შესწავლის შედეგად ცხადი ხდება, რომ გერმანულ ენაში, თუ არაფერს ვიტყვით ლექსიკურ შემადგენლობაზე, ამ დროიდან დიდი ცვლილება არ მომხდარა. ერთ-ერთი არსებითი მიზეზი ამისა ისაა, რომ მე-17 საუკუნის მეცნიერებმა ხელი მოჰკიდეს გერმანული ენის სისტემის, მისი გრამატიკული სტრუქტურის აღწერას და თავიანთი თანამედროვე საუკეთესო მწერლების შრომებიდან გამოიყვანეს კანონები, რომლებიც შემდეგ გ რ ა მ ა ტ ი კ ა შ ი შეიტანეს და ენის წერიითი და ზეპირი ხმარების ნორმად გამოაცხადეს. ამ გრამატიკოსებმა ჩამოაყალიბეს დედაენის სკოლაში სწავლების საფუძვლები. სამწერლო ენამ სულ უფრო და უფრო მეტად განსაზღვრა განათლებული ფენების სალაპარაკო ენა.

## 2. გოტშედის მოღვაწეობა გერმანული ეროვნული ენის გაერთიანებისათვის

უკვე იუსტუს გეორგ შოტელმა თავის შრომებში დაამუშავა ბრუნების, უღლებისა და მართლწერის კანონები და სცადა სიტყვათა მნიშვნელობის დადგენა. მაგრამ მისი გამოკვლევები და კანონები მე-18 საუკუნის დასაწყისისათვის დაძველდა. ეროვნული ენის გაერთიანებისათვის იმ პერიოდში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის იოჰან ქრისტოფ გოტშედს (Johann Christoph Gottsched, 1700—1766) უწინარეს ყოვლისა, თავისი შრომით „Grundlegung der Deutschen Sprachkunst, nach dem Mustern der besten Schriftsteller des vorigen und jetzigen Jahrhunderts abgefasst“ (1748 წ.).<sup>1</sup>

პირველი გამოცემის წინასიტყვაობიდან:

„Nun ist es zwar gewiß, daß ich meine Sprachlehre zuförderts für unsere Landesleute, sonderlich für die Jugend, geschrieben habe. Alle meine Regeln sind bloß deutsch abgefasst...“.

„Da ich mein Buch den Deutschen, und sonderlich der Jugend zu gut abgefasst, die nicht allezeit die lateinische Grammatik gelernet hat, sonderlich wenn sie sich dem Soldatenstande, der

<sup>1</sup> ვაზ. „Berlinerischen privilegierten Zeitung“-ში ლესანგმა 1748 წ. სამართლიანად აღნიშნა, რომ Sprachkunst-ის მაგივრად უნდა იხმარებოდეს Sprachlehre, „რადგან ეს უკანასკნელი აღნიშნავს დარბევას ენის შესახებ, ხოლო პირველი დაოსტატებას“, მაგრამ თავის 65-ე ლატერატურულ წერალში 1756 წელს მან სრულად უმართებულოდ უწოდა გოტშედს ნაწარმოებს „მოწვევას სასაბუღალს ნაშრომი“ და ავტორის რჩევას: გამოეყენებინათ მისი გრამატიკა სასკოლო სწავლებაში, „სწავლელთა შარლატანს მართლაც უსრცხვილო ოინა“.

Schreiberey, dem Handel und Landleben widmet: so habe ich es für unbillig gehalten. mich lauter lateinischer Kunstwörter zu bedienen. Von allen denselben haben solche Anfünger nicht den geringsten Begriff sondern lernen sie zur Noth auswendig, wie die Nonne den Psalter: da sie hingegen durch deutsche Benennungen sogleich einigen Verstand von der Sache bekommen. Es war aber dabey auch das junge Frauenzimmer in Betrachtung zu ziehen: welches ja nicht unwürdig ist. seine Muttersprache etwas besser und richtiger schreiben zu lernen, als seine Mägde. Zu allem Glücke hatte ich auch schon unsere alten Sprachlehrer zu Vorgängern: welche sich um die Wette bemühet haben, ihre Regeln so vorzutragen, daß sie auch einem bloß deutschen Leser verständlich seyn möchten; und was kann in der That wunderlicher seyn, als zu fordern: daß ein Deutscher erst eine lateinische, oder französische Grammatik können müsse, ehe er seine Muttersprache recht richtig reden, und schreiben lernen kann?“

„Wer sich also auf seine ihm angebohrne Mundart verläßt, und sich einbildet, er habe darin nichts mehr zu lernen, der hält in seiner Sicherheit, alle provinzialfehler, die er von seiner Amme gelernt hat, für Schönheiten. Das thun aber diejenigen nicht, die aus entlegenern Provinzen sind. Sie studiren die Sprache aus Büchern, und üben sich in dem Umgange mit den Vornehmsten und Gelehrten; wofern sie nicht selbst Reisen in die bessern Landschaften thun können. So erlernen sie denn auch das wahre Hochdeutsche oft besser, als diejenigen, die zwar mitten im Lande gebohren sind; sich aber niemals darauf geleet haben: ja oftmals trägt sich zu, daß dasselbe in einem plattdeutschen Munde viel reiner und angenehmer klingt, als in einem fränkischen, thüringischen und meißnischen...“

#### დავალებათ

ა) დაახასიათეთ წრე, რომლისთვისაც ვარაუდობდა გოტშედი თავის „Sprachkunst“-ს

ბ) დაახასიათეთ გოტშედის პოზიცია დიალექტების მიმართ.

გოტშედის „Sprachkunst“-ი, როგორც იმდროინდელ გრამატიკათა უმრავლესობა, შედგებოდა ოთხი ნაწილისაგან: „მართლწერა“, „სიტყვათკვლევა“, „სიტყვათშეერთება“, „ინტონაცია“.

პირველ ნაწილში გოტშედი იკვლევს ცალკეული ასოების ბგეროვნებას და იძლევა ორთოგრაფიის ზოგად და კერძო წესებს. მაგალითად: Man schreibe jede Sylbe mit solchen Buchstaben, die man in der guten Aussprache deutlich höret“. „Alle Stammbuchstaben, dieden Wurzelwörtern eigen sind, müssen in allen abstammenden beybehalten werden.

Z. E<sup>1</sup>. von gib, als dem Wurzelworte, kommen: ich gebe, ich gab, gegeben, die Gabe; folglich müssen alle diese das g und das b... als Stammbuchstaben beybehalten. Man darf also eben so wenig Jabe als Kabe. jib als kib oder kip schreiben: ob gleich einige deutsche Mundarten so sprechen möchten. Vielmehr sollen diese, ihre böse Aussprache, nach der Schrift einzurichten suchen“.

“Man schriebe so, wie es der allgemeine Gebrauch eines Volkes seit undenklichen Zeiten eingeführet hat“.

გოტშედი ადგენს მთავრული ასოების დაწერისა და სასვენი ნიშნების დასმის წესებს, რაც ახლაც მთლიანად ძალაშია.

მეორე ნაწილში გოტშედი ლაპარაკობს მეტყველების ნაწილების, მათი ხმარების, ბრუნების, უღლებისა და სიტყვაწარმოების შესახებ, იკვლევს სიტყვების წარმოშობასაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მოსდის ზოგიერთი შეცდომა.

მესამე ნაწილი — სიტყვათშეერთება — შეესატყვისება ჩვენს სინტაქსს. ის არსებითად შეიცავს მოძღვრებას ბრუნებაზე და მეტყველების ნაწილების გამოყენებას წინადადებებში. მაგრამ წინადადებას, როგორც მთლიანს, გოტშედი არ იკვლევს.

მეოთხე ნაწილი განიხილავს მარცვლის სიგრძესა და სიმოკლეს, ლექსის ზომასა და რითმს გერმანულ პოეზიაში.

გოტშედმა თავისი „Sprachkunst“-ით გააგრძელა მე-17 საუკუნის ენის საზოგადოებათა მისწრაფებანი. მან უარყო ენაში დიალექტობრივი თავისებურებანი, ებრძოდა გერმანული ენის გაუტყუბურებას ფრანგული სიტყვებით და ილაშქრებდა საკანცელარიო ენის მძიმე გამოთქმების წინააღმდეგ. სიტყვაწარმოებაში ის ერთნაირად ებრძოდა როგორც მოძველებულ სიტყვებს, ისე გადაჭარბებულ ნეოლოგიზმებს. ცალკეული ზმნების უღლებისას, მართალია, თავისი დროის ენობრივი ნორმების საწინააღმდეგოდ, იგი პოეტებს ურჩევდა ძველ ფორმებს: er fleußt, er geußt, er schleußt, er fleugt და ა. შ.

მართლწერაში, გოტშედის რჩევის თანახმად, უარყოფილ იქნა დაწვეილებული თანხმოვნების ff, tz და ck დაწერა გრძელი ხმოვნებისა

<sup>1</sup> Z. E Zum Exempel.

და თანხმობების მომდევნო ჰოზიციაში, რაც ლუთერის შემდეგ კიდევ იყო შემორჩენილი: Schlaif—Schlaf, Grafi—Grafi, warffen—warfen, wircken—wirken, tantzen—tanzen.

გოტშედს უყვარდა თავისი დედაენა და, როგორც ყველა განმანათლებელი, მოწინააღმდეგეობით ლაპარაკობდა მასზე.

„Sprachkunst“-ის წარმატება, რომლითაც ტკებოდა გოტშედი, კარგად ჩანს იქიდანაც, რომ ამ შრომას თავის დროზე და მომდევნო ათეულ წლებში არ გამოსჩენია მოცილებლად ასეთი მოცულობისა და მეთოდური ღირსების მქონე გრამატიკა. რადგან გოტშედი არ ეყრდნობოდა მხოლოდ ლუთერის გერმანულს. გაქრა სამხრეთსა და დასავლეთ გერმანიაში შუაგერმანულის მიმართ კონფესიური წინააღმდეგობაც. მისი წიგნი დიდი რაოდენობით გაიყიდა ვენაშიც.

გოტშედის საქმე მე-18 საუკუნის II ნახევარში განაგრძო იოჰან ქრისტოფ ადელუნგმა (Johann Christoph Adelung, 1732—1806 წწ.)<sup>1</sup>. მან 1774 წლიდან 1786 წლამდე გამოაქვეყნა ხუთტომიანი შრომა „Versuch eines vollständigen grammatisch-kritischen Wörterbuches der hochdeutschen Mundart“. ადელუნგი ეყრდნობოდა თავისი დროის გამოჩენილი მწერლების ნაწარმოებებს და გაიხსნურ დიალექტს გოტშედის მსგავსად. მან მოგვცა ყოველი სიტყვის მართლწერა, წარმოთქმა, აღნიშნა ფლექსია და დაახასიათა მისი გამოყენების სფერო. ეს ლექსიკონი იყო ენობრივ საკითხებში სახელმძღვანელო ცნობარი მე-19 საუკუნემდე. მას იყენებდნენ გერმანელი კლასიკოსებიც. ადელუნგი გავლენას ახდენდა სკოლაზე თავისი შრომებით: „Deutsche Sprachlehre zum Gebrauch der Schulen in der Kgl.-Preuß. Landen“ (1781) და „Vollständigen Anweisung zur deutschen Orthographie“ (1788).

### 3. წარმოთქმისა და ორთოგრაფიის გაერთიანება

გერმანულ ეროვნულ კლასიკურ ლიტერატურაში გერმანელი ხალხის ენობრივი გაერთიანება რეალობად იქცა, მაგრამ ეს არ ითქმის სალაპარაკო ენაზე. იქ პროვინციული სხვაობა ჯერ კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თვითონ გოეთესა და შილერის წარმოთქმაში იგრძნობოდა, რომ ერთი რაინის ფრანკიიდან იყო. ხოლო მეორე — შვაბიიდან.

გოეთე ერთხელ თავს შემდეგი სიტყვებით იმართლებდა: „კაცმა არ უნდა დაკარგოს თავისი უფლება, დათვი იმ ბუნების მისვლევით ბრძღვინავს, რომელშიც ის დაიბადა“.

<sup>1</sup> ენის მკვლევარი, ბიბლოსეკარი ჯრეზდენში.

წარმოთქმის გაერთიანება მიიღეს გაცილებით უფრო გვიან, თეატრის გზით — სასცენო წარმოთქმის მოწესრიგების შედეგად. ის აზრი, რომ მსახიობის წარმოთქმის დიალექტობრივი ელფერი ზიანს აყენებს დრამატული ხელოვნების ნაწარმოებს, გამოთქვა ჯერ კიდევ გოეთემ. თავის შრომაში „Regeln für Schauspieler“ (1803 წ.) ის ამბობდა:

„Die Kunst des Schauspielers besteht in Sprache und Körperbewegung. Ueber beides wollen wir in nachfolgenden Paragraphen einige Regeln und Andeutungen geben...“

§ 1. Wenn mitten in einer tragischen Rede sich ein Provincialismus eindringt, so wird die schönste Dichtung verunstaltet und das Gehör des Zuschauers beleidigt. Daher ist das Erste und Nothwendigste für den sich bildenden Schauspieler, daß er sich von allen Fehlern des Dialekts befreie und eine vollständige reine Aussprache zu erlangen suche. Kein Provincialismus taugt auf die Bühne. Dort herrsche nur die reine deutsche Mundart, wie sie durch Geschmack, Kunst und Wissenschaft ausgebildet und verfeinert worden!

§ 2. Wer mit Angewohnheiten des Dialekts zu kämpfen hat, halte sich an die allgemeinen Regeln der deutschen Sprache und suche das neu Anzuübende recht scharf, ja schärfer auszusprechen, als es eigentlich sein soll. Selbst Uebertreibungen sind in diesem Falle zu rathen. ohne Gefahr eines Nachtheils: denn es ist der menschlichen Natur eigen, daß sie immer gern zu ihren alten Gewohnheiten zurückkehrt und das Uebertriebene von selbst ausgleicht“.

1889 წელს გერმანული სასცენო გაერთიანებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა განიხილეს დიალექტებისაგან თავისუფალი სავალდებულო სასცენო წარმოთქმის საკითხი. შედეგი მოცემულია „Deutschen Bühnenaussprache“-ში<sup>1</sup>.

ამ შრომის პირველ ნაწილში მოცემულია ცალკეული ბგერის წარმოთქმის წესები. მეორე ნაწილი შეიცავს სიტყვების სიას ყოველი სიტყვის ფონეტიკური დაწერილობითურთ: ზემოგერმანულ ფორმებს საერთოდ საფუძვლად დაედო ჩრდილოგერმანული წარმოთქმა. ანლაუტში st, sp წარმოითქმის როგორც scht, schp. ხმოვნების სიგრძე დახურულ მარცვლებში შეესატყვისება სამხრეთგერმანულის წარმოთქმას. მაგ., სიტყვებში: Bad, Zug, Glas, Hof და ა. შ. აუსლაუტის გ სამხრეთგერმანულში წარმოითქმის როგორც k (გამონაკლისი: ბოლოსა :თი -ig).

<sup>1</sup> „Deutsche Bühnenaussprache“ პირველად გამოვიდა 1898 წელს; დამუშავებულია თ. ზიბსის (Th. Siebs) მიერ; ამიტომ მას, ჩვეულებრივ, შემოკლებით ეძახიან „ზიბს“-ს.

„Deutschen Bühnenaussprache“-ში დადგენილი წესები ძალაშია დღესაც, როგორც ეგრეთწოდებული მაღალი ენის (Hochsprache) ნორმა.

მიუხედავ იმისა, რომ სკოლაში კეთილსინდისიერად ასწავლიან სწორ წარმოთქმას, მაინც თითქმის ყოველ პიროვნებას თავისი დიალექტობრივი თავისებურება აქვს: საქსონელი წარმოთქვამს რაინის წარმომადგენლისაგან განსხვავებით, ბავარიელის წარმოთქმა განსხვავდება მეკლენბურგელის წარმოთქმისაგან. ვენელისა—ბერლინელისაგან. ბევრით თავისებურებებთან ერთად დიალექტობრივი სხვაობა გვხვდება სხვადასხვა ფორმასა და სიტყვაში.

ასევე ძმინეა და დღემდე გადაუქრელი ერთიანი მართლწერილის საკითხი. 1850-იანი წლებიდან, უწინარეს ყოვლისა მასწავლებელთა შორის, იწყება ცდები მართლწერის მოსაწესრიგებლად. 1876 წელს ბერლინში შედგა პირველი ორთოგრაფიული კონფერენცია. ამ კონფერენციაზე შეთანხმებული წესები მიიღეს გერმანიის ცალკეულ მხარეებში, და ისიც მხოლოდ ნაწილობრივ. პირველ ორთოგრაფიულ კონფერენციაზე მონაწილეობდა კონრად დუდენი (Konrad Duden, 1829—1911 წწ.), რომელმაც 1800 წელს გამოსცა თავისი „Orthographisches Wörterbuch der deutschen Sprache“ (გერმანული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი). 1901 წელს ბერლინში მოიწვიეს II ორთოგრაფიული კონფერენცია, ამ კონფერენციამ მიადწია გარკვეულ შეთანხმებას, რომელიც დღესაც არსებითი მნიშვნელობისაა და რომელმაც ასახვა ჰპოვა კონრად დუდენის ლექსიკონის მეორე გამოცემაში (1902 წ.).

სიძნელეები, რომლებიც მართლწერას ეღობება წინ, განპირობებულია იმით, რომ გერმანულში წერენ ხან ფონეტიკური, ხან ენის ისტორიის პრინციპის მიხედვით. ისტორიული პრინციპით ვხვდებით ვანგლმძღვანელობთ, როცა ვწერთ: Leib, Mund, Sieg (des Leibes, Mundes, Sieges), თუმცა ვამბობთ: Leip, Munt, Siek; ან როცა ვწერთ: Häute — hute, Rač — Rat, hält — Held.

ერთგვარი ბევრითი შედგენილობის მქონე სიტყვები რომ ერთმანეთისაგან განსხვავებულად ვწერთ. ამისათვის მიღებული გვაქვს სხვადასხვაგვარი დაწერილობა; მაგალითად: Saite — Seite, Rain — Rein, Waise — Weise, Lärche — Lerche, Färse — Verse, wieder — wider, Boote — Bote.

მრავალმა სიტყვამ დაიმკვიდრა უაღრესად თავისებური დაწერილობა. ეს პირველ რიგში ეხება გრძელი ხმოვნების აღნიშვნას:

უცხოური სიტყვების მართლწერაში სულ უფრო და უფრო იჭრება გერმანული დამწერლობა: Café — Kaffe, Photograph — Fotograf, Bureau — Büro, Briquet — Brikkett.

1954 წლიდან განახლდა მსჯელობა გერმანული მართლწერის რეფორმის შესახებ. გერმანიის ორივე ნაწილის, აესტრიისა და შვეიცარიის წარმომადგენლები შეთანხმდნენ გარკვეულ რეკომენდაციებზე (შტუტ-გარტის რეკომენდაციები).

### დასკვნა

მე-17 საუკუნიდან გერმანული ეროვნული ენის გამტკიცების საქმეში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გრამატიკებს. გერმანული წერილი და ზეპირი ენის საჭიროებისათვის სწავლულებმა თავიანთი დროის საუკეთესო მწერალთა ნაწარმოებების საფუძველზე გამოიმუშავეს წესები. ეს გრამატიკები წარმოადგენენ სკოლაში დედაენის სწავლების საფუძვლებს. გერმანული ეროვნული ენის გაერთიანების საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის იოჰან ქრისტოფ გოტშედს თავისი შრომით „Grundlegung einer deutschen Sprachkunst“ (1748 წ.). მისი წიგნი, უწინარეს ყოვლისა, ნაგარაუღვევი იყო ბიურგერული ახალგაზრდობის იმ ნაწილისათვის, რომელიც არ სწავლობდა ლათინურს. გოტშედი ცდილობდა მიეღწია ყველა დიალექტზე მალა. მდგომი ზემოგერმანული ენისათვის. მაგრამ მისთვის ამის საფუძველს წარმოადგენდა მაისენური დიალექტი. გოტშედის გრამატიკამ გავლენა მოახდინა აგრეთვე სამხრეთ და დასავლეთ გერმანიაზე.

ენობრივი ერთიანობა გერმანულ ეროვნულ კლასიკურ ლიტერატურაში პირველად განხორციელდა მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში. საერთო ენის ერთიანი წარმოთქმის დამკვიდრების ცდები დასრულდა სასცენო გერმანული წარმოთქმის შექმნით 1898 წ. გერმანული ენის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი წერის სავალდებულო წესები პირველად შეიქმნა 1901 წლის შეთანხმების საფუძველზე.

#### 4. ცვლილებანი გერმანული ეროვნული ენის ლექსიკაში მე-18 საუკუნიდან დღემდე

მაშინ, როცა გერმანული ენის ბგერითი შემადგენლობა, მორფოლოგური სისტემა და სინტაქსი მე-18 საუკუნიდან დღემდე არსებითად არ შეცვლილა, ლექსიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ამაში თავისი წვლილი შეიტანა მეცნიერულმა და საზოგადოებრივმა განვითარებამ, კულტურულმა ურთიერთობამ სხვა ხალხებთან და გერმანული დიდი პოეტების ენობრივ-შემოქმედებითმა საქმიანობამ.

#### 5. გერმანული ლექსიკის გამდიდრება სხვა ენებიდან

##### ა) ფრანგულიდან ნასესხები სიტყვები

რადგან ხელმძღვანელი საზოგადოებრივი წრეები იმ აზრის იყვნენ, რომ გერმანული მსუბუქი და მოხდენილი საუბრისათვის გამოსადეგი არ არის, ამიტომ ისინი სარგებლობდნენ ფრანგული ენით, ან გერმა-



წელთან შედარებით უპირატესობას აძლევდნენ ცალკეულ ფრანგულ სიტყვებს.

ფრანგული სამზარეულო და ფრანგული მაგიდის ჩვევები დიდი ხნის განმავლობაში სანიმუშო იყო გერმანიისათვის. გერმანიის სასტუმრო-ებში პირველ მსოფლიო ომამდე მენიუ ჩვეულებრივ ფრანგულ ენაზე იყო: მაგ.: Diner, Kotelett, Kompott, Omelett, Dessert, Likör, Champagner, Service, Terrine, Tablett და ა. შ.

#### დავალება 28

დაადგინეთ, რომელი ფრანგული გამოთქმები იხმარება დღესაც გერმანიის სასტუმროებში.

მე-18 საუკუნემდე საფრანგეთი განსაზღვრავდა აგრეთვე მოდას გერმანიაში:

Toilette, Kostüm, Gamaschen, Jakett, Manschette, Weste, Korsett, Puder და ა. შ.

სხვა სიტყვებს შორის გადმოღებულ იქნა თეატრალური ტერმინები: Souffleur, Scene, Kulisse, Dekoration, engagieren.

სხვა ნასესხები სიტყვები ფრანგულიდან: Bassin, Broschüre, Chaussee, Clique, Debatte, Kavalier, Emaile, Etage, Etappe, Fabrik, Genie, jovial, Niveau, Pavillon, Pension, Plantage, Refrain, Relief, Saison, Salon, Sensation, Situation, Taktik, Fanfare, Tribunal, Regliment, Minister, Reform, Dementi, patriotisch, fanatisch, Uniform, arrangieren, reklamieren, elegant, fade, populär, regulär და ა. შ.

1750—1780 წლებში გერმანიაში გამოცემული ყველა წიგნის დაახლოებით 10% ფრანგულ ენაზე იყო დაბეჭდილი. ვოლტერი (Voltaire, 1694—1778 წწ.) ფრიდრიხ II-ის სასახლეში ყოფნისას წერდა:

„მე აქ ვიყავი საფრანგეთში. ლაპარაკობენ მხოლოდ ჩვენს ენაზე. გერმანულს იყენებენ რიგითი შემადგენლობისა და ცხენებისათვის. მას იყენებენ მხოლოდ მგზავრობის დროს“.

ფრანგულის გავლენა საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაზე და ამასთან ერთად გერმანულ ენაზეც კლებულობს 1750-იანი წლებიდან. შემდეგ ფრანგული სიტყვების კიდევ უფრო დიდი რიცხვი გერმანულში შეიჭრა მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციის დროს (1789):

Aristokrat, Monarchist, Royalist, Revolution, revolutionär, liberal, Agitator, Propaganda, Initiative (თავდაპირველად იხმარებოდა მხოლოდ პოლიტიკურ ცხოვრებაში).

Guillotine, Marseillaise, Demokrat, Klub, Koalition, Konstitution, Organisation, Anarchist, Insurgent, Emigrant, Bürokratie, Defizit და ა. შ.

მე-19 საუკუნეში ფრანგული ენა დიპლომატიისა და პოლიტიკის ენად იქცა. ამ სფეროდან საერთო გერმანულ ენაში შევიდა სიტყვები:

Präsident, Opposition, Fraktion, Kandidat, Legislative, Majorität, Minorität და ა. შ.

## ბ) ინგლისური დანასესხები სიტყვები

როცა ფრანგულმა, როგორც საერთაშორისო ენამ, პირველობა ინგლისურს დაუთმო, გერმანულ ლექსიკაში შეიჭრა ინგლისური სიტყვები, თუმცა ინგლისურის გავლენა უფრო სუსტი იყო. ვიდრე ფრანგულის. მე-18 საუკუნემდე ის შემოიფარგლებოდა ვაჭრობისა და ნაოსნობის დარგებით, მე-18 საუკუნეში შემოვიდა: Kutler, Schoner, Dock, Kanu და სხვა დარგებიდან Punsch, Grog, Bawle, Toast, Gentlemen, Tank, Park, Bombast, boxen.

მე-19 საუკუნის განმავლობაში თითქმის არ დარჩენილა არც ერთი დარგი, რომელზედაც ინგლისურ ენას გავლენა არ მოეხდინა. განსაკუთრებით მრავლად იყო ნასესხები ახალი მოდეების, სპორტული ცნებებისა და საზოგადოებრივი ცეკვების სახელწოდებათა გამომხატველი სიტყვები:

Cape, Schal, Schlips, Smoking, Ulster, Raglan. Knickerbocker. Pullover, Boxcalf. Sport, Trainer, Jockey, Derby, Spurt. Turi, Tip, Champion, Favorit, Rekord. Finisch. Dress. Golf, Hockey, Tennis. fair, Foirness, Match, kraulen, Foxtrott, შედეგ Slowfox, Swing. Englisch-Waltz.

## დავალება 29

გაარჩიეთ ერთი სპორტული ცნობა უცხოური სიტყვების შემცველობის თვალსაზრისით.

ინგლისური იძლევა აგრეთვე სასტუმროში სახმარ პროფესიულ სიტყვათა დიდ რაოდენობას:

Lift, Five, o'clock tea, Picknick, Rumpsteak Beefsteak Cakes (Keks), Mixed Pickles, Drops, Sherry, Porter.

## ბ) სხვა დანასესხები სიტყვები

Import, Export, Scheck, Streik, Budget, Safe. Koks. Lokomotive, Tunnel, Klosett, Farm, Farmer. Interview, Reporter, Detektiv, Manager, Partner, Star, Clown, Girl, Baby. Trick, Bluff, Humor, Spleen, Film, Komfort, Weekend, flirten და ა. შ.

გერმანულზე ძლიერი გავლენა მოახდინა აგრეთვე ინგლისურმა პირთა სახელებმა:

John, Mary, Willy, Emmy, Freddy, Betty, Lissy, Alice, Harry, Edgar, Ellen, Fanny, Liddy.

ამერიკული ინგლისურიდან (მე-20 საუკუნეში მხოლოდ ნაწილობრივ ნასესხები) მომდინარეობს:

Trust. Dumping, Rowdy, Revolver, Jazz. lynchen. Humbug.

## დ) ს ს ვ ა ე ნ ი დ ა ნ ნ ა ს ე ს ს ე ბ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი

ს ლ ა ე უ რ ი ე ნ ე ბ ი დ ა ნ :

Steppe, (რუს. степь), Pogrom (რუს. погром), Samowar (რუს. самовар), Ukas (რუს. укас), Knute (რუს. кнут), Litewka (პოლონ.), Droschke (პოლ. drożka, შდრ. რუს. дорска), dalli (პოლ. dalej, შდრ. რუს. далее), Masurka (პოლონ.), Salfian (პოლონ.), Polka. (ჩეხ.)

ა მ ე რ ი კ უ ლ ი ე ნ ე ბ ი დ ა ნ : Mahagoni, Zigarre.

ი ნ დ ი ა ნ უ რ ი ე ნ ე ბ ი დ ა ნ : Mokassin, Wigwam, Skunks;

მ ა ლ ა ი უ რ ი წ ა რ მ ო შ ო ბ ის ა tätowieren;

ჩ ი ნ უ რ ი ა Tee;

Kimono და Geisha ი ა პ ო ნ უ რ ი წ ა რ მ ო შ ო ბ ის ა.

დ) მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს ს ხ ვ ა თ ა შ ო რ ის ა ს ა ხ ა ვ ს შ ე მ დ ე ვ ი უ ც ხ ო უ რ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი :

Kommunist, Kommunismus, Proletariat, bourgeois, Bourgeoisie, Internationale.

ე) მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ის ა და ტ ე ქ ნ ი კ ის გ ა ვ ლ ე ნ ა

მეცნიერებისა და ტექნიკის, საზოგადოებრივი პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განვითარებამ მე-16 საუკუნიდან შექმნა ხელოვნური სიტყვების დიდი რაოდენობა. ეს სიტყვები ნაწარმოებია ფრანგული, ლათინური და ბერძნული წარმოშობის უცხოური სიტყვებისაგან იმავე სამი ენიდან აღებული თავსართებისა და ბოლოსართების საშუალებით. ხშირად ასეთი ხელოვნური სიტყვები შემოდის გერმანული ენის ლექსიკაში ფრანგულის გზით ან სხვა უცხოური ენიდან. უცხოური ენიდან შემოსული უმნიშვნელოვანესი თავსართები და ბოლოსართები, რომლებიც დღესაც ახალ სიტყვებს აწარმოებენ, შემდეგია:

a- (ბერძნულიდან. უძველეს ნათესაობაშია გერმანულ თავსართთან: -un უარყოფის მნიშვნელობით) anormal, anonym, Atheist, Analphabet.

ad- (ლათინურიდან=მნიშვნელობით zu, an, nach, gegen ბევრ უცხოურ სიტყვაში მიემსგავსა მომდევნო თანხმთან) annectieren, appellieren, Affinität, akklimatisieren.

ana- (ბერძნულიდან=auf, hinauf და ა. შ.) Analyse, Anachronismus, Anode,

anti- (ბერძნულიდან=gegen) Antipode, antiseptisch, Antifaschist.

auto- (ბერძნულიდან=selbst) Autobiographie, Autodidakt, Automobil. Autographisch, autogen.

de- (ლათინურიდან von, ab, aus) demontieren, Detektor, demaskieren.

dia- (ბერძნულიდან durch, hindurch, auseinander) Diagramm, Diapositiv, diametral, Diaskop.

dis-, di- (ლათინურიდან=auseinander, უძველესი მონათესავე გერმანული zer-ისა) Disharmonie, disqualifizieren, Dimension.

epi-, ep- (ბერძნულიდან=auf, bei, zu, nach) Episkop, Epiidiaskop, Epoche.

ex-, ex- (ბერძნულიდან=aus).

ex-, e- (ლათინურიდან aus, vor) Exkönig, Expander, exmittieren.

**hekto-** (ბერძნულიდან=*hundert*) Hektoliter. hektographieren.  
**hyper-** (ბერძნულიდან=*über*) hypermodern.  
**hypo-** (ბერძნულიდან=*unter*) Hypothese.  
**in-** (ლათინურიდან=*in, hinein, an*) Information. inhaftieren. inhalieren  
 in- (ლათინურიდან, უძველესი მონათესავე გერმანული *an-*-ის: გამოიყენება უარყოფი-  
 სათვის) indifferent. indiskutabel. inkognito. intolerant. inhuman. inaktiv.  
**inter-** (ლათინურიდან=*zwischen*) international. Intervention. Interpolieren. inter-  
 zonal.  
**kata-** (ბერძნულიდან=*herab, hinauf*)  
**kat-** Katapult, Katalysator.  
**Kilo-** (ბერძნულიდან=*tausend*) Kilowatt, Kilohertz. Kilometer.  
**kom-, kon-** (ლათინური *cum*=*mit*) Kombinat, Kombination. Kombine. Konglo-  
 meral, Kongruenz.  
**mono-** (ბერძნულიდან=*einzig, allein*) Monographie, Monokel. Monopol.  
**pan-** (ბერძნულიდან=*alles*) Pantheismus, Panorama. Panoptikum.  
**para-, par-** (ბერძნულიდან=*bei, neben, gegen, darüber, hinaus*. უძველესი მონათესა-  
 ვე გერმანული *ver-*-ისა) Paralyse, Parasit, Paradox, Parenthese.  
**per-** (ლათინურიდან=*durch*) permanent, perioriert. Perspektive.  
**poly-** (ბერძნულიდან=*viel*) Polytechnikum. Polymerisation.  
**prä-** (ლათინურიდან=*vor*; უძველესი მონათესავე გერმანული *vor, für*-ისა) Präambel,  
 prähistorisch.  
**pro-** (ლათინურიდან=*vor, für*) Profil, prozentual. Prognose. Protektor.  
**re-** (ლათინურიდან=*zurück, wieder*) reparieren. regenerieren, rekonstruieren  
**sub-** (ლათინურიდან=*unter*). subskribieren. subtropisch.  
**super-** (ლათინურიდან=*über*) Superoxyd. superklug, Superhet.  
**syn-, syn-** (ბერძნულიდან=*mit*) Syndikat. synchronisieren. Symbiose.  
**trans-** (ლათინურიდან=*hinüber, über, hinaus*) Transaktion, transportieren.  
**-ei** (რომანული დაბოლოებიდან=*ia, =ie*) Kokerei, Gießerei. Schweißerei.  
**-ieren** (ფრანგულიდან) agitieren, fotografieren. kontrollieren, kopieren, proklamieren.  
**-ie** (ფრანგულიდან) Amnestie. Fotografie. Telegrafie, Teleskopie, Therapie.  
**-ier** (ფრანგულიდან) Brigadier, Kurier.

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ეს ბოლოსართი წარმოითქმის ისე,  
 როგორც ფრანგულში:

Bankier, Finanzier, Portier, Rentier.

### ლ ა თ ი ნ უ რ ი დ ა ნ :

**-al** loyal, maximal, minimal.  
**-ant** Aspirant, Diversant. Hospitant. Intendant, Intrigant, Lieferant, tolerant.  
**-at** Advokat. Diplomat, Testat.  
**-ent. -ient** Referent, Dozent. Pazient.  
**-ist** Opportunist. Optimist, Organist. Pazifist, Pessimist.  
**-ismus** Faschismus, Imperialismus. Patriotismus.

## ფ რ ა ნ გ უ ლ ი დ ა ნ :

- eur Ingenieur. Saboteur. Spediteur
- ion Annexion, Inflation. Integration. Invasion. Konzentration, Lektion, Oposition.
- är doktrinär, parasitär. reaktionär. vulgär.
- age Sabotage. Spionage.
- ös offiziös, skandalös.

## ლ ა თ ი ნ უ რ ი დ ა ნ ფ რ ა ნ გ უ ლ ი ს გ ზ ი თ :

- tät Parität, Solidarität.
- enz Abstinenz, Existenz.

## დ ა ს კ ე ნ ა

მე-18 საუკუნიდან გერმანულ ენას მნიშვნელოვნად აღარ შეეკლია ბევრითი შედგენილობა, ფორმათსისტემა და სინტაქსი. ლექსიკურ შენადგენლობაში კი, პირიქით. ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

მე-18 და მე-19 საუკუნეებში გერმანული ენის ლექსიკაში კვლავ შევიდა ბევრი სიტყვა უცხოური ენებიდან. ბევრი ფრანგული სიტყვა გადმოიღეს საჰმელ-სასმელის, ჩაცმა-დახურვის, კოსმეტიკის, თეატრალური ცხოვრების, პოლიტიკისა და დიპლომატიის სფეროდან. ინგლისურმა გავლენა მოახდინა სპორტისა და სასტუმროს პროფესიულ მეტყველებაზე. აგრეთვე ადამიანთა საკუთარ სახელებზე. ინგლისურ სახელებს ატარებენ ამ დროს საჯარო ცეკვები, მცირეა ნასესხები სიტყვების რიცხვი სლავური და ოკეანისგალმა ენებიდან.

მეცნიერების, ტექნიკისა და საზოგადოების კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას მე-16 საუკუნიდან თან მოჰყვა ხელოვნური სიტყვების დიდი რაოდენობით შექმნა, ისინი იწარმოებოდნენ ლათინური, ბერძნული და ფრანგული წარმოშობის სიტყვებისაგან, ამავე ენებიდან აღებული თავსართებისა და ბოლოსართების საშუალებით. ასეთი ხელოვნური სიტყვა ფრანგულიდან თუ სხვა ენებიდან ხშირად შემოდირდა გერმანული ენის ლექსიკაში.

## VI. გერმანული ენის ლექსიკის გამდიდრება კლასიკოსი

### და რომანტიკოსი პოეტების მიერ

### ენის ისტორიის კვლევა მე-18—19 საუკუნეებში

#### I. კლასიკოსი და რომანტიკოსი პოეტების დამსახურება

#### გერმანული ლექსიკის გამდიდრების საქმეში

გერმანული ენის სიწმინდისა და გამდიდრების საქმეში უაღრესად დიდი წვლილი შეიტანეს კლასიკოსმა და რომანტიკოსმა პოეტებმა. ისინი ფრთხილად არიდებდნენ თავს მოკარბებულ უცხოურ სიტყვებს ან

ცვლიდნენ მათ ნეოლოგიზმებით. მათ გამოაცოცხლეს გერმანული ენის ბევრი ძველი, თითქმის დავიწყებული სიტყვა და ზოგიერთი დიალექტობრივი გამოთქმა. მათი 'ნაწარმოებების მეოხებით სალიტერატურო ენაში დამკვიდრდა ახალი სიტყვები. ბევრი ნეოლოგიზმი მოწმობს იმას, რომ პოეტები ამომწურავად ითვისებდნენ სიტყვაწარმოების ყველა საშუალებას.

პერდერის თვალსაზრისის მიხედვით ახალი პერიოდი ენაშიაც კლოპშტოკით იწყება. კლოპშტოკმა გერმანული ლექსიკა გაამდიდრა ძველი სიტყვების გაცოცხლებით: მაგალითად, Gau, Ger, Gestande, Hein, Halle, Aar, Ahn, Banner, Barde, Hort.

მისი ენისათვის ნაწილობრივ დამახასიათებელია გაბედული ნეოლოგიზმები:

empfindungsvoll, entzückungsvoll, scelenvoll, wehmütig, äugeln, Ähnlichung, Einung, Allvollender, Krittler, Zukunftswisser, flammenverkündend, schnellherschmetternd, blüenumduftet, wahnsinnstrunken.

ლესინგის დამსახურება, უწინარეს ყოვლისა, ენის კრიტიკული განხილვაა, მან შეარჩია იმ დროს თითქმის დავიწყებული პოეტის ფრიდრიხ ფონ ლოგაუს (Fridrich von Logau, 1605—1655 წწ.) ეპიგრამებიდან სიტყვები: Besonnenheit, herzlich, Unzahl, Wegelagerer.

ლესინგმა გააცოცხლა უკვე ნახევრად დავიწყებული სიტყვები: Brosamen, Brünne, Degen (=Held); ლესინგის ნეოლოგიზმებია: Bücherwurm, Maßregel, Rücksicht, tolldreist. ლესინგის შრომების მეოხებით გერმანულ ლიტერატურაში შევიდა იმ დროს უკვე ხმარებაში არსებული სიტყვები: ähneln, bieder, empfindsam, Liebchen, rührend. მანვე ლიტერატურულ ენას შესთავაზა შემდეგი გაგერმანულებული სიტყვები:

Bestimmung (Definition), Denkwürdigkeiten (Memoiren), Gewissensbisse (Skrupel), Losung (Parole), Marktschreier (Scharlatan), Schanktisch (Büflei)-Wahlspruch (Devise).

ვილანდი (Wieland) თავდაპირველად ხშირად იყენებდა უცხოურ სიტყვებს. უფრო გვიან კი, თავისი შრომების ხელახალი გამოცემის დროს, მან თავი აარიდა მათ გამოყენებას, ან შეეცვალა ისინი ნეოლოგიზმებით, მის მიერ გაგერმანულებულია:

entziffern (deschiffriren), Freistaat (Republik), Staatsbürger (Gitoyen), Trugschluß (Sophisma), Fortschritt (Progreß), Heldentum (Heroismus), Weltall (Universum), anziehend (interessant).

ვილანდის ნეოლოგიზმებია:

Eigensinn, Finsterling, Gemeinplatz, Königtum, mißliebig, Schriftsprache, Stimmennmehrheit.

ვილანდის შრომების მეოხებით დამკვიდრდა სიტყები: *bemitleiden* და *entsprechen*.

ჰერდერს (Herder) უნდა ვუმაღლოდეთ, სხვათა შორის, ამ სიტყვებს: *Volkslied*, *Heldienstolz*.

გოეთეს ნათქვამისა და ნაწარმოებთა მეოხებით სალიტერატურო ენაში ჩვეულებრივ შევიდა: *behäbig*, *Deutschtum*, *Katzenjammer*, *Sockel*, *Tragweite*, *Trotzkopf*, *Wahlverwandschaft*, *Weltliteratur*.

გაგერმანულეხელია: *Besuchskarte* (*Visitskarte*), *Schutzort* (*Asyl*); *Zwiesengesang* (*Duett*).

არ დამკვიდრდა ენაში: *ausheimisch* (*exotisch*), *Auflebung* (*Renaissance*), *Zeitgeschlecht* (*Generation*), *Selbstigkeit* (*Egoismus*).

შილერისაგან მოდის სიტყვები: *Altkanzler*, *Gedankenfreiheit*, *verhängnisvoll*.

გერმანული ენის ზედმეტი უცხოური სიტყვებისაგან გაწმენდის და გერმანულად მოლაპარაკე ქვედა ფენასა და უცხოურ ენაზე მოლაპარაკე ზედა ფენას შორის ხიდის გადების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ი. ჰ. კამპეს (J. H. Campe 1770—1818 წწ). ის იყო თავისი დროის ერთ-ერთი მოწინავე პედაგოგი, საფრანგეთის რევოლუციის გატაცებული მიმდევარი და ერთადერთი გერმანული პედაგოგი, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის საპატიო მოქალაქე გახდა.

1790 წელს გამოქვეყნდა კამპეს ნაშრომი „*Proben einer Versuche deutscher Sprachbereicherung*“; 1794 წელს კი მისი შრომა „*Über die Reinigung und Bereicherung der deutschen Sprache*“. იგი ბერლინის მეცნიერებათა აკადემიამ პრემიით დააჯილდოვა. შემდეგ მან საფუძველი ჩაუყარა „გერმანული ენის მეგობართა საზოგადოებას“ (*Gesellschaft von deutschen Sprachfreunden*). ამ საზოგადოებამ თავის შრომებში „*Beiträgen zur weiteren Ausbildung der deutschen Sprache*“ გამოაქვეყნა კამპეს კვლევითი მუშაობის შედეგები.

1801 წელს ი. ჰ. კამპემ გამოსცა „*Wörterbuch der Erklärung und Verdeutschung der unserer Sprache aufgedrungenen fremden Ausdrücke*“, 1806-დან 1811 წლამდე ის მუშაობდა „გერმანული ენის ლექსიკონზე“.

„Wie unsere großen Dichter seinem feinen Sprachgefühl manchen schlagenden, sehr treffenden Ausdruck verdanken, so lebt überhaupt neben Luther kein Deutscher so im Munde der Nachwelt wie Campe mit der kaum übersehbaren Menge der von

ihm geschaffenen, aus der Vergessenheit wiedererweckten oder bei zagem Aufkommen durchgesetzten Wörter<sup>1</sup>.

მისგან წარმოდგება: Amtskleid (Ornat), belegen (dokumentieren), Beweggrund (Motiv), Farbengebung (Kolorit), Feingefühl (Takt). geeignet (qualifiziert), gegenüber (vis-à-vis), Haft (Arrest), Mißerfolg (Fiasko), Tondichter (Komponist), trauen (kopulieren), Zuckungen (Konvulsionen) და ა. შ.

შემდეგი ნეოლოგიზმები და გაგრძანებული სიტყვები:

Absage, Abschweifung, anspruchsvoll, Bekanntmachung, bewahrheiten, Bittsteller, Dienstalter, Ehrensold, Eilbote, Einzahl, Einzelwesen, Erdgeschoß, Eßlust, Fallbeil, fesselnd, Flugblatt, Flugschrift, Gedeck, gefallsüchtig, gegenständlich, Gemeinsprache, Gutbesitzer, lecker, Lehrgang, leutselig, luftdicht, Minderheit, mittellos, Scheinwerfer, Schnittwaren, Stelldichein, Tagblatt, Treibeis, trübsinnig, übernünftig, unentgeltlich, ungeschminkt, unumwunden, Urbild, volljährig, Volksgeist, Vorzeichen, wortkarg, zahlungsfähig, Zartgefühl, Zerrbild, zweifellos, Zwischen spiel და ა. შ.

რომანტიკოს პოეტებს უნდა ეუმადლოდეთ საშუალო საუკუნეების მრავალრიცხოვანი სიტყვების გაცოცხლებას, მაგალითად:

Fehde, Feine, hehr, Knappe, Imbiß, kosen, künden, lügen, munden, raunen, Sippe, Scher, Söller, Tafelrunde, Ungetüm, wallen, Weidwerk, Windsbraut, Wonne და ა. შ.

და ბევრ ახალწარმოებას (ნეოლოგიზმებს), რასაც მიმართავდნენ რომანტიკოსი პოეტები იმისათვის, რომ გამოეხატათ თავიანთი ძლიერი მიდრეკილება ბუნებისა, საიღუმლოსა და მისტიკურისადმი; ასე მაგ., ხშირად აწარმოებდნენ კომპოზიტებს შემდეგი სიტყვებით: Nacht, Zauber, Geist, Gespenst და სხვ.

კლასიკოსი და რომანტიკოსი პოეტების მოღვაწეობით ერთგვარად დასრულდა 1500-იანი წლებიდან დაწყებული ეროვნული ენის ჩამოყალიბების პროცესი. მე-18 საუკუნის II ნახევრისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის დიდი პოეტური ქმნილებანი გერმანული ენის სიმდიდრისა და გამომხატველობითი ძალის უცილობელი მაჩვენებელია.

## 2. გერმანული ენის ისტორიის კვლევა

რომანტიზმის პერიოდს ემთხვევა გერმანული ენათმეცნიერების პირველი აყვავება. მე-18 საუკუნემდე ენათმეცნიერება ძირითად მიზნად ისახავდა გრამატიკული წყობის აღწერასა და ლექსიკის აღრიცხვას.

<sup>1</sup> Hofstaetter / Panzer: „Grundzüge der Deutschkunde“, ტ. I. ლაიფციგი — ბერლინი, 1925 წ.



იკვლევდნენ აგრეთვე უცხოურ ენებსაც და მათ ლექსიკურ შემადგენლობას უდარებდნენ გერმანულისას, მაგრამ არ იძლეოდნენ მეცნიერულად დასაბუთებულ მსჯელობას შედარებულ ენათა ურთიერთმონათესავეობის შესახებ. ძველი გერმანული პოეზიის აღმოჩენამ და გამოკვლევამ გააღვიძა აგრეთვე ინტერესი ჩვენი ენის ისტორიული განვითარებისადმი და საერთოდ ენის ისტორიისადმი.

მე-19 საუკუნის დასაწყისში გერმანელმა ენათმეცნიერებმა განავითარეს ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, როგორც კვლევის ახალი ხერხი და ამ ახალი მეთოდით მიაღწიეს გერმანული ენის ისტორიისა და სხვადასხვა ენის ნათესაურ ურთიერთობათა ახლებურ გაგებას.

მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია ფ რ ი დ რ ი ხ შ ლ ე გ ე ლ მ ა (Fridrich Schlegel, 1772—1829) თავის შრომაში „Über die Sprache und Weisheit der Inder“ (1808 წ.). ამ გამოკვლევაში ის დაემყარა მე-18 საუკუნის ბოლოს უკვე ცნობილ ს ა ნ ს კ რ ი ტ ს და მორფოლოგიის შედარების გზით დაადგინა სანსკრიტის ნათესაობა ცენტრალური ევროპის მრავალ ენასთან.

ინდოევროპული ენათმეცნიერების ანუ ინდოევროპეისტიკის ნამდვილ ფუძემდებლად ითვლება ფ რ ა ნ ც ბ ო პ ი (Franz Bopp, 1791—1867 წწ.). თავის მრავალ შრომაში ბოპი სისტემატურად ადარებდა ერთმანეთს ენების გრამატიკულ წყობას. მისი გამოკვლევების საფუძველზე უცილობლად დადასტურდა ინდოევროპული ენების ნათესაობა. მაგრამ ის, რა თქმა უნდა, ცდებოდა, როცა ყველა ინდოევროპულ ენას სანსკრიტიდან გამოსულად მიიჩნევდა.

გერმანისტიკა, გერმანული ენისა და ლიტერატურის კვლევა მე-19 საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად გაღრმავდა. ეს მოხდა, უწინარეს ყოველისა, ძმების ი ა კ ო ბ გ რ ი მ ის ა (Jacob Grimm, 1785—1863 წწ.) და ვ ი ლ ჰ ე ლ მ გ რ ი მ ის (Wilhelm Grimm, 1786—1859 წწ.) მეოხებით. მათ დიდი გაცეცებით მოჰკიდეს ხელი ძველი გერმანული ლიტერატურის შესწავლას. 1829 წელს ორივე ძმა მიიწვიეს გეტინგენის უნივერსიტეტში გერმანული ენის, გერმანული უძველესი სამართლისა და გერმანული ლიტერატურის პროფესორების თანამდებობაზე. იაკობ გრიმი უკვე მიწვევამდე მუშაობდა თავის „გერმანულ გრამატიკაზე“ (Deutsche Grammatik). პირველი ტომი გამოვიდა 1819 წელს, მეოთხე და უკანასკნელი კი 1837 წელს. ამ გრამატიკაში გრიმი ახალ ზემოგერმანულს განიხილავს მხოლოდ ზოგადად: მას „გერმანულის“ (Deutsch) ცნება ესმოდა გაცილებით უფრო ფართოდ და ამიტომაც იძლევა გერმანიკული ენების საერთო მიმოხილვას. იგი წერდა:

„Ich hätte mich auf die Untersuchung der uns in Deutschland zunächst liegenden Überbleibsel der althochdeutschen

Mundart, für deren sicheres Verständniß eine feste grammatische Behandlungsart... unerlässlich war, beschränken können... Inzwischen stand mir bald vor Augen, daß ohne das Gotische als Grundlage überhaupt nichts auszurichten wäre und selbst die Anhnüpfung der Sprache, wie sie von den hochdeutschen Dichtern des dreizehnten Jahrhunderts geredet worden, an unsere heutige mißlingen würde, wo nicht die Einflüsse der niederdeutschen Mundart in den Anschlag kamen. Es mußte folglich auf ältere Quellen des Niederdeutschen, sächsische, englische und friesische, Bedacht genommen werden, woran sich wiederum die nordischen... von selbst fügten. Der Erfolg scheint mir bewährt zu haben, daß keine einzige dieser vielfachen Mundarten des großen deutschen Stammes ohne merklichen Nachteil des Ganzen hätte außer Acht gelassen werden dürfen“.

გრიმი ენას განიხილავდა როგორც ისტორიულ მოვლენას. მისი გამოკვლევის ცალკეული შედეგები მოძველებული რომ იყოს, „გერმანული გრამატიკა“ მაინც გენიალური და ფუძემდებელი წიგნია, რომელშიც ჩასახული იყო გერმანული ენათმეცნიერების შემდგომი პერიოდის მიღწევები. მან ენის ისტორიული თვალსაზრისით განხილვის შედეგად აღმოაჩინა აბლაუტის, უმლაუტისა და ბგერათგადაწევის კანონზომიერებანი.

იაკობ გრიმის „გერმანული ენის ისტორიაში“ (Geschichte der deutschen Sprache, 1848) ნათქვამია:

„...auch die innern Glieder eines Volks müssen nach Dialekt und Mundart zusammentreten oder gesondert bleiben; in unserm widernatürlich gespaltenen Vaterland kann dies kein fernes, nur ein nahes, keinen Zwist, sondern Ruhe und Frieden bringendes Ereignis sein, das unsere Zeit... mit leichter Hand heranzuführen berufen ist...“

1837 წელს ძეგბა გრიმებმა, სხვა ხუთ პროფესორთან ერთად, პროტესტი განაცხადეს პანოვერის მეფის მიერ კონსტიტუციის დარღვევის წინააღმდეგ. ამის გამო ისინი სამსახურიდან გააძევეს. პედაგოგიურ მოღვაწეობაში იძულებითი შესვენების დროს მათ მოუმწიფდათ აზრი გერმანული ლექსიკონის შექმნის შესახებ. 1841 წელს ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის (Alexander von Humboldt) შუამდგომლობით ისინი მიიწვიეს ბერლინის მეცნიერებათა აკადემიაში. აქ მათ შეძლეს მთლიანად მისცემოდნენ მეცნიერულ მუშაობას. ერთ ჰერქვეშ, მეზობელ ოთახებში მობინადრენი, წიგნებისა და სხვა ავლადიდების სრულიად საერთო მფლობელნი, გრიმები ქმნიდნენ თავიანთ უმნიშვნელოვანეს

შრომას „გერმანულ ლექსიკონს“ (Deutsches Wörterbuch). მათი მიწერ-მოწერიდან ცხადია, თუ რა მიზანს ისახავდნენ ისინი ლექსიკონის გამოცემისას.

„Enthalten soll das Wörterbuch die neuhochdeutsche Sprache, von da an, wo die mittelhochdeutsche aufhört, von Luther bis auf Goethe ... Wir gehen also darauf aus, nicht bloß den ganzen Umfang der lebenden hochdeutschen Sprache zu sammeln, sondern auch alle Wörter des 16., 17. und 18. Jahrhunderts aufzunehmen, die mit Recht oder Unrecht veraltet sind. Wer Luthers veraltete und Goethes gültige Wörter geben wollte, würde sich ein zu enges Ziel stecken und fast nach einem Lexikon der Mode oder des feinen Tones streben“.

(1838 წ. 24 აგვისტოს ლახმანისადმი მიწერილი წერილიდან)

ლექსიკონის წინასიტყვაობაში (1854 წ.) იაკობ გრიმმა გარკვევით განაცხადა, რომ ლექსიკონი, მისი აზრით, „ხალხის გულთბილი მონაწილეობით“ უნდა იქნეს შედგენილი. რომ ამის სრულიად საწინააღმდეგოს წარმოადგენენ საფრანგეთის, ესპანეთისა და დანიის ლექსიკონები, რომლებიც შექმნეს სწავლულთა საზოგადოებებმა. გრიმი კითხულობს:

„Was ist eines wörterbuches zweck? nach seiner umfassenden aligemeinheit kann ihm nur ein groszes, weites ziel gesteckt sein“.... „es soll ein heiligum der sprache gründen, ihren ganzen schatz bewahren, allen zu ihm den eingang offen halten, das niedergelegte gut wächst wie die wabe und wird ein hehres denkmal des volks, dessen vergangenheit und gegenwart in ihm sich verknüpfen“<sup>1</sup>.

გრიმებს ლექსიკონი მიაჩნდათ „ენის საკურთხევლად“. იგი, ისე, როგორც მათი „Hausmärchen“, ყველა ოჯახში უნდა წაეკითხათ. ამავე დროს მას „უშუალო და თვალსაჩინო გავლენა უნდა მოეხდინა გერმანული ენის ჩამოყალიბებასა და აღორძინებაზე“. ეს აზრები მოცემულია პირველი ტომის შესავალში:

„seit den befreiungskriegen ist in allen edlen schichten der nation anhaltende und unvergehende sehnsucht entsprungen nach den gütern, die deutschland einigen und nicht trennen, die uns allein den stempel voller eigenheit aufzudrücken und zu wahren im stande sind. der groszen zahl von zeitgenossen, vor deren wachem auge die nächsten dreiszig jahre darauf sich ent-

<sup>1</sup> თაკიანთ გერმანისტულ ნაწერებში ძმები გრიმები (და მათი მიხედვით ბუერა სხვა სწავლული) იყენებდნენ ნუსხურ (პატარა) ასოებიან დამწერლობას.

rollten, bleibt unvergessen, wie hoch in ihnen die hoffnungen giengen, wie stolz und rein die gedanken waren; wenn nach dem gewitter vom 1848 rückschläge lang und schwerfällig die luft durchziehen, können sprache und geschichte am herrlichsten ihre unerschöpfliche macht der beruhigung gewähren“.

გამაერთიანებელი სახალხო წიგნის შექმნის ის გეგმა, რომელიც ძმებმა გრიმებმა შეიმუშავეს, მეტისმეტად ძნელი წამოწყება იყო. უნდა შეესწავლათ ყველა სიტყვის ხმარების ფორმები და მნიშვნელობის ცვალებადობა მისი წარმოქმნიდან დაწყებული. ამ მიზნით უნდა ამოეკრიბათ მთელი ლექსიკა და თანამიმდევრულად გამოეკვლიათ ყველა ხელმისაწვდომი წერილობითი და აგრეთვე ზეპირად მოღწეული ენობრივი წყარო. ეს ისეთი სამუშაო იყო, რომლის შესრულება შეუძლებელი იყო არა მხოლოდ ორი მეცნიერის, არამედ მეცნიერთა მთელი ერთი თაობისთვისაც. ამრიგად, ძმებმა გრიმებმა მხოლოდ დაიწყეს ლექსიკონი. ვილჰელმ გრიმმა 1859 წლამდე, ე. ი. სიკვდილამდე დამთავრა მხოლოდ ერთადერთი ასო D. იაკობმა გააგრძელა მუშაობა 1863 წლამდე და მიაღწია სიტყვას Frucht.

მომდევნო პერიოდის ყველა გამოჩენილი ენათმეცნიერი აგრძელებდა ლექსიკონზე მუშაობას, პირველმა და მეორე მსოფლიო ომმა შეაფერხა მუშაობა. მეორე მსოფლიო ომის დროს დაიკარგა კიდევ დაგროვილი მასალების ნაწილი. 1946 წლიდან გერმანიის მეცნიერებათა აკადემიამ ბერლინში კვლავ ხელი მოჰკიდა ამ საქმეს. ფართო დახმარება აღმოუჩინა მას საბჭოთა ხელისუფლებამ.

შრომა დაახლოებით 32 ტომს მოიცავს. იგი ხელს შეუწყობს გერმანული ენის საერთო კვანძის, როგორც ეროვნული ერთიანობის აუცილებელი წინაპირობის, განმტკიცებას და ამ ენის სიმდიდრის, როგორც წარსულის შესანიშნავი ნაანდერძევის, გამოჩინებას.

## დ ა ს კ ვ ნ ა

გერმანული ენის ლექსიკა გამდიდრდა კლასიკოსი და რომანტიკოსი პოეტების ენობრივი შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად. მათ შექმნეს ბევრი ახალი სიტყვა, ზოგიერთი დიალექტობრივი სიტყვა აქციეს სალიტერატურო ენის კუთვნილებად, აგრეთვე გააცოცხლეს ძველი, თითქმის მივიწყებული გამოთქმები.

უმთავრესად გერმანელმა ენათმეცნიერებმა, ჩვენი ენის ისტორიისა და მისი სხვა ენებთან მონათესავეობის კვლევის პროცესში, განავითარეს ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, როგორც კვლევის ახალი ხერხი. ძმებმა გრიმებმა თავიანთ „გერმანულ ლექსიკონში“ (I ტომი, 1854) დაიწყეს გერმანული ლექსიკის აღწერა ლუთერის დროიდან თავიანთ ეპოქამდე.

### 3. სიტყვათა ახალწარმოებანი დღემდე

ა) საზოგადოების განვითარებისა და  
პოლიტიკური მოვლენების ასახვა  
ლექსიკურ ფონდში

ნაპოლეონის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის პერიოდმა ხალხის ყველა ფენაში ხელი შეუწყო მისწრაფებას ლექსიკის გაუმწეს-დით გაეღვიძებინათ და გაეძლიერებინათ ერთიანობის შეგნება.

ამ დროს აღადგინეს: Landwehr და Landsturm.

შეიქმნა ახალი სიტყვები:

Wehrmann, Wehrpflicht, volkstümlich, Völkerschlacht, Volkstum, Kleinstaaterei, turnen, Barren, Riege.

1848 წლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გაამდიდრა პოლიტიკური სიტყვების ფონდი, სალაპარაკო ენაში შევიდა ნაწილობრივ უკვე აღრე ხმარებული, ნაწილობრივ — ახალშექმნილი სიტყვები: Freisinn, Putsch, Errungenschaft, Rechtsboden, maßregeln, Bundesstaat, Überzeugungstreue.

მუშათა კლასის ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლიდან წარმოდგება:

Arbeitergroschen, Aussperung, Klassenkampf, Klassenstaat, Recht auf Arbeit, Völkerversöhnung. Genosse (როგორც პოლიტიკური მოკავშირე,) Gewerkschaft (აღებულია სამთო საქმიდან, ამჟამად იყენებენ პოლიტიკური გაგებით), Streikbrecher, Umsturz, Arbeitswilliger.

პირველმა მსოფლიო ომმა და საზოგადოებრივმა ცვლილებებმა 1918 წლის შემდეგ მოამწიფა შემდეგი ახალი ენობრივი მასალა:

Bezugsschein, Brotkarte, hamstern, Liebesgabe, Selbstversorger. Kriegsgewinnler, Schiebung, Schwarzschlachtung, Selbstbestimmungsrecht, Volksentscheid, 'Volksbeauftragter.

ბ) საბუნებისმეტყველო დარგის მეცნიერებისა და ტექნიკის გავლენა გერმანულ  
ლექსიკაზე

ბევრი ახალი გამოთქმა დასკირდა ელექტრობის თეორიასა და ქიმიას. ნეოლოგიზმები საკირო გახდა ინდუსტრიასა და ტრანსპორტში მომხდარი რევოლუციის შედეგად. ბევრი ახალი გამოთქმა შექმნა მედიცინამ და სამკურნალო საშუალებათა წარმოებაში; მრავალრიცხოვანი ნეოლოგიზმები წარმოიშვა საავტომობილო ტრანსპორტსა და ავიაციაში, კინოსა და რადიოს დარგებში. ბევრი სიტყვა გამოყენებულ იქნა აგრეთვე ახალი გაგებით.

## ავიაციის და რადიოს

Flugwesen, Flugzeug, Abflug, Flugstrecke, Fesselballon, Flugfeld, Flughalle, Gleitflug, Sturzflug, Fernflug, Abflug, Rundflug, Eindecker, Doppeldecker; Ansager, Antenne, Radio, Senderaum, Sendepause, Funkstunde, Funkstille, Lautsprecher, Schwarzhörner,

### ახალი მნიშვნელობით:

Röhre, Sender, Empfänger, Hörer, Übertragung.

### დავალება 30

დასახელებული ახალწარმოებათა (ნეოლოგიზმებისა) და სიტყვების ახალი მნიშვნელობით გამოყენების მაგალითები შემდეგი დარგებიდან:

- ა) კინო და ტელეხედვა
- ბ) ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.
- გ) რადიო.

### გ) საერთაშორისო სიტყვები (ინტერნაციონალიზმები)

ქვეყნებსა და ხალხებს შორის სულ უფრო და უფრო მზარდი მჭიდრო საშუალო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის გამო სიტყვების მთელმა რიგმა მიიღო საერთაშორისო მნიშვნელობა. ამჟამად ყველა ენაში იხმარება ერთნაირი პროფესიული გამოთქმების დიდი რაოდენობა მეცნიერების ცალკეული დარგების, ტექნიკისა და კულტურის მრავალ სფეროში, თუმცა ეს სიტყვები — ცალკეული ეროვნული ენის კვალობაზე — განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სიტყვაწარმოებით, დამწერლობით და წარმოთქმით.

### დავალება 31

1) დასახელებული ინტერნაციონალიზმები:

- ა) ზომისა და წონის.
- ბ) ვაჭრობისა და ტრანსპორტის დარგადან,
- გ) მუსიკიდან.
- დ) მედიცინიდან,
- ე) პოლიტიკიდან,
- ვ) სპორტიდან.

მონახეთ საერთაშორისო სიტყვები ეურნალის ერთ-ერთ სტატიაში.

### დ) გერმანული ენის ლექსიკონის გამდიდრება კალკებით

იმის საჭიროებამ, რომ გასაგები გამხდარიყო უცხოური სიტყვების ერთი ნაწილი, უკვე ადრეულ პერიოდში გამოიწვია კალკების შექმნა გერმანულში. ჩვენ ამაში ვგულისხმობთ ნასესხები სიტყვების თარგმანებს, ე. ი. უცხოური სიტყვის ან გამოთქმის

ცალკეული ნაწილების სიტყვასიტყვით თარგმანს ან ნასესხები სიტყვის ისეთ გადატანას დედაენაზე, რომელშიც უცხოური სიტყვის მხოლოდ ერთი ნაწილი ითარგმნება. ასეთი კალკები ბერძნულიდან, ლათინურიდან და მრავალი თანამედროვე ენიდან არც თუ ისე მცირეა გერმანულ ლექსიკაში.

ძვე პერიოდი:

gifatero (Gevatter) ლათ. compater; giwizjani (Gewissen) ლათ. conscientia.

სხვ პერიოდი:

Großmutter, Großvater (ფრანგ. grand'mère, grand'père); Gründonnerstag (ლათ. dies viridium).

ადრ. აზგ.

Lebenslauf (ლათ. curriculum vitae), Viereck (ლათ. quadrangulus), Nenner (ლათ. denominator), Fragezeichen (ლათ. signum interrogationis), Hundstage (ლათ. dies caniculares), Jahrbücher (ლათ. annales), Lehrstuhl (ლათ. cathedra), Menschenfeind (misanthropus), Mittschüler (ლათ. condiscipulus), Nachschrift (ლათ. postscriptum).

მე-18 საუკუნე:

ფრანგულიდან: Flugblatt, Fortschritt, Gesichtspunkt, Geschäftsträger, Hochverrat, Mittelalter, Papiergeld, Spiegeleier, Hellscher, Schaumwein, Sauerstoff, vertragen;

ინგლისურიდან: Freidenker, Stilleben;

ლათინურიდან: Landsmannschaft, Wendekreis, Staatsstreich;

დანიურ-ნორვეგიულიდან: Nordlicht;

მე-19 საუკუნე:

ფრანგულიდან: Handstreich, Treppenwitz, verantwortlich;

ინგლისურიდან: Leitartikel, Pfadfinder, Fußball, Linienschiff;

ლათინურიდან: Wiegendruck, Umsicht.

იმისათვის, რომ მე-19 საუკუნის მიწურულში დაეძლია უცხოური სიტყვების სიჭარბე, ზოგიერთმა პასუხისმგებლობის შეგნების მქონე ადამიანმა საზოგადოებრივი სამსახურის ხელმძღვანელ სამუშაოებზე თავისი მოღვაწეობის სფეროებში სცადა არასაჭირო უცხოური სიტყვების მაგივრად დაემკვიდრებინა გავრმანულებანი. ასე მივიღეთ საფოსტო სამსახურის შემდეგი სიტყვები:

einschreiben (rekommandieren), postlagernd (poste restante) Postanweisung, Postkarte, Fernsprecher და ა. შ.

რკინიგზის ტრანსპორტზე:

Bahnsteig (Perron), Abteil (Coupe), Scheffner (Kondukteur), Rückfahrkarte (Retourbillet) და ა. შ.

10. გერმანული ენის ისტორიის შესავალი

1885 წელს დაარსდა „სრულიად გერმანული ენის კავშირი“ (Allgemeine Deutsche Sprachverein), რომელიც ამოცანად ისახავდა ხელი შეეწყო გერმანული ენის ზედმეტი უცხო ელემენტებისაგან გაწმენდასათვის და ეზრუნა დედაენისათვის.

ამ კავშირის ჟურნალში „Muttersprache“ („დედაენა“) გამოქვეყნებულ კერძო წერილებსა და კონკურსებში უცხო სიტყვების მაგივრად ყველა დარგში წამოაყენეს გაგერმანულებანი, რომელთა ირგვლივ იმართებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ყველა ეს გაგერმანულება არ იყო მოსაწონი, რადგან ენობრივი კავშირი არ იყო თავისუფალი ნაციონალისტური ტენდენციებისაგან: გაგერმანულებანი შეიმუშავეს ისეთი სიტყვებისათვის, რომლებიც დიდი ხნის დამკვიდრებული იყო გერმანულ ენაში, ან ინტერნაციონალიზმებს წარმოადგენდა:

Antenne (Strahlzeug). Elektrizität (Glitz). elektrifizieren (bestromen), Garage (Kraftstall). Ideal (Leitbild). Mikroskop (Nahrohr. Fernrohr-ის მიხედვით, მე-17 საუკუნე). Navigation (Fahrkunst). sich orientieren (orlen). organisch (wuchshaft). Spirale (Schnecke). Tendenz (Zielung). theoretisch (lehrsätzlich).

ზოგიერთი ნეოლოგიზმი მაინც შევიდა გერმანულ სალიტერატურო ენაში და გააძევა უცხოური სიტყვები.

## დასკვნა

საზოგადოებრივი ურთიერთობის ცვალებადობამ, პოლიტიკურმა მოვლენებმა და ტექნიკის განვითარებამ წარმოშვა ბევრი ნეოლოგიზმი; ზოგიერთმა სიტყვამ მიიღო ახალი მნიშვნელობა, ამრიგად, ბევრი ახალი სიტყვა შეიქმნა ნაპოლეონის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის, 1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის, მუშათა კლასის ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი ცვლილებების გამო, აგრეთვე პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ.

ძალიან ბევრი ახალი გამოთქმა მოჰყვა თან გამოკვლევებს ელექტრობის დარგში და მის გამოყენებას მეურნეობაში; ინდუსტრიისა და ტრანსპორტის, საბუნებისმეტყველო დარგის მეცნიერებისა და მედიცინის განვითარებას. უახლოეს წარსულში ძალიან ბევრი ახალი სიტყვა შეიქმნა ავიაციის, კინოსა და რადიოს დარგებში.

ხალხთა შორის სულ უფრო და უფრო მზარდი მკიდრო სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის შედეგად ბევრმა სიტყვამ შეიძინა საერთაშორისო ღირებულება. ინტერნაციონალიზმები აადვილებს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას მრავალ დარგში.

გერმანული ენა გამდიდრდა აგრეთვე მრავალრიცხოვანი კალკებითა (Lehnübersetzungen) და ნახევარკალკებით (Lehnübertragungen).



#### 4. ფაშისტური უარგონის გავლენა გერმანულ ლექსიკაზე

ჯერ კიდევ ვაიმარის რესპუბლიკის დროს NSDAP-მა (გერმანიის გაერთიანებული ნაციონალ-სოციალისტური პარტია) და მისმა ფორმაციებმა შექმნეს განსაკუთრებული უარგონი. როცა ფაშისტებმა 1933 წელს ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და მათი კონტროლის ქვეშ მოექცა საერთო საზოგადოებრივი ცხოვრება. პრესა, ლიტერატურა, სკოლა და ა. შ., ნაცისტების უარგონმა ძლიერი და საბედისწერო გავლენა მოახდინა გერმანულ ენაზე. მან მიიღო არა მხოლოდ სამსახურებრივი ხასიათი, არამედ მეტ-ნაკლებად მოედო სალაპარაკო ენას და ბოლოს მოკალათდა ლიტერატურაშიც.

თვითონ ნაცისტებმა ძალიან ცოტა ახალი სიტყვა და გამოთქმა შექმნეს. მათ მიერ შექმნილი სიტყვები მოწმობს იმ საშინელ დანაშაულს. რაც ჩაიდინეს გერმანიის საზღვრების შიგნით თუ გარეთ: ადამიანებისადმი აშკარა ზიზღი და სასტიკი დამოკიდებულება, რაც ნიშანდობლივი იყო ამ რეჟიმისათვის, დამახასიათებელია მათი გაიძევრობისა და სიცრუისათვის. ამ სიტყვებიდან და გამოთქმებიდან ბევრი მოისპო დანაშაულებრივი სისტემის მოსპობასთან ერთად და გაქრა გერმანული ენიდან, ხანგრძლივი და უფრო საშიში იყო ის გავლენა, რომელიც ფაშიზმმა მოახდინა მრავალი სიტყვის მნიშვნელობასა და ღირებულებაზე, რადგან მან სიტყვებს სხვა, ახალი მნიშვნელობა მოახვია თავს. ეს გავლენა ზოგჯერ დღესაც კი თავს იჩენს.

#### ა) ნ ე ო ლ ო გ ი ზ მ ე ბ ი

ფაშიზმის ძირითადმა ბირთვმა შექმნა რასობრივი თეორია და, აქედან გამომდინარე, არაადამიანური რასობრივი პოლიტიკაც. ეს დამოწმებულია გარკვეული სიტყვების განსაკუთრებით ხშირი ხმარებითა და ნეოლოგიზმებით:

Rassensciende, Ahaenpaß, Gaskammer, vergasen, nichtarisch, artfremd, arisieren.

ფაშისტური უარგონის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთ დამახასიათებელ მოღურ სიტყვასა და ნეოლოგიზმს 1939 წლის წინა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში წარმოადგენდნენ:

Erbhofgesetz, Arbeitsrot, Austauschstoff, schlagartig, Blitzkrieg, Vernichtungsschlacht, Kesselschlacht, Nervenkrieg, Endsieg, Wehrbetreuung, Bombentepich, Ferntrauung, Fronttheater, Wehrkraftersetzung, Festung Europa, ausgebombt, fliegergeschädigt, entwarnen, entdunkeln.

ფაშისტები ქვეშარითად სწორ ცნობებს მათი მოლაღატეობის შე-სახებ უწოდებდნენ: Greuelpropaganda, Greuelmärchen, Feindpropaganda.

## ბ) მნიშვნელობის შეცვლა

ადამიანის გაუპიროვნება გამოიხატა იმით, რომ ბევრი ტექნიკური გამოთქმა, რომელსაც ადამიანები თავიდანვე მხოლოდ საგნების, მდებარეობისა და მოქმედების აღსანიშნავად აყენებდნენ, ახლა პიროვნებაზედაც გააერთილეს: Versager, Kontakt haben, seelische Belastungsprobe, eingestellt sein (როგორც მანქანის, ტელესკოპის), Arbeiter abbauen, gleichschalten (ნაციზმისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი სიტყვა), spuren.

განსაკუთრებით გაერთილებული იყო სიტყვა aufziehen; მაგალითად: eine Feier, einen Marsch, ein Propagandaaktion aufziehen.

ფაშისტების სიძულვილს გონიერებისადმი მოწმობს ის, რომ მათ მეტყველებაში Intellektueller, Intellekt საღანძღავ სიტყვებად იქცნენ.

მეორე მხრივ, უპირატესობა ეძლეოდა ისეთ გამოთქმებს, რომლებიც მოჭარბებულ გრძობებსა და ინსტინქტებს გამოხატავდნენ: fanatisch (fanatischer Glaube, fanatisches Gelöbniß, Bekenntnis, fanatische Treue და ბოლოს, კიდევ მეტი, ლაპარაკობდნენ ველურ ფანატიზმზე wilder Fanatismus), blindlings, spontan.

განსაკუთრებული უპირატესობა მისცეს ფაშისტებმა შენიღბულ გამოთქმებს (ეფემეიზმებს), როცა ომში დამარცხების დაფარვა ტყუილებით აღარ შეეძლოთ და მათი ტერორისტული რეჟიმის დამხობა ცხადი გახდა:

beweglicher Verteidigungskrieg, Vorfeld Afrika, sich vom Feind absetzen (იმის ნაცვლად, რომ ეთქვათ: fliehen), Einbruch (იმის მაგივრად, რომ ეთქვათ Durchbruch des Gegners), elastische Front, Frontverkürzung, Frontbegradigung, sich freikämpfen.

არ ხერხდება ფაშისტების დამოკიდებულების განსაზღვრა უცხოური სიტყვებისადმი; ერთი მხრივ, ისინი უპირატესობას აძლევდნენ ძველ გერმანულ სიტყვებს: Gau, Mark, Sippe, Thingstätte, მეორე მხრივ, ხმარობდნენ სრულიად ზედმეტს, მაგრამ ნაციტების ჟარგონისათვის დამახასიათებელ უცხოურ სიტყვებს:

Garant, Aktion, fanatisch, spontan, liquidieren, ausradieren, diffamieren, diskriminieren, organisieren.

სიტყვამ organisieren მიიღო განსაკუთრებული მნიშვნელობა: რაიმეს შოვნა არც თუ ისე მართალი გზით.

გ) ფ ა შ ი ს ტ უ რ ი ე ა რ გ ო ნ ის ს ხ ვ ა  
თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი

ფაშისტების განდიდების მანიას ცხადად ადასტურებს ქარბი ხმარება აღმატებითი ხარისხისა და აღმატებითი ხარისხის ხასიათის მქონე გამოთქმებისა:

die besten Soldaten der Welt, die besten Waffen der Welt, die besten Arbeiter der Welt, der größte Führer aller Zeit, der bestausgerüstete Soldat der Welt და ა. შ.

ძალიან მოწონებაში იყო სიტყვები:

total და ewig; totaler Krieg, totaler Sieg; das ewige dritte Reich.

ხშირად იყენებდნენ კომპოზიტებს შედგენილი სიტყვებით:

Groß- და Welt-, Großdeutschland, Großkampftag, Großoffensive, Weltfeind, Weltjudentum welthistorisch.

ფაშიზმი აისახა აგრეთვე პიროვნების სახელების დარქმევაშიც: ყოველივე ებრაულისადმი სიძულვილით იყო გამოწვეული ხელის აღება გარკვეული ებრაული წარმოშობის ქრისტიანულ სახელებზე: ასეთ სახელებს არ ატარებდნენ დაბადებულთა სიებში სარეგისტრაციო ბიუროს მოსამსახურეები. სამაგიეროდ უპირატესობა ეძლეოდა და დაურიღებლად მოითხოვდნენ უკვე დიდი ხანია ხმარებიდან გამოსულ ძველ-გერმანულ სახელებს:

Sieglinde, Sigurd, Sighard, Edda, Haida, Hartmut, Wiltrud, Dettlef, Hella, Dietmar, Eckart, Olaf, Giselher, Hagan.

ამასთან ერთად ხმარებაში შემოიტანეს შოვინისტური გერმანული სახელები:

Heimtraut, Sonnhill. Sonntraut, Dietrun, Reingard, Hermengild.

ფაშიზმს თვალში ხინჯად ხვდებოდა ადგილების ბევრი სლავური და ლიტვური წარმოშობის სახელი; ბევრ ასეთ ადგილს, მაგალითად, მეკლენბურგსა და შპრეევალდში, სახელები შეუცვალეს.

ბევრ სახელს, რომელშიც wendisch შედიოდა, ეს სიტყვა წაუშალეს. ამ მხრივ მეტადრე სასტიკად იქცეოდნენ ლუეციში.

## VII. თანამედროვე გერმანული ენის შესახებ

### 1. ახალი ცხოვრების ასახვა ენაში

მრავალრიცხოვანმა ახალმა სიტყვამ და გამოთქმამ ასახა საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების წინსვლა.

ახალი სიტყვები მეურნეობის დარგიდან:

Arbeitsproduktivität, Leistungslohn, Maschinen-Traktoren-Station, Landwirtschaftliche Produktionsgenossenschaft, Handelsorganisation, Mähdröschler, Wettbewerbsbewegung და ა. შ.

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია ჩანს შემდეგ ახალ სიტყვებში:

Volkskammer, Nationale Front des demokratischen Deutschland, Volksdemokratie, Volksrepublik, Patenschaftsvertrag, Patenbetrieb, Hausbeauftragter, Hausfriedenskomitee, Massenorganisation, Nationalrat, Folkskorrespondent, Volkspolizei, Volksarmee და ა. შ.

მთავრობის ყოველმხრივ ზრუნვას კულტურისა და მეცნიერებისათვის ასახავს შემდეგი სიტყვები:

Nationalpreisträger, Verdienter Lehrer des Volkes, Verdienter Arzt des Volkes, Klubhaus და ა. შ.

ახალი ენობრივი მასალა ახალი გერმანული სკოლის ცხოვრებიდან: Pionierfreundschaft, Elternseminar, Schulbegehung, Leistungskontrolle და ა. შ.

თანამედროვეობის ენის თავისებურებას შეადგენს რიცხვმრავალი შემოკლებანი ორგანიზაციების, დაწესებულებების, კოოპერაციის და ა. შ. სახელწოდებისათვის. ეს გამოწვეულია იმით, რომ სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა დარგში შეიქმნას სათანადო მოკლე გამოთქმები, ადვილად დასამახსოვრებელი სახელწოდებანი: FDCB, MTS, LPG, GST, BSG, BGL.

ეს შემოკლებანი უკვე იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ნაწილობრივ ისინი მხოლოდ სპეციალისტებისათვის არის გასაგები. ამაში არ შეიძლება არ დავინახოთ გაგების საშიშროება.

როგორც ყოველი ახალი საზოგადოებრივი წყობილება, ასევე ჩვენი ეპოქაც უპირატესობას აძლევს გარკვეულ სიტყვებსა და გამოთქმებს. მათ ხშირ ხმარებას უმეტეს შემთხვევაში აქვს გარკვეული გასაგები მიზეზი. ახალი დამოკიდებულება შრომისადმი გამოიხატება გამოთქმებში:

(Eigen-) Initiative, wir diskutieren jede Frage gründlich, wir verlangen konkrete Angaben, wir planen sorgsam unsere Arbeit; wir studieren eingehend die Tagespresse, wir treiben die Arbeit voran, unsere Werktätigen überfüllen ihr Soll და ა. შ.

მეტისმეტად ხშირი ხმარების გამო ეს სიტყვები და გამოთქმები გაუფერულდნენ, დაჰკარგეს გამომსახველობითი ძალა, ამიტომ ისინი უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში.

#### დავალება №2

1. დაუმატეთ მაგალთებს მეურნეობისა და სასკოლო ცხოვრებიდან აღებული ახალი სიტყვები.

2. დაასახელეთ შემდეგი სიტყვებს მონაწილეობით შედგენილი რამდენიმე ნეოლოგიზმი (კომპოზიტ): *Pionier*, *Wirtschaft* და *Plan*.

#### 2. ენობრივი გაუცხოურების საფრთხე

გერმანიის გაყოფა გავლენას ახდენს აგრეთვე ენაზეც. შეცვლილმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ენა გაამდიდრა ბევრი ახალი სიტყვით. ეს სიტყვები ახალი ცხოვრების შინაარსის გამოსატულებაა, რაც მოვიპოვეთ 1945 წელს ფაშიზმისაგან განთავისუფლების შემდეგ.

მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალი სიტყვებისა და გამოთქმების გადაჭარბებით ხმარება, კეთილი სურვილით იქნება ის თუ მანკიერი ენობრივი გრძნობის შედეგად, ენას არ გაამშვენიერებს; ის გამოიწვევს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის დაცილებას ერთმანეთისაგან ენობრივი თვალსაზრისით. მისწრაფება, რომ სპეციალურად შექმნილი ფრაზებითა და ლოზუნგებით დაბეჭითებით მოვეუწოდოთ რაიმე, ძალიან მოკლედ და ხატოვნად გამოვთქვათ, გამოიწვევს ენის გახელოვნურებას. მეტისმეტად ხშირი და მოუფიქრებელი ხმარებით აუფასურებენ ბევრ სიტყვას. უკვე გაცვეთილად გამოიყურება შემდეგი გამოთქმები:

*übererfüllen*, *vorantreiben*, *auswerten*, *auslasten*, *vorfristig*, *das Soll*, *erfüllen*, *kämpfen*, *einplanen*, *einsparen*, *operativ*, *erstellen* და ა. შ.

ხშირი ხმარების შედეგად თავის ჩვეულებრივ ძალას კარგავს ბრძანებითი კილოც, რასაც ხშირად ვკითხულობთ ჩვენ ლოზუნგებსა და სპეციალურ მოწოდებებში:

*kämpft*, *hebt*, *senkt*, *steigert* და ა. შ.

დიდი ხანია დაწესებულიებში, სალაპარაკო ენაში. პრესაში, ლიტერატურაშიაც კი შეიმჩნევა ტენდენცია შეცვალონ ზმნა შესატყვისი არსებითი სახელითა და შემდეგი ზმნების მონაწილეობით შედგენილი აღწერილობითი ფორმებით:

*ziehen*, *stellen*, *kommen*, *gelangen*, *finden* და ა. შ.

ნაცულად *erwägen*-ისა *in Erwägung ziehen*;

ნაცვლად fragen-ისა die Frage stellen.

ნაცვლად vollendet werden-ისა zur Vollendung kommen.

ნაცვლად aufgeführt werden-ისა zur Aufführung gelangen, angewendet werden-ისა Anwendung finden.

მეტად მალაღფარდოვანი ხდება გამოთქმა, როცა ზმნას აძლიერე-  
ზენ ისეთი პრეფიქსით, რომელიც მნიშვნელობის შეცვლას არ იწვევს:

jemandem schreiben — jemanden anschreiben;

fragen — anfragen;

planen — einplanen, verplanen;

sparen — einsparen;

zeigen — aufzeigen.

გერმანიის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ენობრივ გაუ-  
ცხოურებას ხელს უწყობს ჩრუსული გამოთქმების [ცალკეული მექანი-  
კური თარგმანები, ისინი უმთავრესად პრესის საშუალებით გადადიან  
სალაპარაკო ენაში. ჩვენ აქ მოგვყავს რამდენიმე ისეთი თარგმანი, რო-  
მელიც გერმანული ენისათვის ნორმალური ქარ არის:

im Ergebnis (რუს. в результате): im Ergebnis der Reise, im Ergebnis des  
Aufbaucinsatzes; mit... an der Spitze (რუს. во главе): die Frage steht (რუს.  
вопрос стоит).

განსაკუთრებით საშიშია გერმანულისათვის ბევრი ამერიკული სი-  
ტყვისა და გამოთქმის შემოქრა. დასავლეთ გერმანიის პასუხისმგებ-  
ლობის შეგნების მქონე მწერლებიც კი უკვე გაფრთხილებას იძლევიან  
გერმანული ენის ამერიკანიზმებით ავსებისა და ენის კანონებისადმი  
უყურადღებობის გამო, რაც შეიმჩნევა დასავლეთ გერმანიის ლიტე-  
რატურის ერთ ნაწილში.

დასავლეთ გერმანიის ერთ მწერალ ქალს თავის სტატიაში „კოსმო-  
პოლიტიზმი და ეროვნული შეგნება“ („Kosmopolitismus und Natio-  
nalbewußtsein“)<sup>1</sup> მოჰყავს შემდეგი სტროფი დასავლეთ გერმანიის ლი-  
ტერატურიდან:

ichter bläst aus ton  
durch die tür schmal  
haus aus glas  
haus aus glas  
sucht die tür  
des dichters rot tür  
des dichters rot herz და ა. შ.

<sup>1</sup> ცტ. „Neue Deutsche Literatur“-ის მიხედვით, 1955 წ. იელისი, რვ. 7, 65-85—87.

მწერალი ფ. ც. ვაისკოფი (F. C. Weiskopf) ამასთან დაკავშირებით წერს: „რასაც აქ ვსედავთ. ეს არის ანგლო-ამერიკული ნიმუშის მაიმუნური მიბაძვა... — ასე ვთქვათ, ენობრივი დაცემა წმინდა კულტურაში. სტრიქონები წინადადებათა თვითნებური დაგლეჯის შედეგი მათ დაკარგეს აზრი და ურთიერთკავშირი...“<sup>1</sup>

ვაისკოფი კითხულობს: რა შეიძლება გაკეთდეს „იმისათვის, რომ შევაჩეროთ და დავძლიოთ ენის გაუცხოურების პროცესი“<sup>2</sup>. თავის პასუხში ის აყალიბებს ჩვენს ამოცანას:

უწინარეს ყოვლისა, იქ და აქ, და ყოველთვის ერთად, უნდა დავიცვათ ჩვენი ერთიანი ენობრივი მემკვიდრეობა ყოველგვარი დამახინჩების, გაუცხოურებისა და დანაგვიანებისაგან და გავაბრწყინოთ ჩვენი „ფართო, ვრცელი, სუფთა და შესანიშნავი დედაენის“ (შოტელი) მშვენიერება ყველაფერში, რასაც ჩვენ ვწერთ. თუ ამას მონდომებითა და ენერგიულად გავაკეთებთ, მაშინ აღარ მოგვიხდება ენობრივ ერთიანობაზე „შიში“.

#### უ მ თ ა ვ რ ა ხ ს ი უ მ მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

აზუ.	— ახალი ზემოგერმანული
ანგსაქს.	— ანგლოსაქსონური
ბრძნ.	— ბერძნული
გერმან.	— გერმანული
გერმანკ.	— გერმანიკული
გუთ.	— გუთური
ზგ.	— ზემოგერმანული
ინდეერ.	— ინდოევროპული
ლათ.	— ლათინური
ნდრლ.	— ნიდერლანდური
პოლნ.	— პოლონური
რუს.	— რუსული
სამხზგ.	— სამხრეთ ზემოგერმანული
სზგ.	— სამუდლო ზემოგერმანული
სლათ.	— სამუდლო ლათინური
სლვ.	— სლავური
ქვეგერმან.	— ქვემოგერმანული
ჩეხ.	— ჩეხური
ძვგ.	— ძველი ზემოგერმანული
ძსაქს.	— ძველი საქსონური

<sup>1</sup> F. C. Weiskopf, „Verteidigung der deutschen Sprache“, გვ. 71.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 72—73.

- .Karl Marx und Friedrich Engels, Über Kunst und Literatur Henschelverlag, Berlin, 1948.
- Marx, Engels, Lenin — Zur deutschen Geschichte, 3 Bände. Dietz Verlag, Berlin, 1953.
- Friedrich Engels. Zur Geschichte und Sprache der deutschen Frühzeit. Bücherei des Marxismus-Leninismus, Band 35. Dietz Verlag, Berlin, 1951.
- Бах А. История немецкого языка, (пер. с немецкого). М., 1956.
- Жирмунский В. М. История немецкого языка, 1956.
- Филлчева Н. И. История немецкого языка, (Курс лекции), Изд. МГУ, 1959.
- Москальская О. История немецкого языка, М., 1959 г.
- Гухман М. М. От языка немецкой народности к немецкому национальному языку, ч. I, 1955 г.
- Adolf Bach. Geschichte der deutschen Sprache, Quelle und Meyer, Heidelberg, 1953.
- Henrik Becker, Sprachgeschichte, Verlag Philipp Reclam jun., Leipzig, 1944.
- Otto Behaghel, Die deutsche Sprache. Max Niemeyer Verlag, Halle, 1953.
- Beträge aus der sowjetischen Sprachwissenschaft, Folge I, Verlag Kultur und Fortschritt, Berlin, 1952.
- Borchardt (Wustmann) Schoppe, Die sprichwörtlichen Redensarten im deutschen Volksmund nach Sinn und Ursprung erläutert. Bearbeitet von A. Schirmer, Brockhaus-Verlag, Leipzig, 1954.
- Dornseiff / Waag, Bezeichnungswandel unseres Wortschatzes. Moritz Schauenburg Verlag, Lahr/Baden 1955.
- Theodor Frings, Grundlegung einer Geschichte der deutschen Sprache, Max Niemeyer Verlag, Halle, 1950.
- „Grimms Deutsches Wörterbuch“
- Rudolf Hildebrand, Vom deutschen Sprachunterricht, Volk und Wissen Volkseigener Verlag, Berlin, 1952.
- Hofstaetter / Panzer — Grundzüge der Deutschkunde B. G. Teubner, Leipzig und Berlin, 1925.
- Victor Klemperer, LTI. Aufbau-Verlag, Berlin, 1949.
- Victor Klemperer, Zur gegenwärtigen Sprachsituation in Deutschland Vorträge zur Verbreitung wissenschaftlicher Kenntnisse. Heft 17. Kulturbund zur demokratischen Erneuerung Deutschlands, Aufbau-Verlag, Berlin 1953.
- Kluge/Götze, Etymologisches Wörterbuch, 16. Auflage Walter de Gruyter, Berlin, 1953.
- Hans Krahe, Germanische Sprachwissenschaft — I. Einleitung und Lautlehre Sammlung Cöschens Nr. 238. Walter de Gruyter, Berlin, 1948.



- Hans Krahe, Germanische Sprachwissenschaft — II, Formenlehre Sammlung Göschen Nr. 780. Walter de Gruyter, Berlin, 1948.
- Hans Krahe, Indogermanische Sprachwissenschaft. Sammlung Göschen Nr. 59. Walter de Gruyter, Berlin 1948.
- Alfred Schirmer, Deutsche Wortkunde. Sammlung Göschen Nr. 929. Walter de Gruyter, Berlin, 1948.
- Friedrich Seiler, Die Entwicklung der deutschen Kultur im Spiegel des deutschen Lehnwortes. Buchhandlung des Waisenhauses, Halle Saale, 1925.
- Tacitus, Germania, Philipp Reclam Nr, 726 oder Lateinisches Lesebuch. Volk und Wissen, Volkseigener Verlag, Berlin. 1952: „Germania“—I. Teil zweisprachig.
- Trübners, Deutsches Wörterbuch, Herausgegeben von A. Götze. Walter de Gruyter, Berlin, 1939—43.
- Wasserzischer, Woher? Ferd. Dümmler Verlag, Bonn 1948.
- Oskar Weise, Die deutsche Sprache als Spiegel deutscher Kultur. Verlag Frommann, Jena, 1923.
- F. C. Weiskopf, Verteidigung der deutschen Sprache. Aufbau-Verlag, Berlin, 1955.

## შინაარსი

გერმანული ენის წარმოშობა-განვითარების ძირითადი ეტაპები (შ. შა-თირიშვილი)	5
გერმანიკული ენები და ზემოგერმანულის განვითარება	40
I. ინდოევროპული ენების ნათესაური ურთიერთობა	40
II. გერმანიკული ენები	45
III. ცალკეული გერმანიკული ენები	53
IV. გერმანული ენის (Deutsch) წარმოშობა	61
V. საშუალო ზემოგერმანულის ჩამოყალიბება	74
საშუალო ზემოგერმანულის ბგერითი, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი ძველ ზემოგერმანულთან შედარებით	75
I. ცვლილებანი ვოკალიზმში	75
II. გერმანული ეროვნული ენის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განვითარება მე-18 საუკუნემდე	85
III. გერმანული ენის ადრეული ახალი ზემოგერმანული პერიოდის უმნიშვნელოვანესი ბგერითი, მორფოლოგიური და სინტაქსური ცვლილებები	96
IV. ბრძოლა გერმანული ეროვნული ენის სიწმინდისა და ღირსებისათვის მე-17 საუკუნეში	113
V. გერმანული ენის შემდგომი განვითარება 1700-იანი წლებიდან დღემდე	123
VI. გერმანული ენის ლექსიკის გამდიდრება კლასიკოსი და რომანტიკოსი პოეტების მიერ. ენის ისტორიის კვლევა მე-18—19 საუკუნეებში	135
VII. თანამედროვე გერმანული ენის შესახებ	150
ლიტერატურა	154

რედაქტორი დ. ჯიბლაძე  
მხატვარი ჯ. ყავლაშვილი  
მხატვრ. რედაქტორი თ. კარბელაშვილი  
ტექნოლოგიური ნ. დოგუზაშვილი  
უფ. კორექტორი ბ. ჯობაძე  
კორექტორი ჯ. ცაგურია  
გამომცემი ო. მაჭავარიანი

ИБ № 2498. Учебное издание.

გადაეცა ასაწყობად 2.07.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.04.89:  
ქაღალდის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა  
ლიტერატურული. ბეჭდვა მაღალი, ნაბეჭდი თაბახი, 9,75. საღე-  
ბავგატარება 10,13. სააღრ.-სავაგომ. თაბახი 9,25.

ტირაჟი 1000 შუკვ. № 410.

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Издательство «Ганатლება», Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.

1989

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის  
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომ-  
ბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР  
по делам издательств, полиграфии и книжной торговли,  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.